

644
1961/03

1000
БИБЛИОТЕКА
САНКТ-ПЕТЕРБУРГА

Опизуна

1

644
1961 / 10



ქართული

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური
შუარნალი

საქართველოს ალკა ც. კ-სა და
მწერალთა კავშირის ორგანო



8542

55

1

1961

იანვარი

გამომცემლობა

„საბჭოთა
მწერალი“

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლ. სულაბერიძე — ახალგაზრდობის საახალ- წლო საჩუქარი	8
კუბა — ლენინი (ლექსი. გერმანულიდან თარგ- მნა შ. ამირანაშვილმა)	8
ი. გრიშაშვილი — აკაკისადმი (ლექსი)	9
ხ. ბერულავა — ლექსები	10
ს. კორინთელი — სანამ ცოცხალი ხარ (რომანი)	13
ბ. სულაბური — ლექსები	34
თ. შილაძე — ლექსები	36
ბ. შანტური — ლექსები	39
თ. კიკნაძე — დღეგმაში (მოთხრობა)	43
ლ. სტურუა — ლექსები	47
ბ. შინდაძე — ლექსები	49
იტალიელი კომეტები — (ლექსები. იტალიური- დან თარგმნა გ. ბრეგვაძემ)	50
ი. ებთუშენკო — მეოთხე შეშანსკაია (მოთხ- რობა. თარგმნა დ. მაჭავარიანმა)	52
ფ. შილერი — ვალენსტიანის ბანაკი (გერმანუ- ლიდან თარგმნა ვ. ბეწუყელმა)	62
ალ. ზლოტი — სამაგიერო (პოემა. დასასრული. თარგმნა ფ. ბერიძემ)	81

მოგონებანი

ნ. აგიაშვილი — ჭაბუკები დარჩენ მარად! (და- სასრული)	88
--	----



პრიტიკა და პუბლიცისტიკა

რ. თვარაძე — ახალგაზრდა პროზაიკოსები	100
მ. პაპაშვილი — „სოფლელი ბიჭი“	108
მ. მამულაშვილი — „უამი სიცოცხლისა და უამი სიკვდილისა“	114
ნ. მრღმისაძე — „რობინზონ კრუსო“ ქართული თარგმანები	118
ც. ფოფხაშვილი — თეოდორ დრაიზერის რომანი „გენიოსი“	122
პ. დონაძე — ნიკო ნიკოლაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები	130

ხელოვნება


ლ. თაბუაშვილი — ნათელა იანქოშვილი	137
ბ. ბაღვაში — ტლანტები და თაყვანისმცემლები	141
ბ. ზუსუნაშვილი — „საქადრაკო ციებ-ციხელება“	146

სატირა და იუმორი

პ. ფირცხალაშვილი — მეგობრული შარუები	152
--	-----

ჟოგალური მხარდა

ქრისტე	155
------------------	-----



რედაქტორი ვახტანგ ჯელოძე

სარედაქციო კოლეგია:

თ. ზაღურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატერაშვილი, მ. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ქილაია.


რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/1-61 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ტირაჟთა რაოდენობა-13,7. შეკვ. № 2486. უგ 03441. ქალაქის ზომა 70×108. ტირაჟი 6.500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფიკამოცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Маджанишвили, № 5.

სახეობრივო სახეობა სახეობა



ნახატი თენგიზ მირზაშვილისა

ნარკვევი

ჭადრები ყვირილას ნაპირზე

ახლა ვერ მიხვდება კაცი, რატომ ჰქვია ამ მდინარეს ყვირილა. დეკემბრის ოდნავ სუსხიანი დილაა, მოკრიალებულ ცაზე მზე არსად ჩანს, ოღონდ ყვირილას გაღმა, ნაგუთის უბანში გორებს მიჰყვინია მისი შუქი. გორიდან გორზე გადაჰყვინია საშაერო გზის ბაგირები და მათზე ჩამოკიდებული რონოდები მისრიალებს იქეთ და აქეთ, სავსე და უკვე დაცლილი.

ალბათ ბევრი რამის მომსწრენი არიან საღურს აქეთ, გზის კიდეზე ჩარიგებული ჭადრები. რამდენჯერ ჩაუვლია აქ საქართველოს ბუღბუღს — აკაკის. მისი თაყნობით ჩეყარა საფუძველი ჭიათურაში მარგანეცის მოპოვებას. ეს ჭადრები მაშინ ნორჩი იყო, ახლა გაზრდილა, დაქარღვიანებულია. დინჯად ირბევინ ახლა ისინი და ვინ იცის, რას ეჩურჩულებიან ჭადრა მგონის ქანდაკებას.

არა, ახლა ვერ მიხვდება კაცი, რატომ ჰქვია ამ მდინარეს ყვირილა. აბა, გაზაფხულის პირს ნახეთ, როგორ აუყვინდებია ქალაქის გამუღმებული გუგუნიც კი ველარ ახშობს ამ მიხვეულ-მოხვეულ ხეობაში მის ყვირილს.

გაშავებულია, ამღვრულია, გაზანჯულია.

მაღალი გორიდან გადმოვარდნილი პატარა შავი ლეღა ამის მიწეზე. ის მარგანეცის ნარეცხია. უცხოა რომ უამბო, ალბათ არც დაიჯერებს, რომ ასეთ პატარა ნარეცხს შეუძლია ამოდენა მდინარეს ფერი უცვალოს. შეიკრება ანკარა ყვირილაში, მთელ მდინარეს გააშავებს, აამღვრებს, გაზანჯავს. თურმე მარგანეცის უამრავი ნაწილაკი თან მოაქვს ნარეცხს და ასე უქმად იკარგება, მოაქვს ყვირილას. მაღე ამ ნაწილაკებსაც დაუხვდებიან ჩვენი ინჟინერ-ტექნიკოსები; აშენდენ

ბა ფაბრიკა, რომელიც უყირილას გაფილტრავს, გამოსტაცებს ამ ძვირფას ნაწილაკებს. და მერე უყირილაც კვლავ ისეთივე ანკარა იქნება, როგორიც ჭიათურაში შემოსვლამდეა.

იქნებ ამაზედაც ოცნებობს მგოსნის ქანდაკება თეატრის წინ..

იქნებ ამაზედაც შრიალბენ ის ტანბრგე ქადრები?!

ბარბაქა, ზაურ!

უცერად ლაღუმების ბათქა-ბუთქი ატყდა და თეთრად შეხრული ხეობის მკერდს მოსწყდა და მოსწყდა დახეთქილი ქვეები. ამ ქვეებით ამარაგებენ ბეტონის ქარხანას.

მკვეთრად დაქანებული საბაგირო გზით სტალინის სახელობის მაღაროსაკენ დავეშვით. ხეობის ფერდობებზე ჩაბუღებული სახლების ახლოს აქა-იქ თოვლი ჩაწოლილა.

მოვექცეთ თუ არა თავზე მაღალ გორს, შორით რაჰის თოვლიანი მთები გამოჩნდა. გაღმა კლდეზე გადმომდგარა მღვიმევის მონასტერი, მეცამეტე საუკუნის მშვენიერი ძეგლი.

ჩინებული მეგზური გამოგვავლო კომკავშირის რაიკომის მდივანმა იუზა კობახიძემ. ლეილა ადგილობრივი გაზეთის რედაქციაში მუშაობს ლიტმუშაკად. ჭიათურელია ლეილა, კავკასიური ენების ფაკულტეტი დაუმთავრებია თბილისში, კვლავ მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულია. ჩინებული გოგონაა ლეილა, მოკრძალებული, თავაზიანი, განათლებული, თავისი ქალაქის მოყვარული.

თბილისწყლის საბაგირო გზის გადამცემელ სადგურს მივადექით. თავზე გადავიქროლა მარგანცით დატვირთულმა რონოდამ, დაქანდა, ქვევით ტანისამოსგაშვებული და ოდნავ სახეშემურული ქაბუკი დაუხვდა, ხელები ჩაჰკიდა რონოდას, თითქმის შეჩერება უნდაო, ისე მიჰყვა, მერე მეორე ახალგაზრდა კაცი წაეშველა, შეაჩერეს, მიეძალნენ და გადაიჩქვავებული რონოდიდან ჩხრიალ-ჩხრიალით გადაცვივდა ხვიშისში მაღანი.

ახლოს მივედით. ბიჭუნას ღებღაფა ღოყები და კულულა ქოჩორი აქვს. ზაური ჰქვია, გვარად ჩიკვიშვილია. საჩხერელი ყოფილა, შინ მშობლები ჰყოლია. ჩვიდმეტი წლის ქაბუკი სახელოვან მაღაროელებს ამოსდგომია მხარში, მარჯვე შრომით თავისი წვლილი შეაქვს საერთო საქმეში. გადაუწყვეტია — გაისად საღამოს სკოლაში განაგრძოს სწავლა.

ბარაქალა, ზაურ!

მშვედობით გველოს შრომის ამ სახელოვან გზაზე!

„რას დაჰუდებულხარ, გიშო?!“

მალდიდან დავყურებთ ჭიათურას. შორს, გაღმა მთაზე, მოჩანს ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მთელი ანსამბლი. ხეობის გასწვრივ და მთიდან მთაზე გადაჰიმულ ბაგირებზე მისრიალებს რონოდები.

აი, იქ, ხეობის გაღმა მთის ზურგზე გაფენილია სოფელი შუქრეთი;

იქით, — მერეთი.

უფრო იქით — დარკვეთი.

ეს ახალი საბადოებია, რომელთა გულში საუკუნეების განმავლობაში ჩაფენილი მარგანცის მაღანი დამუშავებას მოეღის.

დარკვეთის საბადოების მარგანცი კი მაღე ნახავს დღის სინათლეს. თითქმის ხეობის სიმაღლეზე ასვტილა დარკვეთის გამამდიდრებელი ფაბრიკის ძირითადი კორპუსის თეთრი კედლები. იქ არის ახლა გაჩაღებული უმთავრესი სამუშაოები.

საბაგირო გზით თავქვე დავეშვით. მანქანით დარკვეთისაკენ გავეშურეთ. აღმა ავყევით უყირილას ნაპირს. უკან ჩამოვტოვეთ შავი უყირილა. აქეთ ის ანკარა, წმინდა.

ერთ მოსახვევთან მანქანა შეჩერდა. წინ რამდენიმე ავტომანქანა დგას. სულ წინ კი ტრაქტორი მიიღოდა და ვეებერთელა გორგლებზე დახვეულ ფოლადის მსხვილ ბაგირებს მიათრევს.

ტრაქტორს გამოცვდით და ცოტა ხნის მერე მაღალ გორაზე შემოვადექით. ხეობას გადასცქერის ორი ახლადგებული მრავალსართულიანი სახლი. ეს მუშათა საერთო საცხოვრებელია.

აი, აქ არის დარკვეთის გამამდიდრებელი ფაბრიკის სათავე.

ლეილა ერთ ყმაწვილს მიესალმა, მერე ჩვენთან მოიხშო და გაგვაცნო:

— იცნობდეთ, გიორგი უაველაშვილი, ჭიათურაში მშენის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

გიორგი სანდომიანი შესახედაობის ახალგაზრდაა. დაბაზულ ქურჭზე აქა-იქ ცემენტისა თუ კირის ხსნარი შეშვებულია. საჩხერელია გიორგი. საშუალოს დამთავრების შემდეგ მუშაობა დაუწყია და ამჟამად დაუსწრებლად სწავლობს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჭიათურის ფილიალში სადმშენებლო ფაკულტეტის პირველ კურსზე.

ირგვლივ გახურებული მუშაობაა. მიწას ანსწორებენ, აკეთებენ გზას, აგებენ ქვაფენილს.

ნიჩიხს ტარს დაურდობილმა ყმაწვილმა იქვე მდგომ შარვლიან გოგონას ღრეჯით რადაც



გადაულაპარაკა. გოგონამ ნიჩბით ფხვიერი მიწა გადაიქნია და უმაწვილს მხიარულად შეუწყრა:
— რას დაუდებულხარ, ბიჭო, ვერ ხედავ — ოსტატებმა ქვაფენილი ცხვირწინ მოიტანეს, ჩქარა მიაყარე მიწა, შე მიწადასაყრელი!

უმაწვილი შერჩა, ოსტატებისაქენ გადაიხედა და მაშინვე ნიჩბის ტარს მოსკიდა ხელგნით.
— რაფერ ჩქარა მოიწვევენ ეს გადარეული ოსტატები, შენთან ლაპარაკსაც არ მაცლიან, გოგო, ეს ოხრები!..

მხარბეტიანმა ქაბუკმა გოგონას ერთი ნიჩბის მოქნევაში სამჯერ მოიჭნია ნიჩაბი.

„ნუ შეშვარცხენ, ნუ გვიღალატებ!“

გლაქტიონ ქურციკიძის კომუნისტური შრომის ბრიგადასთან შეგჩერდით. ბრიგადა მარგანეცის გასაფხვიერებელი ზვიმირის შენებას ამთავრებს. აქედან დაიწყება მიწის გულღდან გამოტანა მარგანეცის მადლის დამუშავება.

გლაქტიონი ლენინის ორდენოსანი ბრიგადირია. მისი ბრიგადის ბიჭებმა ჯერ მარცხი არ იციან. ამ ზვიმირის დამთავრება ახლა საჩქაროა და ამიტომაც მიანდევს მათ ეს საქმე. ამ ბრიგადამ სიტყვის გატება არ იცის: იქნება! დროზე ადრე იქნება ზვიმირი!

აქედან ხეობას რომ გადახედავ, ზღაპრული სანახაობა გადაგეშლება თვალიწინ. გამამდიდრებელი ფაბრიკის მთავარი კორპუსის რკინაბეტონის თეთრ შენობას პირთამდე ამოუვსია ღრმა ხეობა. ეს ფაბრიკა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვითაა აშენებული. მაღაროდან გამოტანილი მარგანეცის მადანი კონვეიერული სისტემით გაივლის გადაშლადგების ყველა რთულ პროცესს.

ეს ერთი ძვირფასი სახალწლო საჩუქარია სამშობლოსათვის.

ზევიდან კონვეიერს გამოყვევით და პირდაპირ მთავარი კორპუსის ზედა სართულზე მოგუქვით. მაგნიტური სეპარატორებით, ელევატორებით, მარგანეცის სარეცხი ცხრილიანი დაზგებოთა და სხვა მანქანებით არის ამოვსებული ამოღენა შენობა. მუწჯად დგანან ეს მანქანები და მათთან ახლოს ჩავლისა ჯერ კიდევ გრძნობს კაცი ლითონის სიცივეს, მაგრამ ისინი მზად არიან და სულ მალე აგრუხუნდებიან, აგრილდებიან, გახურდებიან, სულს ჩაიდგამენ, გაცივდებიან, დაიწყებენ საქვეყნო ცხოვრებას.

სართულიდან სართულზე კიბეებით აღიან და ჩამოდიან მშენებლები.

როგორც იქნა გამოვალწით გარეთ.

აი, მიაკვსკელი ბიჭები.

თქვესმეტი ახალგაზრდა ერთად ჩამოსულა მიაკვსკიდან. აქ ოთხი ქუთაისელი ახალგაზრდა შემოტებით, ერთი — ყაზბეგელი და ერთიც თერჯოლელი. შეუქმნიათ ბრიგადა, ბრიგადირად ოთარ ვერულაშვილი აურჩევიათ. დღეს ეს ბრიგადა კომუნისტური შრომის ბრიგადაა და ერთ-ერთი მოწინავე მთელ მშენებლობაზე.

— ბიჭებო, მოდიეთ ამ საღამოს შევხვდეთ ერთმანეთს, დავსხდეთ, ვისაუბროთ. მე ამოვალ თქვენთან საერთო საცხოვრებელში, — ეთხოვე მათ.

ერთ-ერთმა მათგანმა ბრიგადირს განაწყენებული თვალებით გადახედა:

— არა, ძმაო, მე ამ საღამოს ვერ დავრჩები.

ოთარი თავიანდად მომიახლოვდა და მითხრა:

— დღეი სიამოვნებით, მაგრამ, იცით, ჩვენ ყველანი ყოველ შაბათ საღამოს ბაღდათში მივმგზავრებით. კვირაობით იქ ოჯახებში მივიხილ-მოვიხილავთ და იმავე საღამოს ვბრუნდებით ზოლმე.

— არა, ჩემო ძმაო, არა, რაკი აგრეა, მე ხელს როგორ შეგიშლით. ეს მერც მოესწრება მაშინ ორშაბათს შევხვდეთ ერთმანეთს.

ისე შემოხედა, თითქოს ვეებერთელა ტვირთი მოიშორა ზურგიდან.

აღიან და ჩამოდიან ბიჭები ზვიმირის თავზე, ააქვთ ბეტონის ხხნარი და სახურავს აბეტონებენ. საჩქარო საქმეა და ძალ-ღონეს არ იშურებენ.

ბეტონს მათგანს საშუალო სკალა დაუშთავრებია. ახლა სწავლის გასაგრძელებლად ემზადებიან. თვითონ ოთარი ისტორიულ ფაქულტეტზე აპირებს მოწყობას.

ტკბილი ბავშვობის აკვანი...

მოდ, აქ რომ ჩამოსულან, ვალოდია დევიძეს დიდხანს ვეღარ გაუძლია, ამდგარა და კვლავ მშობლიურ სოფელში გაქცეულა.

ეწყინათ ბიჭებს, განა მათ არ უყვართ თავიანთი სახლ-კარი მაგრამ, რაკი აქ ერთად წამოვიდნენ, რაკი საქვეყნო საქმეს ძმურად მოჰკიდეს ხელი, კიდევ უნდა დაუდგნენ ერთმანეთს მხარი-მხარს.

ვალოდიამ კი — მე და ჩემი სურვილი ვართ მხოლოდ ამ ქვეყნად, ადგა და წავიდა.

ვალოდიას მშობლები არ ჰყავს, არც და-ძმა, შინ მარტოა. შეიძლება ამიტომაც არჩია უკან

დაბრუნება. მაგრამ სოფელში ჩამოსვლის შემდეგ რატომღაც რამდენჯერმე ინატრა თავისი ამხანაგები. სიწმარშიც წახა მათი იმედია და მზიარული სახეები.

ერთხელ, შაბათ საღამოს ჩვეულებრივად ჩამოვიდნენ ბიჭები. ვალოდას ძალიან გაეხარდა მათთან შეხვედრა. მოვიდნენ ბიჭები, მუშაობაში წახებარენ ამხანაგს.

წამოსვლისას თხოვეს — ნუ შეგვარცხვენ, ნუ გვიღალატებო. ვალოდიამაც ვეღარ გაუძლო, დამწავესავით იგრძნო თავი მათ წინაშე.

— მოიცათ, მოიცათ, ბიჭებო! — შესძახა მათ, შინ შევარდა, ჩაიცვა, სახლი გამოკეტა და გზაზე დამდგარ მეგობრებს შეუერთდა.

ბიჭო, აქ რა გინდა?!

შორით, მაღალი გორიდან სკას მიხეული ფუტკარივით მომჩვენა ეს ხალხი. ახლა, მათში რომ შევერიე, ბიჭები მთავარი კორპუსის გარშემო ვეღვებევით ბდღვინავენ. საჩქაროდ უნდა გაიყვანონ ფაბრიკის გარე მიწისქვეშა კომუნიაკიები! განსაკუთრებით წყალსადენი მიწების ჩაყრა საშურო საქმე, რადგან რკინაგზებებს ხელი ეშლებათ ლიანდაგის ფაბრიკამდე მიყვანაში.

ლიანდაგი კი ამუშაოდ მთავარია, თითქმის ყველაფერი მზად არის. მალე ეს გიგანტი მანქანები გამოაფრქვევს შავ ოქროს და რკინაგზა მანძინ საჭირო, ვაკანსები და ვაკანები, რომ მაშინვე, დაუყოვნებლივ მიაწოდონ სამშობლოს მსოფლიოში უმაღლესი ხარისხის ქართული მარგანეტი.

ამიტომ ბდღვინავენ ვეფხებივით ეს ბიჭები.

რა თქმა უნდა, კომუნისტური შრომის ბრიგადების ბრიგადირებს თამაშ ვაშაძენ და გურამ კახანაძესაც თავიანთი გადაუღებელი საქმეები აქვთ, თავიანთ სამუშაოებს დასტრიალებენ თავს. მთელ უბანს მოეფინა ხმა, რომ თამაშის ბრიგადის ახალგაზრდა კალატოშა სერგო კახანაძემ დღიური გეგმა ზუთასი პროცენტით შეასრულა.

თამაში და გურამი ჭიათურელები არიან. საქართველოს ყველა კუთხიდან — ქუთაისიდან, თელავიდან, გურჯაანიდან, მაიაკოვსკიდან, ყაზბეგიდან ჩამოსული ახალგაზრდები გვერდში ამოუდგნენ მათ მშობლიური ქალაქის კეთილდღეობისათვის შრომაში, და მასპინძლებიც თავს ხომ არ შეიცხვენენ! ღირსეულ სტუმრებს ღირსეულად დამხვდური მასპინძლები სჭირდება.

— ჯონი, ჯონი! — წამოიძახა უცებ ჩემმა მეგობარმა მედეამ, მიეტყრა ერთ წვერმოშვებულ ჭახუკს, რომელიც ახალგაბრილი დიდი თხრილის კიდეზე იდგა ნიჩბით მომუშავე ახალგაზრდებთან.

— მედეა, შენა ხარ?! გამარჯობა! — ხელი გამოუწოდა.

— ჯონი, ბიჭო, აქ რა გინდა? ხომ არ მოგხსნეს რაიკომის მდივნობიდან?!

— არა, მედიკო, ახა სამაგისტოს რას დავაშავებდი! — ჯონის გაუპარსავ სახეს რაღაც ნაწი და თითქმის ოდნავ ქალური ელვარების ღიმილი დაშვენდა. მე მის დატალახიანებულ ჩექმებს მოვატანე თვალი. — არა, თელაველ კომკავშირელებს გამოვყვები. წამოვიდით, რომ ჩვენი წვლილიც შევიტანოთ ამ მშენებლობაში. ეს ხომ დამკვრელი კომკავშირული მშენებლობაა.

— გაიცანით, ბიჭებო, — მოგვმართა მედეამ, — თელავის კომკავშირის რაიკომის მესამე მდივანია, — ჯონი ჯიჯეიშვილი.

ჯონის ხელმძღვანელობით ჩამოსულან აქ თელაველი ახალგაზრდები. ბიჭები თხრილთან მუშაობენ. ჯონი ზოგიერთზე მიგვითითებს გვაცნობს მათ:

— ის ავთანდილ ბახსულანია, მოსკოვის ინსტიტუტის სააღმშენებლო ფაკულტეტის მეორე კურსზე სწავლობს დაუსწრებლად, თელავში მუშაობს ფიქალ-მარმარილოს კომბინატში; ის კი, ელიზბარის გვერდით რომ არის, ბლასკო დიღმელაშვილია, ისიც დაუსწრებლად სწავლობს, ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს აღმრიცხველად; ძალიან დინჯი და უთქმელი ბიჭი, მაგრამ ახა სუფრაზე ნახათ, როგორი თამადა, ნამდვილი ოქროპირია. ის კი ამირან გავარდაშვილია, ფიზიკურად ყველაზე ძლიერი, ახლა კრანსოიარსკში ღვინის ტექნოლოგიურზე სწავლობს დაუსწრებლად. ჭიათურაში ერთმა გოგონამ მოხიბლა ამირანი და ყოველ საღამოს იმას ელის — როდის მოვა ის გოგონა და თვითონ მეტყვის — მიუვარხარო. ბევრი, ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინეთ ამ შესანიშნავ ქალაქში, ასე რომ კმაყოფილები დავბრუნდებით თელავში. ელიზბარი ამბობს ხოლმე — ბიჭებო, უნდა გვახსოვდეს, რომა, ჩვენ რომ თავი შევირცხვინოთ, ამით თელაველებსაც შევარცხვენოთ.

შენ ბაბიბარე, ზამირა!

— სანამ ჩვენს საკუთარ კომბინატს ავაშენებდით, მანამ ყოველგვარი სააღმშენებლო მასალით რუსთავი გვაშარაგებდა, — გვიამბობს კომბინატის გამგე ახალგაზრდა ინჟინერი ჯუმბერ რაზმაძე. — ახლა ჩვენი საკუთარი მძღავრი სააღმშენებლო კომბინატი გვაქვს. ეს კომბი-

ნატი ამარაგებს მთელ ქიათურას მზა სააღმშენებლო მასალით. მართალია ხშირად გვსაყვედურობენ, მაგრამ რა ვქნათ, სადაც ფართო მასშტაბის სამუშაოებია, იქ სასაყვედუროც ბუნებრივია. ძირითადად ჩვენი კომბინატი აკმაყოფილებს ჩვენი ქალაქის სააღმშენებლო მოთხოვნილებებს.

ჯუმბერი მარტოხელა კაცია, უცოდნელო, კომბინატის მთავარი ინჟინერი ჯონდო ხშირად გადაჰყარავს ხოლმე ზუმრობით:

— ბედნიერი კაცი ხარ, როცა უნდა მიხვიდე შინ, სულ ერთია, მე კი ნახევარჯერ შინ რომ არა ვარ, ლამის გამეყაროს ცოლი,

მართლაც ისინი მეტწილად კომბინატის ტერიტორიაზე იმყოფებიან. ერთი წუთით რომ შეფერხდეს საღამე მთელი კომბინატის მუშაობას დაჩანდება მაშინვე.

— ტატიანა, — გადაუძახა ჯუმბერმა კანტორისაკენ მიმავალ ქალს, — ტატიანა, ერთი წუთით მოხრძანდით!

ქალი ჩვენსკენ გამოემართა.

— იცნობდეთ, ეს ზამირას დედა გახლავთ, ტატიანა ქათამაძე.

სიამოვნებით გაცევანით. მერე ჯუმბერმა სთხოვა:

— გაჰყვი, ტატიანა, ჩვენი გოგონების ბრიგადაც გაიცნონ ამხანაგებმა.

ტატიანა შარვლიან გოგონასთან მიგვიძღვა.

— ეს ჩემი გოგონაა, ზამირა.

აი, თურმე როგორი ყოფილა ზამირა. მაღალი, ტანადი, წყნარი. სპეცტანსაცმელშიაც თავისი ბუნებრივი სინაზე არ დაჰკარგვია. ოთხგვერდიანი დაზვის მემანქანეობას სწავლობს. ელენე ქიმაძე მეხოფრე თანრიგოსანი მემანქანეა. ელენესთან მუშაობს ზამირა, ღვიძლი დებივით არიან ერთმანეთთან.

ელენე ამბობს:

— ზამირა ისე მიეჯერებს, თითქმის დიდი უფროსი ვიყვე მაგაზე. ხელობას ჩინებულად ეუფლება.

შრომობენ და ამავე დროს ემზადებიან მომავალში პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიათურის ფილიალში შესასვლელად.

თორმეტი გოგონაა ბრიგადაში, ყველანი ახლად საშუალო დამთავრებულნი არიან. მათი ბრიგადა უკვე კომუნისტური შრომის ბრიგადაა. ზოგი დურგალია, ზოგი — მემანქანე, ზოგი — მხერხავი, ზოგი — მღებავი. ცილაა ცერცვაძე, ლილი ტყემალაძე, ლილი ლომაძე, ნელი ბუხაიძე, ალა ლოპატინა, მათი ბრიგადირი ირა კაპანაძე და სხვები მთელი ახალგაზრდული გატაცებით მუშაობენ.

— ბედნიერ დედად მიმანია თავი იმის გამო, რომ ჩემი უფროსი ქალიშვილი არ იშურებს ენერგიას და სხვა მშრომელებთან ერთად თავისი წვლილი შეაქვს საერთო საქმეში. მიხარია, რომ ჩემს დედურ ზრუნვას ამაოდ არ ჩაუვლია.

შენ გაიხარე, ზამირა, დედის გულის გახარებისათვის!

დღეება თქვენი

შრილებენ გზის კიდევ ჩარიგებული ტანბრგე ჰადრები. ბევრი რამის მომსწრენი არიან ისინი. ბევრ თაობას ჩაუვლია მათ ახლოს. მაგრამ ასეთი ახალგაზრდობა, დღეს რომ ცხოვრობს და შრომობს აქ, ჯერ არ უნახავთ ამ ჰადრებს.

დასასრულს უახლოვდება დარკვითი გამამდიდრებელი ფაბრიკის გრანდიოზული მშენებლობა. ეს ქართველი კომკავშირული ახალგაზრდობის ძვირფასი საახალწლო საჩუქარია, ჩვენი დიდი სამშობლოსათვის მიძღვნილი.

ცხოვრობ ამ ახალგაზრდებთან, ზედა მათ და გჯერა — ისინი უფრო მაღლა ასწევნ დიადი კომუნიზმის მშენებლობის დროშას.

იშრიალეთ, იშრიალეთ ტანბრგე ჰადრებო!

ბარაქალა შენ, ზაურ!

არა, არ შეარცხვენს, არ უღალატებს მეგობრებს ვალდია.

მოვა ამირან, უსათუოდ მოვა ის გოგონა და ჩაგურჩეულებს ნანატრ სიტყვას...

შენ გაიხარე, ზამირა, დედის გულის აგრე რიგად გახარებისათვის!

თქვენზე ოცნებობდა დიდებული მგოსანი აკაკი, რომლის ქანდაკებაც აგერ იქ, თეატრის წინ სავარძელში ჩამჯდარა ოცნებაში წასული.

დიდება თქვენ, ქიათურის ახალგაზრდა მშენებლებო!

დეკემბერი. 1960

ქიათურა.





კუბა

ლენინი

ორთავიანი არწივის ფრთებქვეშ
იყო შიმშილი, ტანჯვა და შიში,
ღმერთის სახელით ჯალათი მეფე
თავისუფლებას ახრჩობდა სისხლში.


და მოევლინა ხალხს სასომიხდილს
დიდი მედროშე, ვით აღმაფრენა,
ის შეებრძოლა ბნელსა და სიკვდილს
და დაამკვიდრა სიცოცხლის რწმენა.

შურისძიების ცეცხლით ალურით
ააგიზგიზა ხალხის გულები,
ეკლიან გზაზე მას სიყვარული
და თანაგრძნობა ჰქონდა ულევით.

ამაო იყო მტარვალთა ღრენა,
მტერი ამაოდ ღმუროდა რისხვით,
გამოიარა წარბშეუხრელად
ბრძოლები საესე ტანჯვით და სისხლით.

ლენინი იყო გმირი დიადი,
ვინც დაუმკვიდრა ხალხებს დიდება,
მარად ელვარე მზის განთიადი
ბრწყინავს, არასდროს დაიბნდება.

გერმანულიდან თარგმნა
შოთა ამირანაშვილმა.



იოსებ გრიშაშვილი
საპარტევლოს სახალხო პოეტი

აკაკისადმი

დღეს ვიგონებთ ბუმბერაზი ნიჭის პატრონს, ჩვენს დიდ მგოსანს,
ვისაც ერის სიყვარული უკვდავების შუქით მოსავეს.

ვინც გვასწავლა მტერთან ბრძოლა, მოყვარესთან — სიყვარული,
ვინც პატარებს მოუტანა „დედა-ენის“ სიხარული.

ვინც ლექსებით ააყვავა ჩვენი მთა და ჩვენი მდელო...
ბროწეულის თასით შესვა საქართველოს სადღეგრძელო.

ვინც გვაჩუქა ქართული თქმა, ლექსის ეშვი, მზე ქართული,
აკაკი და საქართველო ჩვენს ლექსშია ჩახლართული.

აკაკი და საქართველო განუყრელი მცნება არი,
ახლა მგოსნის ნაინატრი, ქართველ ხალხის ოცნებარი.

გადახედე შენს სამშობლოს, სულზე ტკბილო, საყვარელო,
არ მომკვდარა ბევრი დარდის დამნახველი საქართველო.

შენი ჩანგის სიმთა ალყა ჩვენ მივიღეთ თითო-თითოდ,
ამით მოგდევთ, ო, სულმნათო, რომ სამშობლო ჩვენც ვადიდოთ.

ჩვენ შენს ხსოვნას გავაღმერთებთ და ავიყვანთ მაღლა ცამდე,
ჩვენ ქედს ვიხრით შენს წინაშე, თვით თხემიდან ძირს ტერფამდე.

არასოდეს დაგივიწყებს საქართველოს მიწაწყალი,
ჩვენში ლეივის ამირანის უკვდავ ცეცხლის ნაპერწკალი.

წყაითხულია აკაკი წერეთლის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილ საი-
უბილეო საღამოზე ოპერის თეატრში.



სუზა ბეჰრეაჰი

შენ, მეგობარო...

მაშ, ასე — ერთი წელიწადი ისევ გავიდა
და მე მგონია, ყოველივეს ვიწყებ თავიდან.

შენც, მეგობარო, ახალი წლის საზღვართან დგახარ
და ვინღა უწყის, ოცნებებით სადა ხარ ახლა!

საით გიხმობენ მოელვარე ფიქრები შენი
და საით წარვლენ ამიერიით სიცოცხლის დღენი.

გარდასულ დღეებს, ვგონებ, კიდევ დარდით გაჰყურებ:
რას ეძიებდი, რა იპოვე, რას იმსახურებ!

ვით ადამიანს, ძმურად მხარზე დაადე ხელი
და ღირსეულად გააცილე მაშვრალი წელი.

უთხარ ყოველი, გადაუხსენ გული მთლიანად:
როდის იჩქარა და სად კიდევ დააგვიანა.

იქნებ შენ თვითონ, შენ თვითონვე დააგვიანე, —
თავს გაუმხილე, თუ არ ეტყვი ადამიანებს!

თავს გაუმხილე გულახდილად და ისიც კმარა.
შესდექ, დაფიქრდი და მომავალს შეხედე წყნარად...

დიახ, ეს ერთი წელიწადი ისევ გავიდა
და საახალწლო ოცნებებსაც იწყებ თავიდან.

ახალი წელი! შემოვიდა მისი ნათელი
და სხვა იმედი მოიტანა, სხვა ჟრუანტელი.

მოდის... და სიტყვა ჯარისკაცის, მგოსნის, მეგუთნის
უპირველესად ჩვენს საყვარელ მამულს ეკუთვნის.

ჩვენს დიდ სამშობლოს დავულოცოთ გზა დიდი, ძნელი,
გასთენებოდეს მზიანი და სვიანი წელი!

დაე, აღსრულდეს შვილთა მისთა ნაოცნებარი
და მთელ სამყაროს კვლავ აჩვენოს საოცრებანი.

წამოვდგეთ ისევ, სადღეგრძელო ახლა შენია.
გარდა სიკეთის, მე ამ გულში რა დამრჩენია.

მასაც უკლებლივ შენ მოგიძღვნი, როგორც მეგობარს.
მე რა ღამრჩება? სიხარული შენი მეყოფა.

იყავ, იცოცხლე, იდღეგრძელე და გაიხარე,
არ დაიხარო, როგორც ადრე არ დაიხარე.

ახლა კი გესმის? რა საამოდ წკრიალებს ზარი, —
ბედნიერება დგას კარებთან, გაულე კარი!

ამას ნატრობდა გულთამხილველი

ჩონგური საქართველოა,
ხიშები ჩვენ ვართ უველოა.
აკაკი.

ეს იყო მისი სულთქმა პირველი,
ამაზე სწუხდა გულთამხილველი.

სურდა ეხილა მშობელი მხარე,
როგორც ოდესღაც — მძლავრი, სვიანი,
როგორც ოდესღაც — ქვიტყირზე მყარი,
გაუტეხელი და ერთიანი.


ილიას გვერდით საკუთარ მხრებით
სამშობლოს ჳირთა სიმძიმე ზიდა,
თუმც ჳახჳახებდა ჟამიყამ ძელები,
არ გადუხვია მაღალი გზიდან.

ერთად იბრძოდნენ ქედმოუხრელნი,
ერის მუშაკნი და მოღვაწენი.
ცალმაც ატარა ქვეყნის უღელი,
როცა მოუკლეს უღლის გამწევი...

იგი — ჳურუმი და მამა ბრძენი —
მთელ საქართველოს გადასცქეროდა.
გადასცქეროდა თამამად, რწმენით
და უკვდავება მისი სჯეროდა.

და... მოჩანს ჩვენი მშობელი მხარე,
როგორც არასდროს — მტკიცე, სვიანი,
როგორც არასდროს — მძლავრი და მყარი,
გაუტეხელი და ერთიანი.

ეს იყო მისი სულთქმა პირველი,
ამას ნატრობდა გულთამხილველი.





„სანამ ცოცხალი ხარ“

ნაბატი დ. ერისთავისა

სოსო კოჩინთაი

ნათა კოჩინთაი

რომანი

პირველი თავი

აღმართი ამოიარეს და მოსახვევთან შედგნენ. დაბალმა რაღაც თქვა. მაღალმა გაიცინა. შემდეგ ქუჩის მარჯვენა მხარეს გადავიდნენ და მოედნის მიმართულებით განაგრძეს გზა.

ფილაქანი ქუჩისკენ იყო დაქანებული. არჩილმა უკნიდან მოუარა და მარჯვნივ დაუდგა ჯიბოს.

ჯიბომ გაიცინა.

— უბრალოდ, მივეჩვიე ამ მხრით დგომას, — აუხსნა არჩილმა.

— გასაგებია. მაგ მხრიდან ისე დაბალი აღარ ჩანხარ.

— მოგცლია. თუ გგონია, ყურადღებას ვაქცევ მაგას.

ჯიბომ კვლავ გაიცინა. მერე მკლავი გამოსდო არჩილს და წავიდნენ.

— მომწყინდა, კიდევ დიდხანს ვიყილებო ასე? — ჰკითხა არჩილმა.

— მოედნამდე ჩავიდეთ და მორჩა. მერე ირაკლი მოვინახულოთ...

— არ მიყვარს უმიზნო ხეტიალი... სტუდენტებივით.

— მე კი სანამ საყვარელ ქუჩებს არ მოვივლი, ვერ მოვისვენებ. ყოველთვის ასე დავდივარ, როცა ახალი ჩამოსული ვარ, — თქვა ჯიბომ.

— მოგცლია.

— მით უფრო ახლა: ამდენი ხანია აღარ ვყოფილვარ თბილისში.

კინოთეატრთან უამრავი ხალხი ირეოდა. იყო ერთი ურჩამული და ფაციფუცი. შესასვლელთან, ორივე მხრით, საოცრად წაგრძელებული რიგები მოჩანდა. არჩილმა იდაყვი გაჰკრა ჯიბოს და უთხრა:

— ხედავ, რამდენი ხალხია!

— რას უჩვენებენ?

— არ იცი? ხათუნა ახალ ფილმში გადაიღეს. დღეს პრემიერაა.

— რას მეუბნები! მაშ, დღეს არის პრემიერა?!

შესასვლელის ზემოთ, თვალსაჩინო ადგილზე უზარმაზარი, საღებავებით ნახატი აფიშა ეკიდა. ლამაზი, ყელმოღერებული ქალიშვილი იცინოდა. უკანა პლანზე მოჩანდა ზღვისპირა ქალაქის საღამო, პალმის ხე და მეწამული პორიზონტი.

ჯიბომ და არჩილმა დიდხანს უყურეს აფიშას. მერე ჯიბომ ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— დეგენერატი!

— ვისზე ამბობ? — ჰკითხა არჩილმა.

— ვისზე და ვინც ეს აფრთხილებს დახატა. შეხედე, სულ არა ჰგავს ხათუნას. განა ხათუნა ასეთია!

— არა უშავს, ხდება ხოლმე.

— ჰმ... ისიც ხდება, რომ ზოგჯერ კარგად ხატავენ, — ჯიბომ ჩაიცინა. — შენ უკვე ნახე ეს ფილმი?

— არა. ხომ გითხარი, მეც წუხელ ჩამოვედი.

— მაშ ვნახოთ. ავიღო ბილეთები?

— არა, საღამოს ვნახოთ. დღისით არ შემიძლია კინოში შესვლა, — თქვა არჩილმა.

ირგვლივ იმდენი ხალხი ტრიალებდა, რომ ძლივს გაიკვლიეს გზა. ასიოდე მეტრი გაიარეს და გადასასვლელთან შეჩერდნენ. მწყობრში ჩამდგარი მანქანების წყება გაატარეს. მერე გადასჭრეს ქუჩა და ტროლეიბუსის გაჩერებასთან დადგნენ.

— ამას ვის ვხედავ? ხათუნა! — ჯიბომ ორივე ხელი გაშალა. — როგორ მიხარია! მაცალე, გაკოცო...

— წყნარად, რა მოგივიდა... — ხათუნამ გაიცინა და ჯიბო მოიშორა. შემდეგ არჩილს გაუწოდა ხელი.

— როგორ მიხარია! გაკოცებ რა...

— ჯიბო, ნუ გიჟობ, — ხათუნამ კვლავ გაიცინა. — სადა ხართ დაკარგული? თავი მომანატრეთ.

— წუხელ ჩამოვედი, — თქვა არჩილმა. — ჯიბო კი ამ დღით ჩამოსულა.

— მითხარი, ხათუნა, რამდენი ხნის უნახავები უნდა ვიყოთ, რომ შეხვედრისას კოცნის უფლება მომცე?

— ჯიბო, ნუ გიჟობ!

— აბა ხელზე მაინც მაკოცინე.

ხათუნამ გაუწოდა ხელი. ჯიბომ ნაქსოვი ქაკეტის ფართო სახელო გადაუწია და ხელზე კი არ აკოცა, არამედ მაჯის ზემოთ, შიდა მხრიდან.

— ფილმი ჯერ არ მინახავს. ვნახავ და მერე მოგილოცავ, — უთხრა არჩილმა ხათუნას.

— ბილეთები ვერ ვიშოვეთ. ხედავ, რამდენი ხალხია?! — აჩვენა ჯიბომ.

ისინი კინოთეატრის პირდაპირ იდგნენ, ოღონდ ქუჩის მეორე მხარეს. არჩილმა შენიშნა, რომ გამგლეღ-გამოგლეღები აკვირდებოდნენ ხათუნას, შორიდანვე ცნობდნენ და მოუხრიდებლად ათვალიერებდნენ, ხოლო როცა გაშორდებოდნენ, ერთხელ კიდევ მოუხედავდნენ ცნობისმოყვარეობით.

— ღმერთო ჩემო, ხათუნა, რა მშვენიერი ხარ! — უთხრა ჯიბომ.

— გმადლობ ქათინაურისათვის.

— ხათუნა, მიყვარხარ!

— ჰა, ჰა, ჰა...

— ყოველთვის მიყვარდი და ახლა ათასგზის მეტად მიყვარხარ!

— ჯიბო, რა სასაცილო ხარ... — თქვა ხათუნამ.

— ყველაფერი და ყველა სასაცილოა, ოღონდ სხვადასხვა დროს... — წყენით ჩაილაპარაკა ჯიბომ და გულმოსული კაცის გამომეტყველება მიიღო.

არჩილი შესცქეროდა ხათუნას და რატომღაც ირაკლიზე ფიქრობდა. არა მარტო ფიქრობდა, არამედ ხედავდა კიდევ. თავს ძალას ატანდა, თორემ უნდოდა ელაპარაკა ირაკლიზე, უნდოდა რამე ეთქვა ხათუნასთვის მის შესახებ. მაგრამ თავს ძალას ატანდა და არაფერს ამბობდა.

— არჩილ, რამდენი ხანია აღარ ყოფილხარ ჩვენსას. ჩვენებს ისე მოე-
ნატრე! — უთხრა ხათუნამ. — აუცილებლად გამოიარე.

— საერთოდ აღარ დავდივარ ოჯახებში, ხათუნა. აი ასე თუ გადაგეყრები
შემთხვევით გზაში, ან თუ დაგიჩეკავ ხოლმე...

— რატომ?

— რაც თქვამი დამცვივდა, აღარ დავდივარ, — თქვა არჩილმა. — ქუდის
მოხდა მრცხენია...

ხათუნამ გაიცინა.

— ჩვენებს ისე უყვარხარ, უთავოდაც რომ მოხვიდე, მაინც ესიამოვნე-
ბათ, — უთხრა მან.

— არჩილი დიდი ხანია ისედაც უთავოდ დადის, — თქვა ჯიბომ.

არჩილმა არაფერი უპასუხა ჯიბოს. რატომღაც გუნება შეეცვალა. შეპ-
ყურებდა ხათუნას მშვენიერ, მხიარულ სახეს და თვალწინ ირაკლი ედგა. ვე-
რაფრით ვერ მოიშორა ეგ მოჩვენება. და ეგონა, რომ ამ წამში ხათუნაც ხელდ-
ედა ირაკლის.

უნდა ხელადედს, სხვანაირად არ შეიძლება.. და მოელოდა, რომ აი, საცაა
ხათუნა შეეკითხება ირაკლის ამბავს და თვითონ უამბობს...

ისე უნდოდა ეამბნა! სიტყვები ენის წვერზე უტრიალებდა. საოცრად
უჭირდა თავის შეკავება. როგორ არ ეთქვა, როგორ არ ეთქვა ყველაფერი,
რასაც ფიქრობდა, რაც სათქმელი ჰქონდა...

ხათუნამ წარბები შეიკუმუხნა და არჩილმა გაიფიქრა: „აი ახლა მკითხავს,
აუცილებლად მკითხავს!“

— რას ვდგავართ, შევიდეთ სადმე. ამ შეხვედრას აღნიშვნა უნდა, —
თქვა ჯიბომ.

არჩილი დარწმუნებული იყო, რომ ხათუნას უნდოდა შეეკითხოდა ირაკ-
ლიზე და თუ არ ეკითხებოდა, იმიტომ, რომ...

— არ აღვნიშნოთ? ასეთ შეხვედრას აღნიშვნა უნდა, — გაიმეორა ჯიბომ.

— ხათუნა, მგონი რაღაც გინდა მკითხო... — უთხრა არჩილმა.

— გკითხო? რა უნდა გკითხო?!

— მმ... მმმ... მომიჩვენა, რომ რაღაცის კითხვა გინდოდა...

ხათუნამ გაოცებით ასწია წარბები. არჩილმა მკლავში მოჰკიდა ხელი, ცო-
ტა მოშორებით გაიყვანა და უთხრა:

— ვიცი... ირაკლიზე გინდა, რომ მკითხო...

— არჩილ!

ხათუნა გაფითრდა.

— რა საიდუმლო გაგინდათ? — იკითხა ჯიბომ. მას არ ესიამოვნა, განზე
რომ დატოვეს.

— ახლა ირაკლისთან ვაპირებთ წასვლას... — თქვა არჩილმა.

— არჩილ! ნუ, შენი ჭირიმე... — შეაწყვეტინა ხათუნამ.

— გეყოფათ, რა საიდუმლო გაგინდათ?! — ჯიბო მიუახლოვდა მათ. —
შევიდეთ თუ არა კაფეში?

— არა, ჯიბო, არა! გმადლობ. მე უნდა წავიდე. გამომიარეთ. ნახვამდის. —
ხათუნა სწრაფად გატრიალდა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

— რა მოხდა? — იკითხა სახტად დარჩენილმა ჯიბომ.

— არ ვიცი.

— აბა ასე მოულოდნელად... ასე უცნაურად რატომ გაიქცა?

არჩილმა არ უპასუხა.

— არ მეტყვი, რატომ გაიქცა ასე უცნაურად?

— ირაკლი ვუხსენე...

— ირაკლი?!

— ჰო, ირაკლი.

გაჩუმდნენ. კარგა ხანს იდგნენ ერთ ადგილზე და ხმა არ ამოუღიათ. ჩამოდგა ტროლეიბუსი. წავიდა. ჩამოდგა მეორე, ისიც წავიდა.

— არ დავსხდეთ? — ჰკითხა ჯიბომ.

— დავსხდეთ? არა. მოდი გავიაროთ... — თქვა არჩილმა. — როგორღაც სიარულის გუნებაზე დავდექი.

ჯიბომ მხრები აიჩეჩა. ხმას არ იღებდნენ.

იარეს, იარეს. კვლავ არ ამოუღიათ ხმა.

— ენა ხომ არ გადაყალბე, თქვი რამე, — უთხრა ჯიბომ. — ისეთი გამო-მეტყველება გაქვს, თითქოს პანაშვიდიდან ბრუნდებოდე.

არჩილმა ნაძალადევად გაიღიმა. მერე თავი ისე გააქნია, თითქოს აბეზარი მწერი მოიშორაო.

ჯიბომ ცოტა ხანს იყუჩა. შემდეგ თქვა:

— ბევრ ქალიშვილს ვიცნობ, მაგრამ ხათუნასთან საყვარელი და მიმზიდ-ველი ჯერ არ შემხვედრია...

არჩილმა ჯიბოს ახედა.

— ხათუნას აქვს რაღაც ისეთი, გესმის, განსაკუთრებული... ქალური! არც ერთ ქალში არ შემინიშნავს იმდენი ქალურობა, იმდენი მომხიბლაობა, რამდენიც ხათუნას აქვს...

არჩილმა დაკვირვებით შეათვალიერა მეგობრის სახე. არაფერი უთქვამს.

— თუ ხათუნას იცნობ, სხვა ქალის შერთვა გაგიძნელდება...

არჩილმა ჩაიცინა.

— ისე გამოდის, მე რომ ცოლი შევირთე — გამძნელებია, რადგან ხათუნას ვიცნობდი, არა? — ჰკითხა მან.

— შენზე არ ვამბობ. შენ კაცად არცა გთვლი... — ჯიბომ გაიცინა, — მაგრამ მე თუ ოდესმე ცოლს შევირთავ, მხოლოდ ისეთს, რომ ხათუნას ჰგავდეს...

*

ღია საზაფხულო ვერანდა, რომელიც ზემოდან გადასცქეროდა ლამაზ, პატარა სკვერს, წყნარი და სუფთა ქუჩის პირზე გადიოდა. ვერანდაზე რამდენიმე მრგვალი ჩარდახი იდგა წითლად და ლურჯად მოხატულკალთებიანი ტილოთი თავდამშვენებული. ტილო მოჭიატე მზისაგან იფარავდა. მაგიდების გარშემო ჩრდილი იყო გაფენილი.

მაგიდას, რომელიც ვერანდის განაპირას იდგა და სკვერის შადრევანს დაჰყურებდა, სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟი უსხდა. თეთრხალათიანმა მომტანმა ქალმა ისედაც გაკრიალებულ მაგიდას ხელსახოცი გადაუსვა. შემდეგ ვაჟისკენ მიბრუნდა:

— რას ინებებთ?

ვაჟმა ქალიშვილებს გადახედა.

— ნაყინზე არ ვიტყოდი უარს... — თქვა ერთმა ქალიშვილმა. იგი ვაჟის გვერდით იჯდა, ხელმარცხნივ. — ქიშმიშიანი ნაყინი თუ გაქვთ... დანარჩენმა ორმა ქალიშვილმაც ნაყინი ისურვა.

— მე მეგონა, უფრო მდიდარი ფანტაზია აღმოვაჩნდებოდათ, — თქვა ვაჟმა და გაიცინა. მერე მომტან ქალს მიუბრუნდა: — ქიშმიშინი ნაყინი და შამპანური.

მომტანი ქალი გაბრუნდა.

— დათო, შამპანური როგორ შეიძლება?! — უთხრა ვაჟს მის პირდაპირ მჯდომმა ქალიშვილმა.

— შეიძლება. არა, მაია? — დათომ მის მარცხნივ მჯდომ ქალიშვილს შეხედა, რომელსაც თავი ხელებზე ჩამოეყრდნო და ოდნავ, სულ ოდნავ იღიმებოდა. თვალები ახლომხედველივით მოეწურა და ეს ძალიან უხდებოდა.

მომტანმა ქალმა ქიშმიშინი ნაყინის ბოლქვებით გადაპიწინებული მაღალი, მოვერცხლილი თასები მაგიდაზე დადგა. მერე შამპანურის გახსნა დააპირა, მაგრამ დათომ არ დაანება:

— არ დამღუბოთ. შამპანურის სმაზე მეტად გახსნა მიყვარს.

მომტანმა ქალმა დათოს გაუღიმა და წავიდა. საცობი ხმაურით ამოვარდა და აიჭრა ჰაერში. ქალიშვილებმა თვალი გააყოლეს, სად დაეცემო. დათომ ღამრეცად დაიჭირა ბოთლი და შამპანურის არც ერთი წვეთი არ დაუქცევია. მერე დინჯად შეავსო მაღალყელიანი ჭიქები.

დათო ხედავდა, რომ მაია თვალს ადევნებდა, თუ როგორ გახსნა მან შამპანურის ბოთლი, შემდეგ როგორ ჩამოასხა ჭიქებში... იგრძნო, რომ იმ წუთებში მაიას მოსწონდა იგი და საოცრად აღელდა. სიყვარულით ჩახედა ახლომხედველივით მოწურულ ლამაზ თვალებში და გაუღიმა.

შემდეგ დათო აკვირდებოდა, როგორ წრუბავდა მაია მაღალყელიანი ჭიქიდან შამპანურს, როგორ უტოკავდა მსუქანი, ლამაზი წითელი ბაგეები, რომელიც ახლა ღვინისაგან სველი და უფრო წითელი იყო, და თან როგორ იღიმოდა ოდნავ, სულ ოდნავ, ძლივს შესამჩნევად.

— ახალ ფილმს ძალიან აქებენ, — თქვა დათოს პირდაპირ მჯდომმა ქალიშვილმა.

— უფრო მეტად კი მთავარი როლის შემსრულებელ ქალიშვილს.

— დათო, მგონი შენ იცნობ მას, არა? — ჰკითხა მაიამ.

— კი, ვიცნობ, — თქვა დათომ.

— ძალიან მინდა ვნახო ეს ფილმი, მაგრამ დღეს ალბათ ბილეთებს ვერ ვიშოვნით.

— მართლა ვერ ვიშოვნით, დათო? — ჰკითხა მაიამ.

— ვიშოვნით, — დათო არხეინად გადაწვა სკამის ზურგზე და გაიღიმა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ოთხივენი ფილაქანზე მისეირნობდნენ. დათო რალაცას ჰყვებოდა. ქალიშვილები გულიანად იცინოდნენ. მერე დათომ ირაკლის მოჰკრა თვალი და ხელი დაუქნია. ირაკლიმ ოდნავ მოშორებით დაამუხრუჭა მანქანა.

— ერთი წუთით, — უთხრა დათომ ქალიშვილებს და მანქანისკენ წავიდა.

— რა ჰქენი, ჩაბარე? — ჰკითხა ირაკლიმ.

— ჩავაბარე, — უპასუხა დათომ და მკლავებით მანქანის კარს ჩამოეყრდნო.

— რა მიიღე?

— რასაც ყოველთვის ვიღებ, — დათომ გაიღიმა. — ახლა კი ვისვენებ. გადავიღალე!

— გასაგებია. დაისვენე, — ირაკლიმ თვალი ჩაუკრა.



— ეს ჩანთა წაიღე შინ, — დათომ წიგნების ჩანთა მანქანაში ჩაავდო. — შინ მიდიხარ, ხომ?

— კი, შინ მივდივარ. გამიგონე, ფული ხომ არ გჭირდება?

— ფული? არა.

— ქალიშვილები გახლავს... ვინ იცის, რაში დაგჭირდეს...

— რადგანაც ასე მაძალებ, არ ვიტყვი უარს, — დათომ გაიცინა.

— თუ ისვენებ, კარგად დაისვენე, — ირაკლიმ გაუწოდა დათოს ფული და შემდეგ დაძრა მანქანა.

დათო ქალიშვილებთან დაბრუნდა. შეწყვეტილი ამბის თხრობა განაგრძო. იგი დღეს ჩინებულად გრძნობდა თავს.

— მაინც არ გამაგებინე, რამ შეგიცვალა ასე მოულოდნელად გუნება, — უთხრა ჯიბომ.

— არა უშავს, უკვე გამომიკეთდა, — თქვა არჩილმა. — სიარული მართლაც უებარი წამალი ყოფილა.

— ხათუნამ რამე გითხრა ირაკლიზე?

— მართლა, ირაკლისთან არ წამოგცდეს, რომ ხათუნას შეეხედით.

— შენგან ვერაფერს გაიგებს კაცი, — ჯიბომ ხელი ჩაიქნია.

— ასე სჯობს.

ცოტა ხანს ჩუმად მიდიოდნენ. ჯიბომ კენჭი მოძებნა და ფეხსაცმლის ქვინტით მიაგორებდა. მერე ძლიერად დაარტყა კენჭს და შორს გასტყორცნა. უძმაყოფილო იყო, რომ არჩილმა არაფერი გაუშხილა.

— იცი რაზე ვფიქრობ, — უთხრა შემდეგ მან არჩილს, — ირაკლიმ ცოლი უნდა შეირთოს... ეს ბევრ რამეში დაეხმარება. შენ რას იტყვი?

არჩილმა მხრები აიჩეჩა, არაფერი უთქვამს.

— ერთი ნაცნობი ქალიშვილი მყავს, კეთილი, თვინიერი... ის რომ გამარიგებინა ირაკლისთვის... ხშირად მიფიქრია ამაზე.

— მე ეიცნობ იმ ქალიშვილს? — ჰკითხა არჩილმა.

— შენ არ იცნობ. ისეთი კარგი გოგოა, მშვიდი, უწყინარი, როგორმე უნდა შევახვედრო ის და ირაკლი ერთმანეთს... მოდი მოვაწყოთ ეს საქმე, არჩილ, ჰა?

— რა ვიცი...

— საყოყმანო არაფერია... — ჯიბო ჩაფიქრდა. — ო, იდეა დამებადა! კვირას ქალაქგარეთ გავიდეთ, იმ ქალიშვილსაც წამოვიყვან თავისი მეგობრით და იქ შევახვედროთ ირაკლის, ჰა?

— მრავალმხრივად ნიჭიერი რომ ხარ, ვიცოდი, მაგრამ მაშელობაც თუ შეგეძლო, არ მეგონა, — არჩილმა გაიცინა.

— ხუმრობაგაუგებით... დამეხმარე, არჩილ, და ამ საქმეს მე მოვაკვარახ-ჭინებ...

— კიდევ გადრთხილებ, ირაკლის ისეთი არაფერი უთხრა, ხომ გესმის... ჯიბოს კვლავ მოენახა პატარა კენჭი და მიაგორებდა.

მეორე თავი

გზებში პატარა კენჭი ჩავარდა. წყლის ზედაპირზე რგოლები გაჩნდა. შემდეგ რგოლები გაგანიერდა თანდათანობით და ბოლოს ნაპირს მიაწყდა.

ირაკლიმ შუბლი და თვალები მოისრისა. იგრძნო, რომ უკვე მთვრალი იყო. ჭიქა არ ერწეოდა ხელში, არც ლაპარაკი ეშლებოდა, მეგობრების ნათქვამსაც ჩინებულად იგებდა, მაგრამ მაინც მთვრალი იყო. გრძნობდა, რომ უკვე დათვრა.

ამისწინა ჭიქის დაღევამდე ფხიზელი იყო. დალია ბოლო ჭიქა და გუბებში ჩაგდებული კენჭისაგან რგოლები გაჩნდა. შემდეგ რგოლები გაგანიერდა თანდათანობით და ბოლოს ნაპირს მიაწყდა.

„დიდი ხანია აღარ დამილევია და ალბათ იმიტომ...“ — გაიფიქრა მან.

არჩილმა გაიცინა.

— რა გაცინებს? — ირაკლიმ იჭვიანად შეხედა.

— მიხარია, რომ ერთად ვართ, — უპასუხა არჩილმა.

ირაკლიმ გაუღიმა, თავი დაუქნია.

„უცბათ მომერია ღვინო, — ფიქრობდა იგი, — ათასში ერთხელ რომ ვსვამ, ალბათ იმიტომ“.

ჯიბო წამოღდა. გაიარ-გამოიარა ოთახში. მერე მაგიდასთან შეჩერდა, ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო და თქვა:

— ყოველთვის ერთად ვერ ვიქნებით, ცხოვრება...

ირაკლიმ ჯიბოსაც გაუღიმა, მაგრამ თავი არ დაუქნია. ანაზღად მისი მოხდენილად შენასკვული ჰალსტუხი მოხვდა თვალში. მერე თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა მეგობარი.

„კარგად მორგებული კოსტუმი აცვია, — გაიფიქრა მან. — ჰალსტუხიც, როგორც ყოველთვის, გემოვნებით აქვს შერჩეული... ისეთივეა, როგორიც ადრე იყო. ჯიბოს არასდროს ავიწყდება კოხტაობა...“

მოაგონდა, როგორ დასცინოდნენ ყმაწვილობაში გადაჭარბებული კოხტაობისათვის ჯიბოს. „Как дэнди лондонский одет,“ — ჩაილაპარაკებდნენ მისი დანახვისა.

— „Как дэнди лондонский одет,“ — უნებლიეთ ხმამაღლა თქვა ირაკლიმ.

— რაა?! — გაუკვირდა ჯიბოს.

— „Как дэнди лондонский одет,“ — ახლა უფრო ხმამაღლა თქვა ირაკლიმ და გაიცინა.

— ჰოო... — გაახსენდა ჯიბოს და მასაც გაეცინა.

— რა ხანია, რაც ასე ერთად აღარ ვყოფილვართ სამივენი, — თქვა არჩილმა.

— კარგა დიდი დროა, — თქვა ჯიბომ. მან ხელები ამოიღო ჯიბეებიდან და მკლავებით სკამის საზურგეს დაეყრდნო.

რა ხშირად უფიქრია ირაკლის, რომ მუდამ ერთად იქნებოდნენ სამივენი. მუდამ ერთად, რაც უნდა მომხდარიყო. „ან რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ დავცალკევდეთ“, — ხშირად უთქვამთ მაშინ...

ამოიოხრა. ეს იყო მაშინ...

ეს იყო დიდი ხნის წინათ. ეს ძალიან დიდი ხნის წინათ იყო, რადგან ის ცხოვრება, რომლითაც მაშინ ცხოვრობდნენ, უკვე აღარასდროს დაბრუნდება. აღარასდროს!

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და ახლა ირაკლის ელიმება იმ პატარა, გულუბრყვილო ბიჭუნაზე... ელიმება, მაგრამ კი არ დასცინის. ებრალება. რა იქნებოდა, მართლა ისეთი ყოფილიყო ცხოვრება, როგორადაც მაშინ ჰქონდა წარმოდგენილი?

— კვირას ქალაქგარეთ გავიდეთ, — თქვა ჯიბომ.

— ქალაქგარეთ?

— ჰო, გავისერიანოთ, პურმარილი წავიღოთ... ქალიშვილებსაც წამოვიყვან... კარგ დროს გავატარებთ.

— ქალიშვილებსაც წამოვიყვან? — ჰკითხა ირაკლიმ.

— ჰო. ძალიან კარგი გოგოები არიან... თქვენ არც ერთს არ იცნობთ, მაგრამ ეს უკეთესია. უცნობებთან ყველაფერი უკეთესად გამოდის, — ჯიბომ გაიცინა.

— მანქანით წავალთ?

— ცხადია მანქანით, — თქვა ჯიბომ. — ისე რა ეშხია?! ჩემი „პობედით“ წავიდეთ.

— მე არ წამოვალ, — თქვა ირაკლიმ.

— რატომ?

— არ წამოვალ...

— ნუ მიჰქარავ! რას ჰქვია არ წამოხვალ! — არჩილმა ხელი დაჰკრა მხარზე ირაკლის.

— ცხადია, უნდა წამოხვიდე. შენი გულისთვის უფრო ვაწყობ...

— არ წამოვალ! მორჩა და გათავდა... — შეაწყვეტინა ირაკლიმ ჯიბოს. — ხელს შეგიშლით და მეტი არაფერი...

— ა, რისი დარდი გქონია, — გაიცინა ჯიბომ, — ორი ქალიშვილი და სამი ვაჟი რომ ვიქნებოდა, ეგ გაფიქრებს, არა? ქალიშვილებს წინდაწინ გვაფრთხილებ, რომ არჩილი ცოლიანია.

— ნუ ლაპარაკობ სისულელეს! — ირაკლიმ შუბლი შეიჭმუხნა. — ქალიშვილები, ხომ იცი, არ მაინტერესებს...

— ეჰ, დიდი ხანია აღარავინ აღარ მთელის მეტოქედ, — თქვა არჩილმა. — მოსაწყენია, როცა ცოლიანი ხარ...

— თორემ ჯერ არ გიღალატნია ცოლისთვის! — ხეპრულიდ გაიცინა ჯიბომ.

არჩილი წამოენთო და მეგობარს გულმოსულად გადახედა.

— რას იბღვირები?! ახალგაზრდა კაცი, როგორც უნდა ეცადოს, ყოველთვის ვერ დარჩება ცოლის ერთგული... ისევე, როგორც, — ჯიბომ ჩაიცინა, — მოხუცი ვერ შეძლებს ღალატს, გულითაც რომ უნდოდეს.

ირაკლის მარჯვენა თვალის უბე აუთამაშდა. იგრძნო, რომ ბრაზი მოეცინა. ხელები ერთმანეთს მოუჭირა. მერე მაგიდა მოათვალიერა. ფოლადის მსხვილი, მძიმე ჩანგალი აიღო და გაღუნა.

არჩილმა და ჯიბომ თვალი მოარიდეს, თითქოს არც შეუნიშნავთ.

ირაკლიმ აწვალა ხელში ჩანგალი, შემდეგ გამართა და მაგიდაზე დადო. ღვინით სავსე ჭიქა ასწია. არაფერი უთქვამს, ისე დალია.

ჯიბომ არჩილს გადახედა. არჩილმა თვალებით ანიშნა, ყურადღებას ნუ მიაქცევო. შემდეგ შეუესო ირაკლის ჭიქა და თქვა სადღეგრძელო:

— ამ ჭიქით ჩვენს მომავალ გამგზავრებას გაუმარჯოს. დიდი ხანია ერთად აღარ გვიტარებია დრო. კვირის მხიარულებას გაუმარჯოს.

ჭიქა ირაკლისა და ჯიბოს ჭიქებს მიუჭახუნა და დალია. დალია ირაკლიმაც. დალია და იგრძნო, რომ კიდევ უნდოდა. მას სწყუროდა, ღვინო სწყუროდა. გამოცლილი ჭიქები თვითონ შეაესო და არჩილს უთხრა:

— თქვი კიდევ რამე, დაველით.



არჩილმა პურის ნატეხი პილპილმოყრილ ლობიოში ამოუსვა და დააყო-
ლა. სული მოითქვა. მერე ჭიქა აიღო და ჩაფიქრდა.

ოთხკუთხა მოზრდილი მაგიდის გარშემო ისხდნენ მეგობრები. მაგიდა
ოთახის შუაგულში იდგა და ზედ ელაგა: ორი ღვინით სავსე და სამი გამოცლი-
ლი ბოთლი, ჯამით ლობიო, თხლად დაჭრილი იმერული ყველი საინზე, დამწ-
ნილებული კიტრი და პილპილი, წნელისაგან დაწნულ თევზზე. ხელით დამ-
ტვრეული თონის ხრუქუნა პური, მწვანელი და ძეხვი.

არჩილმა ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა და თქვა:

— ამ ჭიქით თქვენს მომავალ საბედოებს გაუმარჯოს. გაუმარჯოს ჩემს
მეუღლესაც... ხუმრობაგაშვებით, როდისღა აპირებთ დაოჯახებას? ბავშვები
ხომ აღარ გგონიათ თქვენი თავი?

ჯიბომ ქედმაღლურად ჩაივინა, ირაკლიმ კი თავი დახარა.

— ნუთუ მარტო მე ვარ ბრიყვი, რომ დავოჯახდი?! ჯიბო, არავინ
გეჭირავს თვალი?

— საქმეც ის არის, რომ ბევრზე მიჭირავს და არ ვიცი, რომელი შე-
ვირთო.

— შენზეც ბევრს უჭირავს თვალი...

— ვიცი. სწორედ ეგ მიშლის ხელს, — ჯიბომ არ შეიმჩნია, თუ ვერ გაი-
გო ირონია. მერე ირაკლის მიუბრუნდა: — შენ რატომ არ ირთავ?

ირაკლიმ დაუბღვირა ჯიბოს. შემდეგ თავი დახარა. „ალბათ იმიტომ, —
გაიფიქრა მან, — რომ მე მხოლოდ ერთი მომწონდა... თავად კი ვილას მოვე-
წონები...“

— შენ გპირდება მეუღლე, ირა... შენთვის აუცილებელია მეუღლე. ამ
ზაფხულს თითქმის სულ თბილისში ვიქნები და ერთი კარგი გოგო უნდა გავი-
რიგო, — თქვა ჯიბომ. — შეიძლება, კვირას რომ ქალიშვილებს გაგაცნობ,
ერთი იმათთაგანიც...

— გეყოფა! — ირაკლიმ მუშტი დაარტყა მაგიდაზე. მარჯვენა თვალის
უბე კალისავით უხტოდა.

ჯიბო გაჩუმდა. არჩილმა იატაკზე გადაყრილი დანა-ჩანგალი აკრიფა, მერე
პურის თევზზე გადაწოლილი ცარიელი ბოთლი წამოაყენა. ირაკლის თავი ჩა-
ექნინდა. კარგა ხანს დუმდა, შემდეგ ხმადაბლა თქვა:

— კვირას მე არ წამოვალ ქალაქგარეთ.

ჯიბომ არჩილს გადახედა და ფარულად რაღაც ანიშნა თვალრთ. არჩილმა
თავი დაუქნია. შემდეგ დაბალი, მაგრამ მტკიცე ხმით დაიწყო:

— შენს ადგილზე მე სხვანაირად მოვიქცეოდი, ირა. არც ასე ვარგა. მხი-
არულებას და დროსტარებას არ უნდა გაურბოდე... პირიქით.

— ხანდახან ღვინოც უნდა დალიო, — შემკრთალი ხმით დაუმატა ჯიბომ.
ირაკლის უნებლიეთ გაეღიმა, როცა ჯიბოს შემკრთალი ხმა გაიგონა.
შერცხვა და თვალებით პატივბა სთხოვა მეგობარს.

„საოცარია, — გაიფიქრა შემდეგ, — ჯიბო ათლეტური აღნაგობისაა, მთა-
სავით კაცი, მაგრამ მაინც არ ტოვებს ძლიერი მამაკაცის შთაბეჭდილებას. ალ-
ბათ იმიტომ, რომ დუნე მიმოხვრა აქვს და სახეზეც ეტყობა, მტკიცე ხასიათის
რომ არ არის“.

— ღვინო კარგ გუნებაზე აყენებს კაცს, დარდს უქარვეს, ავიწყებს, —
უფრო მხნედ განაცხადა ჯიბომ. — სვი, რა გენადლეუბა, ერთბაშად შენც ხმა არ
გავიდუქოს. შენს ადგილზე ქალაქგარეთაც ხშირად გავალ ხოლმე, თეატრშიც
ვივლი, კინოშიც, ღვინოსაც დავლევი...

— კარგი, კარგი... — შეაწყვეტინა ირაკლიმ.

„არა, სმა არ ვარგა. სმა სისუსტის ნიშანია“, — გაიფიქრა მან. შემდეგ უეტრად იგრძნო, რომ თრობამ გაუარა, რომ უკვე აღარ იყო მთვრალი. „არა, სმა ნამდვილად არ ვარგა. სმა სისუსტის ნიშანია, სილაჩრეა“.

სერგეი სოროკინი დაუდგა თვალწინ. ყველაფერი საოცარი სიცხადით მოაგონდა: სადღაც მთელი ბოთლი სპირტი იშოვნა სერგეიმ, წყალში გააზავა და გრძნობის დაკარგვამდე დათვრა. დათვრა მეორედაც, მესამედაც... თავს მავიწყებსო, დარდს მავიწყებსო, ამბობდა. სულ გადაჰყვა ხელს, გალოთდა. ბოლოს არყის გულისთვის ყველაფერს კისრულობდა, მათხოვრობდა კიდეც...

აფსუს, რა ვაჟკაცი! ნეტავ რა იქნა, სად არის ახლა?

დრო, ეს წყველი დრო ბოლოს ყველაფერს გაკარგვინებს, ყველაფერს გავიწყებს: მტერსაც და მოყვარესაც, დარდსაც და სიხარულსაც... ირაკლის ლოთობისაგან ხმაჩახლეჩილი, ჭუჭყიანი და დაძინილი ინვალიდი მათხოვრები დაუდგნენ თვალწინ: გთხოვენ და ხმას არყით აქოთებული სუნიც მოჰყვება...

არა, სმა ნამდვილად სისუსტის ნიშანია!

თავი ვაჭენია. არ უნდოდა ამაზე ფიქრი. არც ლაპარაკი უნდოდა ამაზე. ამიტომ ჯიბოს ჰკითხა:

— კარგი დრო გაატარე ბალტიისპირეთში?

— კარგი, ძალიან კარგი, — უპასუხა ჯიბომ.

— როგორ იმღერე?

— ცხადია, შესანიშნავად. ძალიან კარგ ხმაზე ვიყავი.

ირაკლიმ თვალი მოჰკრა, რომ არჩილს გაეღიმა. მასაც მოერია ღიმილი, მაგრამ დროზე გადაისვა ტუჩებზე ხელი და დამალა. ჯიბო ესტრადის მომღერალი იყო. უკანასკნელი სამი თვე ბალტიისპირეთში იმყოფებოდა გასტროლებზე.

— შესანიშნავ ხმაზე ვიყავი, ყველა სიმღერას მამეორებინებდნენ, — განაგრძო ჯიბომ და პიჯაკის გულისჯიბიდან სტატიები ამოიღო. ეს სტატიები მის შესახებ მოეთავსებინათ ბალტიისპირეთის გაზეთებში. შემდეგ ლამაზი ქალიშვილის ფოტოც მოაყოლა. ქალიშვილს ქერა თმები ჰქონდა და ვნებიანი, მსუქანი ტუჩები.

— ვინ არის? — ჰკითხა არჩილმა.

— ხომ კარგი გოგოა?

— ძალიან კარგი. ვინ არის?

— რიგაში გავიცანი. ჩემი თაყვანისმცემელია.

არჩილმა ჩაიფრუტუნა.

— რა გაცინებს? — იწყინა ჯიბომ.

— არაფერი... წარმოვიდგინე ქალი, რომელიც შენ თაყვანს გცემს...

— თუ გინდა, ნუ დამიჯერებ, მაგრამ მართო ეს ქალიშვილი კი არა, მთელი ბალტიისპირეთის ლამაზმანები დამდევენ, ქუჩაში ვერ გამეველო. ამედევნებოდნენ და...

არჩილს სიცილი წასკდა. გულიანად, გადამდებად ახარხარდა.

ჯიბომ რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. ხელი ჩაიქნია, ვითომ „თქვენ რა უნდა გელაპარაკოთ“. სტატიები და ფოტოსურათი გამოართვა არჩილს. ცოტახანს გაგულისებული იჯდა, მაგრამ მალე მოუბრუნდა გული. ჯიბოდან მრავალდაგეკილი აფიშა ამოიღო, გაშალა და მხოლოდ ირაკლის აჩვენა:

— ნახე, რა შესანიშნავ აფიშებს გვიბეჭდავენ.

აფიშას არჩილმაც დახედა. აფიშის შუაგულში დიდრონი, ლამაზი წითელი ასოებით ეწერა: დუგლას მხეიძე.

— დუგლასი?! — გაიკვირვა არჩილმა. — აქამდე ჯიბო იყავი, ახლა დუგლასი გახდი?

— გაჩუმდი, არც კი გესმის... მომღერალს კეთილშოვნანი სახელი უნდა ერქვას, — თავისი უპირატესობის შეგნებით უპასუხა ჯიბომ.

— მომღერალს ხმა უნდა ჰქონდეს კეთილშოვნანი, თორემ ისე გინდა დუგლასი ერქვას, გინდა იელიანე, სულერთია...

— კარგი, მომათქმევინე სული. არ გინდა გიამბო გასტროლების ამბები? ჯიბომ დაწვრილებით უამბო მეგობრებს, როგორი ოვაციებით ზედბოდნენ მსმენელები მის თვითმულ სიმღერას, უამბო ერთობ პიკანტური შემთხვევები ქალიშვილებთან...

ირაკლი უსმენდა და ფიქრობდა: „ჯიბოს ნაამბობში შეიძლება ბევრი მართალიც იყოს, მაგრამ რატომღაც მისი ლაპარაკი ყოველთვის ტრაბახს ჰგავს. მე რომ მის ადგილზე ვიყო, საერთოდ არ ეილაპარაკებდი საკუთარ თავზე. მაგრამ ჯიბო უამისოდ ვერ გაძლებს“.

ჯიბომ ბევრი ილაპარაკა, თანაც ისეთი კმაყოფილი, ნასიამოვნები და ბედნიერი გამომეტყველებით, რომ ძალაუფლებურად ირაკლიცა და არჩილიც თავის წინააღმდეგ ამხედრა.

არჩილს დაუძლეველი სურვილი დაებადა, გაეთანტა მეგობრის თვითკმყოფილება, რომელიც რატომღაც ნერვებს უშლიდა... ისე მოუწონდა შეეცვალა მისი ნასიამოვნები გამომეტყველება! ძველი და ახალი ცოდვები ერთად გაუსხენა და დაიცნა დაუწყაო. ჯიბომ ითმინა, ითმინა, მერე იტკიცა, ბოლოს კი წონასწორობა დაჰკარგა. ფეთიანივით დარბოდა წინ და უკან ოთახში.

რაც მართალია — მართალია, არჩილს შეეძლო სხვების წონასწორობიდან გამოყვანა, რადგან კარგად იცნობდა ადამიანებს. იგი ჯიბოსაც კარგად იცნობდა, იცოდა მისი სუსტი მხარეები და სწორედ იმას ეუბნებოდა, რისი გაგონებაც არავითარ შემთხვევაში არ სურდა ჯიბოს.

— იცი რა, შენ ჩემი... მე შენი... — ჯიბოს აღუღვებისაგან ენა დაება. — შენი დსაცინი მე არაფერი მჭირს... ვინა ხარ, ან რა ხარ თვითონ შენ? ერთი უნიჭო და უსახელო გეოლოგი. შენი დღე და მოსწრება ველზე აგდინა... მე კი ცნობილი მომღერალი ვარ, ქვეყანა მიცნობს, მაფასებენ...

— ხი-ხი, ხა-ხა... — მშვიდად აქირქილდა არჩილი. — მოითმინე და მალე გაიგებ, როგორი გეოლოგიცა ვარ. მოთმინება აქცევს თუთის ფოთოლს აბრეშუმად.

— შენ მოითმინე, თორემ მე რა — მე ჩემსას მივალწი. თანაც იცოდე, ცხოვრება არც ისე ხანგრძლივია, რომ დიდხანს ითმინო.

— ხი-ხი-ხი-ხი... ხა-ხა-ხა-ხა... — ქირქილებდა არჩილი.

— ერთი შენ გაქვს წარმატებები და მეორე მე, ერთი შენზე წერენ გაზეთები და მეორე ჩემზე... — ცხარობდა ჯიბო. არჩილის აუღელვებელ ქირქილს მოთმინებიდან გამოჰყავდა იგი.

— ხანმოკლე წარმატებას ხანმოკლე წარუმატებლობა სჯობს. ხი-ხი-ხა-ხა...

ირაკლი არ იღებდა ხმას. უსმენდა მეგობრების პაექრობას და მოიწყინა. პირველად კი არ ესწრებოდა ასეთ სცენას. თითქმის ყოველთვის ასე ხდებოდა — შეიყრებოდა სამი მეგობარი, სიყრმის სამი მეგობარი და დაიწყებდნენ ერთმანეთის „აღუღებას“. მრავალი უსიამოვნო რამ მოუშენიათ ერთმანეთისაგან.

ასე იყო მაშინაც, მხარზე ჩანთაგადაკიდებულები რომ დარბოდნენ სკოლაში და ასეა ახლაც, როცა სკოლა და ბავშვობაც შორს დარჩა, ძალიან შორს.

ჯიბო კვლავ ფეთთაინივით დარბოდა წინ და უკან. არჩილი კი მშვიდად იყო. იგი მაგიდას მიყრდნობოდა, ფეხი ფეხზე გადაეკვარახებინებინა, ხელები გულზე დაეკრიფა და საშველს არ აძლევდა ჯიბოს.

„ასე მოუხდება, — ფიქრობდა ირაკლი, — თუ გარშემო ყველა შენსავით კმაყოფილი და ბედნიერი არ არის, იკმარე, რომ თვითონ კარგად გრძნობ თავს და ჩუმად იყავი. მაგრამ ჯიბოს არ ესმის ეს ქეშმარიტება“.

— კიბო! მართლა კიბო ხარ! შეხედე, არა ჰგავს კიბოს! — იყვირა გაცეცხლებულმა ჯიბომ.

ირაკლის გაელშია. კიბო არჩილის ძველი, ბავშვობისდროინდელი მეტსახელი იყო, რაც იმიტომ შეაჩვენეს, რომ სახე მუდამ ქარხალივით ჰქონდა გაწითლებული. მას ახლაც ცაცხლი ეკიდა ღაწვებზე, ყურები სისხლით გაუაგებოდა.

არჩილი გეოლოგი იყო. წლის დიდ დროს ველზე, ღია ცის ქვეშ ატარებდა. ისედაც გაუჩინებელი სახე მზისა და ჰაერისაგან ხანძარწყაიდებულს მიუგავდა და თან აქერცლოდა.

ჯიბო შეჩერდა არჩილის წინ, რომელიც ზანტად იღიმებოდა და უყვირა:

— გაჩუმდი! გესმის, გაჩუმდი! თორემ არ ვიცი, რას გიზამ...

ჯიბო მთელი თავით მაღალი იყო არჩილზე და სულ ცოტა ერთი ფუთით მეტს მაინც იწონიდა, მაგრამ არჩილი არც გარყეულა. მას კვლავ გადაედო ფეხი ფეხზე, ხელები გულზე დაეკრიფა და მართლაც რომ ნერვებისმომშლელად იღიმებოდა.

— რა გინა! რა! — უყვირა ჯიბომ.

„არჩილს ჯიბოზე გაცილებით ძლიერი ხასიათი აქვს, — ფიქრობდა ირაკლი. — არჩილში არის რაღაც შეუვალი, აუმღვრეველი. მისი მოთმინებიდან გამოყვანა ძნელია. სულ სხვაა ჯიბო. იგი სუსტია, უცბად ჰკარგავს წონასწორობას და დულს“.

ირაკლის ადრე სიამოვნებდა ხოლმე, როცა არჩილი ჯიბოს „აღუღლებას“ დაიწყებდა. ადრე ახალისებდა ჯიბოს გულწრფელი გაჯავრება, რადგან ამ დროს აღარაფერი რჩებოდა მასში არაბუნებრივი, თეატრალური. ახალიებდა არჩილის თითქოს უწყინარი, უვნებელი, მაგრამ სინამდვილეში ნერვებისმოშლელი, მზაკერული დაცინვა. და მისი სახის გამომეტყველებამ! გულუბრყვილოდ გადმოკარკლული ჭროლა თვალები, მორცხვი ქალიშვილივით შეფაქლული ღაწვები, დამცინავად მოღრეცილი ტუჩები...

ახლა კი მობეზრდა მათი კინკლაობა. მოიწყინა.

— მორჩით ახლა, გეყოფათ, — თქვა ირაკლიმ. — ჯიბო, დადექი ერთ ადგილზე, ნუ ბტუნავ გაუხედნავი ცხენივით...

ჯიბო აღელვებული იყო. ირაკლის ნათქვამი სწორად ვერ გაიგო და ახლა მას შეუტია:

— თუ ძმა ხარ, შენ მაინც! გაჩუმდი... შენ მაინც რილასი მაქნისი ხარ!

ირაკლიმ ქვედა ტუჩი მოიკვნია. ჯიბომ ზუსტად მოარტყა. არა მარტო აწყენინა, არამედ ატყინა კიდევ, საშინლად ატყინა.

— მიკვირს, ჯიბო, ასეთი ბრიაყი და უტაქტო თუნდაც ქუჩის ქალებს როგორ მოსწონხარ... — უთხრა ირაკლიმ, სამაგიეროს გადახდის მიზნით კი არა, არამედ ნაწყენმა, გულმოკლულმა.

— მორჩი ერთი! შენ თუ ეგეთი სილომონ ბრძენი მყავხარ, იმიტომ არ მიგატოვა ხათუნამ...

ირაკლის სისხლი მოაწვა და გადაუარა სახეზე. მერე მიცვალებულივით გაფითრდა, თვალები დაუბნელდა. ჯიბომ შეამჩნია მისი ქაღალდისფერად ქცეული სახე და მიხვდა, რომ გადაამალმა.

„მართლა ხეპრე ვარ, — გაიფიქრა მან, — არასდროს არ ვიცი, რა უნდა ვთქვა“. მივიდა, მხარზე ხელი დაადო ირაკლის და მომნანიებელი ხმით უთხრა:

— მივექარე... რეგვენი ვარ.

ირაკლის თვალები მოეხუჭა, მარჯვენა უბე კალიასავით უხტოდა. მერე ჯიბოს ხელი მოავლო ხელში და მოუჭირა. ჯიბომ ტკივილისაგან შეჰყვირა, სახე დაემანჯა. ყვირილზე ირაკლი გამოერკვა, გაახილა თვალები და გაუშვა ხელი.

ჯიბო შეცბუნებული იდგა, დარცხვენილი ნაძალადევად ილიმებოდა. ეგონა ხელი მომეცტარაო და უნდოდა სული შეეებრა, როგორც დამწვარს უბერავენ, მაგრამ ეთაკილებოდა. ბოლოსდაბოლოს თვითონაც ირაკლის ტოლი და ამოდენა ტანის ვაჟკაცი იყო.

— ჯიბო, თუ ძმა ხარ, გამცილდი! გამოალე კარი და წადი! — დაუბეზული, წყნარი ხმით უთხრა ირაკლიმ.

— ჰაჰ!

— ძალიან გთხოვ, წადი... და თუ როდისმე კიდევ მოხვიდე, დაუკვირდი, რასაც იტყვი.

ჯიბომ დაბნეულად მიმოიხედა გარშემო. არჩილს თავი ჩაექინდრა და დენსაცემლის ჰვინტს ათვალერებდა. აღარც ირაკლი უყურებდა მას. იდგა ოთახის შუაგულში და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. წასვლა არ უნდოდა. ასე წასვლა არც უნდოდა და არც შეეძლო. სკამზე ჩამოჯდა. სიჩუმე ჩამოეარდა. ჯიბომ აიღო თავისი ჰიქა და მოსვა ღვინო.

„მართლა ხეპრე ვარ. რამ მათქმევინა?!“ — ფიქრობდა იგი.

გადახედა ირაკლის, რომელიც თითებს იმტერევდა, ხოლო მერე მაგიდის საფარის ფოჩი დაითრია, მოაგლიჯა და მსხვილი ძაფები საითათაოდ დაწყვიტა.

მოღუშული იჯდა ირაკლი, კოპები შეეკრა.

„ალბათ ხშირად იმეხსნება, ასე ღრმად რომ დააჩნდა ნაოჭები შუბლზე, — გაიფიქრა ჯიბომ. — გატანჯული კაცის შეუბრალებელი და მკაცრი გამოქმტყვლება აქვს, სახის ნაკვთები გამხდარი, წახნაგოვანი. შეთხელებული თმები და ფართო შუბლი, რომელიც ღრმა ნაოჭებს დაულარავს. გაუბედურებული ჰმაკაცის სახე...“

ხმას არავინ იღებდა. ჯიბომ თავი უხერხულად იგრძნო. „ნუთუ კიდევ არ დავიწყნია ხათუნა, რომ ჩემმა ნათქვამმა ასე იმოქმედა?! მე ჯერ ვიტყვი და მერე ვფიქრობ. უნდა მეთქვა თუ არა. რეგვენი ვარ“. წამოდგა, გაიარა-გამოიარა ოთახში. არავინ მიაქცია ყურადღება.

— წავალ მე, — თქვა ჯიბომ.

ახლაც არავინ მიაქცია ყურადღება.

— მე წავალ. მაინც წასასვლელი ვიყავი...

ახლაც ორივენი ღუმდნენ ჯიბოს იხტიბარი გაუტყდა. არა და არ შეეძლო ასე წასვლა. რომელიმე მაინც გასცეს ხმა, გალანძღონ მაინც...

— შენ არ წამოხვალ? — ჰკითხა მერე არჩილს.

— არა, მე დავრჩები.

ჯიბო კუდამოძუებული გაიძურწა. ოთახში ორნი დარჩნენ: ირაკლი და არჩილი. აოც ერთი არ იღებდა ხმას. ირაკლი კვლავ მაგიდასთან იჯდა. არჩილი

კი ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა. ცალი ფანჯარა ღია იყო. იგი ქუჩას გადაჰყურებდა.

კიდევ კარგა ხანს არ ამოუღიათ ხმა. ირაკლის უნდოდა, რომ არჩილიც წასულიყო. საშინლად ტკიოდა მკერდში, გულთან და მარტოდ დარჩენა უნდოდა. მაგიდაზე დადგმული ღვინით სავსე ერთადერთი ბოთლი მოხვდა თვალში და გაიფიქრა:

„მართლაც რომ შეგეძლოს დარდის გაქარვება. მართლაც რომ შეგეძლოს დაივიწყო კაცს ეს, რისი დაგიწყებაც სურს... მაშინ სულმოუთქმელად გამოგცლიდი, გახელბულივით დაგეწაფებოდი... მაგრამ არ შეგეძლია, უძლური ხარ! შენ ვერაფერს დამაიწყებ, ვერაფერს... ერთი წუთითაც კი ვერა...“

არჩილი მოშორდა ფანჯარას და მაგიდასთან მოვიდა. მანაც შეხედა ღვინით სავსე ბოთლს.

— დავლიოთ? — ჰკითხა ირაკლის.

— არა, არ მინდა.

ირაკლი ელოდა, რომ არჩილი შეგონებას დაუწყებდა. წინდაწინ იცოდა, რასაც ეტყოდა. და ისიც იცოდა, რომ არჩილი მართალი იქნებოდა. მაგრამ ეს არაფერს ცვლიდა. მერე რა მოხდა, რომ არჩილი მართალი იქნებოდა?!

ცხადია, კაცს გონება იმიტომ აქვს, რომ გაიგოს... მაგრამ მარტო გონებით ცხოვრება შეუძლებელია. ადამიანი უმთავრესად გულით ცხოვრობს.

— ყველაფერი ძალიან ახლოს მიგაქვს გულთან. არ ვარგა ასე...

ირაკლის ღიმილი მოერია. სწორედ ახლა გაიფიქრა, რომ არჩილი ამ სიტყვებით დაიწყებდა.

— ასე არ შეიძლება... ნერვები დაგაწყდება, გულს შეასკდები...

ირაკლიმ თავი აიღო და შეხედა არჩილს. ის განაგრძობდა:

— წყენას, უსიამოვნებას უფრო გულგრილად უნდა მოეკიდო, თავს ძალა უნდა დაატანო და გაიცინო...

— გავიცინო?!

— ჰო, რა გიკვირს, უნდა გაიცინო.

არჩილმა პაპიროსი ამოიღო, ირაკლის მიაწოდა და თვითონაც მოსწია.

— როცა სიცილი შეგიძლია, უფრო იშვიათად ბრაზდები. იუმორი ბევრი რამის ატანაში ეხმარება კაცს, გაგიჟებისაგან იხსნის...

— შეიძლება, — დაეთანხმა ირაკლი და გაჩუმდა.

ახლა გულისკოვზთან ფხაჰნიდა და წვავდა რაღაც. არ უნდოდა ლაპარაკი. არაფერი არ უნდოდა. არჩილი კი ლაპარაკობდა. ირაკლის არ ესმოდა, რას ამბობდა არჩილი. ან განა სულერთი არ იყო, რას ამბობდა?!

— ირა, არ მისმენ?

— ჰა?

— არ მისმენ, ტყუილად მალაპარაკებ...

— არა, გისმენ, — იცრუა ირაკლიმ.

მას საერთოდ უყვარდა არჩილთან საუბარი. დაბალი და გამბდარი ტანის შიუხედავად, არჩილს ძლიერი ხმა ჰქონდა. იგი ჟღერადი, სასიამოვნო ბანით ლაპარაკობდა. მაგრამ ახლა ირაკლის არაფრის მოსმენა არ შეეძლო. ხელით ანიშნა არჩილს — გაჩუმდით და უთხრა:

— არ გისმენ... ვერ გისმენ. სიტყვები... სიტყვები ვერაფერს მიშველის... შენც იცი.

— მარტო შენ არა ხარ ასე, ირა. სხვასაც ტკივა, სხვასაც აწუხებს... ვერც ნახავ კაცს, რომელსაც რამე არ აწუხებდეს.

— ეს ჩემთვის შეღავათი არ არის.
— რატომ, ათასობით ადამიანთან ერთად ტანჯვა სხვაა და მარტო ტანჯვა
სულ სხვა.

— არა მგონია.
— დამიჯერე, — თქვა არჩილმა და წამოდგა. — ასეთ დროს ადამიანი
უბრალოდ ზედავს, რომ ტანჯვა ყველასათვის აუცილებელია.
ირაკლიმ აღარათფერი თქვა. „თითქოს სულერთი არ იყოს, რას ვიტყვი მე,
ან რას მიპასუხებს არჩილი... თითქოს ამ ლაყბობით რამის შეცვლა შეიძლებო-
დეს...“ — გაიფიქრა მან.

არჩილი ფანჯარასთან მივიდა, რაფაზე გადაეყრდნო და თქვა:
— ჯიბო ნაცემი ძალღივით გაიძურწა. ალბათ გაჯავრდა ჩვენზე.
— ჰო.
— გაჯავრდებოდა, მაგრამ მალე გაუვლის. წყენას ჩინებულად იტანს, —
არჩილმა გაიცინა. — ეგ ერთი კარგი თვისება აქვს.
— ჰო.

— და საერთოდ, მე მგონია, წყენის ატანა უნდა შეგეძლოს კაცს. სხვანა-
ირად გაგიძნელებდა ცხოვრება.
არჩილი გაჩუმდა. დიდხანს გაჰყურებდა ქუჩას, მერე თქვა:
— რომ იცოდე, რა მშვენიერი დღეა, ირა. აფსუსია ასეთ ამინდში შინ
ჯდომა. ხომ არ გავისეირნოთ შენი ბედაურით?

— არა.
— ხუ ჯიუტობ, გავიდეთ სუფთა ჰაერზე.
— არა, არჩილ. შენ წადი, მე შინ დავრჩები.
— თუ შენ არ წამოხვალ, ფეხსაც არ გავადგამ.
— არა, შენ წადი, არჩილ, წადი!
— მეც მაგდებ? — არჩილმა გაიცინა. — არსადაც არ მივდივარ. საღამო
თავისუფალი მაქვს, არსადაც არ მივდივარ.
— წადი, თუ ძმა ხარ! თავი მტკივა, დასვენება მინდა.
— იცოდე, არ შეგარჩენ ჩემს გაგდებას.
— ჰო, წადი, წადი.

ირაკლის ეჩქარებოდა მარტო დარჩენა. არჩილი არათფერს უშლიდა, მაგრამ
ასე ეგონა, თუ მარტო დარჩებოდა, შვებას იგრძნობდა.

•

ირაკლი კვლავ ძველ ადგილზე იჯდა მაგიდასთან. თვალი ერთი წერტილი-
სათვის გაუშტერებინა.

„მარტო დავრჩი, სულ მარტო... გამოუხადებარი, უმაქნისი, როგორც გამო-
წურული ლიმონი...“

დიდხანს იჯდა სკამზე გაუნძრევლად. შემდეგ ჯახირით ჩამოძვრა, ხელის
საბიჯგები მონახა და თავისი ოთახისაკენ გაჩოჩდა. ხელებს წინ წაიღებდა. სა-
ბიჯგებს დაეყრდნობოდა, ტანს ასწევდა და წაიწევდა. მეორე ოთახის კარი
შეაღო. თავის საწოლთან მიჩოჩდა, ხელები გვერდით რკინას მოავლო და აიქნია
ტანი. ლოგინზე შესკუპდა.

ეს ოთახი, წინასთან შედარებით, პატარა იყო. საწოლი ფანჯარასთან იდგა.
ირაკლი წამოჯდა ლოგინზე და ფანჯარას გადაეყრდნო.

გარეთ თბილი და მშვიდი საღამო იდგა. პორიზონტს გახედდა. დასავლეთით, ქალაქის გადაღმა, დაისი ენთო. ირაკლიმ მზერა გაუშტერა ჩამავალ მზეს. თვალი ვერ მოაშორა ამ განსაცვიფრებელ ხანძარს.

ბავშვობაში დარწმუნებული იყო, რომ დაისის გადაღმა საიდუმლოებით მოცული, ამქვეყნიურისაგან განსხვავებული ცხოვრება არსებობდა. ეგონა, თითქოს იქ, სადღაც, ძალიან შორს, დასალიერის მიღმა არსებობდა ქვეყანა, რომლის შესახებაც ზღაპრებში ეწერა.

ასე ეგონა ბავშვობაში.

შემდეგში ირაკლიმ ნახა დასალიერის იქითა მხარე.

ნახა...

და ახლა მან იცოდა, რა ქვეყნები იყო დაისის გადაღმა. ისიც იცოდა, როგორ ცხოვრობდნენ იმ ქვეყნებში.

ირაკლიმ სხვაც ბევრი გაიგო, სხვაც ბევრი ნახა.

ფანჯარას მოსცილდა და წამოწვა. ხელები ჯვარედინად ამოიღო თავქვეშ. პერს გაუშტერა თვალები.

ფანჯრის წინ, მოასფალტებული ფილაქნის კიდეზე, აკაცია იყო დარგული. თეთრად გადაპენტილიყო აყვავებული აკაცია. ახლომახლო უზომოდ სასიამოვნო სურნელებს ავრცელებდა.

ირაკლი მარჯვენა მხარეს შეტრიალდა. ზურგი შეაქცია ღია ფანჯარას, თეთრად გადაპენტილ აკაციას, მღელვარე გაზაფხულის დაისს.

არ იფიქრებს ამაზე...

მაგრამ რომ ვერ შეძლო! მოდი, ხმამაღლა ილაპარაკებს. ილაპარაკებს ყოველგვარ უაზრობას, ოღონდ იმაზე არ იფიქროს. აი, კარადას აღწერს...

ჰო, მმმ... ოთახის ერთ კუთხეში დგას კარადა. იგი დიდი ხანი არ არის. რაც შევიძინეთ... ჰო, კარადა ახალია, ჯერ არც ერთი წახნავი არ მომრგვალებია ხმარებისაგან... ჯანდაბას!

ჰო, მმმ... ქვემოთ, ერთ ადგილზე წებოს წვეთს გამოუქონავს. გამოუქონავს, იქვე დარჩენილა და გამხმარა... მმმ... წვეთი ლოლუასა ჰვავს. იგი ჯერ არავის მოუტეხავს, რადგანაც სახლში ბავშვები არა გვყავს. ჰო, კარადა სულ ახალია და ოთახში აყენებს სუნს, რომელიც მე შოკოლადის სუნს მაგონებს... ჰო, გარდა კარადისა, ოთახში დგას საწოლი, რომელზედაც მე ვწევარ... რისი მაქნისი ხარ?

ჯანდაბას! კარადა, რომელიც... შენ მაინც რილასი მაქნისი ხარ? მართლაც რისი მაქნისი ხარ?

პირდაღმა დაემხო, თავი ბალიშში ჩამალა. ყოველთვის გეტყვიან ამის შესახებ, ყოველთვის გაგრძნობინებენ. არ არის საეალღებულო ჯიბოსავით ხეპრე იყოს ყველა. ახვამ შეიძლება არ გითხრას, მაგრამ ფიქრობს: რისი მაქნისი ხარ?

არ უნდა იფიქროს ამაზე, არა...

მოდი იფიქრებს იმაზე, თუ რა მომხიბლაობა შეიძლება ჰქონდეს ჯიბოს ცხოვრებას... მოგზაურობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, კონცერტები, თაყვანისმცემლები, შექება გაზეთებში... და ქალები, ჯიბო ყოველთვის ბევრს ლაპარაკობს ქალებზე...

ნუთუ მართლა ჰყავს ჯიბოს თაყვანისმცემლები? ნეტავ რა მოსწონთ ქალებს მისი... მართალია, ჯიბო მღერის, მაგრამ კარგი ხმა არა აქვს. ჯიბო უფრო ლამაზია, ვიდრე კარგად მღერის... თუმცა ზოგიერთები ყურებზე მეტად თვალებით აფასებენ მომღერალს...

რისი მაქნისი ხარ? გამოუსადეგარი, როგორც გამოწურული ლიმონი...
ჯანდაბას!

ირაკლი გულაღმა გადმოტრიალდა. შუბლზე მძლავრად გადაისვა ხელის-
გული. არასდროს უფიქრია ჯიბოზე ამდენი... მაგრამ იფიქრებს, კიდეც იფიქ-
რებს, რომ იმაზე არ იფიქროს...

იმაზე არ ვარგა ფიქრი, არ შეიძლება...

რა ვუყოთ, თუ ჯიბო ავეყია, რა ვუყოთ, თუ პირში მიახალა ის, რასაც
ეგრე უმაღლავს ირაკლი თავის თავს... ეს არ უნდა ჩაეთვალოს დანაშაულად.
რა მოხდებოდა, ყველა ასეთი საქციელი დანაშაულად რომ ითვლებოდა?

ირაკლის მოესმა, რომ ბინაში შემოსასვლელი კარი გაიღო.

„ნეტაც მართლა მოვიდოდეს ვინმე“, — ინატრა მან. მიაყურადა. მეზობელ
ოთახში ვიღაც დადიოდა.

— ირა, შინა ხარ?

ირაკლიმ დედის ხმა იცნო და გაეხარა.

— დამავიანდა? — ოთახში დედა შემოვიდა. — მშობელთა კრება მოვიწ-
ვიე და ახლა დამთავრდა. ნიშნები გამოვეუცხადე...

დედამ საზაფხულო თალხიანი მანტო გაიძრო და მკლავზე გადაიკიდა. იგი
მალალი ტანის, გამხდარი ქალი იყო. თმები თითქმის მთლიანად გათეთრებოდა.
ძვლის სქელშუშებიანი სათვალე ეკეთა. ორმოცდათუთმეტ წელს მიაღწია,
მაგრამ სამოცსაც თავისუფლად მისციემდით.

— სტუმრები გყავდა? — ჰკითხა მან ირაკლის.

— ჰო, ჯიბო და არჩილი იყვნენ.

— ა, ჩამოსულან? როგორ არიან?

— რა უქირთ. ახლახან წაივინდნენ, — ირაკლი წამოჯდა ლოგინში. შეამჩნია,
რომ დაქანცული სახე ჰქონდა დედას.

— შენ რაღად დარჩი შინ? კარგი ამინდია, გაისეირნებდი, — დედამ მანტო
ერთი ხელიდან მეორეზე გადაიტანა. შვილი დაკვირვებით შეათვალიერა.

— ირა, რა მოხდა?

— არაფერი.

— ნუ მიმალავ. რაღაც მოხდა.

— ნუთუ ასე მეტყობა?!

— მითხარი. რა შეგემთხვა?

— არაფერი... გარწმუნებ, არაფერი... მოგეჩვენა.

დედამ შეუმჩნევლად ამოიოხრა.

„ნუთუ ასე მეტყობა?!“ — გაიფიქრა ირაკლიმ. სახე ხელისგულებით დაიზი-
ლა. უნდოდა, გამომეტყველება შეეცვლოდა.

— არც წვერი გაგიპარსავს, — თქვა დედამ. — არ მიყვარს, როცა წვერ-
მოშვებული ხარ. გაიპარსავ?

— არა. იჯექი ასე, — ირაკლიმ ხელი გადახვია დედას. — იჯექი ასე და
ვილაპარაკოთ.

ბინდი შემოიპარა ოთახში, მოედო კედლებს, ავეჯს და მალე ყველაფერი
სიბნელეში გაახვია. დაღამდა.

— ავანთებ სინათლეს, — წამოდგა დედა.

— არ არის საჭირო, ასე სჯობს, — შეაჩერა ირაკლიმ. მერე ჯიბიდან სიგა-
რეტი ამოიღო, დიდხანს არბილა თითებით.

— პაპიროსი არა გაქვს? — ჰკითხა დედამ.

— არა. სიგარეტს მოსწევ?

— მომეცი.

ირაკლიმ მიაწოდა სიგარეტი და ასანთი გაკრა. რამდენიმე წელი იყო, რაც დედა ეწეოდა. ირაკლის არ მოსწონდა, როცა ქალი ეწეოდა, მაგრამ დედა სხვა იყო. დედას ჰქონდა ამის მიზეზი.

ბნელოდა. ეწეოდნენ. ირაკლიმ შეამჩნია: როცა დედა სიგარეტს მოქაჩავდა, მისი სათვალის შუშები უცნაურად ნათდებოდა.

დედა წამოდგა და სინათლე აანთო. დაინახა, რომ ირაკლის ნაოქები დასხდომოდა შუბლზე. გულმა რეჩხი უყო.

— დედა, გეტყობა, დაღლილი ხარ, წადი, დაისვენე; — უთხრა ირაკლიმ.

— არა ვარ დაღლილი, უკვე დავისვენე.

— წადი, დაისვენე, მეც დავიძინებ... თავი მტკივა, დავიძინებ.

— არ ივახშმებ?

— არა. ჩააქრე სინათლე.

დედამ ცოტა ხანს კიდევ იფათურა ოთახში. არ უნდოდა შვილის მიტოვება. შემდეგ ჩააქრო სინათლე და გავიდა, მაგრამ ფეხები უკან რჩებოდა.

— კარიც მიიხურე! — მიაძახა ირაკლიმ.

დედამ მიიხურა კარი და იქვე შედგა. არ მოსწონდა შვილის სახის გამომეტყველება. რაღაც მოხდა. რაღაცამ კვლავ დაუკარგა ირაკლის წონასწორობა. ეს ეტყობა თვალებში, სახეზე, ხმაზე... გული კარგს არას უქადაღა.

ერთ წამში უცნაურად მოიხარა, მხრები ჩამოუცვივდა, დაპატარავდა. ტუჩების კუთხეებში უფრო გაუღრმავდა ნაოქები. მთლიანად მოუხუცდა სახე. ახლა იგი სრულიად აღარ ჰგავდა იმ მხნე დედაკაცს, წელან შვილს რომ უჯდა გვერდით და ესაუბრებოდა.

ლასლასით მივიდა მაგიდასთან და ჭიქით წყალი მოსვა. მერე ჩამოჯდა სკამზე. ხელები უძლურად დაიწყო ერთმანეთზე კალთაში. დიდხანს იჯდა ასე, დაღლილი.

შემდეგ წამოდგა. პატარა ლამბაქზე ყველი დათალა. კარაქი, შაქარი და პური მოიტანა, დაალაგა მაგიდაზე, ზემოდან თეთრი ტილო გადააფარა. მერე ახვარხელებული ჩაიდინიდან წყალი თერმოსში ჩაასხა და ისიც დადგა მაგიდაზე.

„მოვა დათო და ივახშმებს“.

ძლივს დალასლასებდა. საოცრად მოტეხილი და მოჩუცი ჩანდა ამ წუთში.

„მართლა ძალიან დავიღალე, ჰამის თავიც. აღარა მაქვს. მივეგდები, დავისვენებ“...

ლოგინი გაშალა, სინათლე ჩააქრო და დაწვა. დილი ვან ფეხზე იდგა, ექვსი გაკვეთილი ჩაატარა, შემდეგ სუსტი მოწაფეები ამეცაღანა, მშობელთა კრებას დაესწრო და დაიღალა, მოიქანცა...

ძველებურად აღარ შეუძლია.

ირაკლი გაუხდელად იწვა ლოგინზე. წამოიწია, ხელით მისწვდა და მეორე ფანჯარაც გამოაღო. აყვავებული აკაცია დამათრობელ, ასიაშვინო სურნელებას ავრცელებდა ოთახში. მოპირდაპირე ელექტრობოძზე ნათურა გადამწვარიყო და ოთახში არსიდან აღწევდა შუქი. გულადმა მწოლარე ირაკლი ცის მხო-

ლოდ პატარა ნაგლეჯს ხედავდა. მოწმენდილი იყო მაისის ცა, ოქროსფერ ვარსკვლავებს დაეჭორფლა.

თავი სასთუმალში ჩაეკარგა. გაისწორა. მაინც ჩაეკარგა თავი. ბალიში ძალიან რბილი იყო, ღინღლი ბუმბულის.

— ფუ... — მოიქნია და საღაც გადაავდო ბალიში.

ხელები გადაჯვარედინა და თავქვეშ ამოილაგა... ვერც ასე მოეწყო. შემდეგ რკინის საწოლის ცივ და მაგარ ჯოხებს ჩაეჭიდა და თავი მიაყრდნო. ხელებმა იგრძნეს სიცავე. სიცავე გაჯდომოდა გულშიც...

ბნელოდა. ირგვლივ ჩქამი არ ისმოდა. სიბნელეში და სიჩუმეში ფიქრები მიეძალა. შეიგინა.

„ვერაფრით ვერ მივეჩვიე, არ ვიფიქრო იმაზე მეტი, ვიდრე ეს აუცილებელია“.

რა ქნას, რა მოუხერხოს ტვინს, დაუკითხავად, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, რომ წამოუშლის მოგონებებს! ირაკლის არაფრის გახსენება არ სურს, არაფრის მოგონება. მას უნდა ისროლოს და დაკარგოს მთელი წარსული, თავისი ავითაც, თავისი კარგითაც, როგორც ისვრიან მობეზრებულ ნივთს. ისროლოს და აღარასდროს დაუბრუნდეს... აღარასდროს.

ძველმანები! ძველი ნივთები, მოგონებანი, რომლებიც ველარ მოგიცილებია...

რა კარგად იცის ბუნებამ, რომ ყოველ წელს უნდა გამოიცვალოს სამოსელი: ფოთლები, ყვავილები, ნაყოფი, ბოსტნეული, ხოლო ძველი წლის უკანვე დაიბრუნოს გასანაყოფიერებლად.

განვლილი წლების მოგონებანი გასანაყოფიერებლად!

ვერდი იცვალა. სიბნელეში და სიჩუმეში წარმოდგენა თანდათან შლიდა ფრთებს. თვალები დახუჭა. დაიძინებდეს მაინც. მაგრამ კარგად იცის, რომ ვერ დაიძინებს. ვერ დაიძინებს! ასე ექნება თვალები მოხუტული და იფიქრებს, სანამ ტვინს უნდა, სანამ სიქა არ გავარდება...

დღემაც ალბათ დაიძინა. სიჩუმეა სახლში, სიმყუდროვე. შენში კი არის სიმყუდროვე? შენ კი ხარ მშვიდად?

საღღაც რაღაცამ გაიჭრიალა. შემდეგ კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გაიჭრიალა რაღაცამ და შორეული, ძლივს გასაგონი კენესა მოესმა ირაკლის. შეკრთა, ყრუანტელმა დაუარა.

ამ შორეულმა კენესამ რაღაც გაუღვიძა. ამ შორეულმა კენესამ შესძრა და ააღელვა. რა არის? ვისი ხმა ესმის? ვინ კენესის და უღვიძებს მიყუჩებულ ტივილებს? ვისმა ხმამ აუშალა და აუფორიაქა შიგნეულობა და აყვედრის ყველაფერს...

ყველაფერს აყვედრის... რაც გაუკეთებია და რისი გაკეთებაც ვერ შეძლო...

ვიღაცა უღვიძებს სინანულს იმაზე, რაც დაკარგა და აღარასდროს დაუბრუნდება: წარსულ დღეებზე, აუხდენელ ოცნებებზე, საყვარელ ადამიანებზე, ახლობლებზე, გარდაცვლილ მეგობრებზე... შემთხვევებზე, რომლებიც შეიძლება მთლიანად შეცვლიდნენ მის ცხოვრებას და რომლებსაც რატომღაც თავი აარიდა...

ვიღაცა უღვიძებს სინანულს ყველაფერზე: რისკენაც ისწრაფვოდა, რისი შექმნა და გაკეთებაც სურდა, რაც მისი ცხოვრების მიზანს შეადგენდა. და... ხელი კი აიღო, სამუდამოდ.

ვისია ეს ხმა, საღღაც მის სხეულში რომ მიყუჩულა და ახსენებს ყველაფერს, რაც ყოფილა და აღარ იქნება, ვისაც შეხვედრია და ველარ შეხვდება,

ვისაც უყვარდა და აღარ უყვარს, რისთვისაც მიუღწევია და რასაც ველარ მიღწევს ველარსდროს?..

ძლივს გასაგონი, შორეული კენესა ღამის სიბნელესა და მდუმარებაში... მან გაუღვიძა მხერგილი ქია, რომელიც ჰიყუყულებოდა საღაღაც მის სხეულში და რომელსაც სძინავს, ალბათ. ყველა ცოცხალი ადამიანის სულში.

ირაკლიმ შუბლზე ხელი მოისვა. მოეჩვენა, რომ ვიღაც შეეხო. არა, ვიღაცამ ნამდვილად გადაუსვა ხელი შუბლზე... აი, ახლა თმებში შეუცურა თითები... თმებს უწეწავს. შემდეგ შუბლი გაუზომა. თითებით უზომავს. ამ ხელებს იცნობს ირაკლი, ვარდისფერი, პატარა, ფაქიზი ხელები. მოგრძო თითები, სწორი, ჩამოსხმული, ზემოთ მომსხი და ქვემოთ თანდათან დაწვრილებული, სისხლისფერი ღამაში ფრჩხილებით...

ოთხი თითი ეტევა ირაკლის შუბლზე და კიდევ რჩება პატარა ადგილი. ბავშვივით უხარია ხათუნას, აღტაცებულია.

— რა კარგია. მაღალი შუბლი გაქვს. ნიჭიერი იქნები.

— კი არ ვიქნები, ვარ.

— ჰო, კი არ იქნები, უკვე ხარ. — იცინის ხათუნა.

ირაკლის საოცარი სიცხადით წარმოუდგა იღუპალებით მოცული, მშვენიერი, ქვეყნად ყველაზე საყვარელი და ძვირფასი სახე, რომელიც ეძიებდა და ამავე დროს თავადაც განიკებდა ბედნიერებას.

ღმერთო ჩემო! ეს უკვე მოჩვენებას აღარა ჰგავს... წამოიწია. კვლავ რკინის ცივსა და მაგარ ჯოხებს მიაყრდნო თავი.

ასწილად ურჩევნია იფიქროს აწმყოზე, ვიდრე წარსულზე. ასწილად ურჩევნია... არ უნდა იფიქროს წარსულზე... არ უნდა იფიქროს ბედნიერ და მზიარულ დღეებზე...

მაგრამ მაინც ფიქრობს.

ზღვისპირა აგარაკი. საღამოს ბინდბუნდში ორ ხეს შუა გაბმული თეთრი ამაკი. პირველი გრძნობა ხათუნას სიახლოვისა...

არა, შეუძლებელია! ასე გაგიჟდება...

რატომ ვერ იცილებს მის სახეს? რატომ ვერ ივიწყებს მის თვალებს? აი, იგი მის გვერდით ზის.. ირაკლი ხედავს მის მშვენიერ, ოდნავ სევდიან თვალებს, ესმის მისი ხმაც:

„შენ ჩემთვის ისეთივე სანუკვარი ხარ, როგორც ადრე... ისეთივე“.

ირაკლი გულადმა დაემხო. პირი ლოგინში ჩარგო. თითები დაიმტვრია. შემდეგ მუშტები შეკრა და საფეთქლებზე მიიბრაგუნა.

კვლავ გადაბრუნდა ზურგზე. ქშინავდა. ცდილობდა დამშვიდებულიყო. „მთავარია, აზრი არ დაეკარგო. მთავარია, სიმშვიდე შევინარჩუნო“, — იმეორებდა უკვე მერამდენედ...

მაგრამ ეს გაზეპირებული ფრაზა ვერ აღწევდა გონებადღე. მთელი მისი არსება, სხეულის ყველა ნაწილი ნატრობდა რაღაც გამოსავალს, რაღაც ცვლილებას. ირაკლიმ შენიშნა, რომ უაზროდ იმეორებდა ერთსა და იმავეს: „რაღაც უნდა მოხდეს, რაღაც უნდა შეიცვალოს. ასე არ შეიძლება. დიდხანს არ შეიძლება ასე ცხოვრება...“

კოლოს წვილად ჩაესმოდა ეგ ფრაზა. აღარაფერი შერჩა, აღარაფერი, გარდა ჯიუტი შეუდრეკელობისა და მტკიცე გადაწყვეტილებისა, არ დაემორჩილოს ზედს, არ მოუხაროს ქედი, არ გაეთელვინოს...

არა, ჩედმოხრილს და გათელილს ვერაფერ ნახავს!
ვერასდროს! ვერავინ!

უფრო ადრე...

რას ბუტბუტებს ასე უაზროდ? რა ჩაესმის კოლოს წივილივით?

გამოსავალი?!..

ყოველთვის არსებობს გამოსავალი...

წამოვჯდა. ლოგინიდან ჩამოძვრა. საწოლის ქვეშიდან ჩემოდანი გამოათრია, გახსნა და ხელები მოაფათურა შიგ. მონახა. შეიგრძნო ფოლადის სიგრილე, ფოლადის სიმძიმე... აიღო ხელში. ყოჩნისფრად კრიალებდა პისტოლეთი. კვლავ საწოლზე აბობდლა.

ბინაში შემოსასვლელი კარი ხმაურით გაიღო. ნაბიჯების ხმა თანდათან მოახლოვდა... ცოტაც და ოთახთან გაჩნდება...

პისტოლეთი სასწრაფოდ ამოდო საბანქვეშ და თვალები დახუჭა. კარი გაიღო. მერვე ოთახიდან შემოჭრილი სინათლის რომბი სახეზე დაეცა ირაკლის. დათო შემოვიდა. ფრთხილად, ფეხაკრეფით მიუახლოვდა საწოლს.

— გძინავს? — ხმადაბლა იკითხა დათომ.

ირაკლიმ ხმა არ გასცა, გაიტრუნა. დათო უფრო ახლოს მივიდა, შემდეგ დაიხარა და სახეზე დააკვირდა. ირაკლი წამწამებს შორის ხედავდა ძმას.

— ტანსაცმელიც არ გაუხდია, — ჩაიჩურჩულა თავისთვის დათომ. მერე შენიშნა, რომ ბალიშიც არ ედო თავქვეშ. მიიხედ-მოიხედა. ბალიში იატაკზე ეგდო, იქით — კუთხეში. აიღო, გაბერტყა, შემდეგ ფრთხილად აუწია ირაკლის თავი და ამოუღო.

დათო გავიდა ოთახიდან. კარი მიიხურა. შემოჭრილი სინათლის რომბი გაქრა. ირაკლი წამოიწია. შუბლზე მოისვა ხელი. საოცარია, არც ოფლს დაუსხამს, არც ხელი უკანკალებს. სულ არ ღელავს. საბნიდან პისტოლეთი გამოაცურა. მძიმე იყო გერმანული „ვალტერის“ ტიპის შავი პისტოლეთი.

ირაკლიმ ღიღს თითი დააჭირა და სავაზნე გამოვარდა. შემდეგ სათითაოდ დაიყარა ვაზნები ხელისგულზე. ღიღხანს უყურებდა მათ — ნეკისნახევარ, ნემსა თხილებივით თავწაწვეტებულ ლითონის ვაზნებს. თვითეულ მათგანში სიკვდილი იყო გამომწყვდეული.

წამოიწია და ხელი მოიქნია. მაგრამ აღარ გაშალა მუშტი.

„არა, არ გადავყრი. ისე გამოვა, თითქოს მეშინია... საკუთარი თავის მეშინია... და ბედის უკუღმართობის. გადაყრა სისუსტეა“.

სათითაოდ ჩააწყო ვაზნები სავაზნეში და შედო სახელურში. მერე ფრთხილად ჩამობობდლა ლოგინიდან, გამოათრია ჩემოდანი და ჩააგდო პისტოლეთი.

ჩააგდო. ხელი გაითავისუფლა. ახლა იგრძნო, როგორ დაქანცულიყო. შემზარავი უფსკრულის პირას სიარულს არაქათი გამოეცალა მისთვის. ლოგინზე აძვრა და გაუხდელად მიწვა.

საოცარი იყო, ოდნავადაც არ ღელავდა. მხოლოდ დაღლილი იყო. თუმცა ირაკლის არ უკვირდა, რომ არ ღელავდა. მას ღიღხანია აღარაფერი აღარ უკვირდა.

არ გაუგია, როგორ გაუსწორა ბალიში ღელამ. შემდეგ საბანიც გადააფარა...

(გაგრძელება იქნება).



აკაკი სულაველი

მაღალი ღღე

გარეთ მაღალი სექტემბრის ღღეა,
ნათელი, თითქოს მშობლის ცრემლია,
მხოლოდ მტკვარია ცივი და მღვრიე,
გულჩათხრობილი ფიქრს მისცემია.

თუ მინდა, გარეთ გამოვალ,
ვნახავ,
შემოდგომის ღღე რანაირია
და მოვეუჩნდები მდინარის ახლოს,
სადაც ოდესღაც გზად გამივლია.

გზად გამივლია!
ასეა თურმე,
ის წლები ახლაც გზაა გავლილი,
თითქოს მომესმა ძახილი ჩუმი,
თითქოს ასფალტზე ხარობს ყვავილი...

სხეულში უხმოდ მომწყვდეულ
სურვილს
გამოუჩნდება ლომის ბრჭყალები,
მაგრამ მე მინდა მაღალი სულის
ფანჯრები იყოს ჩემი თვალები.

მაღალის,
თითქოს სექტემბრის ღღეა,
ნათელის,
თითქოს მშობლის ცრემლია...
მხოლოდ მტკვარია ცივი და მღვრიე,
გულჩათხრობილი ფიქრს მისცემია.

ნათელი სული

მდინარეს ადგა ნათელი ნისლი,
თამბაქოს ბოლზე უფრო ნათელი...
თითქოს ეს იყო ფიქრები სხვისი,
ფიქრები ძველი თუ წინანდელი.

მდინარის გაღმა ანთებულ სანთლებს
მოჰქონდა ჩემთვის შუქი ახალი,
ბალებში ღამის ყვავილებს რგავდნენ
და ყვავილები იყო მაღალი.

მავიწყდებოდა მერმე ბალები —
ვარდები უცხო და სანაქებო,
ბოლომდე სახლის კარებს ვალებდი,
ხოლო გულისას კი — სანახევროდ.

ალბათ მე ვგავდი შემკრთალ წინაპარს,
უკან დამდეგდა მთრთოლვარე ჩრდილი,
თვალეებში უცხო შუქი ბრწყინავდა —
სხვა ნაპერწკალი და სხვისი წილი.

ვეფიქრობდი:
როგორ ვიცხოვრო ასე,
ნუთუ ცხოვრობდნენ ასე ჩემამდე?...
და მოწყენილი ვიდექი გზაზე
სულში მხეების აღმოჩენამდე.

ჰა, ჩემი სული!
ნათელი სული,
მდინარის ნისლზე უფრო ნათელი...
და დედამიწას გარშემო უვლის
ფიქრები ძველი თუ წინანდელი.

ბამოღარება

წვიმიან დარებს,
წვიმიან დარებს
მე ვივიწყებდი და მიხაროდა,
რომ მთებზე ღრუბლებს ფანტავდა
ქარი

და რომ მზიანი დარი დარობდა.

მე მიხაროდა სულში მხეები,
და გზად ვხედებოდი დღეებს
შეფოთილის...

როგორ მიჰქროდა სწრაფად დღეები
და სიკვდილამდე გელოდებოდი.

ტკივილებს ჩუმად მალავდა მკერდი,
ტკივილიც ჰგავდა კაცს და გელოდა,
და იცინოდა პატარა ღმერთი,
ხოლო სიცილი ღმერთს არ შვენოდა.

მოულოდნელად მოხვედი სულ სხვა,
სხვა სიხარულით და იმედებით,
თვალეებში უცებ იელვა სუსხმა,
მოქონდა სითბო და ვერ ვიმეტებდი.

და არ ვიცოდი — რა ერქვა ამას,
შენ, როგორც ესო, შორით ისმოდი,
ვარსკვლავიანი ბრწყინავდა ღამე
და ჩვენ ცალცალკე ცაში ვიწვოდით.

ასე დაიწყო და ასე მორჩა,
დარობა ასე დაეტყო დარებს,
ქარი ჩვენს სულებს, როგორც ორ
დროშას,
აფრიალებდა სხვადასხვა მხარეს.



გლეზბუსი

ტირიდა ზღვაში ჩაბნელებულ უამრავ
საფლავს.
და ტრიალებდა, ტრიალებდა დიდი
გლობუსი,
მერიდიანთა წვრილ ბადეში
წვალობდა მიწა.
ეფერებოდა ბავშვის ლოყა ქაღალდის
ბუსუსს
და მაგიდაზე იალქნების ჩრდილები
იწვა...

გეგმები

რეკდა საათი და წყნარზე წყნარი
ძლივს მოისმოდა ხმა გულისცემის.

და მერე ქალი აღებდა სარკმელს
და ჯერ მთვლემარე ზღვას უყურებდა,
უნათლებოდა იმედით სახე
და ზოგა იძახდა და გუგუნებდა.

რეკდა საათი და მთელ ოთახში
დაძრწოდა თევზის ვეება ჩრდილი,
თითქოს ტიროდა დედის კალთაში
დაბრუნებული ჭაღარა შვილი.

და სარკეებში პატარა თევზი
ხედავდა ზღვას და განაბულ თევზებს.
ვით დაკარგული, ძვირფასი მძივი —
იწვია ბალახით დათარულ ფსკერზე...

ელენე ახვლედიანის ხუროთზე „თოვლი“

მძიმედ იძვრიან თოვლში ლანდები —
მოგონებების ბრმა სპილოები,
ბრწყინავენ წლები, როგორც ადვილად
დავიწყებული ძველი ომები.

და ბავშვებისთვის თოვლი — ზღაპარი
მოდის და მოდის დაუსრულებლად
და ალაღინის ძველი ლამპარი
განათებული დაქვს ბუნებას.

და მერე სადღაც, დიდი ხნის მერე
თოვლი ნელნელა ერთვის ქალარას,
თოვლის გუნდები ამძიმებს ხელებს
და თოვლი ნელა ერთვის ქალარას.

და რეკლამები თოვლის ბურუსში
ჰგვანან ქალაქის „წითელბატონებს“,
ჩამოდის თოვლი — სილის საათი,
დიდი და მკაცრი, ვით სიმარტოვე.

ჩამოდის თოვლი... უცნაურ თრთოლვით
გაგონებს აფრებს, ცასთან მისულებს,
დიდი ქალაქის შემკრთალი თოვლი,
და თოვლსაც ვუსმენ, როგორც სიჩუმეს.

ცირკი ზღვასთან

საქანელებით, კარუსელებით,
წითელ მამლებით, მზით და ნაყინით
დაუსვენებლად, დაუსვენებლად
მთელი ზაფხული თრთოდა ნაპირი.

ცისფერი ცირკის ფარდულებიდან
დილით ისმოდა ლომის ბუხუნი
და სადღაც მაღლა დაფათურობდნენ
და ქარს ებრძოდნენ მთები გუგუნით.

იყავი ყალბი და მხიარული,
ვით გაჩაღებულ ცირკში — საყვირი,
მაინც რა იყო ის სიყვარული,
საქანელებით სავსე ნაპირი.

და როცა წვიმდა, დიდხანს ვუსმენდით,
დიდხანს ვუსმენდით ლომებს და წვიმას,
ელავდა წვიმა, ვით კარუსელი
და ჰგავდა შენი თვალების ბრწყინვას.

და როცა წვიმდა, გაშლილი ქოლგით
შენ მიდიოდი ტალღებთან ახლოს,
გეგებებოდნენ კენესით და ოხვრით,
და მიდიოდი ძალიან ახლოს.

იდექი ჩუმი და ფერმიხდილი
ისე, ვით ცირკში მძვინვარე ლომთან,
და ისე ახლოს იყო სიკედილი,
რომ უკვე ძალა აღარც კი ჰქონდა.

თითქო ქრებოდი, როგორც ხომალდი,
როცა ლევანში თოკებს აიშვებს,
წვიმაში რუხი პორტი ბოლავდა
და ქარი გლეჯდა წითელ აფიშებს

და იმით რთავდა ანძებს და ღუზებს
და ზედ ელავდა შენი სხეული,
როგორც ანტიურ ფრონტონზე მუზა —
შთაგონებებში გადამსხვრეული.

სველი ფოთოლი შემოდგომისა,
ანდა უბრალო წვიმის წვეთი
და შორეული ექო სროლისა...

ისერიან თოვებს
და სილაში ეცემა ჩიტი
და ორად ჰყოფენ
შემოდგომის მოწყენილ ამინდს,
და თოფის კვამლი
ზდინარის იქით

ნელა ედება
ჰორფლიან კრამიტს.
მე მოვალ შენთან...
რაც აქამდე
მინდოდა მეთქვა —
ყველაფერს გეტყვი...
სველი ფოთოლი შემოდგომისა
(მე მოვალ შენთან),
ანდა უბრალო წვიმის წვეთი...
და შორეული ექო სროლისა...

გურამ რჩეულიშვილის ხსოვნას

არ შემძლია დაგიძახო!
მე ვწევარ ფსკერზე
და ვხედავ მხოლოდ
დიდ გემების ბრმა ჩრდილთა რხევას...
ჩემი სიჩუმით მოხიბლული პატარა თევზი
ნებივრობს მკერდზე,
და ზღვის ბალახში კაშკაშებენ,
ვით ვარსკვლავები,
ჩემი ვნებები და სურვილები.
გემებს, რომლებიც გადივლიან ჩემს სამარეზე,
ვარკმევ სახელებს.
მათი დროშები ფრიალებენ მზეში და ქარში,
ვით ჩემი სული სიკვდილისგან დაუთრგუნავი.
გიყვარდეს დროშა,
დაბრუნებულ გემების დროშა!

ნუ გამიმეტებთ, მიწავ და ცაო,
დიდხანს მამყოფეთ თქვენთან ხიზანი!
სადღაც ბიბინებს ლურჯი ბალახი —
ჩემი სამარის გრილი სიზმარი.
ასე წვეთწვეთად, ასე წვეთწვეთად
მასვით სიცოცხლე, მიწავ და ცაო,
სიკვდილ-სიცოცხლის გადასაწყვეტად
ნუ მაყოყმანებთ, მიწავ და ცაო!
არავის ტალღა, თონის აღმური
და ალავერდის ბნელში შერბევა,
თქვენი ჩონგური და სალამური
ამ სიჩქარეში არ შემერგება.
ნუ გამიმეტებთ, მიწავ და ცაო,
დიდხანს მამყოფეთ თქვენთან ხიზანი!
სადღაც ბიბინებს ლურჯი ბალახი —
ჩემი სამარის გრილი სიზმარი.



გაკიბე ჭანჭუკია

ასე ყოფილა თურმე სიცოცხლე,
 გუგუნებს, როგორც ეხო ძლიერი,
 მარადიული ანთია ცეცხლი
 და ცეცხლთან თბება ძეხორციელი.
 სულს მოწოლილი ვნება აკვნესებს
 და იბერება კუნთი და ძარღვი,
 ჟღერენ ეჟენები თელის აკვნებზე,
 ჩვენც ვმღერით, რადგან სიმღერა ძალგვიძს.
 გარინდებულნი ყურს ვუგდებთ მის ხმას,
 ვარსებობთ მხოლოდ მისთვის და მისით,
 ჩვენ ხშირად გვრისხავს იმისი რისხვა
 და ვტირით, რადგან ტირილიც ვიცით,
 მაგრამ ცრემლები უნდა მხურვალე
 ხმით და ყოყინით გააშროს ჩანგმა,
 და იძაბება ტანი მწყურვალ
 და ეწაფება სხეული ჟანგბადს.
 და კუნთი ხტუნავს, და სული ყვირის,
 რომ მძაფრი ხმები ათას წლებს ეყოს:
 დაჭორფლილ კვერცხებს, გაჟღენთილ ქვირითს,
 ეჟენიან აკვნებს, — სიცოცხლის ეხოს!..

სისოცხლე

იმღერა დიდხანს, იმღერა დიდხანს
 ჩვენთვის,
 ჩვენს გამო,
 ჩვენი დასწრებით...
 სველ ბალახებში ფეხშიშველამ იარა დიდხანს,
 აფრინა მზისკენ თეთრი მხრები თეთრი ტაძრების,
 შებინდებამდე სათიბებში იქნია ცელი,
 მთვარის ჩასვლამდე კალოებზე აბრუნა კვერი,
 მოუთხრო ბავშვებს სამოთხეზე ზღაპარი გრძელი,
 იშრომა ბევრი,
 ითამაშა,
 ირბინა ბევრი
 და... სასაფლაოს მუნჯ ლოდებზე ჩამოისვენა...

კიოდა ქარი...
 რალაც საოცრად და ამაზრზენად
 კიოდა ქარი,
 და ქარზე უფრო კიოდა ჩალა
 და ორთქლმავალი მისდევდა ცხენებს...
 კიოდა ქარი და ორთქლმავალი,
 და მემანქანე იქნევდა ხელებს.
 კვიცის წინ სწრაფად გარბოდა დედა
 და მემანქანე დაბნეული იქნევდა ხელებს,
 და მერე, როცა დადუმდა ქარი,
 მზე ჩამავალი მიეფარა ტრიფოლიატებს.
 იყო ღუმილი,
 იყო ღუმილი
 და თბილი სისხლი აჩნდა ლიანდაგს,
 და უსაშველოდ შემკრთალი ქალი
 ჰკოცნიდა ბავშვის უმანკო ცრემლებს.

ხარ მიჩვეული და მახლობელი,
 როგორც კედელზე მამის სურათი.
 რომელიც მუდამ ილიმება.

ხარ მიჩვეული და მახლობელი,
 როგორც კედელზე მამის სურათი,
 მეც შენთვის მუდამ იგივე ვარ,
 და აღარ ვიწვევ შენში ძველ ტკივილს,
 როგორც კედელზე მამის სურათი,
 თუმცა ძველებურად იგივე ვარ...

და მეუფლება გრძნობა ისეთი,
 თითქო ჩამოხსნეს მამის სურათი,
 რომელიც მუდამ ილიმება...

„მენავეთათვის და მოგზაურთა“ —
 ნიბლიასავით უღონო ლოცვა
 სადმე იბოვის,
 შეეხიდება,
 შეეშველება მხარქიელ ლოცმანს,

და სუსტი ცრემლიც, ჩამოდენილი
 სველ ლოყებიდან, სველ ნიკაპიდან
 სადმე იბოვის,
 მოეფერება,

შეეხიდება დაღლილ კაპიტანს,
და ქარიშხალი, ზღვების როკაბი
ველარ შებედავს რისხვით მეფურით
ძვირფას ხომალდებს,
ნაბრძოლ ხომალდებს —
ბუმერანგივით მობრუნებულებს.

ფერმილეული, ვით მთვარე დღისით,
და დაღვრემილი, ვით მთები ღამით,
მოდინარ, ტანში ხმაურად გიზის
აუტანელი სიჩუმის ჩქამი.
აწვიმს სიჩუმეს, და სუსტი მხრები
ალარ ელიან სიამეს კუთვნილს,
აწვიმს სიჩუმეს, ერთადერთ მხლებელს
და ცას წვიმისთვის მადლობას უთვლი.
გაწუხებს ზღვის და ცრემლის სიმლაშე...
როგორ დასრულდა... როგორ გათავდა...
წვიმამ წაშალა ალბათ სილაში
გემი, რომელსაც იგი ხატავდა.
და ველარ ამჩნევ სანატორიუმს
და უსურვაზით დაფარულ პარმადს,
ტალღა იხუტებს მოღლილ თოლიებს,
აწვიმს ყველაფერს — სიჩუმეს, პალმას...
შეხედებით კია? და თუ შეხედებით —
როდის შეხედებით, როგორ შეხედებით,
რისთვის შეხედებით, როცა შეხედებით,
იქნებ სურვილით, იქნებ შემთხვევით?...
ფიქრობ და იცი — ვერავენ გეტყვის,
ფიქრობ და იცი — ვერავენ გირჩევს,
მარტოობას და სიშორეს ელტვი,
მითელავ ბალახს, ფიჭვების გირჩებს.
ეს ყველაფერი მან ერთმა იცის,
და ის კი... ხარობს თუ ნაღვლობს ამით..
მოდინარ მკრთალი, ვით მთვარე დღისით
და დაღვრემილი, ვით მთები ღამით...

მე ისევ ვმღერის..

რა ცუდია სადღაც გაგონილ,
უცხო სიმღერის აკვიატება...

„მატარებლების შესახვედრად გარბის გო-
გონა“


და მუდამ, მუდამ აგვიანდება.

მატარებლები მოუთმენლად გადაუვლიან
ლიანდაგებზე მისი ხელით დაწყობილ კენ-
ჭებს...

სადაურია... ყველამ იცის სადაურია!
მას კი არ უნდა
ამ მშვენიერ წალკოტებს შერჩეს,

და უნდა —
გაჰყვეს ცისფერ ვაგონებს,
რომლებსაც თითქოს მუდამ სადღაც
აგვიანდებათ“...

მე ისევ ვმღერი...
რა ცუდია სადღაც გაგონილ,
უცხო სიმღერის აკვიატება!..





ჭალიკონი ღრუბლებს ერეკებოდა.
უძლური ღრუბლებიც ათასნაირად იცვლიდნენ სახეს. ნაფლეთებად ქცე-
ულნი მიეჭანებოდნენ, ერთმანეთს ეხლებოდნენ...

უცბად შედგა ქარი. მობეზრდა თამაში.
ღრუბლებმა იხელთეს დრო, სწრაფად შეიკრნენ, ჩაშავდნენ, სადელგმოდ
ჩამუქდნენ.

გიგიმ სიჩქარეს მოუმატა.

ქარის შინას უკვე დაეტყო წვეთების კვალი.

სოფლამდე კარგა გზა იყო დარჩენილი.

გიგის არ უნდოდა დასველება. დარჩენილიყო მაინც სასიამოროსთან. ავი
სთხოვა კიდევ. იფიქრა ქარი ღრუბლებს გადაყრიდა...

გზაზე ნისლი გაწვა.

გიგიმ სინათლე ჩართო.

გოლიათი კრუხივით კაკანებდა მორტოციკლი. წყლის შხეფებს გზის გარდი-გარდმო ისროდა. ტალახიან გზაზე ალბათ ნაკვალევი რჩებოდა, მაგრამ ნისლი ფარავდა.

სინათლის ზოლზე დელგმის ფერხულში ჩაბმულიყვნენ წვიმის წვეთები. გიგის წვეთი საყელში ჩაუძვრა, ცივი კვალი დატოვა გახურებულ სხეულზე, შეაერქოლა.

შორა სინათლის ზოლი მკრთალად მისწვდა ვილაც მიმავალს. თანდათან იზრდებოდა სილუეტი, მერე სინათლეში გაეხვია, მოიხედა და გზიდან გადავიდა.

გიგიმ გვერდით გაუჩერა მორტოციკლი.

ქალიშვილი შედგა. გიგი პირველად ზედავდა მას.

— საით ამ თავსხმაში?

ქალიშვილმა გიგის სოფელი დაასახელა.

— დაჯექით!

მორტოციკლი ისევ აკაკანდა, ადგილს მოწყდა.

იგი გრძნობდა გაუბედავ ხელს. გოგონას გადავარდნისა ეშინოდა, გიგის სველ ხალათს ეჭიდებოდა.

გიგიმ სიჩქარეს მოუმატა განზრახ.

გოგონამ მაგრად შემოხვია ხელები წელზე. ორი სველი სხეული უნებურად ერთმანეთს მიეკრო წვიმაში.

ზურგზე აღარ აწვიმდა გიგის, აღარც სციოდა...

როცა ოთახში შევიდნენ, გიგიმ სინათლე აანთო.

იატაკზე წყალი დადგა.

ქალი ლაბადას იხდიდა.

მიეხმარა.

კაბაც დასველებოდა.

ჩამოშლილი სველი თმიდან სახემ გამოანათა. გაიღიმა.

გიგიმ თვალი აარიდა. რატომღაც უხერხულად იგრძნო თავი. განჯინის კარი გამოაღო. დედისეული საშინაო ხალათი მოძებნა. წლების მანძილზე ჩით-ში: გამჯდარი ნესტის სუნი ეცა. უკანვე ჩადო დანაწებით. კარადასთან მივიდა, თავისი შარვალ-პერანგი გაუწოდა ქალიშვილს. მერე აივანზე გავიდა.

დელგმაში ამოცურებული და სახლებიდან გამომკრთალი სინათლე ბეუტავდა აქა-იქ.

ეზოში ჩავიდა. მორტოციკლი აივანს ქვეშ შეაგორა. თან სტუმრის სახე ეხატებოდა, სველი თმიდან რომ უღიმოდა.

როცა ოთახში აბრუნდა, გაეღიმა უნებლიეთ: ქალიშვილს სასაცილოდ შეე-ნაოჭებინა განიერი შარვალი. პერანგის გრძელი სახელოებიც აეკეცა.

სველი თმა მხრებზე ეფინა.

გიგიმ პირსახოცი მიაწოდა. ფანჯარასთან მდგარი, მალულად უყურებდა, როგორ იშმრალეებდა თმას. სკამზე სველი კაბა იდო. მისმა დანახვამ თავის თავიც გაახსენა გიგის. აივანზე საშინაო ტანსაცმელი გაიტანა, გადაიცვა. სველე-ბი თოკზე გადაკიდა. კაბა გამოიტანა, ისიც თოკზე გადაკიდა.

შინ შესულმა შეამჩნია, ცხვირს ზშირად აცემინებდა ქალიშვილი.

— თქვენს სოფელში მასწავლებლად გამომგზავნეს.

გიგი ჩუმად იყო.

— სადგურზე გზა მომასწავლეს, კარგი ამინდი იყო და მეც ფეხით დავა-დექი... ააფხხი!.. ჩემოდანი საბარგო საქანში მივაბარე... ააფხხი!

მასპინძელმა ძლივს რაღაც მოიფიქრა. კარადაში დაიწყო ქექვა

სტუმარი მადიანად შეექცა სწრაფად გაწყობილ ვახშამს.

გიგიმ არაყი დაუსხა. ჰაჰა იყო.

— ცოტა მოსვით, გაგახურებთ.

ქალს ხველა აუტყდა. ვერ დალია.

— რა გქვიათ? — ჰკითხა სულის მობრუნების შემდეგ.

— გიგი!

— ააფხხი!

რალაც ემართებოდა გიგის. ასეთ უხერხულ მდგომარეობაში არასოდეს უგრძნვია თავი. ხმას ვერ იღებდა, ვერც ლუკმა ჩაედო პირში. თვალს არიდებდა დამნაშავესაკენ. ქალიშვილის სახე კი იზიდავდა გიგის თვალებს, იზიდავდა უხილავი ძალით, უნებურად.

— მე ცეცილის მეძახიან.

გიგის არაფერი უთქვამს. საათს დახედა. დრო შეუმჩნევლად გაპარულიყო. წამოდგომისას უნებურად ჰქვას გაჰკრა ხელი.

— ბედნიერების მომასწავებელია... ააფხხი!.. არ შეგეშინდეთ.

გიგის გაელიმა. ისევ განჯინასთან მივიდა. სუფთა ზეწარი ამოიღო. ლეიბს გადააფარა. ბალიშსაც გამოუცვალა პირი.

ცეცილიმ იატაკიდან ჰქვის ნამსხვრევები აკრიფა. უკვირდა ვაჟის საქმიანობა. ალბათ დიდხანს ცხოვრობს მარტო, ქალის საქმესაც თვითონ აკეთებს.

გიგიმ კი დაამთავრა ლოგინის გაშლა. თოკი გააბა ოთახში. ზედ მეორე ზეწარი გადაკიდა ისე, რომ საწოლი აღარ ჩანდა.

— ძილის დროა! — თვითონვე იგრძნო სიტყვების სიმშრალე.

განჯინის სიღრმიდან ლოგინი ამოიღო, ხის ტახტზე გაშალა.

ცეცილი ზეწარს მიეფარა.

გიგიმ სინათლე გამორთო, ტახტზე დაწვა.

გარეთ დელგმა არ წყდებოდა. ხან გაიღვლებდა, კირით შეფეთებულ პერზე წამით აღიბეჭდებოდა ფანჯრის ჩარჩოს ჩრდილი.

გიგი კი ფიქრობდა, წარსულისა და აწმყოს სურათები ეხატებოდა. მხოლოდ მომავალი იყო ბინდით მოცული. რა უთხრას თინას ან სასიმამროს? აკი თითქოს ყველაფერი გადაწყდა? რატომ იჩქარა?

ისევ ცეცილი გამოეცხადა ხატებასავით, თმებჩამოშლილი, მომღიმარი...

წვიმის ხმაურზე ჩასთვლიმა გიგის. კოშმარები დაეხვია. მოტოციკლზე იჯდა, დიდი სიჩქარით მიქროდა იგი. წინ, გზაზე ქალი მიდიოდა. გიგის საქე აღარ ემორჩილებოდა, არც მუხრუჭები მოქმედებდა. მოტოციკლი კი პირდაპირ ქალისკენ მიქროდა. ქალმა მოიხედა. იცნო გიგიმ თინა. ქალს შიშით თვალები გაუდიდდა, სახე დაედრცია...

გამოღვიძებულს კვნესა შემოესმა. წამოხტა, სინათლე აანთო. ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდა ზეწარს. გადაწევა ვერ გაბედა, მაგრამ კვნესამ აიძულა ნაბიჯი გადაედგა.

თეთრ ბალიშზე გრუზად დაყრილი აქატისფერი თმა მშვენიერ სახეს შემოჰკრაგნოდა. ლოყები ასწითლებოდა. წამწამები ერთუბრთს შერწყმოდა.

საბანი გადაეგდო. სუსტი, შიშველი მკლავები მოუჩანდა, მხარზე ცისფრად გამოსჭვივოდა ვენა...

გიგიმ თავს ძალა დაატანა, თვალი აარიდა, თითქოს მზერით სიწმინდის შერყვნისა ეშინოდა.

ქალიშვილი კვნესოდა, ბორგავდა.

საბანი დაახურა ვაჟმა. შუბლზე ხელი დაადო. იგრძნო მაღალი სიცხის სიმხურვალე.

თერმომეტრში სინდიყი ოცდაცხრამეტამდე ავიდა.

გიგიმ წყალი დაასხა ლამბაქზე, ძმარი გაურიო. სველი ტილო შუბლზე დაადო ავადმყოფს. მალე აორთქლდა ძმრიანი წყალი.

— დედა... დედიკო... — ბოდავდა ცეცილი...

გარეთ კი ისევ წვიმდა.

საათი ლამის სამს უჩვენებდა.

გიგიმ განჯინაში დიდხანს ეძებდა რაღაც. იპოვნა. სკიპიდარით საესე იყო ბოთლი. ხელები დაიბანა. ავადმყოფთან დაბრუნდა. საბანი წელამდე გადახადა. სხვა გზა არ იყო, პერანგიც უნდა გაეხადა. როცა გულისპირს უხსნიდა, თვალი ვახილა გოგონამ, წამს გონზე მოსულის თვალებში შიში გამოკრთა. ხელის კერაც დააპირა, მაგრამ ძალა არ ეყო, ისევ აბორგდა ნახევრად გონმიხდრი.

გიგიმ ხელის გულზე დაისხა სკიპიდარი. ჯერ გაუბედავად დაიწყო, მკრე კარგი ექიმით დაუწილა ყელის ძირი, მხრის თავები, თან ცდილობდა თვალი აერიდებინა ნაზი მკერდისათვის, რომელსაც ჯერ ალბათ მამაკაცის თვალი არ შესწრებოდა. გადააბრუნა, ბეჭებიც დაუწილა. ჯშირად ისხამდა ხელისგულზე სკიპიდარს, რომ სათუთი კანი არ გაეღიზიანებინა.

როცა დახელვას მორჩა, ისევ ჩააცვა პერანგი. ამ დროს კიდევ მოვიდა გონზე ცეცილი. ჯერ გაშტერებით უყურებდა გიგის, მერე თვალი აადევნა მის მოძრაობებს. ყველაფერს მიხვდა. შიში გაქრა ამღვრეულ თვალებში. მიილულა.

გიგი ისე იყო გართული, რომ არაფერი შეუნიშნავს.

უხვად მოდენილმა ოფლმა ზეწარი გასაწური გახადა. გიგიმ კარადიდან თავისი ახალი. პერანგი გამოიღო, საწოლზე დაუდო ცეცილის. კიდევ დაელოდა, რომ უფრო მეტი ოფლი გამოსვლიდა მძინარეს. მერე გააღვიძა.

— გამოიცვალე! — ვერც კი შენიშნა, შენობით ელაპარაკებოდა.

ცეცილიმ მადლობის თვალთ შეხედა.

გიგი ზეწარს აქეთ გამოვიდა. მაგიდასთან დაჯდა.


დელგმა არ წყდებოდა. თითქოს ღამეს უნდა დაჰპატრონებოდა. „ნეტავ სულ ასე იწვიმოს“ — გაიფიქრა გიგიმ...

დილამ გააღვიძა ცეცილი. თავს კარგად გრძნობდა. თითქოს არც სიცხე ჰქონოდა, არც ოფლის ტბაში ეცურა. მხოლოდ სახსრებში სტეხდა ოდნავ.

წამოდგა. გიგის შარვალ-ხალათი გადაიცვა გიგისეულ პერანგზე. ზეწარი გადასწია, ოთახს გამოხედა. მაგიდასთან გიგის ჩასძინებოდა. ცეცილი მიუახლოვდა. წამს დააცქერდა ვაჟკაცს. ხელმა თავისით გაიწია მოკლედ შეკრეპილ თმაზე გადასასმელად, მაგრამ შუა გზაზე შეჩერდა. შერცხვა გოგონას, თავი შეიკავა. ფანჯარასთან მივიდა. აივანზე გაბმულ თოკზე, გიგის ტანსაცმელის გვერდით, თავისი კაბა დაინახა.

„ნეტავ სულ ასე იწვიმოს“ — გაიფიქრა გოგონამ.

აივნის იქით არაფერი ჩანდა. ყველაფერი დელგმის ოკეანეს შთაენთქა. იყო მხოლოდ პატარა კუნძული, გიგის სახლი, თითქოს სამყაროს მოწყვეტილი.



ლიანა სჯუაია


ქართველ მოღვაწეთა დელეგაციამ ი. აბაშიძის, გ. წერეთლის და ა. მანიძის შექადველობით იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მაკეღლია შოთა რუსთველის სურათი.

ირიბად უცქერენ ღმერთს და მონათა,
დგას მონასტერი ფრესკების ამარა,
მე ვიცი —
ასეთი თვალები ჰქონდა
დედოფალ თამარს...
მე ვიცი —
შოთა მოვიდა იმ დღეს,
როცა თოვლის ქვეშ გაჩნდა იეზი.
კედელზე იდგა შიშველი ქრისტე
და მილურსმული მხრები სტკიოდა.
და იყო შოთა...
და ჯვრის მონასტერს

ეზმანებოდა ყოველი ღამე,
რომ ქართლში იქნებ წვიმა მოვიდა
და მწვანე აბა აცვია თამარს...
ირიბად უცქერენ ღმერთს და მონათა,
ბერების მოდგმა რაღაცას მალავს,
მაგრამ ჩვენ მაინც ვიპოვნით შოთას,
და მერე შოთა იპოვნის თამარს.
ახლა კი მისი ზატიც გვეყოფა,
რომელსაც ყველა ქართველი ვგავართ.
მე ვიცი —
ასეთ კაცს ეძახდა შოთას
დედოფალი თამარ...

ხველი ცა ატირებს ბალახს,
დგას სუნი გაღეწილ თავთავის,
ეს სუნი იქნება ხვალაც
და მერე გათავდება.
მზე სოფლის წყაროში ჩავა,
გატეხილ კოკაში მიიძინებს,
ეს მზე იქნება ხვალაც
და მერე დადგება სიცივე.

გოგონა გიშრისთვალა
მიწას მოხვეტავს ნაწნავით,
ეს მიწა იქნება ხვალაც
და ზერე გვალვები დაწვავენ.
მან მავოცა ისე ჩქარა,
რომ ერთი „არაც“ ვერ გავებდე.
ეს დღე იქნება ხვალაც
და არ გათავდება.



სტურუა ლიანა

გიძინა მინდაჰე

ახალი წელი

გარეთ ათოვდა ქუჩებს და სახლებს,
გარეთ სუნთქავდა ქუჩა სიცივით.
და იცინოდა ფანჯრებში თოვლი
და იესებოდა სახლი სიცილით.

ჩვენ გვიხაროდა და ვუცქეროდით —
სიცილი კედლებს როგორ ედებოდა,
რადგან გვეჯეროდა ჩვენი სიცილის,
ვიცოდით — კარგად დაგვებედებოდა

და მომღიმარი შეეხვდებოდა მუდამ
თოვლის ფიფქივით ლამაზ აისებს

და, როგორც ქუჩა ახალწლის თოვლით,
ჩვენ სურვილებით ისე ავივსეთ.

ისევ და ისევ ვავსებდით თასებს
და ვოცნებობდით — როგორ ვიქნებოდა...
ფანჯრების მინებს ეყინებოდა
გარეთ დამთვრალი თოვლის ფიფქები.

თოვდა და ყველგან რეკდა ზარები,
ქალაქი თოვლში დამეს ათევდა.
— აჰა, მოვიდა! გააღეთ კარი!
ახალი წელი იღვას კარებთან.

შუადღე გადასულა და ქარი არ იძვრის,
ურემი ხენეშის და ორღობე მიაქვს,
ვენახში სახლებია წითელი კრამიტით
და დარჩენილი ჰიშკარი ღია.

ბალახზე ზარმაცი ჩრდილი კანკალებს,
წყაროზე მართლა წყალს დაღევს თვალი:
მხარზე კოკები შეუდგამთ ქალებს,
მიაქვთ სიმღერა და მოაქვთ წყალი.

სოფელში ნატრობენ: გაწვიმდეს ვინძლო,
თორემ მტვერი ჰამს შარავზას ქვიანს.
სოფელი ფართოა, ორღობე — ვიწრო,
ურემი მიდის, ორღობე მიაქვს.

იჭალაიელი პოეტები

მიქაელაჯილო გუმბარაძე

„დღესა“ და „ღამეზე“¹

დღე და ღამე საუბრობენ ერთმანეთს შორის:
ჩვენმა ცელამ დუკა ჯულიანო მიიყვანა სამარის კართან.
სამართლიანად გვაგებს იგი ახლა სანაცვლოს.
და შურისგება არის ასეთი:
ჩვენ ის მოვკალით,
ხოლო მან წყნარად დახუჭული თვალებით თვისით
თვალისჩინი დაშრიტა ჩვენი და მოსწყვიტა სამყაროს მზერას.
რალას გვიზამდა მაშინ, როცა ცოცხალი იყო!

ანონიმი პოეტი

(XIV საუკუნე)

თეთრი გალიიდან
გაფრინდა ბულბული.
ქვითინებს ბიჭუნა — ეს რა სამართალია —
მას ხომ ბულბული სურს და არა გალია!
ქვითინებს და ამბობს: რა იქნა ნეტავი?
ქვითინებს და ამბობს: რა იქნა ნეტავი?
ბულბულის საძებნად ქალაში შევიდა.
ხმატკბილი გალობა მოესმა ზევიდან.
ძვირფასო, რა იქნება ჩვენს ბაღში დაბრუნდე?
ძვირფასო, რა იქნება დაბრუნდე ჩვენთან?


¹ იგულისხმება მიქაელაჯილოს ორი სიმბოლური ქმნილება „დღე“ და „ღამე“, დადგმული ჯულიანო მედიჩის სამარზე სან-ლორენცოს ტაძარში.



ჯიკოლაგო სავონაროლა

მძლეთამძლეო უფალო ჩემო,
შენ ერთმა უწყი, რაც მე მპირდება,
შენ ერთმა უწყი ერთადერთი სურვილი მსხემის;
მე ტახტს როდი გთხოვ, ანდა დიდებას,
ვით ძუნწი ვნებადაუღრველი,
რომელიც მაღალ სწრაფვათათვის ბრმაა და ყრუა,
მე ერთისა ვარ ოდენ მსურველი:
*vulnera cor meum caritate tua!*¹

იტალიურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ.



¹ შენის სიყვარულით დამიჭერ გული (ლათ).

მეოთხე

მეშინსკია



მე მეოთხე მეშინსკიაზე ვიზრდებოდი.

მიყვარდა ეს წყნარი ქუჩა, სადაც არც ტროლეიბუსი, არც ავტობუსი, არც ტრამვაი არ დადიოდა. აქ, რიყის ქვაფენილზე მხოლოდ ბებერი ცხენი დააგორებდა რეზინის ბორბლებიან ფორანს, რომელიც ბოსტნეულის მაღაზიას ეკუთვნოდა.

აქ ყველაფერი იყო სხვაგვარი, ვიდრე ეს მოსკოვზე ჩვეულებრივ, „ლია ბარათისებურ“ წარმოდგენებშია, და სწორედ ამიტომ ეს გახლდათ ნამდვილი მოსკოვი.

იშვიათად აქ მოხვედრილი მანქანები იძულებულნი იყვნენ მკვეთრად დაე-მუხრუჭებინათ და ნელ-ნელა გაეკვლიათ გზა, რადგან შუა ქუჩაში პატარა ბიჭ-ები ყოველთვის თამაშობდნენ ფეხბურთს.

აქ ბებერი იყო ალვის ხე, და როცა ფოთოლთცვენის ქამი დგებოდა, ბურთი ხშირად ეფლობოდა ალვების ნაცრისფერი ნამუსრევის ზვინებში.

ჰოი, ალვის ხეების ეს ფოთოლთცვენა მეოთხე მეშინსკიაზე!

ბუსუსები ნელა და ლბილად ფარფატებდნენ პაერში, ცურავდნენ, ვით პა-წაწინა ბატის ჭუკების გუნდი წინა დღის წვიმისაგან შემორჩენილ გუბეებში, იბურდებოდნენ ვაფლის გამყიდველი გოგონას თმებში, გროვდებოდნენ ვაფ-ლის დიდად მოყვარული მილიციელის რევოლვერის ზუღეში, საღამოობით კი, ღია ფანჯრებში შეფერენილნი, შავად მოელვარე, ტრიალა ფირფიტებზე სხდ-ებოდნენ... აი, ალვის ხეების ასეთ საღამოებს ერთად ვატარებდით ჩვენ მეოთხე მეშინსკიას ქუჩაზე: რიმა, როზა, სტეფანე და მე. ყველანი ერთ სახლში ეცხოვ-რობდით, ტოლები ვიყავით და ერთმანეთი გვახსოვდა იმ დღიდან, რა დღიდა-ნაც საერთოდ შეგვეძლო რაიმეს დამახსოვრება.

სტეფანეს ხელში გიტარა ეჭირა. პრინციპულად მე ეს ინსტრუმენტი უხამ-

სობის ატრიბუტად მიმაჩნდა, მაგრამ სტეფანეს გიტარა მიყვარდა, ხმაც მიყვარდა მისი, ჩუმი, მე ვიტყვოდი ნაღვლიანად მომღიმარე ხმა, რომლითაც სტეფანე მისსა და ჩემს მიერ შეთხზულ უზაქველ სიმღერას მღეროდა:

ამ ქუჩაზე, სადაც დღეს
სეირნობენ წყვილები,
მასსოვს, მოგინადირე
ტკბილი ორცხობილებით.

წევყურებდი შენს სახლთან
კაბას, ლურჯად გაფენილს,
მხოლოდ სახელს გეძახდი
და... მეტი არაფერი.

მწუხარება ფარული,
სიხარული აშკარა.
სახლი შეიდი ნომერი, —
მეოთხე მეშჩანსკაია.

ჩვენი სახლი პატარა იყო, ორსართულიანი, სოფლური ხის მოაჯირით, რომელიც ეზოში გადიოდა. სახლი დიდხნის შეუქეთებელი იყო: წელესილი კედლები ჩამოშლოდა და, როცა ბიჭები ახალ ქაღალდის გველის დაწებებას შეუდგებოდნენ, შემოცვეთილი კედლებიდან გაყვითლებულ ყავარს აძრობდნენ. მაგრამ ჩვენთვის აქ ყველაფერი აუხსნელი მნიშვნელობით იყო აღსაყვანი: ნესტიანი სარდაფების იდუმალი სურნელებაც, ფარდულის სახურავზე მოულოდნელად შემოხვედრილი მზისუშვირას მაგარი, მწვანე ქერქიც, რომელსაც მოვერცხლოდი ბუსუსები ჰქონდა, ალვის ხეების ქვეშ ჩასობილი გრძელი მაგიდაც, რომელზედაც საღამოობით ლოტოს ნახევრად გადაწვლილ ციფრებიანი ქვების რახტნი ისმოდა, წყალსადენის მილის ქვეშ მოეღვარე, წყლისგან მომრგვალებული, გადაგვსილი აგური და ბოთლების მუქი-მწვანე ნამსხვრევები — მეოთხე მეშჩანსკაიას „ზღვის კენჭები“.

მეოთხე მეშჩანსკაიას ქუჩაზე ნაირ-ნაირი ადამიანები ცხოვრობდნენ: წყლის გამყიდველები და დალაქები, ოფიციატები, მტვირთავები, მესაათეები, მღარავეები, მექისეები და ინჟინრები. ისინი მეზობლობდნენ ერთმანეთს, თხოულობდნენ სკამებს, ჭიქებს, სარეცხის სარქებს, პალატუხებს, შედიოდნენ ერთმანეთთან ტელეფონის დასარეკად, ტელევიზორის საყურებლად ან ვედრო წყლის ასაღებად, როცა რომელიმე სახლში წყალსადენი ფუჭდებოდა. დიდი-დიდობით ისინი ხედებოდნენ ერთმანეთს მაღაზიაში, სადაც ბაღურებს უშვერდნენ დახლიდან ყრუ ხმაურით ჩამოცვენილ კარტოფილს, საღამოობით კი ეზოში დადგმულ სკამებზე ან აგურით ნაგებ სკოლის შენობაში, მშობელთა კრებაზე, სადაც უხერხულად სხდებოდნენ ჩვენი დანებით დასერილ მერხებზე და საუბრობდნენ ჩვენზე, მეოთხე მეშჩანსკაიას ქუჩის ბავშვებზე. და აი ჩვენც — რიმა, როზა, სტეფანე და მე — გავიზარდენით. მეოთხე მეშჩანსკაია გვიყურებდა, უხაროდა და თანაც შემკრთალი იყო იმით, რომ ჩვენ, მისი შვილები, ბავშვები აღარ ვიყავით...

საღამოობით ჩვენ გვიყვარდა იმ სკამზე ჯდომა, რომელიც ეზოში დიდი, დიდი შოთხვის ქვეშ იდგა; ეს სკამი თავისი ხელით გააქეთა სტეფანემ. იგი სა-

ტყეო მეურნეობის ინსტიტუტში სწავლობდა და სთვლიდა, რომ თავისი თავის პატივისმცემელ ყოველ მეტყევეს რობინზონივით უნდა ყველაფრის გაკეთება შეეძლოს. სწორედ ამ სტეფანემ ექსპედიციაში ჩემი გამგზავრების წინ მაჩუქა მის მიერვე კონსტრუირებული მონადირის დანა, რომელსაც შიგნიდან პატარა ტალკვისიკ ჰქონდა.

სტეფანე, ჩემის აზრით, ლამაზი ბიჭი იყო, ხშირი, ერთმანეთში გადახლართული წარბებით, მორცხვი და ამავე დროს, როგორა ვთქვა და, — ენერგიული თვალებით, ღიახ, ღიახ, სწორედ რომ ენერგიული თვალებით! რიმას კი იგი ულამაზოდ მიაჩნდა და თუმცა მოწყალებით ამბობდა: „მართალია, გარეგნობას მამაკაცისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო“, ამის გამგონე სტეფანე რაინც იღუშებოდა და სადღაც თავისი შავი, დაფანჩული წარბების უკან იმალებოდა.

იგი კი მშვენიერი იყო, რიმა, ყველაზე ლამაზი მეოთხე მეშჩანსკაიაზე. სტეფანემ კი ერთხელ მითხრა, რიმა ყველაზე ლამაზია მთელს მოსკოვშიო, თუმცა თან დაუმატა: „მართალია გარეგნობას, ჩემის აზრით, არც ქალისთვის აქვს მნიშვნელობაო“... მაგრამ ეს არ იყო დაჯერებული კაცის ნათქვამი და, მაშასადამე, ნაკლებსარწმუნო იყო.

რიმა თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობდა და ამით დიდად მოჰქონდა თავი. მას უყვარდა ასეთი გამაბრუებელი ფრაზები: „მასალსკიმ თქვა, რომ ჩემში არის ინგენიუსა და სახასიათო მსახიობის შესაძლებლობათა საოცარი შეხამება“. სიტყვა „შეხამება“, ეტყობა, ძალიან მოეწონა და ერთხელ, ცდსა-ს პარკში, როცა ნავით ვსეირნობდით, რიმამ რაღაც განსაკუთრებულად თვალებმირბულში თქვა: „ცისფერისა და მწვანის რა მშვენიერი შეხამებაა...“ მე ისეთი სიცილი ამიტყდა, რომ კინაღამ ნავიდან გადავვარდი, სტეფანე კი პირქუშად გაწითლდა: ის ყოველთვის ასე კუშტად წითლდებოდა, როცა რიმა რაღაც სხვანაირი ზღეძბოდა, მედიდური და არაბუნებრივი იყო და არ ჰგავდა იმ რიმას, რომელსაც ჩვენ წლების მანძილზე ვიცნობდით.

ასეთი ცვლილება მას სულ ცოტა ხნის წინ დაეტყო, მას შემდეგ, რაც მიხვდა, რომ ლამაზია. რიმას მამა, უზარმაზარი, პოდლუბნის მსგავსი ქირურგი, ბუხუნებდა: „და რა მოხდა? გოგონა გოგონას ჰგავდა, მერე უცებ სარკეში თავის თავს მოჰკრა თვალი და გათავდა — გამოშტერდა. პლასტიკური ოპერაცია ხომ არ გამეკეთებინა, ჰა?“

მას განუწყვეტლივ ურეკავდნენ, მუდამ რაღაცეებით ასაჩუქრებდნენ, პაემანს უნიშნავდნენ, ბოლოს, აცილებდნენ, აცილებდნენ მოულოდნელი და თითქმის ყოველთვის ახალი თაყვანისმცემლები.

მას ხან ქალურად ჩასუქებული ცნობილი ტენორი მიაცილებდა ხელკავით, ხან კიდევ თეატრალური ინსტიტუტის ორი ან სამი, ერთნაირად თმაგადავარცხნილი და ერთნაირ ველვეტის შარვლებში გამოწყობული ბიჭი ფუსფუსებდა მის მახლობლად.

ერთხელ რიმა ტაქსით მოაცილა სიმპატიური შესახედაობის აწოწილმა ბიჭმა, რომელსაც კოვბოიკა ეცვა და გაცვეთილი საყელო მოუჩანდა — ალბათ სტუდენტი იყო. მას მანქანის გასტუმრებისას მანეთი დააჯლდა და მთლად გაწითლებული, შერცხვენილი უყრიდა თავს ჯიბეებიდან ამოქექილ ხურდას. მძღოლმა ჩაიცინა, ხელისგულზე შეათამაშა პურის ნამცეცებსა და თამბაქოს მტვერში არეული მონეტები და მისი ტუჩის კუთხეებთან ამპარტავნულად იღვვს ოქროს კბილებმა.

რიმასთან ხელგაყრილი მოევლინა მეოთხე მეშჩანსკაიას თავისი „ძე

შეტომილი — კოკა. კოკა, კოლკა კუტუზოვი, რომელიც წინათ ჩვენს სახლში ცხოვრობდა, შემდეგში სახელგანთქმული ფეხბურთელი დადგა და იმჟამად ბინა ნოვო-პესჩანაიაზე ჰქონდა. პატარა ბიჭები მწყრივად წაგრძელებოდნენ ტროტუარის გასწვრივ და მუნჯი გამაღმერთებელი მხერით უმხერდნენ კოკას. იგი ღინჯად მოაბიჯებდა მეოთხე მეშჩანსკაიას უტურფესი ქალის გვერდით და ზიზლით ადგამდა თავის ძვირფას ფეხებს დახეტილ ტროტუარზე, რომლის ნაპირალებიდანაც ბალახი ამოზრდილიყო.

ერთხელ კი რიმა საკუთარი მანქანით მოიყვანა დალილიმა, ახალგაზრდობას გადაცილებულმა მამაკაცმა, რომელსაც მოკლედ, ზღარბივით დამდგარი ჰქონდა თმა ჰქონდა. ერთ-ერთმა ბიჭმა, შეურაცხყოფილმა იმით, რომ რიმა თავისთავს ნება მისცა მათი კოკა ვიღაც უცხო პიროვნებაში გაეცვალა, მიიყვირა: „ისევ ახალთან!“, რაზედაც ბიჭებმა ხმამაღლა და მკვახედ გაიციენს. რიმაზე, როგორც მაშინ მომჩვენა, ამ ამბავს განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოუხდენია; მისი გამცილებელი მამაკაცი კი როგორღაც უმწეოდ შეკრთა და კიდევ უფრო დაბერდა...

რიმა მეოთხე მეშჩანსკაიას სიამაყე იყო, და მეოთხე მეშჩანსკაია მას არაფერს აპატიებდა. სტეფანე კი აპატიებდა, მეც ვაპატიებდი, როზაც აპატიებდა.

ჰო, როზას შესახებ; მე ხომ არაფერი მითქვამს მასზე, და ეს შემთხვევით არ მომხდარა. ჩვენი როზა როგორღაც შეუმჩნეველი იყო: პატარა, მაგარი. მას ყველგან, ცხვირზე, ხელებზე და ყურებზეც კი ჰორფლი ეყარა. მისი სახელი სრულიად არ შეეფერებოდა მის პიროვნებას. იგი ქარხანაში კონტროლიორად მუშაობდა. არ ვიცი ქარხანაში რას აკონტროლებდა როზა, და ვერც კი წარმომედგინა, თუ რაიმეს გაკონტროლება შეეძლო მას.

მაგრამ აი, ერთხელ ჩვენმა როზამ, პატარა როზამ, როცა აკაციის ქვეშ ვისხედით, ისევე ჩუმად, როგორც ყველაფერს აკეთებდა, თქვა:

— მე კი ყამირზე მივდივარ, ბავშვებო...

ეს ამბავი ყველამ სხვადასხვაგვარად აღვიქვეთ. მე ჩავეყითხე, სტეფანემ ერთბაშად საქმიანად დააზუსტა:

— სახელდობრ — სად?

რიმამ კი ისე შეხედა როზას, თითქოს მის წინაშე ეს-ესაა მოულოდნელად ციდან ჩამოფრენილიყოს ეს არსება სქელი ფეხებით, კბილის ფხვნილით გაქრიანებული ფეხსაცმელებითა და ჰორფლით დაფარული ყურებით.

— ფეხდაფეხ მისდევ საუკუნეს! კარგი, იარე, წადი, ოღონდ ფეხი არსად წაიტეხო...

სტეფანეს თითქოს რაღაც დაჰკრესო. მეც როგორღაც არ მესიამოვნა, თითქოს ჩვენთან სკამზე რიმა კი არა, სხვა ვიღაც იჯდა, ჩვენდამი მტრულად განწყობილი ადამიანი. მაგრამ ეს დამცინავი ქედმაღლობა რიმას თვალეში უეცრად შესცვალა ნალვლიანმა სინაზემ, ან იქნებ ნალვლიანმა შურმაც კი. იგი მოეხვია როზას და მაგრად აკოცა ჯერ ერთ, მერე მეორე ლოყაზე, ისე, თითქოს მას არც კი წარმოეთქვას ეს უხამსი, აგდებული ფრაზა. უცნაური იყო რიმა!

როზა კი ისევე მოულოდნელად წავიდა, როგორც მოულოდნელად განაცხადა წასვლის სურვილი. იგი გვიგზავნიდა ყაზახეთიდან ისეთსავე პატარა და უბრალო წერილებს, როგორიც თვითონ იყო. ეს წერილები იმდენად ჰგავდა მას, რომ მე ზოგჯერ ჰორფლიანებადაც კი მეჩვენებოდა ისინი. წერილებში ყოველთვის რაიმე იდო: ან გამხმარი მინდვრის ყვავილი, ან ველის ბალახების ბლუჯა. შემოდგომაზე კი მოვიდა წერილი, რომელშიაც აღმოჩნდა პურის პატარა თავთავი — სუფთა, მაგარი, ისიც რაღაცით როზას მსგავსი. როცა გაზეთები

ყამირის გმირების სურათებს ბეჭდადნენ, მე ვეძებდი მათ შორის როზას, მაგრამ რატომღაც ვერ ვპოულობდი: ჩვენი როზა ხომ ძალიან პატარაა და მაღალ ყანაში არც კი მოჩანს ალბათ!

სტეფანე კი რაღაც ცუდად იყო. ერთხელ, გვიან ღამით იგი ჩემთან მოვიდა და მითხრა:

— ჩაიცვი.

მე ჩაიცვი

— ახლა რაღა ვაკეთოთ?

— ახლა წავიდეთ.

ჩვენ წავდიდით.

— რესტორანში მივდივართ, — ამიხსნა სტეფანემ. გამიკვირდა, არ მახსოვს სტეფანე რესტორანში წასულიყოს და სწორედ იმიტომ, რომ გამიკვირდა, წაყვევია.

შევედით მეორე კლასის რესტორან „ნარევაში“, ჩვენი სახლის სიახლოვეს. კარისკაცმა ეჭვის თვლით შეხედა სტეფანეს კალათბურთის კედებს, მაგრამ გაგვტარა. გაქათქათებულმა, უზარმაზარი, ჩიყვისებური ნიკაპის მქონე ოფიცინტმა აალაგა სუფრიდან თევზები, რომლებზედაც ვილაცას პაპიროსის ნამწვავები პირდაპირ მორჩენილ რამშტექსში ჩაერჭო, და მარჯვედ გადააბრუნა სუფრა, რითაც მაგიდას რაღაც სიახლისა თუ სისუფთავის საჭირო ელფერი დაუბრუნა.

სიწითლემორეულმა სტეფანემ შეუკვეთა სამასი გრამი რომელიღაც ლიქიორი და ორი წვნიანი. ასეთი დაკვეთის მიღებით შეურაცხყოფილმა ოფიცინტმა თვალეზი გადმოკაკლა, ჩიყვი გამობერა და ბუფეტისაკენ გატურდა.

იყო ხმაური და დახუთული ჰაერი. პაწაწინა ესტრადაზე ბრმა აკორდონისტი უკრავდა „მიშკას“. მარტოდ მჯდომი, უკვე შემთვრალი. (ალბათ მივლინებაში მყოფი) მოქალაქე წამდაუწუმ სვამდა ღაღაღა, გამოწყვებულ ლეიტენანტთან მჯდომი ქალის სადღეგრძელოს, რითაც ლეიტენანტი, როგორც მე მეჩვენა, მაინცა და მაინც კმაყოფილი არ იყო. კუთხეში ორ გოგონასთან იჯდა კოკა და ჩხურ ლუდს სვამდა.

კოკა როგორღაც შეიმშუშნა, მეორე კლასის რესტორანში რომ შეეუსწარი, მაგრამ მაინც მოგვესალმა ბრინჯაოს ბეჭდიანი ხელის აწევით. მე ცოტათი გამიკვირდა, რადგან ვიცოდი, რომ კოკას ხეალ უნგრელებთან უნდა ეთამაშნა; მაგრამ ჩემი გაკვირვება არაფრით გამიმყდენებია.

ოფიცინტმა მოგვითანა ჩვენი სულელური ლიქიორი. სტეფანემ გასინჯა მომწვანო, სქელი სითხე და ჭიქა იქით გადადგა.

— ბალღინჯოს სუნი აქვს! რა წესია, თუ კაცთან ლაპარაკი გინდა, აუცილებლად უნდა დალიო? ესეც შენი ლიქიორი! წავიდეთ აქედან!

სტეფანემ, კვლავ სიწითლემორეულმა, დაუთვალა ფული ოფიცინტს და ჩვენ წამოვდექით. კარებთან მისულმა მოვიხედე: ბრმა აკორდონისტი კუთხეში შეექცეოდა წიწიბურას ფაფას რძით, გამოწყვებული ლეიტენანტი მისი თანამგზავრით არსად ჩანდა, ენერგიული (მივლინებაში წყოფი) კაცი კი მისჯდომოდა კოკას და ახლა მისი გოგონების სადღეგრძელოს სვამდა. ოფიცინტმა ჩვენი ლიქიორი ფუჟერის ჭიქაში გადმოაბირქვა და მერე თავის ჩიყვში გადაუძახა. მის სახეზე წითელი ძარღვები ათამაშდა...

— ეეჰ, — ამოიოხრა სტეფანემ, როცა ჭუჩაში გამოვედით, — არ გამოვა ჩემგან, ენკა, ლოთი!..

— ძალიანაც კარგი, თუ ვერ გამოვა, — ვთქვი მე, — მაგრამ მაინც რაშია საქმე?

— იცი? მე ის მიყვარს.

— ვინ ის? — ვკითხე, თუმცა მშვენივრად ვიცოდი ვინ.

და სტეფანემ არ მიპასუხა ამ ზედმეტ კითხვაზე.

— გესმის, — მითხრა სტეფანემ, — არსებობენ ადამიანები, რომლებშიც ბუდობს რაღაც შინაგანი სიყალბე და მთელი მათი გარეგანი საქციელი — ექსტრემი, საუბრის მანერა, — ეს ყველაფერი მიმართულია ამ სიყალბის დასაფარავად. რიმაში კი ეს პირიქითაა. იგი მთელი თავისი არსებით ცდილობს მიჩქმლოს ის კარგი, რაც მასში არის. მას თითქოს რცხვენია კიდევ ამ კარგისა. იგი ისე იქცევა, თითქოს არაფერი აინტერესებდეს გარდა თავისი თავისა: არც პური, რომელიც როზას მოყავს, არც ხეები, რომლებსაც მე გავაშენებ, არც ოპერაციები, რომლებსაც მისი მამა დღე და ღამე აკეთებს. მე არ მჯერა მისი! ერთხელ მან მითხრა, მსახიობი შინაგანად ცრვი უნდა იყოსო. მაგალითად სარა ბერნარი იოიყვანა. მე კეუბნები: „წუთუ დიდი მსახიობები შინაგანად ცივი არიან მაშინაც კი, როცა ცრემლებს ღვრიან?“ — „ეს სულ უბრალოდ ხდება, — მითხრა მან, — საჭიროა მხოლოდ მესხიერებაში აღადგინო ის, რამაც ოდესღაც აგატირა. გინდა, გაჩვენო?“ დაღა კედელთან, დახუჭა თვალები, წამწამებიდან კი ღაბაღუპით სცვიოდა ნამდვილი, დიდრონი ცრემლები. არ ვიცი, შეიძლება ეს მიღებულია მათს თეატრალურ ცხოვრებაში, მაგრამ მე როგორღაც შემზიზღდა... და მაინც, მე ვერ ვირწმუნებ, არ მჯერა, რომ ეს ამბავი მისი სულიდან მოდის, და რამდენიც უნდა მიაშობოს თავის რომანებზე, ან როგორც თითონ ეძახის — ნოველებზე, არც ის მჯერა!

სრეტენკას მივყევბოდით. თორმეტი სრულდებოდა. უკვე კეტავდნენ „გასტრონომს“, რომლის კარებთან, როგორც ყოველთვის, რამდენიმე დაგვიანებული მოქალაქე ფუსფუსებდა და ამოად არწმუნებდა დამლაგებელს, რომ ჯერ დაკეტვა ადრეა. გაზიანი წყლის გამყიდველი ქალი ჰიქებს ჩანთაში ალაგებდა. უნივერსიტეტის ვიტრინიდან მორცხვად და დაქანტულად ილიმებოდნენ მანეკენები. მათ, ეტყობოდათ, რცხვენოდათ თავიანთი ცუდი ჩაცმულობისა.

კინოთეატრ „უზრანში“ უკანასკნელი სეანსი გათავდა. ჩვენს გვერდით მოედინებოდნენ და შრილა კაბებით გვეხებოდნენ ქალები და მათი ნელსურნელებით გაქდნთილი ვაჟები.

და უცებ გვესმის:

— თქვენ აქ რას აკეთებთ?

ჩვენს წინ ახალგაზრდა საზღვაო ოფიცერთან ხელგაყრილი რიმა იდგა. ოფიცერი ახალთახალი და ჩემოდანივით მონიკელებული იყო. — ეს პეტიაა, გვითხრა რიმამ. — ახლა, ამ საშინელი მუსიკალური კინოკომედიის დროს მან სიყვარული ამიხსნა, მაგრამ მე ვუთხარი, რომ მისი ღირსი არა ვარ, თქვენ შეგიძლიათ დამიდგასტუროთ, რომ ეს მართალია.

პეტია საცოდავად გაწითლდა; რატომღაც ქუდი მოიხადა და ბავშვის ცხვირსახოცით მოულოდნელობისაგან გაოფლიანებული შუბლის წმენდა დაიწყო.

— ბიჭებო! — გვითხრა რიმამ. — მე ვიცი ახლა რასაც გავაკეთებთ. ჩვენ წავალთ ვერცხლისფერ ფიჭვნარში.

მან ზელი დაიქნია, და ჩვენც, ოდნავ გაბრუებულნი და უხალისონი, წუთის შემდეგ ტაქსში ვისხედით...

ღამით მდინარე მოსკოვზე ყველაფერი იღუმალეებით იყო მოცული; მთავ-

რისებურად მოკაშკაშე მარმარილოს მაგიდები ზაფხულის ცაიელ კაფეში, ბნელ ხეებს შორის გაბმული ფრენბურთის ბაღე, რომლის ნაჩერებშიც მსხვილი ვარსკვლავები ლივლივებდა და შავი მდინარის ზედაპირი ცეცხლე-ბის გრძელი, ვერცხლისფერი გამოსახულებებით, რომლებიც მონეტებისაგან აგებულ სვეტებს მიაგავდა. გაღმა ნაპირიდან ჭრიალი აღწევდა: ნაგების მუჭი სხეულები ეხახუნებოდა ერთმანეთს.

მე არ ვისურვე ბანაობა. პეტია, რომელიც დაბნეული ათამაშებდა მეზღვა-ურის დანას, ალბათ მორცხვობის გამო იუარა ბანაობა. რიამ და სტეფანემ ერთად გასცურეს.

— ნუ დარდობთ, პეტია, — ვანუგეშე მე ისეთი ხმით, თითქოს ორჯერ უფროსი ვყოფილიყავი მასზე, — თქვენ ჯერ ახალგაზრდა ხართ, — და ხვა-ლინდელ ფეხბურთზე დავუწყებ საუბარი.

რიმასა და სტეფანეს თავები, რომლებიც შავ წერტილებად მოჩანდა, ნელა მოძრაობდა იქ, ქვემოთ. მერე სულ გაქრა. და უცებ, გაღმა, ქვიშიან ხრამთან, ნაგების საღვურის გვერდით დაეინახე თითქოს შავი ქვისაგან გამო-კვეთილი ორი სილუეტი. ისინი იდგნენ დაბმული, მოქანავე ნაგების ზემოთ, შავად, ვერცხლისფრად მომდინარე წყალზე, რომელიც მიჯნავდა მათ ჩვენი ნა-პირისაგან, მთელი მისი წუხილისა და სიხარულისაგან.

და მე ახლა მათგან მაშორებდა რაღაც უფრო დიდი, ვიდრე ეს მანძილი. ისინი იყვნენ არა რიმა და სტეფანე, არამედ უცნობი მამაკაცი და ქალი, რომ-ლებმაც გადაცურეს მდინარე, რომელიც მე ჯერ არ გადამეცურა. ქალმა გა-დადგა ნაბიჯი მამაკაცისაკენ და ხელები გაუწოდა მას; მამაკაცმაც გადადგა ნაბიჯი ქალისაკენ, მაგრამ შეჩერდა და მოიშორა ის. ქალი რაღაცას ეუბნებო-და, მაგრამ ვაჟი უძრავად იდგა და უყურებდა არა ქალს, არამედ მდინარეს, რო-მელიც მათ უნდა ხელახლა გადმოეცურათ, რომ დაბრუნებოდნენ ყველაფერ იმას, რაც მხოლოდ წუთით იქნა დაეიწყებული. და ისევ შევიდნენ ისინი წყალ-ში; მაგრამ ხომ არ შეიძლება ორჯერ შესვლა ერთსა და იმავე მდინარეში. მიუ-ხედავად იმისა, რომ ისინი კვლავინდებურად ერთად მოცურადნენ, მათს მოძ-რაობაში რაღაცნაირი გულის ამაზრუნე გათიშულობა იყო. ისინი გამოვიდნენ ჩვენს ნაპირზე და ჩვენს წინაშე უცნობი ქალი და მამაკაცი კი არ იდგა, არამედ რიმა და სტეფანე. რიმა, რომელსაც თმებზე და ზურგზე წყლის წვეთები უბრ-წყინავდა, მივიდა ნაღვლიან საზღვაო ოფიცერთან და მწარე მზიარულებით უთხრა:

— არა უშავს, პეტია, მე და თქვენ დღეს ერთგვარად მეგობრები ვართ უბედურებაში. ეს-ესაა მეც თითქოს გამოვუტყდი ერთს, მიყვარხარ-მეთქი, და აქედანაც არაფერი გამოვიდა.

ასე თქვა რიმამ, სასოწარკვეთილებით და სევდიანად გადაიქნია თავი და მთელი გზის განმავლობაში ხმა არ ამოუღია. სდუმდა სტეფანეც. ჩუმად ვიყავი მეც. და რა თქმა უნდა სდუმდა დაბნეული საზღვაო ოფიცერი პეტია, რომელ-საც არაფერი ესმოდა...

მეორე საღამოს მე და სტეფანე სტადიონზე შეეხვდით ერთმანეთს. ბილე-თებს წინასწარ ვყიდულობდით — როგორც ყოველთვის, სამ ადგილს ერთმა-ნეთის გვერდით. მაგრამ ახლა ჩვენთან არ იყო რიმა.

— რა უთხარი გუშინ მას, სტეფანე? — ვკითხე მე წყნარად, მაგრამ მკაც-რად.

— ეუთხარი, რომ არ მიყვარს — აი, რა ეუთხარი! და აღარაფერი მეტი აღარ მკითხო. უყურე, ჩვენი კოკა სუსტობს...

სწორედ იმ წუთში კოკას ჩინებულად მიაწოდეს ბურთი, მაგრამ მან ფეხიც ვერ მოახვედრა ბურთს.

— გააგდეთ კუტუზოვი! — დაიბრიალა ტუჩებზე ხელბმეფარებულმა ჩვენმა მეზობელმა და წამოხტა, მუხლებიდან გადმოუვარდა პორტფელი, რომლიდანაც გადმოიფანტა ბუღალტერის ბლანკები, ფუნთუშის ნაქერი, ძეხვი და ქალღის ქიქები.

სტადიონმაც აიტაცა ეს დაძახილი და მოჰყვა ტკეპნით, ზარზემითა და აგდებით ყვირილს:

— გააძვევთ! გააგდეთ!

სასტიკი იყო სტადიონი. მან მყისვე დაივიწყა, რომ ათასჯერ მქუხარე ტაშით დაუჯილდოვებია ეს მაღალი ქერა ჭაბუკი მისი ეგზომ ნიჭიერი ფეხების გამო. ახლა იგი მხოლოდ მის შერცხვენას ხედავდა და მის შეცვლას მოითხოვდა. კოკა კი, გუშინდელი ჩეხური ლუდით დამძიმებული და ყოველი მხრიდან მომსკდარი ყივინით მოტეხილი, განუწყვეტლივ კარგავდა ბურთს და თვითონაც არ იცოდა საით ისროდა მას. მაგრამ, აი, მან უცებ მთელი ძალდონე მოიკრიბა, საოცარი სილამაზით გადაიტარა ბურთი თავზე, გადაახტა წითური უნგრელის წასაქეველ დადებულ ფეხს და დაარტყა — თითქმის პირითიხაზიდან. მთელ სტადიონს სჯეროდა და თან არ სჯეროდა ეს ამბავი. იგი ფეხზე წამოდგა, ყვიროდა და ჰაერში ისროდა ქუდებს, ქოლგებს, საწვიმრებს. ანგარიში გახდა 1:1 და მაშინვე მსაჯის სასტვენის ხმაც გაისმა. მოედნის ცენტრში ჩაცუცქული უნგრელები სურათს იღებდნენ. ჩვენი ბიჭები კი, ოფლისაგან მთლად გაშაგებული მაისურებით, თავჩაქინდრული მიეშურებოდნენ გასახდელისაკენ. ყველაზე თავდახრილი მიდიოდა კოკა, თუმცა მან იხსნა გუნდი დამარცხებისაგან... ჩვენ შეგვებრალა კოკა: ის მაინც ჩვენი იყო, მეოთხე მეშჩანსკაიდან. ჩვენ შევედით მასთან გასახდელში. დიდხანს არ გვიშვებდნენ, მერე გაგვატარეს. ყველა ფეხბურთელი წასული იყო, კოკა კი ისევ პირქუშად იჯდა ბუსუსებიან პირსახოცში გახვეული.

— დღეისამასიქით აღარ დალევ მატჩის წინ! — ვუთხარი მე, — არა, ის, ის ბურთი მაინც ზორბად შეაგდე, კოკა...

უცბად ბავშვურად გაელიმა.

— ეს მართლაც გვარინად გამომივიდა: ქუსლით თითონვე გადავიტარე თავზე! — და უცებ ისევ მოიღუშა.

მერე ჩაცმა დაიწყო. თეთრი სილონის პერანგმა, ზურგზე ჩახსნილმა ჭრელმა პიჯაკმა, ცისფერმა შარვალმა, მახვილწვეტიანმა მოკასინებმა და ჩვენთვის ცნობილმა ბრინჯაოს ბეჭედმა კოკა ერთბაშად შეცვალა და მოწყენილი ბიჭიდან კვლავ სახელგანთქმულ ფეხბურთელად აქცია.

— ჰო, მართლა, რა მოუვიდა რიმას? — გვკითხა მან.

— როგორ თუ რიმას რა მოუვიდა? — ვერ მივხვდით ჩვენ.

— იგი თამაშის დაწყებამდე შემოვიდა ჩემთან, ვილაც მეზღვაურზე მაჩვენა — ჩემი ქმარიო და მომავალი კვირისათვის ქორწილში დამპატიყდა.

მაშინვე მივხვდი, რომ ეს სიმართლე იყო, ეს მოსალოდნელი იყო რიმასაგან. სტეფანეც მიხვდა. და მხოლოდ დიდ ფეხბურთელს არაფერი ესმოდა იმი-სა, რაც მოხდა. იგი დაბნეული შემოგვეყურებოდა და მექანიკურად ისწორებდა თავის ბრინჯაოს ბეჭედს...

სამი დღის შემდეგ, სახლში დაბრუნებისას, მაგიდაზე ასეთი ბარათი ვიპოვე: „დიპლომი ავიღე, გამანაწილეს. დღეს მივემგზავრები. თუ მოასწრებ: ჩრდი-

ლოეთის სადგური. მატარებელი 44, ვაგონი 6, გავდივართ 20. 45. სტეფანე“. მე საათს დავხედე. ათი წუთიღა დამრჩენოდა.

სადგურის ბაქანზე იმ დროს მივირბინე, როცა მატარებელი გაუბედავად შეტოკდა და დაიძრა. კეთილი, დაბნეული თვალებით მისდევდნენ კაცები და ქალები ვაგონებს და ამ ვაგონებში მდგომ ადამიანებსაც კეთილი და დაბნეული თვალები ჰქონდათ, უძრავი გამცილებელი ადამიანების თვალები.

და მე დავინახე სტეფანე, და სტეფანეც დამინახა მე. ის ვაგონის საფეხურზე იდგა ყავისფერი სათხილამურო კოსტუმით და კალათბურთელის კედლებით. მინდოდა რაღაც მეთქვა მისთვის, მაგრამ არაფერი ვუთხარი: სტეფანესაც უნდოდა რაღაც ეთქვა ჩემთვის და მანაც არაფერი მითხრა. მე ჯერ კიდევ გვერდით მოეყვებოდი სტეფანეს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთმანეთის გვერდით ყოფნის აჩრდილი-ლა იყო. უნებლიეთ ავუჩქარე ფეხს, ვცდილობდი არ ჩამოვრჩენოდი მატარებელს, რომელიც სისწრაფეს იკრებდა, მაგრამ შეუძლებელია არ ჩამორჩე იმას, რაც გაცილებით ძლიერია შენზე. და მე დავექე ბაქნის კიდეზე და დიდხანს ვუქნევდი ხელს ჩემთვის უხილავ სტეფანეს, სანამ უკანასკნელი ვაგონის ლალისფრად მოელვარე ფარანი ფოლადის ბაღურებს იქით არ მიიშალა. მე ბაქანზე დავრჩი. სტეფანე კი, რომელიც ეს-ესაა ვაგონის საფეხურზე იდგა, გადაიქცა აკვამლებული, უცნაური სივრცის ნაწილად, რომელმაც შთანთქმა მატარებელი...

ასე წავიდა სტეფანე...

რიმას ქორწილი კი კვირას უნდა შემდგარიყო.

კვირას დილიდანვე წვიმდა.. მტვერში შეფუთული წვიმის წვეთები ჯერ გაუბედავად ეცემოდა მეოთხე მეშინასკაიას ქვაფენილებზე, მერე უცებ ციდან გადმოხეთქა სქელმა, თბილმა წყალმა, წვიმის სადენები იხრჩობოდნენ, ახველებდნენ; ნაკადები ერთმანეთისაკენ მიისწრაფოდნენ და ერთმანეთს ეხუტებოდნენ.

გაწუწული ბიჭები ბედნიერად გრძნობდნენ თავს იმით, რომ გაწუწულები იყვნენ, და შარვალდაკაპიწებულნი აბუშტულ წყალში წვიმისა და ბავშვობის ცეკვას ცეკვავდნენ. დიასახლისებს გამოჰქონდათ მიმჰქნარი ნემსიწვერას ყვავილები და მუქი, მუშამბისებრი ფიკუსები. იდგა მიწისა და ფოთლების სურნელება. და ასეთ წვიმაში შევიარე მე რიმასთან. რიმა პარკებით, მაიონეზის ქილებით, ხახვის კონებითა და წყალში ჩაუღებელი ყვავილებით დატვირთულ მაგიდასთან იჯდა. იატაკზე რიმას ვიწრო ფეხსაცმელებთან ჩამწკრივებულიყო საქორწილო შამპანურის ბოთლების ვერცხლის მუზარადიანთა გვარდია. თითქოს ყველაფერს ამას ვერც კი ამჩნევსო, რიმა რაღაც ჩამკვდარი ცქერით გაპყურებდა წყლისა და სიმწვანის დღესასწაულს.

— ყველაფერი, რაც შენ გინდა ახლა მითხრა, უაზრობაა, — მითხრა მან. აგერ პეტია. შემოვიდნენ ბედნიერი, ჯერ კიდევ გონს ვერ მოგებული პეტია და რიმას მამა, რომელიც პეტიას ნაღვლიანი სიბრალულოთ უცქეროდა.

— სადამომდე ჯერ კიდევ ბევრი დროა, — თქვა რიმას მამამ, თან მოიღუშა. — ზომ არ წაგვეხმისა, პა?

უეცრად რიმა წამოხტა და ფანჯარასთან მივიარდა. ფანჯარასთან როზას დედა იდგა, მოხუცი, მარტოხელა ქალი, რომელიც მხნედ მუშაობდა სამრეცხაოში. ხელში დაჰმუშტული წერილი ეჭირა, თვალები რაღაც საშინელის გამო დარეკტიანებული და გაშეშებული ჰქონდა.

გზოში გავვარდით და ოთახში შემოვიყვანეთ. აკანკალებული ხელებიდან

მე წერილი გამოვტაცე. წერილი გულუბრყვილოდ ოფიციალური იყო და უფრო საშინელი ჩანდა სწორედ ამ გულუბრყვილობის გამო.

„ძვირფასო ედოკია ნიკოლოზის ასულო — დაეიწყე მე ხმამალა. — გწერენ იმ მეურნეობის კომკავშირლები, სადაც თქვენი გოგონა მუშაობდა. ის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი იყო. მიუხედავად მრავალი მუქარისა, მუდამ ილაშქრებდა ხულიგნების და მღლეტელების წინააღმდეგ, რომლებიც შემოპარული იყვნენ ჩვენს რიგებში. 12 ივლისს ღამით, როცა იგი მინდვრიდან ბრუნდებოდა, მას სტეპში ჩაუსაფრდა მისი დაქინებული მოთხოვნის შედეგად კომკავშირიდან გარიცხული ალექსანდრე ეპიხინი და დანით ზუთი ჭრილობა მიიყენა. როზა გონს მოუსვლელოდ გარდაიცვალა. მკვლელი მალე წარდგება საჩვენებელი სასამართლოს წინაშე.

ძვირფასო ედოკია ნიკოლოზის ასულო! თქვენი გოგონა ჩვენ დავასაფლავეთ სწორედ იმ ადგილას, სადაც მან პირველად დაძრა ტრაქტორი ყამირზე საიერიშოდ. ჩვენ დავადგინეთ მისი სახელი ვუწოდოთ კომკავშირულ კლუბს, რომელიც ახლა შენდება. თქვენი შვილის ნათელი ხსოვნა იცოცხლებს ჩვენს გულებში“. ქვემოთ ხელის მოწერა იყო.

არც კი შემეძლო წარმომედგინა, რომ როზა, პატარა, მტკიცე როზა აღარ იყო. მე ვარ, რიმაკ არის, მართალია შორს, მაგრამ სტეფანეც იყო, მეოთხე მეშინასკაია იყო, აღარ იყო მხოლოდ როზა. სადღაც, მეოთხე მეშინასკაიდან ძალიან შორს, ყაზახეთის მიწაზე იყო პატარა საფლავი, ისეთივე პატარა, როგორც თვითონ როზა. და როზას დედამ აიღო ეს წერილი თავისი დამსკდარი ხელებით, ხელებით, რომლებიც ვან იცის რამდენ სარეცხს შეხებია და კიდევ რამდენ ზეწარს, პერანგს და საყელოს შეეხება, და ბარბაცით აუარა გვერდი წყალში მოცეკვავე ბიჭებს.

რიმას კი უცბად ისეთი ქვითინი აუტყდა, რომ ყველას შეგვეშინდა: ქვითინით, უხერხულად ჩაემხო საწოლში. მერე თავი აიღო, შეხედა პაკეტებით დატვირთულ პეტის, შეხედა სულელურ შამპანურის ბოთლებს და წყნარად თქვა:

— პეტია, თქვენ ძალიან კარგი ხართ, მაგრამ მე თქვენი ცოლი ვერ გავხდები. მე სტეფანე მიყვარს.


და რიმა სახლიდან გავარდა. წავიდა ნატის უმწეო ფეხსაცმელებით, შემოსხლეტილი, სველი, ჭრელი კაბით; წავიდა, თვითონაც არ იცოდა საით.

ცხოვრებამ მკაცრად მოაგონა მას, რომ ის, ცხოვრება, მხოლოდ ერთხელ გვეძლევა და არ შეიძლება სტყუოდე საკუთარი თავის წინაშე ერთადერთი ცხოვრების განმავლობაში.

ასე მიდიოდა რიმა და ტიროდა მწარედ და შვებით.

ტიროდა რიმა და ვინ იცის, იქნებ სადღაც, შორეულ ტაიგაში მამაკაცური მწარე ცრემლებით ტიროდა სტეფანეც, რომელმაც არ იცოდა, რომ არავითარი ქორწილი არ შემდგარა...

თარგმნა დათუნა მაჭავარიანმა.



შპირკის შიდაი

პანკრატი ზანა

პ რ ო ლ ო გ ი

წარმოქმული ვაიმარის თეატრის აღდგენისას 1798 წლის
ოქტომბერში

მასხრული ნიღბის თამაშობა სერიოზული,
რომელსაც ხშირად თქვენს თვალს და ყურს აპყრობდით ხოლმე
და თქვენს ნაზ გულებს ყოველთვის რომ იმორჩილებდა,
ამ დიდ დარბაზში ერთმანეთთან გვერდებს ისევ...
და ხედავთ! იგი, ჰაბუკუჩი იერით სავსე,
გაღუქცევია ხელოვნებას კვლავ ნათელ ტაძრად;
ზეგარდმო სული ჰარმონიულ ბგერებით ახლა
გვესაუბრება ამ დიდებულ კოლონადიდან
და ჩვენს სულში ჰქმნის საზიჟო განწყობილებას.

ბევრჯერ ყოფილა ვაიმარის თეატრი. ძველ,
იქვანი მრავალ ახალგაზრდა შემოქმედ, ძალის
და სამოქმედო ასპარეზი მოზარდი ნიქის,
ჩვენაც, ძველები, აღსავსენი მხურვალე სწრაფვით,
აქ, თქვენს წინაშე, დავეცეკადით ბეჯითი შრომით.
სწორედ ამ ადგილს ხელოვანი კეთილშობილი
გენიალური შემოქმედის ჯადოსნურ ძალით
იწვევდა თქვენს წრფელ აღტაცებას, აღფრთოვანებას
და გადაჰყავდით ხელოვნების ნათელ მხარეში.
ჰოი, ნეტავი, ამ ახალი სცენის ღირსება
ჩვენს შორის უფრო ღირსეულებს მიიზიდავდეს
და ის იმედი, რომელს დიდხანს თავს ვეცლებოდით,
მაღე გვენახოს აქ ბრწყინვალედ აღსრულებული,
დიდი ნიშნში შეჯიბრების სურვილს აღვიძებს
და მაღალ კანონს უდებს ის ჩვენს შემოქმედებას.
დღე, ეს ხელახლა აღმართული თეატრის სცენა
კვლავ გახდეს მოწმე ნიქის სრულქმნის, მომწიფებისა,
სად შეიძლება სცადოს კაცმა თავისი ძალა,
რომ აღიდგინოს, განიახლოს დიდება ძველი,
ვით აქ. წინაშე მავურებლის რჩეული წრისა,
ვინც ხელოვნების პირველსავე მოწოდებაზე
ცვალებად გრძნობით იჭერს სულის წარმავალ სახეს?

სწრაფად, უკვალოდ მიჰქრის კაცთა აზრის წინაშე
გასაოცარი ხელოვნება მსახიობისა,

როს მოქანდაკის ქმნილება და სიმღერა მგოსნის
საუქუნეთა გრძელ მანძილზე ცოცხლობენ ისევ.
თეთი მსახიობთან კედება მისი მომზიბელობა,
ვითარცა ბგერა, ზმამიმწყდარი, უკანასკნელად
ამონასუნთქი წარმავალი ქმნილების მიერ,
და თვის შემდგომად უკვდავ სახელს არ სტოვებს ქვეყნად,
თუმც მსახიობის ხელოვნება მძიმეა დიდად,
ამაო არის, წარმავალი იმისი ფასი
და დაუნის გვირგვინს მას არ უწნავს შთამომავლობა,
სწორედ ამიტომ ეს აწმყოზე უნდა დახარბდეს,
გამოიყენოს თვითმული კუთვნილი წამი,
თანამედროვეთ ძალზე მტკიცედ დაუკავშირდეს
და მათგან უფრო ღირსეულთ და რჩეულთა გულში
ცოცხალი ძეგლი აიგოს მან... ასე მოიხვეჭს
თავის სახელის უკვდავებას წინასწარ იგი:
რადგან სიკეთე ვინც მიაგო თვის ღრობის რჩეულთ,
ყველა ღრობათვის ის ცოცხალი დარჩება მარად.

ახალი ერა, რომელიც ამ სცენაზე იწყებს
თქვენს წინ თაღის ხელოვნებას, პოეტსაც ხდის
უფრო გამბედავს — მიატოვოს გზა გაცვეთილი
და ვიწრო წრიდან მესმანური ყოფიერების
გამოიყვანათ უფრო ღიად, მაღალ სცენაზე,
რომელიც ჩვენი დაუცხრომელ, მშფოთვარ ცხოვრების
ეგარეთ ღირსეულ, დიად მომენტს შეშენის უფრო.
მხოლოდ დიდ ამბავთ შესძლეს მთელი კაცობრიობის
ღრმა საფუძველის შერყევა და ამღელვარება.
ვიწრო წრე აზრსაც სულს უხუთავს, აპატარაებს,
აღამიანს ზრდის და ამღლებს მიზანი დიდხ.

და ახლა, ჩვენი საუქუნის მიჯნასთან მდგარმა, —
როცა ცხოვრება პოეზიად გადაქცეულა,
როდესაც ვხედავთ, ვით იბრძვიან ძლიერნი კაცნი
კაცობრიობის დიდ კითხვათა გადასაწყვეტად,
თავისუფლების, მბრძანებლობის მოსაპოვებლად, —
ხელოვნებამაც უნდა თავის თეატრის ჩრდილქვეშ
ფრთა გაისწოროს, უფრო მაღლა აფრენა სცადოს,
რათა არ შერცხვეს, გაუსწოროს ცხოვრებას თვალი.

ჩვენს თვალწინ უკვე ძირს ემხოზა მოძველებული
ის მტკიცე ფორმა, რომელიც ამ ას ორმოცდაათ
წლის წინ ევროპის სამეფოებს მშვიდობამ მისცა,
როგორც ნაყოფი სანატრელი, უძვირფასესი,
ოცდაათწლიან მწუხარებით აღსავსე ომის.
დაე პოეტის ფანტაზიამ თქვენ ერთხელ კიდევ
გადაგიყვანოთ იმ შავბნელ და მწუხარე დროში,
უფრო ხალისით, უფრო ნათლად იხილოს აწმყო
და საიმედო შორ მომავალს მიაპყროს თვალი.

მძინვარე ომის ქარიშხალში შეჰყავხართ პოეტს.
თექვსმეტი წელი ძარცვისა და განადგურების,
რბევის, შიმშილის, მწუხარების გასულა უკვე,
მაგრამ ქვეყანა შმაგ ზღუასავით ბოზოჭრობს ისევ
და არც შორს ბრწყინავს სამშვიდობო იმედის სხივი.
მთელი ქვეყანა ბრძოლის ველად გადაქცეულა,
აოხრებულან ქალაქები, სოფლები სულ მთლად,

მიმონგრეულა მაგდებურგი, ძირს დამხობილა,
მთლად მოსპობილა მრეწველობა, ვაჭრობა ქვეყნის.
აქ მოქალაქეს აღარა აქვს რაიმე ფასი,
ხოლო მხედარი, ჯარისკაცი, ყველაფერს ნიშნავს;
გაუგონარი თავხედობა ძველ ადამ-წესებს
დასცინის ურცხვად, არეინაა დამსჯელი მისი.
ტლანქმა ბრბოებმა ხანგრძლივ ომში გაველურებულ,
გავერანებულ ქვეყანაში დაიბანაკეს.

ამ სისხლიანი ბრძოლის ველზე, ამ შევზნულ დროში
წარმოგვიდგება გაბედული, მამაიცი სახე,
დაუცხრომელი ხასიათის ადამიანი.
თქვენ კარგად იცნობთ მას, შემოქმედს გულადი ჯარის,
კერპს ბანაკისას, ქვეყანაზე აღმართულ მათრახს,
ხელმწიფის მფარველს და მისივე შიშსა და საფრთხეს,
ბედნიერების შვილს, აღსავსეს უცნაურობით,
დროის წყალობით ზეატყორცნილს, განებოვრებულს,
რომელმაც სწრაფად შიდალწია დიდებას, პატივს,
მაგრამ მუდამ წინ ისწრაფოდა დაუცხრომელი
და ძირს დაეცა მსხვერპლად პატივმოყვარეობის.
მტერ-მოყვარეთა სიყვარულმა და სიძულვილმა
ისტორიაში დაიბნელეს ამ გმირის სახე,
მაგრამ თქვენს თვალებს ხელოვნებამ უნდა ის ახლა
წარმოუდგინოს, მიიტანოს თქვენს გულთან ახლოს,
რადგან პოულობს ის ყველაფრის სახელმწიფოს და კავშირს
და უკიდურესს კვლავ უბრუნებს ბუნებრივ სახეს.
ის თვალს აღევენებს ადამიანს ამ წუთისოფლად
და მის ცოდებათ, საქციელთა უდიდეს ნაწილს
მიაწერს ხოლმე თვით მისივე უბედურ ვარსკვლავს.

არ წარმოდგება ღღეს სიენაზე იგი თქვენს თვალწინ,
მაგრამ გაბედულ, მამაც ბრბოში, რომელიც მუდამ
ემორჩილება მის ბრძანებებს, მისივე სულით
შთაგონებული, თქვენ შეხედებით, ნახავთ მის აჩრდილს,
ვიდრე თვითონ მას ფრთხილი მუზა წარმოგიდგენდეთ
ცოცხალი სახით, და რადგანაც ძალა-უფლება
ეგრეთ ხიბლავს და აჯადოვებს, ბანაკი მისი
გამომავლენებს მის ქედმაღლურ საქციელს მხოლოდ.

შეუენდეთ პოეტს, თუ ამჯერად პირდაპირი გზით
თქვენ ვერ წაგიყვანთ სამოქმედო მიზნისკენ იგი
და თქვენს თვალთა წინ ისტორიულ ამ დიდი ამბის
მხოლოდ ცალკეულ სურათების გადაშლას ბედავს,
დე დღევანდელმა წარმოდგენამ მიაპყროს თქვენი
თვალი და ყური უჩვეულო, უცნაურ ბგერებს;
თანდათანობით გადაგიყვანთ თქვენ იმ ხანაში,
იმ ბრძოლის ველზე, ლაშქრობათა ველურ სიენაზე,
სადაც მოქმედებს ჩვენი გმირი.

და თუ ღღეს მუზამ,
ლალმა ქალღმერთმა სიმღერის და ცეკვა-თამაშის,
თვისი უფლება, გერმანული კანონი ძველი —
რითმის თამაში მოითხოვა — არაფერია!

დიხ, მას უნდა ვუშალოდეთ ჰერმარიტების
მწუხარე სახე ხელოვნების წათელ ტაძარში



რომ გამოცვლილა, შემოსილა შარავანდდით.
მაგრამ სიცრუე თავისთავად გაჭრება მალე,
მისი შუქი კი არ ღალატობს ქვემარტებას.
მკაცრი, პირქუში, სასტიკია ცხოვრება ჩვენი,
ხელოვნება კი გამჭვირვალე, ნათელი მარად.

მომავლი პირნი

ვახშისტრი
მეზუჟე
თოფრი ტერცკის კარაბინერთა პოლკისა.
მსროლელნი.
რკი ცხენოსანი ეგერი ჰოლკისა.
ბუტლერის დრაგუნები.
სიათოსნები ტიფენზაის პოლკისა.
კირასირი ვალონელთა პოლკისა.
ხორვატები.
ულანები.
რეკრუტი.
მოქალაქე.
გლეხი.
გლეხის ბიჭი.
კაპუტინა.
ჯარისკაცთა სკოლის მასწავლებელი.
მარკიტანტი ქალი.
ოფიციატი ქალი.
ჯარისკაცთა ბიჭები.
პოპოისტები.

მოქმედება წარმოებს ქალაქ პილზენის წინ, ბოჰემიაში.

გამოსვლა პირველი

მარკიტანტი ქალის კარავი, რომლის წინ საწვრილმანოთი და ძველმანებით გაჭრობენ. ერთმანეთს აწყდებიან სხადასხვა სახეობისა და სადროშოების ჯარისკაცები, ყველა მაგიდა დავაზე-
ზულია. ხორვატები და ულანები მაყალზე რაღაცას ხარშავენ. ოფიციატი ქალი ასხამს ღვინოს. ჯარისკაცთა ბავშვები დოღზე თამაშობენ ყოშარს. კარავში მღერიათ.

გლეხი და მისი ბიჭი

ბიჭი

კარგს არ გვიქადის, მამაჩემო, ჩვენ აქ დარჩენა,
ამ გადარეულ, ამ ქინიან ჯარისკაცებთან,
ჩხუბს, აყალმაყალს რომ არიან მუდამ ჩვეულნი.
ოლონდ კი ახლა შეიბრალონ ჩვენი სხეული.

გლეხი

ეი, შენც ერთი! რას გვიზამენ, ხომ არ შეგვქამენ?
უნდა ვეცადოთ ეშმაკობით დავტყუოთ რამე.
აქ სულ ახლები შეკრებილან, ხომ კარგად ხედავ?
ზაალიდან და მაინიდან მოსულან ჩვენთან.
ძვირფასნი ნივთნი მოიტანეს დაეჭლ, იქნება,
თუ ხერხიანად მოვიქცევით, ჩვენი იქნება.
ერთმა ნაცნობმა ასისტავმა, სხვამ მოვლა ვინაც,
ეს ორი ძალი დამიტოვა სიკვდილის წინა.
მსურს ერთხელ კიდევ გამოვცადო ისინი დღესაც.

ძველი ყისმათი, ძველი ძალა თუ კიდევ შერჩათ,
ოღონდაც მარჯვედ აისროლე ეს კამათლები,
გიმეგობრებენ, როგორც კარგი ამხანაგები.
ოღონდაც შენ ეგ სალდათები ადიდე, აქე,
რაც უშოვიათ, გააბნევენ ერთ წუთში აქვე.
თუნდაც მოგება გადაიწყონ ჩვენგან ჩამჩებით,
კოვზებით ისევ დავიბრუნებთ და არ დავრჩებით
ჩვენ წაგებულნი; დე იბრძოლონ მაგათ ხმალითა,
ჩვენ ეშმაკობა გაგვაჩნია ნაცვლად ძალისა.

(კარავში ისმის სიმღერა და ხარხარი).

გესმით, რარიგად ახორხოცდნენ... ღმერთო, გუფარადე!
ეს ყოველივე ამოიღეს გლეხის ტყაიდან.
ამდენ ჯარისკაცთ, აი უკვე რვა თვე გავიდა,
ჩვენს სახლებსა და გომურებში მოიკალათეს.
სულ მთლად გააწყვეს ამ სოფელში ქაფის სინილა,
უერას იშოვი, ამოგადრძოს თუნდაც შიმშილმა,
თუვინდ შენსავე ძვლებსა ღრღნიდე ტიტველ-მშვიერი,
არ მოგხედავენ, არასგზიდ არ შეგიცოდებენ,
ესე სასტიკი არ ყოფილა საქსონიელიც:
იმპერატორის სალდათებს კი თავს უწოდებენ.

ბ ი ჟ ი

სამზადისიდან გამოვიდა სალდათი ორი;
ბევრის მქონენი არა ჩანან ჩაცმით, იერით.

გ ლ ე ხ ი

შოპემიელი უნდა იყოს ორივე, მგონი,
დიახ, ნამდვილად გრაფი ტერცკის კარაბინერი.
რაც ამ სახლებში დაბინავდნენ, კარგა ხანია,
იბლინებთან, თავი მოაქეთ მაგათ ძალიან,
თუმცა არიან ყოვლად ბილწნი და საზიზღარნი.
აბა, რა დიდი საქმე არის, ერთი მითხარი,—
თავს გვაბადლიან, გვექცეოდნენ თითქოს მოწყალედ,—
ჩვენდგრა გლეხთან ერთი ჭიქა თუ გამოცალეს.
მაგრამ აი იქ, ჩემო ბიჭო, სამ მსროლელს ეხედავ,
მარცხენა მხარეს, მოგიზგიზე ცეცხლთან რომ სხედან,
ტიროლელები უნდა იყვნენ, მგონია ასე,
წამო ემერის! მაგ სალდათებს მივმართოთ წამსვე.
მაგ ლალ ჩიტუნებს თუმც ზედმეტი ძლურტული უყვართ,
მაგრამ ჯიბეში უჩხრიალებთ ფულები უხვად.

გამოსვლა მეორე

ო გ ი ე ე ნ ი. ვ ა ხ მ ი ს ტ რ ი. მ ე ბ უ ა ე. უ ლ ა ნ ი.

მ ე ბ უ ა ე

ვლესს აქ რა უნდა? გაეთრიე, შე არამზადე!

გ ლ ე ხ ი

სასმელ-საჭმელს გთხოვთ, ბატონებო, რამ გაგაბრაზათ?
მეორე დღეა არაფერი არ მიჭამია.

მ ე ბ უ ა ე

მუდამ სმა-ჭამა აგონდება ამ იღამიანს.

უღანი (ჭიქით ხელში)
მაშ მშიერი ხარ, უსაუზმო? პა, შესვი, ძალო!
(მოჰყავს გლეხი კარვისაკენ. დანარჩენები გამოდიან ავანსცენაზე).

ვახმისტრი (მეზუქეს)
როგორ გგონია, — მეგობარო მოიწი ახლოს, —
დღეს რომ ხელფასი დაგვირიგეს ორმაგი ყველას,
მხოლოდ იმისთვის, — დრო ვატაროთ ჩვენ უზრუნველად?

მეზუქე
დღეს მობრძანდება აქ პერცოგის მეუღლე თვითონ,
თავის მშვენიერ ქალიშვილით.

ვახმისტრი
შენ ეგრე ფიქრობ?
პერცოგინია აქ არაფერ შუაში არის.
გადმოვიბიროთ უნდა ჩვენსკენ ახალი ჯარი
უცხო ქვეყნების, აწ პილზენის ჰიშკართან მდგარი,
კეთილი გულით, გემრიელი სასმელ-საჭმელით,
რომ ნახონ ჩვენი ყოფნა ლალი და სინატრელი,
დარჩნენ გულუხვი. მასპინძლობით კმაყოფილები,
გაგვიხდნენ მტკიცე მეგობრები და ძმობილები.

მეზუქე
დიახ, რაღაცას სხვას ფიქრობენ, ჩვენს შორის დარჩნენ,

ვახმისტრი
ჩვენი ბატონი გენერლები, მეთაურები...

მეზუქე
მა ცუდი სულაც არ იქნება, როგორც მე ვამჩნევ.

ვახმისტრი
ხედავ, შემოკრბენ საიდუმლო დანიშნულებით.
მეზუქე
დროს მოსაყლადად არ მოსულან, ნამდვილად მჯერა.

ვახმისტრი
ჩურჩული უდგათ, ასტეხიათ ქავილი ენის.

მეზუქე
დიახ, ეგრეა.

ვახმისტრი
და ეს ძველი ბარიკი ვენის
მეორე დღეა ირგვლივ დაძრწის, ბანაკსა ზვერაგს,
დაუყილია ოჭროს ძეწკვი, უცხო რამ ფერის,
ნაძღევს ჩამოვალ, კარგს არ ნიშნავს ეს ყველაფერი.

მეზუქე
მეძებარია ის ისეთი, — შეხედე მხოლოდ, —
რომ თვით პერცოგის კვალსაც, ალბათ, მიაგნებს ბოლოს.

ვახმისტრი
არ გვენდობიან, როგორცა ჩანს, ზომ დინახე?
დიდად უფრთხიან მთავარსარდლის იდუმალ სახეს.

მათ არასოდეს არ უნახავთ ამგვარი ძალა
და სურთ დამხონ, სურთ ძირს დასცენ ის ყირამალა.

მე ბუკე

მაგრამ ჩვენ მისი სალდათები, მე და თქვენ, ყველა,
თუ დაგვიტყობდა, წამს აღვდგებით მის დასაცველად.

ვახშის ტრი

ჩვენი პოლი და მასთან ოთხი სხვა პოლი კიდევ,
რომელთაც მართავს გრაფი ტერკი, პერცოვის ქვისლი,
მთელი ბანაქის დასაყრდენი კორპუსი მტკიცე,
თავგანწირვამდე ერთგული და მომხრეა მისი,
რადგან პერცოგმა შეიღებებით გაგვზარდა ყველა.
აგრეთვე მისი დანიშნული მეთაურები
მთავარსარდლისთვის სულსაც კი არ დაიშურებენ,
ოღონდ უბრძანოს, შესწირავენ სიცოცხლეს ხელად.

გამოსვლა მისამდე

ხორვატი ყელსაბამით. მსროლელი შემოჰყვება.
იგივენი.

მსროლელი

ეგ ყელსაბამი ვის ასწანე, ჭურღო ცბიერო?
მოდი დამითმე! უსარგებლო ნივთია შენთვის.
წყვეილი დამბაჩა მიიღე მის სამაგიეროდ.

ხორვატი

არა! შენ გინდა მომატყუო? დამეხსენ ერთი!

მსროლელი

ცოტაა? აჰა, ლურჯი ჭუდიც!.. რაღა ექნა მეტი?
ხელში ჩავიგდე ოსტატობით ცოტა ხნის წინათ,
ხედავ, მტკიცეა, ვერ გასცვითო წელი მრავალი.

ხორვატი

(მზეზე ათამაშებს ყელსაბამს)
ეს კი — ძვირფასი მარგალიტი, თვალმიმავალი,
უკჳირე, მზეზე რანაირად ციმციმებს, ბრწყინავს.

მსროლელი (ყელსაბამს გამოართმევს)

ჩემს მათარასაც დავისართებ, ძმაო, ამაში.
(ათვალისწინებს ყელსაბამს).
მე მზიბლავს მხოლოდ ძვირფას თვალთა ბრწყინვა-თამაში.

მე ბუკე

ხედავთ, მსროლელი ვით ატყუებს საბრალო ხორვატს?
სიტყვას არ დავძრავ, თუ ნახევარ მოგებას მომცემ.

ხორვატი (იხურავს ჭუდს).

მეც ძლიერ მომწონს შენი ჭუდი, მარტალი რომ ვთქვა.

მსროლელი (მე ბუკეს თვალს ჩაუჳრავს).

უკვე გავცვალეთ! ბატონებო, იყავით მოწყვე!

გამოსვლა მეოთხე

ი გ ი ვ ე ნ ი, თ ო ფ ჩ ი.

თ.ო.ფ.ჩ.ი (შემოდის ვახშისტრთან)
კარაბინერო, როგორ მიღის აწ ჩვენი საქმე?
როდემდის უნდა ცეცხლთან ვითბოთ ხელები ყველამ,
ძალმოცემული მტერი როცა გამოჩნდა ველად?

ვ ა ხ შ ი ს ტ რ ი

ძალიან ჩქარობს ჩვენი მტერი, ბატონო თოფჩი?
გზები ცუდია, აჩქარება რას არგებს ომში!

თ ო ფ ჩ ი

არა მგონია. თუმცა მშვიდად ვისვენებ აქ მე.
მაგრამ სასწრაფოდ მოფრენილმა შეიკრიკა ჩვენმა
შეგვატყობინა — როგენსბურგი აიღო მტერმა.

შ ე ბ უ კ ე

ოჰო! მამ ალბათ ამხედრება მოგვიწევს მალე.

ვ ა ხ შ ი ს ტ რ ი

ბავარიელის დასაცავად? დაფიქრდი კარგად:
უნდა დავეცვათ ჩვენ ჰერცოგის მძულვარე მტერი?
შეგვახურობენ ამისათვის, ძმობილო, მაგრად.

თ ო ფ ჩ ი

ეგრე გგონიათ? კარგად იცით თქვენ ყველაფერი!

გამოსვლა მესამე

* გ ი ვ ე ნ ი, ო რ ი ე გ ე რ ი. შემდეგ მარკიტანტი ქალი, ჯარისკაცთა
ბიჭები, ჯარისკაცთა სკოლის მასწავლებელი,
ოფიციალტი ქალი.

პ ი რ ვ ე ლ ი ე გ ე რ ი

შეხედე, ერთი,
რა მხიარულ ძმაბიჭებს შევხვდით!

შ ე ბ უ კ ე

ნეტავ ვიცოდე, ვინ არიან ეგ ყმაწვილები,
მწვანე ქურთუკით შემოსილნი, მოხდენილები?

ვ ა ხ შ ი ს ტ რ ი

ვინ და პოლკელი ეგერები; მაგათ, ძამია,
ვერცხლის სირმები ბაზარზე არ გაუტანიათ.

მ ა რ კ ი ტ ა ნ ტ ი ქ ა ლ ი (შემოაქვს ღვინო)

მივესალმები, ბატონებო, თქვენს მოზრჩანებს!

პ ი რ ვ ე ლ ი

ჰე საოცრებაჲ, ვინ იხილეს ჩემმა თვალებმა!
ეს ზომ ნამდვილად გუსტელია, ბლოზევიცელი.

მარკიტანტი ქალი

ღიახ, მუსიო, ის გახლავართ, დროზე მიცანით.
თქვენ ხომ ახმახი პეტერი ხართ, იცეოელი?
ჩვენს ბიჭებთან რომ დაამღერეთ მამის ფულები,
გახსოვთ გლუჟშტადტი და ის ღამე მხიარულების?

პირველი ეგერი

კალამი თოფზე რომ გავცვალე? იცით ყოველი?

მარკიტანტი ქალი

რაღა თქმა უნდა, ძველ ნაცნობთა ვართ ჩვენ სიაში.

პირველი ეგერი

და ისევ შეეხვდით აქ ერთმანეთს, ბოჰემიაში.

მარკიტანტი ქალი

დღეს აქ ვართ, ზვალ იქ, ჭარიშხალი საშინელ ომის
უხეში ცოცხით, ჩემი ძმაო, დაჰქრის ყველგანა
და ერთი მხრიდან მწოოფში ჯაღვეგვის ხოლმე;
მეც ამნაირად მოვიარე მთელი ქვეყანა.

პირველი ეგერი

მჯერა, ცხადია თავისთავად, თუნდ არც კი გეთქვათ.

მარკიტანტი ქალი

ტამესვარამდე მივალწიე აღალთან ერთად,
როცა მანფელდელს დღე აყარეს ჩვენებმა ცხელი,
ჩემი ვაჟრობით მაშინ კარგად მოვითბე ზელი.
შტრალზუნდისაყენ გავუეცე შემდეგ მთავარსარდალსა,
მაგრამ წამართვეს ყველაფერი, რაც კი გამაჩნდა.
მანტუაშიაც ვახლდი მე თან ინფანტერისა,
მაგრამ უმაღლე ჩამოეყვით უკან ფერისა,
შემდეგ ავიღე მე ესპანურ პოლკში პატენტი
და მასთან ერთად ვინახულე ქალაქი გენტი.
ახლა კი ბედი უნდა ვცადო ბოჰემიაში,
ძველ მოვალეებს მივავითხო, ვინც მყავს სიაში,
თუ კი ჰერცოგიც დამეხმარა... სხვა გზა არ არი,
აგერ იქვეა, სამზადისთან, ჩემი კარავიც.

პირველი ეგერი

ნუ გეშინიათ, არ დარჩებით ზელცარიელის
მაგრამ მითხარით, სად არის ის შოტლანდიელი,
თან რომ დაგდევდათ, მუდამ თქვენთან დაეთრეოდა?

მარკიტანტი ქალი

ის არამზადა! რა ვიცოდი, გამეძეოდა!
მომატყუა და გაიპარა. რაც მოვინაგრე,
სუყველაფერი თან წაიღო, დამტოვა აგრე.
თანაც დამიგდო გასაზრდელად ეს ყაჩაღანა.

ჯარისკაცის ბიჭი (შემორბის ბტუნვა-ბტუნვით)
დედიკო, ახლაც მამაჩემზე საუბრობ განა?

პირველი ეგერი
იმპერატორი გაგვივებდათ, მისი ვალია,
ყოველდღე უნდა მრავლდებოდეს ჩვენი არმია.

ჯარისკაცის სკოლის მასწავლებელი (შემოდის)
გასწით საეღლე სკოლისაკენ, ბიჭებო, ჩქარა!

პირველი ეგერი
მაგათ ხომ სკოლის გახსენება პირდაპირ ზარავთ.
ოფიციალტი ქალი (შემოდის)
დეიდა, წასვლას აპირებენ ჩვენი სტუმრები.

მარკიტანტი ქალი
ახლავე მოვალ!

პირველი ეგერი
ეგ გოგონა ვინ არის ნეტავ?

მარკიტანტი ქალი
ჩემი დისწული, იმყოფება ამჟამად ჩემთან.

პირველი ეგერი
აჰა! მამ შენი დისწულია, არ მეხუმრები?

(მარკიტანტი ქალი გადის).

მეორე ეგერი (გოგოს ხელსა სტაცებს)
დარჩით, გოგონავ, რას იჩქარით ეგრე ძალიან.

ოფიციალტი ქალი
გავუშვასიხდლდე უნდა სტუმრებს, არა მცალია.
(ხელიდან დაუსხლტება და გავა).

პირველი ეგერი
კიი გოგოა, გემრიელი ლუქმაა მეტად!
ხოლო დეიდა... გეგონებათ ამბავი ზღაპრის...
პოლკის ბიჭები გადვიწყით მოსიხსლე მტრებად,
მისი გულისთვის სულ ერთმანეთს ვამტვრევდით თავპირს!
ვის არ შეხედება ცხოვრებაში ადამიანი,
დრო კი მიფრინავს, ვით ისარი ელვისფრითიანი...
ვინ იცის, კიდევ რას შემამთხვევს სიცოცხლე სწრაფი!

(ვახშისტრსა და მეზუეს)
სალაში, ჩემო ბატონებო, გფარავდეთ ზეცა!
მცარე აღგილი აჟ, თქვენს შორის დაგვითმეთ ჩვენცა.

გამოსვლა მეექვსე

ეგერები. ვახმისტრი. მებუკე.

ვახმისტრი

გმადლობთ. კეთილი იყოს თქვენი აქ მობრძანება.
მივიწ-მოვიწვეთ, თქვენთვის სულაც არ გვენანება!

პირველი ეგერი

აქ თბილად სხედხართ. ეგერებს კი მტრის ქვეყანაში
ცხელი ღლე გვედგა.

მებუკე

არ გეტყობათ თქვენ ეს სრულებით,
ასე ლამაზად ჩაცმულნი ხართ და მორთულები.

ვახმისტრი

ღიახ, ზაალშიც, მაისენშიც ხალხის ძარცვაში
იყავით თურმე, არ გაქებენ იქ ძლიერ დიდად.

მეორე ეგერი

ზმა ჩაიწყვითე! აბა მაგას ამჟამად რითა?
სადაც ხორვატი, ჩემო ძმაო, დაადგამს ფეხსა,
რადს დაურჩენს, ერთი მითხარ, იქ რამეს სხვებსა!

მებუკე

რა კოხტად გადგათ ეგ შარვლები, რარიგად გშვენით,
სულთა მაქმანი საყელოზე ქათქათებს, ელავს,
ეგ პერანგები, ეგ ფრთიანი ქუდები თქვენი... —
ამათ ტარებას დიდ პატივად ჩასთვლიდა ყველა.
ამ სამოსს ბურშიც მიიჩნევდა ბედნიერებად
და ჩვენ კი არც ერთს ბედი ასე არ გვეფერება.

ვახმისტრი

სამაგიეროდ, ჩვენ პერცოგის პოლკელები ვართ,
უნდა პატივით, მოკრძალებით მოგვეპყრან სხვები.

პირველი ეგერი

არცთუ ჩვენა ვართ მსურველები სხვაგვარი ქების,
ჩვენც ზომ პერცოგის, მთავარსარდლის მებრძოლები ვართ.

ვახმისტრი

ღიახ, ეკუთვნით თქვენც აგრეთვე მის მთლიან მასას.

პირველი ეგერი

თქვენ კი ვილა ხართ? ნუთუ მართლა რჩეული რასა?
აქ განსხვავება მუნდირშია, ძმობილო, მხოლოდ,
მე კი ჩემსაშიც თავს კარგად ვგრძნობ, ბოლოს და ბოლოს.

ვახმისტრი

თქვენ უნდა მხოლოდ შეიცოდოთ, ბატონო ეგერი,
აქედან შორს ხართ, გლახებს შორის, და როგორც შეჰყვრს
კეთილშობილ ხალხს: ნახი კილო, მოქცევა სწორი,
ძალგების ვისწავლოთ სარდლის ახლოს, გენერალთ შორის.

პირველი ეგერი

ძალიან ცუდი გზით მიჰყვებართ მაგ გაკვეთილსა,
რაწამს პერცოვი დაახველებს და გადაჰფურთხავს,
წამსვე მიჰბაძავთ, გადაიღებთ მაგალითს ურცხვად;
მაგრამ გენიას, მისი სულის ძალას კეთილსა
პარადების დროს მის სახეზე ვერ წაიკითხავთ.

მეორე ეგერი

დასწყველოს ღმერთმა! ჩვენს შესახებ თუ ვინმეს ჰკითხავთ,
სადაც ვყოფილვართ, დავრჩენილვართ საკმაოდ დიდხანს, —
ვალენშტაინის ველურ ეგერთ გვეძახის ყველა —
და არასოდეს არც შევარცხვენთ ამოა ამ სახელს —
მივჭრით ყოველთვის შეუთავრად ტყეზე თუ ველად,
მეგობრისა თუ მტრის მხარეში, ყანას და ნაოეს
ფეხქვეშ დაივებთ ჩვენ მაშინვე, მსწრაფლ გადავთელავთ...
ჰოლკელ ეგერთა საყვირის ხმას წამს იცნობს ყველა!
გინდ შორს, გინდ ახლოს გრიგალივით გავჩნდებით წამსვე,
მოულოდნელად დავეცემით ვერაგ მტერს თავზე,
ვით ხანძრის ალი, ბნელი ღამით შეჭრილი სახლში,
როდესაც საფრთხეს არ ელიან და ყველას სძინავს, —
ვერაფერს შევლის ველარც ძალა. ვერც წყევლა მაშინ,
ველარც წესრიგი საიმედო და დისციპლინა.
იბრძვის გოგონა, ჩვენ კუნთმაგარ მკლავებში წვალობს,
ომმა არ იცის შებრალება, რად შევიბრალოთ?
იქნებ გგონიათ, კვეხნით ვამბობ? — იკითხეთ მაშინ
ვესტფალიაში, ბაირეტსა და ფოიგტლანდში.
სადაც კი მხოლოდ გავვივლია, დავვიდგამს ფეხი,
შვილებს მოუთხრობს ამ ბრძოლების მნახველი გლეხი,
შვილნი — შვილიშვილთ და თაობა შემდგომ თაობას
ეგერთა ამბებს, სისასტიკეს, გამბედაობას.

ვახშმის ტრი

ეგ ჩანს კიდევაც! ძარცვა-გლეჯა და გარყვნილება —
ნუთუ ეს არის მარტოოდენ სალდათის ეალი?
მისთვის სისწრაფე საჭიროა, მიხვედრილობა,
კეთა-გონება, სიმტკიცე და არწივის თვალი.

პირველი ეგერი

თავისუფლება სჭირდება მას ყველაზე მეტად!
ამაზეც კიდევ ნუთუ უნდა ვილაყბო თქვენთან?
განა იმისთვის გამოვექვეც მერხსა და სკოლას,
რომ წავწყდომოდი აქაც წვრთნასა, შიშსა და ძრწოლას?
მინდა ვიცხოვრო მხიარულად და უზრუნველად,
რომ გრიგალივით აწყვეტილი მოვქროდე ველად,
ბედნიერება მსწრაფლ შევიპყრო — აი, მე რა მსურს:
არც წინ გავიჭრე, არც წუხილით გავცქირო წარსულს,
მე იმპერატორს იმისათვის მივყიდე ტყავი,
რომ გულს არ ჰქონდეს საზრუნავი, წუხილი დიდი,
თუნდ ცეცხლს მიეცით უდარდელი ეგერის თავი,
თუნდ გადაგდეთ აღიდებულ რაინში იგი.
დე დაიღუპოს გინდ ყოველი მესამე კაცი,
ამგვარი რაზე უბრალოდ ვერ შემირჩევს წარბსაც —
დანარჩენზე კი უკაცრავად, ბატონო ვახშმის ტრი,
ნუ შემაწუხებთ, — აღგილიდან ვერ მიხამთ ძვრასა,

ვახშისტრი

შამ ისე? ნუთუ არაფერი აღარ გსურთ კიდე?
რა? შვრებით, როცა ფული სულ არ გიმძიმებთ ჯიბებს?

პირველი ეგერი

გვეც გვინახავს, განვიცადეთ სასტიკი ტანჯვა
გუსტავ შვედელთან, იმ ულმოხელ მტარვალთან მართლაც,
თავის ბანაყი მან აქცია სალოცავ ტაძრად,
ადგომისთანვე გასრულებდით ჩვენ ცისკრის ლოცვას,
შემდეგ — მწუხრისას, ბინდის ქამი დაჰკრავდა როცა,
თუ გაპბედავდი გახურებებს, რაიმეს კითხვას,
წამს დაგიწყებდა ჯაგლავიდან მოძღვრების კითხვას.

ვახშისტრი

ლიახ, ის დიდად ღვთისმოშიში იყო მხედარი.

პირველი ეგერი

თუ ქალიშვილთან მოგატანდა უბრალოდ გავლილს,
უნდა მაშინვე დაგეწერა გოგოზე ჯვარი.
ველარ გავძელი, ავითესე, ვიხსენი თავი.

ვახშისტრი

ახლა იქ თურმე სულ სხვაგვარი წესრიგი არის.

პირველი ეგერი

ეგრე ამბობენ. გადავედი ლიგისტთა ჯარში,
მაგდებურგისკენ მიდიოდენ ისინი მაშინ.
იქ სულ სხვაგვარი ლაპარაკი, წესრიგი დამხვდა,
სულ სხვა მოღზენა, სიხალვათე და გაქანება,
ღვინო და კარტი, გოგოები დასტა და დასტა,
მართალი რომ ვთქვა — კარგი იყო იქ დროს ტარება,
რადგანაც ტილი სხვა უფროსებს როდი მოგავდა,
კარგად ესმოდა მეთაურის ვალიც, უფლებაც,
თავის თავს მკაცრად ეპყრობოდა, სულ არ ზოგავდა,
ჯარისკაცებს კი აძლევდა დიდ თავისუფლებას,
ოღონდაც მისი საღაროსთვის არ ეხლოთ ხელი,
დევიზად ჰქონდა დარჩენილი ანდაზა ძველი:
„ხეირი ნახე თვითონაც და სხვაც ახეირე“.
მაგრამ ბედმა ჩვენც გვიღალატა, გულარზენებს,
როდესაც მტერმა ლაპყიგი გაანადგურა,
მასუან ჩვენთან გაჰირებამ დაისადგურა.
სულ მთლად აგვიგდო ომის შემდეგ ბედმა კვიმარმა,
რა საქმედ ვცადეთ, აღარც ერთმა არ გავვიმართლა.
თუ რომელიმე სოფელში კვლავ გამოვჩნდებოდით,
მეგობრულ სალამს და სიყვარულს აღარ ვხვდებოდით.
რა წამს ვიწყებდით კარზე კაკუნს გაუბედავად,
წამსვე დარბებს მასპინძელი მოგვიკეტავდა.
ერთი კუთხიდან მეორეში კარიდან კარზე,
უწინდელ პატივს მოკლებულნი დავძრწოდით ასე.
ბოლოს საქსები მივიჩნიე ხსნად და იმედად,
ვფიქრობდი, ბედი ახლა მაინც გამიღიმებდა.

ვახშისტრი

აღბათ მარჯვე დროს მიუხწარით ბოჰემურ ნადავლს,

პირველი ეგერი

რისი ნადავლი, მეგობარო, ვინ ჩივის მაგას!
სასტიკ წესრიგში ძველი ყოფა მიმაჩნდა ლზინად,
არ ვუხსურებდი თვითონ მტერსაც იმ დისციპლინას!
იმპერატორის სასახლესთან გუშავად დგომა,
საღმის ძლევა და ათასგვარი ცერემონია —
თითქოს ომია, მაგრამ როგორ მიიჩნევ ომად,
უცქერ შორიდან და მასხრობა რალაც გგონია:
ყველა ზოზინობს, ფიცხელ ბრძოლას, ომს ერიდება,
როგორ მოიხვევ მხედრულ პატივს, სახელს, დიდებას?
მოუთმენლობამ მყის შეიპყრო ჩემი გუნება
და ვაპირებდი სკოლის მერხთან კვლავ დაბრუნებას,
რომ ვალენშტაინს არ დაეწყო ჯარის შეკრება.
და თქვენთან ერთად განვიზრახე მეც ამხედრება.

ვახშმისტრი

რამდენ ხანს ფიქრობთ აქ დარჩენას?

პირველი ეგერი

თქვენ ხუმრობთ ალბათ!

სანამდე იგი გვეყოლება ჩვენ მთავარსაარღლად,
როგორ ვიფიქრებ, ბანაკიდან გავიქცე სადმე!
საღდათი სხვაგან სად იშოვის ჯამაგირს ასეთს?
აქ ყველაფერი ისე არის, ვით ომს სჩვევია,
ყველგან იგრძნობა სიუხვე და ხელგაშლილობა,
სული, რომელსაც მთელი ჯარი შეუჩხვევია,
ვით მისაფერი ქარის სიგიჟმაყე, აწყვეტილობა,
თვით უკანასკნელ მეომარსაც თან გაიყოლებს.
და მეც გაუყევი გაბედულად, არ დაეყოყნე,
რომ მოქალაქეთ გადვუარო ჰერცოგის მსგავსად.
ისე ვით იგი გადასცილდა თავადთა თავსა.
აქ სულ ისეა ყოველივე, ვით იყო წინათ,
როცა ყველაფრის ბედსა სწყვეტდა პირბასრი რკინა.
მაგრამ აშკარად ერთი ნაკლი იგრძნობა აქაც:
ბრძანების დროზე შესრულება არ უყვარს ლაშქარს.
აუკრძალავი საქმის ქმნისა ნება აქვს ყველას,
არვინ კითხულობს შენს საკუთარ ფიქრსა და რწმენას.
არსებობს მხოლოდ ორი ნივთი. ერთი შენია,
მეორე — არა, — მტკიცედ გწამდეს ეს ყოველ დროსა.
ჩემთვის კი მხოლოდ წმინდა არის ჰერცოგის დროშა.

ვახშმისტრი

ყოჩად, ეგერო! ეგ მსჯელობა, ეგ მეტყველება
ვალენშტაინის ნამდვილ მხედარს შეეფერება.

პირველი ეგერი

იმის მიხედვით არ იძლევა ბრძანებას იგი,
რასაც მოითხოვს ხარისხი და უფლება დიდი,
იმპერატორმა რომ უბოძა, ჯერ არნახული.
არა, არ არის იგი სულაც მისი მსახური.
რა სარგებლობა მოუტანა მან იმპერატორს?
საოცარია, დაეთანხმა ამაზე რატომ?
ხელთ რად ჩაუვლო ვალენშტაინს ამდენი ძალა?
ამის სანაცვლოდ, მისი მხარე თუ დაიცვა მან?

არა, პერცოგს სურს ჯარისკაცთა სამეფო შექმნას,
სურს, დაანგრეოს და გადაწვას ქვეყანა ცეცხლით,
დაიმორჩილოს ყველაფერი ჩაიგდოს ხელში.
და ომის ღმერთიც სარდალს ჩვენსას მოწყალებს ექმნა.

მეზუჟე

ჩუმაღ, ასეთი სიტყვების თქმას როგორა ბედავ?

პირველი ეგერი

რატომაც არა? ვიტყვი, რასაც ვფიქრობ და ვხედავ.
„თავისუფალი არის სიტყვა“, მან სთქვა, მგონია.

ვახშიტრი

დიახ, მეც მისგან ეგ რამდენჯერ გამიგონია.
„თავისუფალი არის სიტყვა, საქმე კი უხმო,
მორჩილება — ბრმა“. ეს თვითონ მას მრავალჯერ უთქვამს.

პირველი ეგერი

ეგ მან თვითონ თქვა, თუ სხვა ვინმემ, — კარგად არ ვიცი,
მაგრამ ეს კია, მართალია ნათქვამი მისი.

მეორე ეგერი

მას არასოდეს უღალატებს ბედნიერება,
ვით დანარჩენნი მოაღორა და გააწილა.
ტილლის სახელი დაევიწყდა ქვეყნიერებას,
მაგრამ პერცოგის ღრეშის ქვეშ კი, ვიცი ნამდვილად,
რომ გამარჯვება უმეველად ჩვენი იქნება,
რადგანაც ბედი დაჰყვა სარდლის ჯაღოჭრულ ნებას.
იმ მებრძოლს, ვინაც მის ლაშქარში მსახურობს, მარად
მფარველობს რაღაც საოცარი, მისწერი ძალა.
და ეს ხომ ახლა მთელმა ხალხმა აშკარად იცის,
ფრიდლანდს ეშმაკი მსახურად რომ აუყვანია...
მის ნება-სურვილს თურმე უხმოდ ასრულებს ისიც.

ვახშიტრი

დიახ, ნამდვილად მას მეგობრობს, კარგა ხანია.
ვით დამევიწყდეს ლიუცენის ბრძოლა ფიცხელი,
სადაც გულგრილი, უშიშარი თავდაფიცუებით
დაჰქროდა იგი, თვით სიკვდილსაც დაურიდალი
და ვერ აკრთობდა ტყვიის წვიმა, ცეცხლის გრიგალი.
მთლად დაეცხრილა თუმცა ტყვიებს ფრიდლანდის ქუდი,
ყუმბარის ნამსხვრეტთ დაეფლითათ ბეგთარი ტყავის,
არ ემჩნეოდა მას ნიშანი რაიმე ცუდი, —
ოდნავადაც ვერ გაეკაწრა სარდლისთვის კანი,
რადგანაც იცავს ჯოჯოხეთის მალამო შავი.

პირველი ეგერი

ეგ როგორ გჯერათ? — სასწაულოც ამასა ჰქვია!
აცვია მხოლოდ მას ბეგთარი ცხენ-ირმის ტყავის,
რომლის სისქესაც ვერ გაატანს ვერც ერთი ტყვია.

ვახშიტრი

არა, მალამო, ჯადოსნური ბალახისაგან
დამზადებული, შელოცვილი, მოქმედებს ალბათ.

მეზუკე

არ მოასწავებს პერცოვისთვის ეგ კაი ამბავს.

ვახშის ტრი

ლაპარაკობენ იმასაც, რომ სარდალი ჩვენი
თურმე კითხულობს ვარსკვლავებზე, რა ბედი გველის.
მაგრამ მე უფრო კარგად ვიცი, ეს როგორც არის.
ერთი მოხუცი, როცა ღვება სიბნელე ღამის,
შედის ყოველთვის ჩვენს სარდალთან იღუმალ კართ, ისმის
ღარაჯთა შეძახილი და ფეხის ჩქამი.
და რაწამს იგი, ბერეკაცი, აქ გამოჩნდება,
ვალენტინთან მუდამ დიდი ამბები ხდება.

მეორე ეგერი

დიახ. ნამდვილად მან სატანას მიჰყიდა სული.
ჩვენც ამიტომ გვაქვს ყოფნა ღალი და მზიარული.

გამოსვლა მიუვიდე

იგივენი. რეკრუტი. მოქალაქე დრაგუნო.

რეკრუტი

(გამოდის კარებიდან, თავზე თუნუქის ჩაჩქნითა და ხელში
ღვინიანი ბოთლით)

ჩემი სალამი ძვირფას მამას და მამის ძმასაც,
საღდათი გავხდი, ვერასოდეს ვიხილავ სახლსა.

პირველი ეგერი

ახალწვეული, ხედავთ, კიდევ მოუყვანიათ!

მოქალაქე

ფრანც, გამიგონე! არ ინანო მერე ძალიან.

რეკრუტი (მღერის)

დაფისა და ნალარის ხმა,
შეძახილი მეომართა,
ყოველ მწუხრზე, ყოველ სისხამს
ღვახარ ახალ ქვეყნის კართან.
მიგაქროლებს რაში მალი,
ბრძოლის ხმები გულს გიხარებს,
წელს გკიდია ბასრი ხმალი.
და კვლავ ახალ-ახალ მხარეს
ნიავევით მარდი ცხენით,
როგორც სწრაფი შევარდენი,
ტყეს და ბუჩქნარს გადაჰქელავ
და მიჰქრისარ გაშლილ ველად.
ვაშა! მივეყვები მე ფრიდლანდის უძლეველ დროშას!

მეორე ეგერი

კარგი არიფი, გულოვანი ყმაწვილი მოჩანს.

(ახალწვეულს მიეხალმებთან)

მოქალაქე

ჩამოვხსენით არის კი ოჯახის შვილი,

პირველი ეგერი

ჩვენ როდილა ვართ სალახანა, ქუჩაში ზრდილი,

მოქალაქე

მე გეუბნებით — ამ ყრმის მამა შემძლე კაცია,
შეხედეთ ხავერდს ქურთუკისას, რარიგ ნაზია,

მეზუკე

მე ეგ ქურთუკი სულ არაფრად არ მიმაჩნია.
მეფის ხიფთანი კი სულ სხვაა — ღირსება დიდი,

მოქალაქე

ქულის ფაბრიკას მამისაგან მიიღებს იგი.

მეორე ეგერი

ბედნიერია, ვინაც მისდევს თავის ნიჟსა,

მოქალაქე

ბეზიისგან კი — საწვრილმანო მალაზიასა.

პირველი ეგერი

ფუ მას, მაგეთი ხარა-ხურით ვინაცა ვაჭრობს,

მოქალაქე

ნათლია კი მას უანდერძებს ღვინის მარანსა —
ოც უზარმაზარ გავსებულ კასრს, სარდაფში ნაწყობს,

მეზუკე

ალბათ მიიწვევს დასაღევად ძმა-ბიჭს მრავალსა,

მეორე ეგერი

მაშ ჩემთან დარჩი, არ გამოგრჩე, ძმობილო, მაგ დროს,

მოქალაქე

ცრემლის მფრქვეველი დასტოვა მან იქ დანიშნული.

პირველი ეგერი

მერე რა უშავს, ჩანს ჰქონია ყრმას რკინის გული,

მოქალაქე

ბეზია კი სულს განუტევებს, წუხილით სავსე.

მეორე ეგერი

მით უკეთესი, მის ქონებას მიიღებს წამსვე.

გ ა ხ მ ი ს ტ რ ი

(დიდებული ნაბიჯით შოუაზლოვდება და რეკრეტს ჩაჩქანზე
ხელს დაადებს)

მისმინე, ყრბაო, მოქცეულხარ ძალზე ჭკვიანად,
ამერიიდან იქეც სულ სხვა ადამიანად.
ამ ჩაჩქნითა და ამ აშურებით, ამ საჭურველით,
პოვე წრე მართლაც ღირსეული და სასურველი,
ახლა შენ უნდა განმსჯელო მამაცი სულით.

პ ი რ ვ ე ლ ი ე გ ე რ ი

რაც მთავარია, არ დაზოგო არასდროს ფული.

გ ა ხ მ ი ს ტ რ ი

ფორტუნას გემზე გაბედულად აუშეი აფრა
და ყველაფერი მიგაჩნია მომხიბლავ ზღაპრად.
მთელი ქვეყანა შენს წინაა გაშლილი ფართოდ, —
ვინც ვერ გაპედვას, რას უშველის იმედი მარტო,
დე, მოქალაქემ სულელივით უაროს წრესა,
როგორც შეჭფერის სამღებროში გამბჟულსა ცხენსა,
ჯარისკაცი კი ყოველივეს მიაღწევს ეხლა,
რადგან ომია დღეს ყველაზე მთავარი ქვეყნად.
აქ შემომხედე, — თავის ქება არ მსურს სრულიად, —
ხიფთანიც, ჯოხიც თვით ხელმწიფის ბოძებულთა.
ქვეყნის წესრიგი, უნდა გქონდეს შენ გაგებული,
ამ ჯოხზე არის, ახალგაზრდავ, დამყარებული.
რა არის სკიპტრა მეფის ხელში, ბოლოს და ბოლოს,
თუ არა ჯოხი, მთელ ქვეყანას შიშს რომ ჰგვრის მხოლოდ?
ვინც კაპრალობას მიაღწია, იცოდე მერე
ველარაფერი იმის წინსვლას ვერ შეაჩერებს,
ფელდმარშლობისკენ გზა ხსნილი აქვს, ნამდვილად მჯერა.

პ ი რ ვ ე ლ ი ე გ ე რ ი

ოღონდ იცოდეს მარტოოდენ კითხვა და წერა.

გ ა ხ მ ი ს ტ რ ი

მაგალითისთვის, — ბევრი რომ არ გავაზვიადო, —
ერთი უბრალო ოფიცერის ამბავს გიამბობ.
იგი დრაგუნთა შეფი არის, ბუტლერი ჰქვია.
ჯერ კიდევ ჩვენ ამ ოცდაათი წლის წინათ ერთად
ვიდექით, როგორც თანაბარნი, რაინის კელნთან,
ახლა გენერალ-მაიორის მას ხარისხი აქვს
და ყოველივე ამას, იცი, რით მიაღწია?
გამბედაობით მოიხვეჭა სახელი ხელად
და ახლა უკვე მის შესახებ საუბრობს ყველა,
მე კი ბედმა არ გამიღიმა და ჩრდილში მდგარი
ველარ გავეცილდი საცოდავი კაპრალის ხარისხს.
თვითონ ფრიდლანდიც, უმაღლესი სარდალი ჩვენი,
ყველაფრის შემძლე მეთაური და მბრძანებელი,
რომლის სახელი ქვეყანაზე აწ ქუხს და გრგვინავს,
ერთი უბრალო აზნაური ყოფილა წინათ.
და ვინაიდან ომის ქალღმერთს დაუშეგობრდა,
მან მიაღწია ამგვარ პატივს, უდიდესობას.
ხელმწიფის შემდეგ იგი არის პირველი კაცი

და მომავალში რას მიიღწევს, ამის თავდებად
ვერვინ დადგება. (მზაკერელად) ვნახოთ, საქმე რით გათავდება.

პირველი ეგერი

დიახ, დიწყო პატარით და აწ დიდი გახდა,
ალტდორფში მისი სტუდენტობა მასსოვს მე ახლაც.
არ იწუხებდა წიგნის კითხვით ის დიდად თავსა,
დროს ატარებდა თავჰარიან სტუდენტის მსგავსად,
ერთხელ თავისი ამხანაგი კინალამ მოკლა
და ამის გამო ნიურნბერგის ციხეში მოხვლა,
რომელიც ახლად აგებული იყო და, ვინაც
მასში პირველი შევიდოდა, — დაეთქვათ ასე, —
იმ საპყრობილეს დაარქმევდნენ სწორედ მის სახელს.
რა უნდა ექნა? — გაიმძღვარა პუდელი წინა
და ამიტომაც ციხეს დღემდე საძალე პქვია.
ბიჭიც ის არის, ვინც ეს შესძლო და გააკეთა.
მის საქმეთაგან, რაც უქმნია ადრე თუ გვიან,
მე ეს ამბავი მომწონს, ძმავო, ყველაზე მეტად.
(ამასობაში მოახლე სუფრას გააწყობს. მეორე ეგერი.
მას გაეარშიყება)

დრატუნი (ჩადგება მათ შორის)
იქით, ძმობილო, ნუ გგონია აქ ღია კარი.

მეორე ეგერი

ჰო, შე ქოფაკო, ამ გოგოსთან შენ დამსწარი?

დრატუნი

მე გეუბნები, ეს გოგონა ჩემია-მეთქი.

პირველი ეგერი

მაშ გსურს ძვირფასი საგანძური ჩაბლუჯო შენთვის?
ფრთხილად, დრატუნი! შენს ქკუაზე, ჩანს ალარა ხარ,

მეორე ეგერი

ერთი უყურეთ, რა თივთიკის ბალში ნახა!
გოგო ამგვარი თვალწარმტაცი სილამაზისა
უნდა საერთო იყოს, როგორც ნათელი მზისა!
(პკოცნის)

დრატუნი (გამოგლეჯს ხელიდან)

კვლავ გეუბნები, ამგვარ რამეს მე ვერ მოვიტმენ.

პირველი ეგერი

წყნარად, გაჩუმდით! პრალელები უკვე მოვიდნენ!

მეორე ეგერი

ჩხუბი გწადიან? ნახე ჩემი გარტყმა და ძალა.

ვახშისტრი

კმარა, დამშვიდდით. ქალის კოცნა ვის აუტრძალავს!

გერმანულიდან თარგმნა ვახტანგ ბეწუაშვილმა.



აღმსარებელი გლოხი

სამაგიერი

თავი მეორე

შესავალი

I

შორეულ წლებში, მეფობდა როცა
გულებში სევდა და კაეშანი,
რუსეთის თავზე პოზედონოსცეს
ზარნაშოს შავი ფრთა გაეშალა.
სძლია ყოველი ფრთების აჩრდილმა,
დღეც გაქრა, ღამეც გაქრა მოძალე,
და მან რუსეთი წრით საოცარით
შემოხაზა და როგორც მაჩხიბმა
ისე შეხედა, ისე უსვენდა.
(ლამაზს უამბე კარგი ზღაპარი —
ჩაეძინოს და გახდეს ღაფალი)
ბურუსის შხამი იგრძნო რუსეთმა,
და მიაძინა ფიქრიც, მიზანიც,
ბნელი თვალები სევდას აწვევებს,
მოკიდებია მზე თეთრ ღაწვებზე —
და ძალა ერჩის მორჩილს მისანის,
ძალა ამო ხვიად ქცეული,
რკინის ხელების მიერ, უკლებლად,
და ცალი ხელით გუნდრუქს უკმევდა
გაბოროტებულ რუსეთს გრძნეული.
და საკმეველი იწვის ბოლომდი...
მოლურჯო ბოლი ადის მაღლა და
მეორე ხელით კაცი ბოროტი
მაუღქვეშ ცოცხალ სულს მარხავდა.

II

და პეტერბურგი დაუდევარი —
იმჟამად ბოდმას ვერ აქარებდა,

ციხისქვეშ ტალღებს მოაქანებდა
ზდინარე ნევა უკიდევანო,
და კურანტები ცხარედ ატირდნენ,
ელავდა ხიშტი, — იგივე ტოლები —
ტურფა ფრანტები და ბატონები
აქ კუნძულებზე დაფარუტებდნენ.
ცხენს შეხვედრისას ჭიხინს აყრიდა,
იგივე ცხენი, — ასეთ ურვაში,
თვალს ზევით და ტუჩებს მაღლიდან
უღიტინებდა შავი ულვაში.
მახსოვს, ოდესღაც თავდავიწყებით —
შენთან ვფრინავდი მე არხეინად,
მაგრამ ამაში რა ხეირია,
ბედნიერება აქ არ იწყება.

III

მაღე ღამეში თბილი მისის
ქალაქში ძილი გაბატონდება —
და ჰორიზონტი გაფართოვდება,
ვეება მთვარე სიდარბაისლით
გაშლილ ჰორიზონტს გადავინათებს,
შევმა ღრუბელმა ველარ გალაქოს,
შეუმჩნევლო ჩემო ქალაქო
უფსკრულის პირზე რად აღიმართე.
შენ გახსოვს ღამე, — ფიქრით დაღლილი
(სადაც ტალღები დიოდენ ზღვიდან, —
ზღვას უყურებდა სფინქსი რისხვითა) —
ვიდექი ხოლმე მე თავდახრილი.
და ზღვიდან, შორით ეგებ გესმოდა



ხმა საოცარი, ხმა საზარელი,
 ღმერთებისაგან რასაც არ ელი
 და მიწისათვის უცხო ესოდენ,
 შენი მზერანი, რაღაც განგებით,
 ვით ანგელოსის შორეთს გადიარს,
 ეს სიზმარია თუ სიცხადეა —
 ნევა რომ შეკრეს ფლოტის ფლანგებმა,
 რომ დგას ფრეგატის თავზე ამაყად
 დამფუძნებელი და თვითმპყრობელი,
 ბევრს, ბუჩანშია ახლა რომელიც,
 ეს ესიზმრება ალბათ ამალამ.
 რა სიზმრები გაქვს მაინც რუსეთო,
 გელის გრიგალს ყოველ ცისმარე,
 ესეც უნდა ვთქვათ ჩვენ უსათუოდ —
 არ ესიზმრება ყველას სიზმარი.
 არცერთ ფორაზე ხალხი არა ჩანს —
 რომელიც უნდა დაასახელო,
 (ჩქარობს მიჯნური გოგოს დარაჯი,
 აუწყევია მალლა საყელო).
 მომავლის შუქმა გამოანათა,
 შუქი მოედო ირგვლივ კბოდეცაც,
 უნდა გენახათ რხევა ალამთა —
 დილის არგესტი ატყდა როდესაც,
 და სისხლიანი და გაფანტული —
 აქ განთიადი გაიღვარებს,
 დაემუქრება ხალხებს არტურით,
 ცუსიმითა და ცხრა იანვარით.

თავი მესამე

„ყვავილთ შუაგზე“¹ მიწვა
 დაღლილი,
 აღარ კამათობს მამა ბებერი,
 ყინავს, ფიქვები ცვივა მალლიდან,
 შეიღს მიაქროლებს მატარებელი.
 ლიფლიფები და სქელი რელსები,
 სჯა ქარგონებით და საუბარი,
 და განთიადი შხამით ეცემა,
 ბოლონელების მოსჩანს უბანი.
 აქ შურისგება ყველგან იღვავა,
 და ყველაფერში ფეთქეს ძალიან,
 სქედს კოპერნიკი სამაგიეროს,
 მიშტერებია არეს ცარიელს.
 ვარშავის თავზე ხმები გაიჟრა

¹ქუჩა ვარშავაში (ბლოკის შენიშვნა).

შურისძიება — ველარ გვიხსნიან,
 ზის პანმარონი ბოროტ ტაივზე
 და აქლარუნებს დეზებს სისხლიანს.
 ჩამოთბა, ზეცა შუქს ვერ დამალავს
 და გაიღვავა ყვითლად მთვარემაიც,
 და შემოხაზეს ასე თამამად
 წრე მლიქვნელური პანის თვალებმა.
 მაგრამ ყოველი მწარე კაეშანს
 აქ აუვსია თავით ბოლომდე,
 მხოლოდ ევროპის დამპალ ღამეში
 ისევ ანათებს რელსი ფოლადის.
 მყრალი ვაგზალი, თოვლით მიღეჭილ
 სახლებს პატრონი არ ყავს არავინ,
 ვისლაზე ხიდო, როგორც დილეგი:
 მამას სენი კლავს დაუფარავად,
 გაანებივრა ბედმა, ხემადას —
 (ყამს გაქირებვის რომ არ მოცდებამ).
 მშვენიერ დღეზე მოსავს ოცნება
 და პურს დაეძებს მამა ქეაშიაც.
 და ამის ფასი რა დააშავა —
 შუქი ფარანის, სნეულს ამღენად,
 შესს განთიადდ რომ ელანდება —
 დაეიწყებულო მარად ვარშავა.
 რას ეხვეწება ნიავს ნეტავი,
 არ ეშველება სულში მოთოვილ,
 ქარმა გამშრალი მტვერი წახვეტა,
 თან წარიტანა მკენარი ფოთოლიც.
 და მიდის ღამე, მიაქვს შპორი და
 ყინვა, სურვილი, სიზმრად მიწურვილს,
 აქეთ სახელები ქუჩებს ბინძური, —
 „ყვავილთ შუაგიც“ მოჩანს შორიდან.
 საავადმყოფო ძილმა მიქანცა,
 საავადმყოფომ სუნთქვა გაკმიდა
 და იყურება მამა სარკმლიდან —
 მისჩერებია მამა ვილაცას.
 ვაჟი ხედავს და თვალს არ უჯერებს,
 თითქოს სხეული აღარც უზურდა,
 ყმაწვილკაცს პულის რაჟ გაუჩერა
 და ნორჩი სული რამ შეუხუთა.
 და ფიქრობს: მამა კვლავ ცოცხალია,
 მასთან კანონზე ილაპარაკებს,
 და იურისტებს ოდნავ არ აქებს,
 გააკრიტიკებს ყველას ძალიან.
 წუთის საქმეა — კარებს დაეძებს...
 და ყოველგვარი ფიქრის გარეშე —
 ზარი დარეკა... შედის კარებში,



კიბეზე არბის, ლამის დაეცეს.
კიბე კრიალე-ს, უკვე რამდენი
გადაიტანეს ჩქმეტა მუხლებმა,
და იფანტება შუქი სანთელის,
ყმაწვილს ბატონი წარბშეუხრელად
გადაელობა, — მერე რა უცებ —
შეკითხვა რა რიგ მკაცრად ესროლა:
— თქვენ ალბათ შეილი ხართ

პროფესორის?

— დიას,

— ის ხუთზე მოკვდა, გაუწყებთ.
იქნებ სიხარულს ეღირსებოდა,
რომ ეცოცხლა და კიდევ დაცლოდა,
ეპ, სწორი ცხვირი მამას საცოდავს
მოქცეული აქვს კეხისებურად.
ურვა და სევდა დაუპრობელი —
დე ამას იქით ფიქრი ნუ წავა,
გაყვითლებული გვამი მშობელის
ვიწრო ოთახში ეგდო უძრავად.
და ფიქრობს შეილი, ქირღვის გარეშე,
რომ მოისვენა მამამ მშობელმა,
და იყურება ღია კარბში,
(გვერდით ვიღაცა აღარ შორდება,
ზედავს სანთელის შუქი ეხება —
მიცვალეხულის სხეულს მითელილს,
და მოჩანს შუქზე სახე ყვითელი,
ვიწრო მხრები და ხმელი ფეხები.
ღამეო რისხვად გადაგვიარე,
სარკმელში ღამე ჩადგა დარაჯად),
შეილი ფიქრობდა
— საღ ჩანს, არა ჩანს,

სიკვდილი ზეიმს რად აგვიანებს.
მამას მშვიდი აქვს სახე ისე რომ
აღარც ეტყობა სევდა, ფიქრები,
სიკვდილმა მოსპო ყველა იქნება —
მიცვალეხულმა რომ მოისვენოს.
და იყო ყველა ოხვრით დაღლილი,
ველარც დაძლევენ შიშს ამ წამინდელს,
ნათესავეები უკვე წავიდნენ
და დარჩა შეილი გვამთან დახრილი.
ბეჭედს წააძრობს მამას უმალ და
იცის რა მიზნის გამოც ინება, —
მაგრამ აკლია გამოცდილება
და მკვდარს თითები ვერ გაუმართა).
და დაეხრინა მკერდზე მუხლებით,
ავაზაკური ფიქრი ახელებს,

ხედავს ჯიუტი და ქედუხრელი, —
ჩრდილები დაწვენ მამის სახეზე,
როცა ბეჭედი, ოხერტიალი,
წაძვრა თითიდან...

შეილი იჩქარის,
და გადასანა შუბლზე პირჯვარი —
დალი შენიშნა მოხეტიალის,
(რამაც მოხუცის სული გასრისა),
და გაუსწორა მამას ხელები,
გარეთ გავიდა წყნარი ხელებით,
„ღმერთმა გაცხონოს“ — უთხრა
გასვლისას.

გულს უცნაური ფიქრი ასკდება,
პანაშვიდები აღარ იღევა.
მაშინ უყვარდა მამა პირველად —
და შეიძლება უკანასკნელად.
და ლოცულობდნენ გაუთავებლად,
მკაცრი იერი სახეს გაცლოდა —
და ეხსენებოდა ფართო თვალები
და ეხრებოდა ცხვირი საცოდავს.
ტუჩებს ღიმილი შემოპარული
ამახინჯებს და ფერი ეღევა,
და გაიმარჯვა უხმოდ, ფარულად
გახრწნის და დაშლის მშვენიერებამ.
მან დაიფიქრა თითქოს ყოველი:
გულის ტყვილი, ღდენი გულცივი,
აწი არაფერს აღარ მოელის,
წევს და ყველაფერს ჩუმად უცინის.
სიტყვებს ამბობენ, შნო აქვს ამასაც,
თავს არ იზოგავს ხალხი მოწყალე,
და დალაგა ქალმა ღამაზად
მკვდარს ყვავილები მხრებზე ცოცხალი.
მერე ანაზად ხალხი მიცვდა —
და ტყვიით შეკრეს კუბო წყეული,
(გელარ წამოდგეს რათა მიწიდან),
გულეში სევდა გამომწყვდეულა,
გადააქარბა დარღმა მოლოდინს,
კუბო მიქონდათ ჩუმი ჩურჩულით,
იწურებოდა ღღი ურჯულთ,
შემოდრიოდა ღამე ბოროტი,
და ყინვამ გზები უკიბ მოლესა,
ხალხმა მოედნებს იქვით გახედა,
ჩანს სასაფლაო ველზე, რომელსაც
„თავისუფლება“ ჰქვია სახელად.
თავისუფლების ჰანგი გავლევებს —
თუ მესაფლავე საქმეს იწამებს,

წერაქვს დაარტყამს ყვითელ მიწაზე,
და ციხის კარებს როცა აღებენ,
როდესაც ჩვენთვის ვზრუნავთ

მარტოდენ —
ვართ უსაშველოდ როცა მკაცრები,
ცოლებს ვღალატობთ როცა კაცები,
როცა ცოლები ჩვენ გვღალატობენ.
და ვემუქრებით აქეთ მინისტრებს,
იქით კანონებს, გულით კეთილით,
როცა ოთახში ვართ ჩაქეტილი, —
დანაშაულზე მოწმეს ვინ ისწრებს.
და იდეალებს რომ მოვიშლიდეთ —
ეს კაპიტალის ფანდი იქნება,
ციდან დროდადრო ცვივა ფიფქები,
სასაფლაოზე სუფევს სიმშვიდე.
თავისუფლება აქ ვინ მონათლა,
დამარხეს მკედარი დაუზარებლად,
და განუწყვეტლად რეკენ ზარები,
ერთვის ჩხავილი შავთა ყორანთა,
ჩხავილი მწარე დაუსაბამო,
მოკვდა სიცოცხლე, — ყველას
ჯეროდა,

ცივ სამარეში ღრუბლის ჩეროდან
მზემაც ჩახედა მამას საბრალოს.
შვილმაც ჩახედა, ჩუმად ინატრა —
ეგებ ეპოვა რამე მაშინაც,
მაგრამ ელევა თვალში სინათლე
და ეხუთება სული საშინლად.
იყო ამინდის, ხალხის წყალობა,
თუ სიყვარული შვალის წყეული, —
ვით სამი წელი სამ დღეს წვალობდა
ეყინებოდა სისხლიც, სხეულიც.
ყმაწვილის სულში, (მამამ რატომღაც
მწარე ტკივილი რასაც გადასდო)
მოგონებანი მძიმე დატოვა,
ის არ იცნობდა მამას ჰრასდროს.
სხვადასხვა ქალაქს იყენენ, აწი ხომ
ცნობა სრულიად დაიფერთხება,
თუ შეზღებოდნენ — ისიც შემთხვევით,
(ეს საიდუმლო იქნებ არც იყო).
და დადიოდა შვილთან მანამდე
მამა მოხრილი, — როგორც სტუმარი,
სიტყვები დუნე და იღუმალი
გოლისსაყოველთაოდ ბოლმას მალავდნენ,
წამლავდა შვილის სურვილს
ყოველთვის

ავი აზრებით, შავი ნალევლით,
ფიქრებით (მუდამ გესლი რომ ერთვის),
ბევრის მომსწრე და ზევრის მნახველი,
შვილის ფიქრებიც და დაიჭვებაც
მამის ცბიერმა მზერამ ალაგმა,
ამოუხსნელ და უცხო ქარავმად
საუბარში რომ ხშირად იჭრება.
შვილს ახსოვს: კვამლში ბოლმა მოჩანდა,
თუთუნის კვამლში ბოლმა ტიალი,
თვითონ ცელქობას ველარ მორჩა და
ვერ გაათავა ჯერაც ტიალი,
ალარ დაოკდა ავის მსურველი,
ეშმაკი იყო, თუ წინ ვინ დახვდა,
რომ ქინძისთავით მამას იდაყვთან
ჩხვლეტს გაბედულად ბავშვი სულელი.
ეს თავხედობა მამას აოცებს,
ტკივა, იყვირა როგორც ნადირმა,
და ეს ყვირილი, თითქმის ნამდვილად,
ახლაც გაისმა სასაფლაოზე.
ბორცვს მესაფლავე ღონეს შეაღვეს.
შვილი უეცრად გონზე მოვიდა
მქენარი ფოთოლი ჩუმად შრილებს,
მიდამოს იკლებს ქალი გლოვითა,
არავინ იცნობს, იცნობს არავის,
ისმის ქვითინი გულშემშარავი.
ფარავს კუბასტი წარბებს მიზიდულს,
ეს სილამაზე არის მისი თუ
დამქენარ სახეზე ცრემლებს აწვეთებს;
მხოლოდ გლოვისთვის რატომ სცალია,
წამოვა ცრემლი დინჯად ძალიან,
ჩაისრიალებს ფერმკრთალ დაწვებზე.
იქნებ ეს იყო მაშინ, პირველად —
რომ არ მოშორდა კუბოს წამითაც,
ვერც კი შეხედეს ისე წავიდა,
გარშემო უცხო ხალხი ირევა,
ცოდვია მამა, აწი მეტადრე,
ადრე იგემა ბავშვმა ფლობერის
უკანაურობის მარად მფლობელი,
Education sentimentale¹.

მორჩა ლოცვები, ემახსოვრებათ
თოვლის ფიფქები როგორ გახშირდა,
შვილი წავიდა მამის სახლში და
უკან მივდიოთ, მამის ცხოვრებას

¹ მგერმონიარე აღზრდა (ფლობერის რომანის სათაური).

თვალი მოგავლოთ უკანასკნელად,
(იოეტი დუმდეს ქვეყნის წინაშე)
გახლართულია ღამე ნასკვებად,
სიცარიელე სუფევს ბინაში.
იზრდის ეძახდნენ, ვერ მოიშალეს,
უფლებაც ქონდათ, — იქნებ ასეა,
და ყველაფერში, უცხო ნიშანით,
ზედავს მწუხარე მაშის ხასიათს.
იყო დეკანი და პროფესორი,
და მეცნიერი ჯერ არ ნახული,
უბრალოდ ჭამა უყვარდა სწორედ
და არ ყოლია ერთი მსახურიც.
დარბოდა ხოლმე გზაში გვერდულად,
ვით დამშეული ძალი — სწრაფადაც,
და გაცვეთილი ეცვა ლაბადა,
ეპ, ბოლოს ბედი რად გადგემდურა.
ზედადნენ: როგორ ხშირად ჯდებოდა
წავთა განძელთა ვეება მთაზე;
იქ ისვენებდა ნაღველით საეცე,
წარსულს უაზროდ აშტერდებოდა.
„არარაობად აქცია“ იმან
ამ ცხოვრებაში რასაც ფასი აქვს;
მისი უმზეო, საწყლური ბინა
მობუზულიყო მცევან კაცივით.
ძველ ავეჯსა და მიმოყრილ წიგნებს
ეყარა მუქი მტვერი ფენებად;
ქურქმთხურული ერთვოდა ფიჭვებს,
პერეტდა ცივ ღუმელს და გათენებას.
ის აგროვებდა ყველაფერს ბოლოს —
და ინახავდა სათუთად ცალკე,
ქსოვილის ხაჭერს, ქაღალდის ნაგლეჯს,
კალამს, პურის ქერქს, ფურცელს და
კოლოფს,
მშობლებისა და ქალის წერილებს,
გოტოსურათებს, ბინძურ თეთრეულს,
იმასაც, თქვენთვის რაც სულერთია
და ჰოემაშიც არ მიწერია.
მიმქრალი შუქი ვარშავის უცებ
ეღინებოდა ყვითელ სახატეს,
უწყებებსა და საქმის ქაღალდებს
და „სახარების“ გაცრეცილ ფურცლებს.
ყოფნას მიუზღო სამავიერო
და გაუსწორა ანგარიშები,
ახალგაზრდული ცეცხლი ძლიერი
დაჰვმო, ჩაიჭრო მან გაგიყებით.
ოდესღაც მძლავრმა და რადიკალმა,

მისუსტებულმა ახლა ფაუსტმა,
უკვე იცხოვრა, გადაიღალა
და დაივიწყა ყოფნაც თავისი...
მას აღარ სწევდა წვით წინანდელით, —
სულს უკვამლებდა ცხოვრება ახლა;
„თავისუფლება“ და „ებრაელი“
მისთვის ტოლფასი სიტყვები გახდა.
მხოლოდ მუსიკით უნათდებოდა
დამძიმებული სული და ტვინი,
ხარობდა, წელში იმართებოდა
და ალტაცებით იკლავდა ტკივილს.
ჯადოსნურ ძალით საკრავი ჟღერდა
და აღვიძებდა პანგებში მწველად:
ვნებებისა და მოწყენის წყევლას,
სირცხვილს, დალუპვას და სევდას —
ერთად.

ბოლოს, საწყალი ფილტვების დაწვას —
ქლექს დაემონა — სენს არგაგონილს
და სამკურნალოდ წაეიდა, დაწვა
თანამედროვე ეს პარაგონი.
ცხოვრობდა მამა დაეიწყებული
თავის თავისგან, ღვთისგან, ხალხისგან,
და ეგდო როგორც ძალღი წყეული
მსხვერპლი ქალაქის მღვრიე ტალღისა,
და თვითონ მამამ კარგად იცოდა —
ის მწველი ძალა სულ სხვა წუთების
და დახუთული სულის კუთხეში,
ვით მოწყენილი მარადისობა,
ვილაც გენია შეეპრებოდა...
და ნერვიული თითებით შუმანს
სულს უღვიძებდა ავბედი ჩუმად,
და ზურგში მაინც სიცივეს გრძნობდა.
იქნებ ცოცხლობდა იღუმალებით
მისი ბრმა სულის ლაბირინთებში —
ხსოვნა ჩამქრალი დიდი თვალების
და მთის არწივის დაღეწილ ფრთების.
უცნაურია იგი სხვებს არ ჰგავს.
ვის სულსაც ამღვრევს ხსოვნა ამგვარი
უკვე პოეტის ცხოვრებას ჰქარავს
მარადისობის ჩუმი კანკალი.
ხან მუხჯი არის, ხან ყრუ, ხანაც ბრმა
და ღმერთი ცოცხლობს მის არსებაში,
იგი ღმერთის სუნთქვამ დანაცრა,
მასთან ვრუბელი ჩანს როგორც ბავშვი.
უუერცესია მისი ფიჭვები,
მაგრამ წყვედიადის აწევს წამება,

ცივი სიზმრებით, მკაცრი სიზმრებით
„ვინ ჰქვია“ მას ეზმანება.
მწარე საწუთროს ბურუსში მწოლი —
და წალეკილი თავხედურ ძალით,
ვით ანგელოსი, ფრთებს ჰკეცავს
წყრომით
და სირცხვილს ჰკარგავს, ვით ქუჩის
ქალი.

და დღეს გენია ხალხის, იქნება
ალარც ეშველოს ჩაქრეს სწრაფად თუ,
ველარ აფხიზლებს დაღლილს ფიქრებით
ხალხს უბედურს და ველად
დაფანტულს.

რენეგატ შვილზე დედა საწყალი —
ტირის, ღამეებს თეთრად ათენებს,
მამა ნიადაგ ვერაგებს წყევლის,
(მოხუცებს ან კი რას წაართმევს).
შვილმა მამული გასცა — ვის აქებს?
— მტერთან ერთობა ღვინით, ქალებით,
ეხეთქებიან სარკმელს ქარები,
მოუწოდებენ ცხოვრებისაკენ.

ვარშავა, ჰირში ვერ შეგეცილონ,
დარდით მრავალჯერ შეიშუსრები,
გაიძულდები ურცხვი რუსები —
ბურუსში თვლიდნენ, მარად გეძინოს.
და რა მიზანით და რა სახელით
აქ იატაკის ქვეშ იმალება
ცხოვრება, რაიც ნახეს თვალებმა,
და მკანარების დღეს სასახლენი.
და რისი უნდა იყოს ნიშანი,
რომ პანმაროზი ფრინავს ჰაერში,
სახელოები დაბლა დაეშვა —
ატყდება ზუქი და ქარიშხალი.
ცხენი ჭიხვინით შეხვდა დაფიონს
და მაკოთულების ჟღერაც მზად არი,
პანმა მოზიდა მკაცრად სადავე,
ფლოქვების დარტყმას თუჯი მკაფიოდ
გაიმეორებს — ჩვენ ვართ მნახველი,
და აღარ უჩანს ბოლო მოლოდინს,
დღეს თავდახრილი პანი ბოროტი
და იგუდება ჩუმი ნალევლით.
ვარშავის თავზე ხმები გაიჭრა —
„შურისძიება! ვეღარ გვიხსნიან,
ზის პანმაროზი ბოროტ ტაიჭზე
და აედარუნებს დეზებს სისხლიანს.


ჯერ ანათებენ კაფე-ბარები,
ახლა ქვეყანა ვაჭრობს სხეულით,
ცხოვრება არის ტროტუარებზე.
შუკებში მხოლოდ ღამე წყველი.
იქ ბუქს და ღამეს რა შეაჩვენებს?
ცამ შეგვიცოდა — თოვლი უმანკო —
ტანჯულებს გული რომ გაუმგაროს,
ცხოვრების ხმაურს ახშობს, აჩერებს.
თვალო, თვალო და ველარ დათვალო,
მარადისობით ყველას გვახარებს,
იგი ფიფქები შენც მოგნახვენ,
შენ, ჩემო გმირო ცამდე მართალო.
ჯერ დარდი გაწევს გულზე ოფლიანს
ახლა დამარხე მამა მშობელი,
დაეხეტები ხალხში, რომელიც
ავსრაცია და ავადმყოფია.
ალარც გრძნობა და ალარც აზრები,
თვალოთ გუგები როგორ დაბნელდა,
ხეტილისგან გულიც დაბერდა,
მოდის და ბედს ნუ გაუბრაზდები.
აი, ფარანის მკრთალი შუქი და
გამოჩნდა ქუჩის სიგრძე — განივი,
და მლიქვნელურად ბნელი შუკიდან
გამოცოცდება ვიღაც ქალივით.
გულს შემოაწვა სევდა, სიმწარე,
კვლავ კეშანი, კვლავ გახელება,
თითქოს შებოქვს მძიმე ხელებმა
და დაჰყლიტეს უცებ მიწაზე.
ვიღაცა ახლავს, მარტო როდია...
და აჩრდილები მალე უბართა
მთასთან მოდიან, ცოცვით მოდიან,
აქეთ — „კრაკოვის გარეუბანთან“.
(ვისლავა ბუქი აღარ ისვენებს)
საფარს დაეძებს, დარდს ვერ იცილებს,
კრიჭა შეუკრა საწყალს სიცივემ,
შემოტრიალდა უკან ისევ.
მძიმე ფიქრებმა ისევ შეთოკეს,
კვლავ კოპერნიკის სფეროს მნახველი,
(მეგობარი თუ დიდი მეტოქე
გვერდით მიჰყვება შავი ნალევლი).
და მოუხვიეს მარჯვნივ ფეხებმა,
თვალოთ სინათლე რაღამ დაცალა,
მართლმადიდებლურ ტაძარს შეხედა,
(ვიღაც ცნობილმა ქურდმა ტაძარი
აშენა, მაგრამ ვერ ააშენა),
და ჩემი გმირის არ ჩანს საშველი.

ჩქარობს... იღლება, შიში აიტანს,
მიდის ბედში, საით, საიდან?
ველარ დაძლია შიში, კანკალი,
(და დარდისაგან სისხლი გამშრალა,
აწამებს ყინვა, კაცმა მამვრალმა,
როგორ გაიგნოს თოვლში გზაკვალი).
ოცნებამ ჭრთები ველარ გაშალა,
არც მიზანი და არც ჩამუხლება,
ქალაქს სიწყნარე როგორ უხდება;
ჩაეძინება თოვლში ვარშავას.
საღლა წავიდეს, რა ქნას არ იცის,
მოხეტიალეს აღრჩობს ვარამი,
მწე და მშველელი არ ჩანს არავინ.
და შუალამეს მარტო განიცდის.
წყვედიადო მარად დაიძრახები,
რა მოხდა ეულს რომ გაუცინო,
არ გეცოდება, შენ ხარ გულცივი,
დაბრმავებული ვით ეს სახლები.
თოვს, მოედანი გაუჩინარდა,
გამოღარება გახდა ზღაპარი,
სხეულს უოშილს თოვლი დაფარავს
და გაზაფხულზე წავა მდინარედ.
გმირმა მიდამოს ბოდეა მოჰფინა,
გზა გადაიქცა მართლაც კატორღად,
თოვლს ერთი კვალი მისდევს—
| რატომღაც
ისე ჩანს თითქოს ორნი ყოფილან.
და უცნაური ხმები აშინებს,
ყურებს უცნობი ხმები ესევა,
ნახა საქსონის დიდი მესერი
და მიეყუდა ღინჯად მაშინვე.
როცა გაგდევნონ, როცა გაგწირონ,
ნალველი გულში დაიგუბე შენ,

როცა ყველაფერს ძინავს კუბოში,
რაც გიტაცებდა წინათ, ყმაწვილო.
გზა უდაბური როცა გაწამებს,
სახლში ბრუნდები როცა სნეული
და უიმედოს გტყავს სხეული,
ჭირხლი ამძიმებს როცა წამწამებს.
წამით შეჩერდი, მ-შინ მოგელის —
რომ უკუნეთში, ბნელში ესოდენ, —
სულ სხვა ცხოვრების ჰანგი გესმოდეს,
ვერ შეიცანი დღისით რომელიც.
გახედავ ქუჩებს თოვლით გათელილს
და ბოლს კოცონის, ცამდე გაფრენილს
და თეთრ ბალებში ღამეს გაფენილს,
რომ ელოდება მოსვლას ნათელის.
ცა წიგნებს შორის წიგნი ნახო და
ცარიელ სულში როცა ჩახედავ
ისევ იპოვი დედის სახებას,
მაშინ იხილავ უფრო ახლოდან
ყინვით მოხატულ მინას ფარანის,
და ცივ სიყვარულს დღენი ეთვლება
და ყველაფერი წამოენთება
შენს კეთილ გულში დაუფარავად.
მაშინ ყველაფერს ლოცვით ფარავდე,
ცნობ—ვიდრე ბრანდის *satis quantum*¹
დიდ არს ცხოვრება. ქვეყანა არ ღუმს,
და ღამაზია როგორც მარადის.

¹ „მთელი ძალით“ (ლათინური) იბსენის ამავე სახელწოდების დრამის გმირის — ბრანდის ლოზუნგი.

თარგმნა ფილიპე ბერიძემ



ნიკა აბიაშვილი

კაბუშები ღარჩნე მარად!

V

ახლა, როცა რუსთაველის პროსპექტს დავადგები და აღევსაანდრე ჭავჭავაძის ქუჩის თავში აწვილილ იმ „ჩვენს“ ბორჯღალა ჰაღარს გავუვლი, ყოველთვის თვალწინ დამიდგება ის დღე და ის საათი, უკანასკნელად რომ დავშორდი ლადოს.

მას უკვე უმძიმდა მთაწმინდაზე ასვლა, მაგრამ „უმისოდ ვერ ვძლებო“, ამბობდა. 1942 წლის ივნისის ერთ ჩვეულებრივ დღეს კი შემომჩინდა. და არ მომასვენა, თუ კაცი ხარ, წამოიყვები, ერთხელ კიდევ ავიდეთო. ჩვენც ჩვეულებრივად „ავმაღლდით“ ფუნიკულორით.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი ასვლა მამადავითზე. ფუნიკულორის სადგურამდე ზღაზნით აღიოდა ლადო აღმართში და მძიმე-მძიმედ აქონდა ზორბა ტანი. შემდეგ თითოთოროლა მგზავრიათი ვაგონი გრიალგრილათ აეშვა ზევით და თბილისი კი დაქანდა საღღაც, დაბლა. მთელმა ქალაქმა უცხად იწყო გაფართოება, ხოლო სახლები თანდათან პატარავდებოდა და ფერმკრთალდებოდა ბავშვობის მოგონებებით.

დღიდანვე ცხელი დღე იყო და ახლა მთაწმინდაზე იდგა მზიანი და მშვიდი, ძალზე მშვიდი ღარი. ხოლო არც ისე შორს, მთებს გადაღმა, იყო სასტიკი ომი, საშინელი ზოცვა-ჟღერა და მტერი ზოცვა-ჟღერითვე უახლოვდებოდა კავკასიონს. ერთი წელი სრულდებოდა სამამულო ომის დაწყებიდან. იმ ზამთარში გერმანელმა ფაშისტებმა უკვე იკემეს არწახელი დამარცხება მოსკოვის კარებთან, შემდეგ ყოველდღე მოდიოდა ოდესისა და სევასტოპოლის გვირუკი და ცეცის ცნობები... ქერჩის ამბებიც დამთავრებულ იყო და იქ მეტრძოლ ამხანაგთა შესახებ კი ჯერ გარკვეულად არაფერი ისმოდა...

როცა რესტორნის ვერანდაზე ჩალის სკამებში ჩავსხდით და გადავხედეთ ნაშუადღევის მზით გაანთებულ თბილისს, ზედახის მხრიდან წამოვიდა სეტყვის უხარმხარი შავი ღრუბელი, უცხად მოედო და მოგრაგნა იალნოს მთები. შემდეგ ელვა-ჭექითა და გრუხუნით მოხედა დიდუბისა და ღრმა-ღელის მისადგომებთან და „ბომბავდა“ ქალაქის მტკვარგალმა ნაწილს, გამოიშვა გამოსვლა კი ვერ „გაბედა“, გვერდელად წამოვიდა მახათას მოტეხილ თხემებს, გადაინაცვლა სამგორისაკენ — გარეჯის მთებთან, და ახლა იქიდან მოისმოდა გრუხუნო და ლურჯ-წითლად თართალეზდა ზეცა...

ჩვენს მხარეზე კი სრული სიმშვიდე სუფევდა. წვიმა ძლივს აღწევდა მთაწმინდის კალთებამდე, რამდენიმე მსხვილი წვეთი დეცა პარკში და აახმაურა ნორჩი ცაცხვების ხეშოვან. სეტყვის ღრუბელიც ზემოდან ისე ჩანდა, თითქმის შავი მუცლით ეხატუნებოდა სახლის სასტრავებს და ზურგი მზით ჰქონდა მოოჭრეოვით.

კარგახანს ვისხდით, ვერანდაზე — მკედრის მზით განათებული, და თავზე გავდგა მოსარკალეზული ცა. შემდეგ ცისარტყელას ნაირფერადი ორტოტა რკალი გარდიგარდმო გადაევლო თავზე მიულ ქალაქს და საღღაც მღაშე ტბების მიდამოებში დააბჯინა ცალი ფეხი.

— აღამიანი უნდა მოკვდეს უეცრად, ასეთი მეხთატების დროს, ანდა ვეცაცურ ბრძოლაში, მტრის ტყვიით გულგანგმირული, — რაღაც მწუხარე ხმით ჩაილაპარაკა ლადომ. — მიდის ის ქარში, საშინელ ღვართაფში, უცხად ატყდება ელვა-ჭექა, სეტყვა... დაეცემა მუხი და გააგორებს მოულოდნელად. ეს იქნება ბედნიერება... თორემ, ჩემსავით ხომ არ უნდა ელოდოს და უცადოს სიკვდილს... — ამბობდა ამას, ისევამდა ხელს კეთხოვან ფართო შუბლზე, ისრესდა თხელ-თხელ საფეთქლებს, პირწმინდად გაპარსულ უშუღვაშო გადარტყილ სახეს და რ.დ.ნავ

დამცინავი, ჰკვიანი თვლებით გაჰყურებდა, თუ როგორ გაქრა ის ცისარტყელა და როგორ ჩაი-
შალა მთების გაღალმა მზე.

სითეთრე დღისა თოვლებზე დნებოდა...

მალე ჩამოხვდნენ საშინლად. მთვარე ჯერ არ იყო ამოსული, დარჩა მარტო ცა და მო-
კიფე ვარსკვლავები დაგვიტყუებდნენ სუფთა და ნათელი თვლებით. მოპირდაპირე მხარეს
კი კვლავ უსაშველოდ ელავდა და ელავდა, და იმ ელვის იალ-კიალზე ფერი მისდრიდათ ჩვენს
თავზე ანთებულ ვარსკვლავებს...

— ამ დღეებში დაემათავერ „ანა კარენინა“, — თითქოს რაღაც უადგილოდ დაიწყო ლა-
დომ. — ნეტავი მართლა თუ იყო ისე ჯადოსნურად მომხიბვლელი ქალი ამ ქვეყნად, როგორც
ტოლსტოის ჰყავს დახატული ანა? როგორი იყო იგი თვალად, ტანად? ზომ დაწერილზეთაა
აღწერილი, მაგრამ, ასე მგონია, უფრო უკეთესი იქნებოდა. აბა გახედე გალმა მხარეს. გრუ-
ბუხის ზეა ოდნავ აღწევს ჩვენამდე, მაგრამ ხედავ? ზეცის მთელ იმ ნაწილში და აქაც, ჩვენს
მხარეზე, როგორ ერთი სულის შებერვით აქრობს და ისევ აღანთებს ვარსკვლავებს ეს განუ-
წყვეტელი ელვა? ზომ ჰგავს ეს სურათი „ანა კარენინას“ ბოლო ნაწილში აღწერილს? შინ
რომ მიხვდები, აუცილებლად წაიკითხე, და თუ ვტყუოდა...

და ახლა მართლაც ყველაფერი თითქმის ისე იყო, როგორც იმ რომანში წერია, მე-მ ნაწი-
ლის XIX თავში:

„უკვე სავესებით ჩამოხვდნენ და სამხრეთით, საითაც იყურებოდა ახლა ლეონი, ღრუბლის
ნახაზი კი არ ჩანდა. ღრუბლები ახლა მოპირდაპირე მხარეს მოგროვილიყო. სწორედ იქი-
დან გამოიცილებოდა ელვა და ოდნავ ისმოდა შორეული ქუხილის გუგუნი. ლეონი აუბრ-
უნებდა, თუ როგორ თანაბრად ეცემოდა ცაცხვებიდან ჩამონახვნი წვიმის წვეთები ბაღში
და შესტყუროდა მისთვის ნაცნობ ვარსკვლავთა სამკუთხედს, რომელსაც შუა განუფრთხი ირმის
ნახტომი თავისი განმტოვებით. ყოველ გაუგებებაზე არამც თუ ეს ირმის ნახტომი, მოკაშ-
კაში ვარსკვლავებიც კი უჩინარდებოდა. მაგრამ როგორც კი ელვა ჩაქრებოდა, თითქმის ვილა-
ცის მარჯვენა ხელით მიმოფანტული ვარსკვლავები ისევ იმავე ადგილას აციმციმდებოდა“.

VI

ასე დავყურებდით მთლად ჩანებულ თბილისს და გაიხსენეთ, ორიოდე წლის წინათ
რომ ვისტყობდით აქ. მაშინ დიდი სიციხისაგან, ცეცხლშენებელი საარყე ქვაბივით თუ სა-
კირკსავით დღვდა და ქოთქოთებდა ჩვენს ქვემოთ გაჩირღდნებული ქალაქი — ეს გადმოხრუ-
ნებული ვარსკვლავებიანი ცა.

რას ვადარებდით მოველარე ლამელ თბილისს? — ხან ერთსა და ხან მეორეს, მაგრამ
ყველაფერი უკვე ათასჯერ იყო თქმული და გაგონილი... ვამჯობინეთ ის, რაც ყველაასათვის
ცნობილი იყო: ისევ ზეცა, და მერე — როგორი?

— სამყაროსათვისა ჩვენი საყვარელი თბილისი, — მითხრა მაშინ ლადომ. — აბა, გადახედე
თავიდან ბოლომდე: თითქოს არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული ამ ლამესი. რა გორ
ფინილებივით ანთებულან და კაშკაშებენ დიდი და მცირე ლამპიონები — ნამდვილი ზო-
ლიაქები თუ ცთომილები; ნათურების ანარეკლით დაწინაწული მტკვარი ირმის ნახტომია,
ბოლოში ორ ტოტად გაუფიქლო; ელექტროშუქით გასხივივსებული რკინიგზისა და ტრაქტის
ლიანდაგები, პროსპექტები და ქუჩები — ვარსკვლავალანერათა სავალი გზები და ორბი-
ტები; ეს სწრაფმსროლი მანქანები და ვაგონები კი მეტეორებია, დროდადრო რომ გადაის-
რიალებენ უსასრულო სივრცეში. აგერ კომეტაც! — წამოიძახა მან და მიართია ერთ დიდ
ლამპიონს, მართლაც პროექტორივით რომ აფრქვევდა ნათელის მხარეს მონისლულ კუ-
დიან შუქს. — სწორედ რომ ვარსკვლავთსამყაროა, — ამბობდა იგი და განაგრძობდა:

— ასეთი ამბავი ვნახე მაშინ, ვეგონი რომ ვიყავი. იქაც ასე იყო: ვარსკვლავები ზემოთ,
ვარსკვლავები ქვემოთ... ცეცხლის ზოლივით მიუყვებოდა აღაზნის ველს სინათლე...

ამბობდა და თან უსმენდა დები იშხნელების სიმღერას, იქვე, რეპროდუქტორში რომ
აქანკალებდნენ ხმას.

— ნეტავი დიდხანს, დიდხანს გაგრძელდეს ეს „მორბის არაგვი, არაგვინი“, — წამოიძახა
მან და მერე შეწუხდა: ძალიან მალე დამთავრდაო. — რა კარგია ჩვენი სიმღერები: „მეშვი
კაკაბი“, „ფერად შინდი“, „ჩაქრულო“, სულ მინდა ვისმინო, არასოდეს არ მომწყინდება!

VII

ცოტა ხნის მერე ბორბალივით ამოგორდა დავახმებულ მთვარე. განათდა გაღმა-გა-
მოღმა მთავარები, თბილისი კი იყო ისევ ბნელსა და ჩრდილში ჩაძირული. იქ ჯერ ვერ აღ-
წევდა მთვარის შუქი და ახლა ამ ღამეში ეს ჩახახხა ცის თავიანი გვეგონა თავზე გადმოცხობი-
ლი წინანდელი ეარსკვლავთსამყარო — თბილისი, თავისი ელვარე ლამპიონებით. ხოლო ნამ-
დგალი შენიღბული ქალაქი — მორატულულ-მოქურტულზელ ზეცასავით იყო ჩაბურთული.

ქვემოთ, სიბნელეში გავესაფდა და გავესაფდა ხანდახან, ოდნავ გაივლებდა სადღაც. გა-
ჩნდებოდა, გაბრწყინდებოდა პატარა ნაპერწყალი და უმაღლ ჩაქრებოდა. ეს, ალბათ, ტრამვაის
ბიუველი მოედებოდა რაიმეს მოსახვევებსა და გადასასვლელებზე, ანდა იქნებ უნებურად
ასანთს გაკრავდა ვინმე...

ლადომ პაპიროსის კოლოფი ამოიღო. მაგრამ აღარ დავანებე, — ხშირად წველა თამ-
ბაქოს. ერთხელ რედაქციაში შეველაპარაკე. პაპიროსები ამოყარა კოლოფიდან და შავი ჩა-
წერა: „შეწყდეს და აღიკვეთოს... ამერიკიდან ლადო ასათიანი აღარ მოსწევს. ვიყო წაუღლი
აწდა მარადის, თუ კიდევ მოვკილო ხელი. არა და არა!“ ასეთი იყო პირობისა და ფიცის
ტექსტი. მაგრამ ვერ შეასრულა ფიცი.

ის კოლოფი „ჩვენი თაობის“ რედაქციის კარადაში დარჩა. ახლაც, ალბათ, მწერალთა
კავშირის არქივში ინახება სადმე ლადოს ზოგიერთ ხელნაწერთან და „ჩვენი თაობის“ დანარ-
ჩენ მასალებთან ერთად.

VIII

წინათ რომ ფლამარიონის „ასტრონომიის“ და სხვა მის მსგავს წიგნებს ჩაკერებდით,
ხანდახან ღამით სულ ეარსკვლავებიან ცას შევეყურებდით. ახლა ლადოს ბავშვივით უხაროდა
ნაცნობ თანავარსკვლავედთა დანახვა.

— შარშან რომ ვიყავი აბასთუმანში, ყანობილის მთაზე მიწოდდა სულ ასეა. მსტრადი
შენახა ასტროფიზიკური ობსერვატორია, მისი კომპლექსიდან დამზავდა ეარსკვლავითი, ჰაერამ
უხარმავე და ვერ მოვახერხე. მერე რა პოეტური ამბები და რა სახელები და ტერმინები:
ლისტრი პლანეტარული ბუნდოვანება, ნისლეითი, ირმის ნახტომი, გალაქტიკა, დიდი დიფი,
გასიოპე, ალციონა, ანდრომედა, ორიონი, ბეტელგეიზე, აღდებერანი... — ბუტბუტებდა იგი და
მლოცველივით თვალაყრბილი შეჰყურებდა ზეცას...

გვიან იყო უკვე, როცა პარკში გამოვედით. ფუნეკულორის ვაგონები აღარ მოძრაობ-
და. ცა კიდითიღმდე იყო მოქმენილი. ნილი ანრიკლებდა ნორჩ ნარკავეს და
იფრქვევდა ცაცხვის ყველის თაბურღამხვევი სურნელებს.

ლადოს ვაჩქარებდი, თორმეტ საათს ბეჭდი უკლავდა და მერე ქუჩებში უსაშვებოდ
არ გაავატარებდნენ, თანაც, სახლში რას იფიქრებდნენ.

— აჩიკომ იცის, ერთად რომ ვართ, არ შეეშინდებო, — მეუბნებოდა ის და თან ფეხს
იორევდა, წამოსვლას არ აპირებდა: — ხომ ხედავ, ხომლი უკვე ამოსულა, მალე კაფე-კიუფათ
ამონათებს თეთრსპეტაკი სირიუსი — ეგვიპტელთა დიდებული სორტისი. ერთხელ კიდევ
შინდა ვნახო ეს ჩვენი ცის ყველაზე დიდი და „უახლოესი“ ეარსკვლავი, მ.წ. სინათლის წლით
რომაა ღამორებული ჩვენგან...

როგორც იყო დავიყოლიე და ნელნელა დაიადექით საცაღფეხო გზას. სენენბსეენებით
დიდხანს მოედროდით მთვარის ღამეში მიხვეულ-მოხვეულ დაღმართზე.

— ასეა — გულს, ჩამოსვლა — მუხლებს! — სიცილით ამბობდა ლადო და ძალიან
უჭირდა დაღმა-დაღმა სიარული, მაგრამ უხაროდა ამ მთვარაიანში ყოფნა. — როდის იქნება
სინათლე ჩვენს ქალაქში, როდის დამთავრდება ომი? ბნელით მოცული თბილისი მკვდარ
ქალაქს დაემსგავსა. — დუღუნებდა ის და ფრთხილად ადგამდა ნაბიჯს.

ბოლოს გაეძვრებოდა ფუნეკულორის ჩივი. ოხმოო ჩაიუარო დიდ ადამიანთა საფლავებს
და პროპაქტზე რომ გავჩნდით, თბილისის ქუჩებში მაინც ჩქედდა ცხოვრება.

— როგორ მენატრება ადრინდელად გაიკრა კამარა რუსთაველზე. — მითხრა ლადომ,
როცა ჰუდართან გამოსამშვიდობებლად შეეჩერდით. — მაგრამ თანდათან მიჭირს. შინდა რაც
შეიძლება დიდხანს ვიყო გარეთ, ვეუფრო ამ ქვეყანას. ხალხ-ზეგ აბასთუმანში უნდა წავიდეს,
იქნებ რაიმე მარგოს. შარშან ძალიან მომიხდა. ალბათ, მალე შენც ფრონტზე წახვალ და... ნუ
დამივიწყებ!

ხელი მაგრად ჩამოვართვი და მთვარის შუქით გაბრწყინებულ თვალებში ჩახედე. ამის
შემდეგ აღარ მინახავს, მხოლოდ წერილებით ვეხმაურებოდი ერთმანეთს...

IX

ფრონტზე მყოფ ამხანაგებს ლადოზე ცუდი ამბები მოსდიოდათ თბილისიდან. იმ ზაფხულს, უკანასკნელად აბასთუმანში სამკურნალოდ რომ წავიდა, იქ ვეღარ ძლებდა. „მომწყვინდა ამ აბასთუმანში ყოფნა, — სწერდა ის ალექსანდრე ქუთათელს 5 ივლისს, — დაუკრუელი და დამუწეული. მალე უნდა გამოვიქცე, თორემ ძალზე გავეწვავი. არც მიხდება, შენ წარმოიდგინე... ან როგორ მომიხდება? ჩემი საქმე წასულია, სულ წასულია... საშინელი დღე დამაყარა ცხოვრებამ... რაც შეეძება მწერლობას, ეს ცალკეა. მწერლობას სხვაგვარი პატივისცემა უნდა“.

აბასთუმანიდანვე ლადო ავალიანს სწერდა: „ალოშა მწერს, რომანი დაუმთავრებიაო. ბიჭო, ძალიან გამეხარდა. დედას გეფიცები, ძალიან... მეც ვწერ ცოტ-ცოტას. ხომ იცი, არც ის ვარგა, იყო სოფელში და სოფელს არ არგო...“

აქ ნაგულისხმევია ლ. ავალიანის რომანი „უცნობი ქალის პორტრეტი“.

ახლა ჩვენი ვოლდემარი
ხატავს „უცნობ ქალის პორტრეტს“,
მრავალ მწერალს ამ რომანით
უსათუოდ გააყოტრებს,

ნათქვამია ლექსად დაწერილ ერთ მშოინდელს ბარათში... შემდეგ იგი ეტრნალ „მნათობში“ უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ რატომღაც ეს არ მოხერხდა და, რაღაც მიზეზით, სტამბაში დაიკარგა. რომანის აღდგენა ავტორის აღარ უცდია.

ლადო აბასთუმნიდან მაინც მომგოზინებულ დაბრუნებულა, მაგრამ გზაზე გაციევებულიყო და ისევ ცუდად გრძნობდა თავს.

„ლადო კერაა კარგად, — იწერებოდა ალიოშა საჯაია 1942 წლის ოქტომბერში, — აბასთუმნიდან ჩამოვიდა. გარეგნულად თითქოს არა უშავს, მაგრამ ახლა რაღაცნაირად ნაღვლიანია, თმშიც მისებურად ისევ ლადის და ლილინების და სულ ჩახმახივითაა წყობზე შემდგარი, რატომღაც სულ ლელავს, ოცნებობს და წუხს, ხშირად უფრო სევდიანია, ვიდრე წინათ იყო, სულმოკლე და უიმედო კი არა ჩანს, ისევ მზიარულია და ჩვეულებრივ გვაგზიარებულს...“

გუშინწინ, საღამოს, რუსთაველზე გავედით. ჩვეულებრივ ქაღართან მოვიყარეთ თავი. ლადო აფთოაქიდან გამოვიდა ნელნელა. თითქოს პალტო ამძიმებდა და მხრებზე ტვირთად აწვა. გვიახლოვდებოდა იმ ბებერი ცხენის ნაბიჯებით, მე რომ მიყვარდა გაეცეწლა. ახლაც ჩემებურად ჩაუფენისკარტე, მაგრამ უცბად მომიჭრა: ამდენ ჩოჩრებს ერთი ბედაური არ უნდა ამშვენებდესო?

ყველამ გაიცინეთ. მანაც ერთი ჩაიჭირქილა. პალტო ნაბადივით მოიგდო მხრებზე და ქავჭავიძის ქუჩას შეუყვავა: პატარა მანახა ჰყავდა ავად და მისთვის წამალი მიჰქონდა. დიდხანს ჩანდა, თუ როგორ უჭირდა ბნელ შეღმარტში ზომეა-ზომვით ასვლა. ერთხელ შემობრუნდა სინათლეში, დაგინახა, ქუდი მოგვიხადა და შესახვევთან გაუჩინარდა.

უკანასკნელ ხანებში სულ ოცნებობს: ერთი ძალიან გრძელი, გრძელი რომანტიკოსის პლაშში უნდა წამოვიხსნა, კისერში ჩაუფენილი თმა ან ზორბა ქოჩორი მოეუშვა და დავიყურო, თეთრი, სულ თეთრი გახამებული საყელო და ქარში მოფრიალე შარფი გავიკეთო, ფართო ფარფლებიან ქუდში გედის ფრთა გავიჭუო და ისე ავიარ-ჩაკვიარო რუსთაველზე. ნახე, როგორ დამშვენდებოა.

ძალიან კარგი მოსაუბრე შეიქნა. საიდან იცის ამდენი ამბები! ბევრს ასე ჰგონია, მთელი დღე რუსთაველზე დახეტიალობს, სულ მწერალთა სახლის ბაღშია, ან ამხანაგებთან კაფე-რესტორანებში ატარებს დროს და შეტს არაფერს აკეთებსო. მაგრამ არც ასეა საქმე: ბევრს კითხულობს...“

X

ისე ახლოს და განუშორებლად ვიყავით ერთმანეთთან, რომ ბევრი მიწერმოწერა არ გვქონია. მაგრამ ფრონტზე ყოფნის დროს, ხანმოკლე განშორებისას მოწერილი ლადოს რამდენიმე პრატიკად ბევრი სტრიქონი საგულისხმოა ძლიერ. მიუხედავად იმისა, რომ ცუდად იყო მისი ჯანმრთელობა, და ამას თვითონაც კარგად გრძნობდა, ამ წერილებში კვლავინდებურად სახელმძიმარე და ენამოსწრებულა. თან ყოველთვის ცდილობს, არ იყოს სევდიანი.

„არ ყოფილა არც ერთი დღე, არც ერთი საათი, რომ არ ვფიქრობდე ჩემს ბავშვობაზე, — იწერებოდა ის. — თითქოს თან დამაქვს ეს ბავშვობა და მისი შთაბეჭდილებები. უნდა ითქვას, რომ ჩემი თავგადასავალი ბლოკის მანერით: როგორ მოვედით ჩვენ, ოქტომბრის კიბიანი ამ დღიდან მშენებლობის ხანაში.“

ჩვენს დროში საჭირო გახდება ძველ თემებს ახლებურად დაუბრუნდეთ. უნდა იასახოს ჩვენი გრანდიოზული და მჭუბარე დღეები როგორც უზარმაზარი პანი სადმე, დიდი ქალაქის ვეებერთელა კედელზე. ფართო პლაკატით, ისე, მარჯანიშვილი რომ აპირებდა მთაწმინდის პლატოზე მაიაკოვსკის პიესის დადგმას...

ჩვენი დრო ითხოვს ვაგნერისებურ მუსიკის მაღალი ძაბვისა და მძაფრი დენის სუნთქვას პოეზიაში, ტანგოების უგერტიურობას ვაგნერისა და დამბნელს, შალაპოვის მჭუბარე ზმით რომ იმღერებდა, როცა ნთელი ქვეყანა წინა დგამს გიგანტურ ნაბიჯს და აველაფერი მაღლა და მაღლა მიიწევს.

მე ახლა ვკითხულობ და ვთარგმნი ბლოკის „Возмездие-ს“. ჩვენი ვალაქტიონის არ იყოს, პოლი მართლა ღმერთია, და ღმერთმა მომცეს ისეთი კალამი და იარაღი, მას რომ პქონდა ისე კი, ეს ომი არ გაახარებს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს პოეზიას!

ბონდო სვანეთში და იქ მასწავლებლობს. მირზა ისევე ბრძოლებშია და მისი ლექსები დროდარო გაიღვებენ გაზეთებში. ნატიფი და მოხდენილი, პირმწყარბი საჯაია, ჩვენი კოკი-ალიონა მოკითხვას ვითვლის, მანდ მარჯვედ იყავი, მტერი აქეთ არ გამოუშვო. მოგიკითხა კოხტა ალიო აღამიამ. გუშინ პროსპექტზე შემხება — ყოველთვის სადღაც მიიჩქარის, თითქოს რალაც გადაუდებელ საქმეზე გარბოდეს“.

1943 წლის გაზაფხულზე, ერთ-ერთ წერილში იუწყებოდა: „რომ იცოდე, როგორი გაზაფხულია თბილისში, ყველაფერი ჰყვავის, ყველაფერი ხალისობს. რა იქნება ახლა ბარდნაღაში ჩვენს ლელებში ამოდის ფშალა, გაფურჩქენილა ძეწნა და ტირიფი. ქალები კრეფენ ეკალს, რდტქვევა ახლადმოხული მიწის სუნი. მალე დაიჩეგებიან ჩიტების პირველი ბარტყები“. ჩე-როში სუპერარტკით დახტიან თეთრი თიყნები.

სულ მენატრება და მეღანდება ასეთი სურათი: თენდება. ყველაზე უწინ ჩიტების ჭიკ-ჭიკი და გლურტული ჩაგვსის ყურში. თვალებს ჰყვარ, ზეზე წამოვარდები, ფეხშიშველი, თავქუდმოგლეჯილი გაყარდები კარში. მზე ახლად ამოდის. ქალებში ჩრდილები წარბაქლე-ბულა. გარბიხარ მდელიზე. ცერაიანი ბალახი შეგიზიჩინებს ფეხის გულში და მთლად გარღუ-ბები... ერთა ასეთი სოფლური დილა ღირს მთელ სიცოცხლედ. ესაა მიწის სინედლე და სურენდება, — ვაჟასა და ფიროსმანს რომ უყვარდათ!

მე კი... ბოტანიკურ ბაღშიც ველარ გადავდივარ. რალა გამანდლებს?

უკვე აჟავდა გლიკონები მწერალთა სახლის ვერანდაზე. ვზივართ ბაღში და ვესმენთ ცოცხალ კლასიკონთა დინჯე ბაასა და მოგონებებს. ხანდახან კონსტანტინე გამსახტრდია გამოგვხდვას და გადმოგვძახებს: „ვეფხეებო“, „ქაბუქებო!“ და კაი გამარჯობას გვეტყვის, როგორც შეშენის კაცურ კაცს.

გუშინ კიდევ ერთხელ წავიკითხე ლეო ქიაჩელის „აღმასგირ კიბულანი“. თუ წავიკითხავს შენ ეს მოთხრობა ჩემსავით, და ისევე მოგსურებია გადაგვკითხა ისე სულმოუთქმელად და გიქუ-რად, როგორც აქაა აღწერილი გიგმაფი ენგური და გაგიფებული აღმასგირ კიბულანი?..

ჰემინგუეის „კლიმანჯაროს თოვლი“ ხომ გახსოვს? ისევე მოგიდებ ხელი და, თუ შეეძელი, უნდა ვთარგმნო“.

წინთ მართლაც აპირებდა ამ მოთხრობის თარგმნას, მაგრამ გადადო, დედანში უნდა კითხულობდე ასეთ ნაწარმოებს და იქიდან თარგმნიდეო. ჯერ თარგმანი რაა და თარგმანის თარგმანი რალა იქნებაო, — იცოდა თქმა, — მდიდარი კაცის ნაწუქარი ტანისამოსი რომ აწუქო რწენზე ღარიბ ნათესავს, იმას ემგვანებაო... სურათი პქონდა ერთი — „კლიმანჯაროს ნთა“, რომელიც ეურგებლიან ამოეჭრა, და პემჩნუეის იმ მოთხრობაში ედო. მოთხრობა ისე უთარგმნელი დარჩა. და რამდენი რამ პქონდა დაწყებული და გასაყეთებელი! „მაგრამ დღემოკ-ლემ სიმღერა ვერ დამთავრა...“

1942 წლის 16 დეკემბერს გამოგზავნილ წერილშია: „აბასთუმანში ბევრი დრო მქონდა და სულ წიგნებთან ვიყავი. რა კარგია აბასთუმნის ცხელი წყალი — გოლიათური... აქ განკურ-ნებულა ალექსანდრე მაკედონელიო, ასე ამბობენ!

ყანობილის მთაზე წელსაც ვერ ავედი, ერთი მაინც ჩამეხედა ცის სიღრმეში, — გავიხსე-ნებდი ჩვენს სუვერელ ფლამარიონს. არაზინდო ჩვენს ზევითაა, მერე იწყება მდინარე ოძრბე...

სიზმარში ვნახე ფიორდები. ეს კნტლ პამსუნის რომანებს რომ ვკითხულობდი, იმის გამოა. რატომ არ უნდა ვნახო ცხლად იბუნის, გრიგის, ამუნდსენისა და ნანსენის ქვეყანა? მირზა გელკიანმა თქვა ერთხელ: ინდოეთში დიდებულ რაჯასავით ვიმოგზაურებდი სიმოვანჯით, სპილენძით ეფხვებასა და მარტორქებზე ვინადირებდი, ჰომილას უმაღლეს მწვერვალებს თვალს შევავლებდი შორიახლოდანიო. მე კი მენატრება ვნახო პარიზი, რომი, საბერძნეთი, ესპანეთი... ჩამოვივლიდი ჩაილდ-პაროლდით... მაგრამ ჩვენს ქვეყანას არაფერი ჯობია,



შეხვედ ამ ცას, ამ გარემოს, გადმოხედ მთაწმინდიდან მთელს ქვეყნიერებას... რა კარგია ჩემი ბარდნა, ქუთაისი, თბილისი!.. მაგრამ ამ ომის დამთავრებას რომ არ დაადგა საშუალება! მე კარგად ვახსენებ და მალე ჩამოდი. ადგე ერთ ღღეს და ვიხედავოთ სულხან-საბას გზებით ტანშიდან ვანამდე, მოგინახულოთ სამხრეთ საქართველო, ასტრახანი, მოსკოვი... იქნებ ომის შემდეგ სპარსეთისა და ევროპის გზებიც გაიხსნას. მაშინ გამოვინახოთ სადმე ერთი იმპროვიზებული ქართული ულენშპიგელი და მასზე ერთად დავეწროთ ძველი საქართველოს ქრონიკა, სათვგადასავლო რომანივით — ეს იქნება მოშორებითა შეჯიბრება, ფალავანთა რკენა, რაინდთა ორთაბრძოლა და ა. შ.

რომ იყოღე, რამდენი რამ წვევითზე: როლანისა და ცვაიგის ნამბოზი ბეთოვენის, მიქელანჯელოს, ტოლსტოის, ბალზაკის, დოსტოვესკისა და დიკენსის ბიოგრაფიები, შენდგე — ვახარი და სტენდალი. ვანათლი და ვაქეთლი კაცი! მერე რამდენი კარგი წიგნია აქ: გიორგი ბრწყინვალეს ისტორია, ბექა და აღბულა ათაბაგების სამართალი, ხელმწიფის კარის გარეგება, დისტურლამალი, ჰეროდოტე — და სტრაბონი. რა ყოფილა ეს გილგამეშნანი. — ბრძოლა სიკვდილისა და სიხერის წინააღმდეგ — საუკუნო ცხოვრებისათვის! ამ ავადმყოფობაში შემიყვარდა არჩილ მეფის ვაჟაკური ჩარხებმბრუნავი ლექსები. წარმოიდგინე შენ. თეიმურაზის „ვარდ-ბუღბუღანისა“ და „შამი-ფარვანისა“ დაშატული პოეზიაც კი მომეწონა, გურამიშვილის ზარი და გუდგა ხომ თავზარდამცემია და მისი „ვესელა ვესნაც“ არასოდეს მოწყურდება აღმთქმის...

ნეტავი ზოგიერთი კინო-სურათი, სიმღერა, რომანი ან სიმფონია დიდხანს გაგრძელდეს, დიდხანს უყურო, იკითხო ან უსმინო.

ახლა თბილისი დაცალეგრებულია, მაგრამ კიდევ დარჩნენ ეფროსინეები... ო, როგორ მძულს და მეზინება ზოგი ზეპრე და ბოთლისთაყვანისმცემელი სერენიაცი მწერალი, თუთ-კმაყოფილი, კარგად ნასადილევი ადამიანის სახე არა აქვს. საზარელია მისი ტანისაძოის, აღნაგობა, ყველაფერთა რომ კმაყოფილია, თითქოს არაფერი არ აკლია, ყველაფერი რომ ძივის აოვილზე აქვს, მაგრამ არ გააჩნია შნო, ლხათი და მშვენიერება, თვალეში უაზრობა ჩადგო-მია, ასეთი ადამიანის გული ბნელია, როგორც ძუნწი კაცის საფლავი...

ჰე, უნიკალური ნიკალი! ბევრი, ძლიერ ბევრი მინდა გაეკეთო... ამ ამბებს ერთი კაცის ხანგრძლივი სიცოცხლე არ ეყოფა. მე კი... დამჭოლა ქარმან სასტიკმან! მაგრამ, რასაც მოვასწრებ, ვეცდები ისეთი წიგნები დავწერო, რომლებმაც მკითხველს სიხარული განაცუფონონი! ეს ქვეყანა შეაყვარონ და ყოველთვის უკეთესი ცხოვრება მოანატრონ. ჩემმა წიგნებმა უნდა გაახალისონ მკითხველი, იყონ მისი მხიარული თანამგზავრები...“

XI

მაშინ ჩვენი საფორნტო გაზეთის რედაქცია არც ისე შორს იყო საქართველოდან, როცა ლადო ასათიანის უკანასკნელი წერილი მივიღე. ჩვენი ნაწილი იდგა კრასნოდარის მდინარეში, აქ, სადაც „დაწყდება მთები კავკასიონისა“ და მდორედ მდინარეს ყუბანი, „ქართლის ცხოვრების“ ეს ყაბანისი. აქ ყოფილა ოდესღაც საქართველოს საზღვარი და ახლა პიტღრელები ამ ჩვენს ძველ საზღვართან იყვნენ ჩასანგრებულნი — ყუბანის ლაქაშებს გაღმა, ცნობილ „ციხეგრ ხაზთან“.

ის წერილი რიგით უკანასკნელი როდი იყო, მაგრამ სტალინგრადის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა მოქმედი არმია ისე სწრაფად მოიწედა წინ, რომ სავალე ფოსტა ველარ გეგეიოდა და ძალზე დაგვიანებით მოვიდა. მერე გამოგზავნილები უფრო ადრე მივიღე, ის წერილი კი სადღაც, ომით დარბეულ გზებზე გაჩხირულიყო, სოჭიდან გელენჯიკამდე შავი ზღვის ნოელ სანაპიროზე გავლით შაფსლეთის მთებიდან ფეხდაფეხ მოგვდევდა და რამდენიმე თვია შემდეგ ძლივს მოგვწვდა კრასნოდარში — დამქეილ-გაცეითლი კონფერტითა და გადამღილი მისამართით.

ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე ვიყავით ამ მიდამოებში, მაგრამ, ჩვენი ჯარების დროებითი წარმეტებლობის გამო, დეტრევეთ ეს ადგილები და ყოველდღე თანდათან ეუბლოვდებოდით კავკასიონის კალთებს. იმ დროებითი გამარჯვებით თაბრულდსხმული და გათავებულბული მტერი ფეხდაფეხ მოგვდევდა. შემდეგ, სტალინგრადთან სასტიკად ვანადგურებულბომა, კავკასიონთანაც იწვნია სამარცხეინო მარცხი და დასავლეთისკენ იბრუნა პირი. ახლა ჩვენები მისდევდნენ ფეხდაფეხ და შემფუსვრილი განადგურებით მიჩრეკეს იგი ყუბანის ქვემო წილამდე — იმ „ციხეგრ ხაზთან“, მიუღვამედი და აღუბეული ციხე-სიმაგრე რომ ეგონა მოწინააღმდეგეს...

უკან დაბრუნებისას, გზადაგზა კვლავ გავიარეთ ის ნაენობი ადგილები და ენახეთ მტრის-

გან დარბეულ-განადგურებული და გაპარტახებული ქალაქები და სტანიცები, გადამწვარი სოფლები.

ჩვენს ნაწილებს ყველგან ზედმოხდა: სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებებში დახოცოდა ჯერ კიდევ აუღებელი და დაუმარხავი გვამები; უამრავი დამსხვრეულ-დაღწეული სატურველი და იარაღი; ყოველი სოფლის განაპირას, ტყესა და ველებში, ტრაიმელ მინდვრებზე ამარბული გორაკების ძირში — მძათა სასაფლაოები; ომის ხანძრით გადაბუგულ ველ-მინდვრებსა და დახვრეულ გზებზე ჯარჯარად იდგნენ ტყვე პიტლურელები და შურით გააყურებდნენ საბჭოთა არმიის ნაწილთა ძლევამოსილ წინსვრბოლას...

სწორედ წერილის მიღების დღეს ენახე კრასნოდარის ბაზარში სტანიცა მინგრესკაიდან ჩამოსული ერთი მოხუცი დედაკაცი: მამალს, ლეკვს და კატას რომ ეძებდა საყიდლად. — სოფელი მთლად დაყრუვდა, ამ ომის გადამკიდე მთელს არემარეში ერთი დამყიდვებული ყვინჩილა და მყეფარი გოშაიც არსად ჰქანებოდა, ამბობდა იგი. კატებიც საღლავ გადაიხვეწნენ და სამაგიეროდ, ძლიერ გამაზღავდა თავები, ათასგვარი მღრღნელები და გველხოყვრებო...

ლადო სწორედ იმ დღეებში დაბრუნებულიყო აბასთუმნიდან და თავისთავზე ვერაფერს საიმედოს იწერებოდა.

„მე, დაწყვეტილი ლადო ასათიანი, ერთი კვირაა, რაც გვახელით თბილისს. თითქმის 5 თვე გავატარე აბასთუმანში... არავითარი გაუმჯობესება არ მიმიღია ჯანმრთელობის მხრივ. ჩემი ფილტვების მიხედვით, მე მალე უნდა მივიცვალო, ძვირფასო, და აბა, შენ იცი, კრემ-ლებს თუ დაღვრი. როცა ჩამოხვალ, შენ ნახე პეკზამეტრებით წაწერილ ეპიტალმას, ჩემს სამარის ქვაზე. — წერდა ის ნაღვლიან-სახუმარო კილოზე და იქვე უმატებდა თავისებურ სა-ლაღობოსაც: — თუ კაცი ხარ, თავი დაანებე მანდ ფხაკურს და წამოდი აქეთ მოტოცკლე-ტრ. ასე და ასე: ნიკაია მოხალსეც, მალე თბილისს მოხვალ ისეც“.

მაგრამ ეს „მალე“ ძლიერ გვიან მოხდა, მაშინ, როცა ლადო უკვე ორი წლის გარდაცვლი-ლი იყო და გულზე „მიწა ეყარა... თბილისის ახლოს“. მხოლოდ 1945 წლის გაზაფხულზე ენა-ხელე ბისი სადღავე.

იმავე წერილში იტყობინებოდა ყოველდღიურ საინტერესო ამბებს თბილისის ცხოვრე-ბიდან — სერიოზულსა და სასუმაროს: ვინ რა დაწერა, ვის რა დაემართა, ვის შეუთხვს ახალი ეპიგრამა, თვითონ მან რა დაწერა და რას აპირებდა. იწერებოდა, რომ ომში წასული ზოგი აშანავი ქერჩის შემდეგ აღარსად ჩანდა. მირზასიც აღარაფერი ისმოდა.

„რაც შეეხება ჩემს პოეტურ მოღვაწეობას, ვიცი, გაინტერესებს: ბევრი არაფერი დამიწე-რია. არც ისეთი რამე მაქვს ამჯერად, შენ რომ მწერ, რაც თქვენი გაზუთისათვის გამოდგება, და ამიტომ ნუ დამემღერები. დაწერე რამდენიმე ლექსი: „გულბაათ ჰეჰეჰეჰე“, „სუმბული“, „ირმების შეთქმულება“ და ერთიც 300-სტრიქონიანი ისტორიული პოემა თუ ბალადა „ბასი-ანის ბრძოლა“. გასულ კვირას მეკროფონთან წავიკითხე თავიდან ბოლომდე და მოგახსენე საქართველოს. „მნათობში“ იბეჭდება. სხვებიც მაქვს კაი-კაი „ასათიანური“. თუ ავადმყოფო-ბამ არ შემიშალა ზელი, ცალკე წიგნად მინდა გამოვეც „ასიპნა“, ეს ბალადა და სხვა ლექსე-ბი. დამპირდნენ გამოცემას. წინაპართა საგმირო საქმეები აფთრთვანებენ ჩვენს მამაც მებრძო-ლებს მტერთან შეტაკებაში, ხომ იცი:

Так в небесах померкнувшая звезда

Через много лет посмерти блещет миру.

ეს სტრიქონები აქ შეიძლება უადგილო იყოს, მაგრამ ძალიან მომწონს და მინდოდა შენთან მოწერილ ბარათში ჩამეგდო სადმე...

ისე კი ძალიან უნუგეშოა ჩემი ყოფნა. ხანდახან, როგორც იტყვიან, მარტო საკუთარი ლანდი თუ ჩრდილი დამრჩა მეგობრად და ისიც პზიან დღეში. ავდარში სულ მარტო ვარ და სული ამოძვრა, პარაშუტზე ჩამოკიდებულ ადამიანს ვგეგვარ, ცისა და მიწის შუა დაკიდებულს.

დღეს „ბახტრიონის“ წავითხვა მომენტარა: კვირიას სიზმარი, ლუღას გამოჩენა, ლუხუმი და გველი... ეს წიგნების კითხვაა ახლა ჩემთვის თითქმის ყველაფერი და კიდევ. შინ რომ შევა-ზიჯებ, ჩემი ჩიტუნია-მზეფუნია, პაწაწინა მანანა. მისი ღიმილი ყველაფერს მირჩევნია და ყო-ველთვის სიცოცხლის გაგრძელება მენატრება. მინდა სულ ვიძახო: „იმ ბედნიერ დღეს გაუ-მარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!“



XII

1943 წლის ივლისის ერთ დღეს, ამ წერილს გაზეთ „კომუნისტის“ ნომერი მოჰყვა, და სამგლოვიარო განცხადებაში საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი და ლადოს ოჯახი მის გარდაცვალებას იუწყებოდნენ.

ჩვენს ირგვლივ იმდენი უბედურება და ვაივაგაზია იყო, იმდენი საშინელებისა და წგრევა-განადგურების მნახელი, მომსწრე და მოწამე ვიყავით ყველანი, რომ ამ თავზარდაცემ ამბავს, როგორც მეგონა, ისე აღარ უმოქმედნია; თან სულ მოულოდნელიც არ იყო, რადგან წერილებიდან და, საერთოდ ყველაფრით, ჩანდა და იგრძნობოდა: ლადო მალე აღარ იქნებოდა ცოცხალთა შორის. გული კი ჩამწყდა და მეტიცა ძლიერ. და იმ დღეებში ყველა ნაცნობისა და უცნობისთვის მინდოდა მეამბნა ლადოს სევდიანი თავგადასავალი...

ფრონტზე მიღებულ წერილებში ახლობლები და ამხანაგები მძიმე გულსიტყვილით იტყობინებოდნენ ლადოს გარდაცვალებას და დაწვრილებით აღწერდნენ მის უკანასკნელ დღეებს. ... ბოლო ხანებში ძლიერ გაჭირვებია ავადმყოფობით.

იმ წელსაც სასტიკი პაპანაქება ხოფილა თბილისში, როცა კარგად იყო, ლადოს თბილისის ეს თავიარა სიცხე უყვარდა და მისი ზამთრის სუსხიანი დღეებიც ახარებდა. ახლა კი სული უწუხდა, ქალაქიდან გასვლის ღონე კი, თურმე, აღარ ჰქონია. ყველა ატყობდა, დათვლილი რომ იყო მისი დღეები.

უკანასკნელ წერილში ერთგან იწერებოდა:

„ველარ ვძლებ ამ ვიწრო ოთახში, თითქმის კუბოში ვარ ცოცხლად მდებარე, მზის მონატრული. რომ მოვკვდე, ნეტავი, ამაზე უარესი თუ იქნება ის კუბო. ამის ბრალია, ალბათ, რომ თითქმის ყოველ ღამით და დღისითაც, როცა ოდნავ წავთვლემ, სულ თავახდილი კუბოები მეზმანება.

კუბოს დანახვა ყოველთვის ტანში მზარავდა, კუბო სიკვდილია... შენ ხომ იცი, სიზმარი მიყვარდა და უფრო ტკბილი იყო იგი, რაც უფრო საშინელი და კოშმარული იქნებოდა, ხშირად მიწახვას ფერადფერადი სიზმრებით. — წარმტაცი პეიზაჟებით.

ლოგინში მწოლიარე მალმალე ახსენებდა ამხანაგთა სახელებს, ხშირად იგონებდა სტუდენტობის მეგობრებს, მაგრამ ბევრი აღარ იყო მის ახლოს.

გახსაკუთრებით მოსურვებია შოთა ჭურბიძის, რადგან შეუბელიანისა და მიშა ალაიძის ნახვა. ორი უკანასკნელი ლადოსავით ლეჩხუმელები იყვნენ. 1934 წელს ოთხივენი ერთად შევიდნენ ქუთაისის პედინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის 1-ლ კურსზე (ქართული სექცია), რომელიც დაასრულეს 1938 წელს. მხოლოდ რ. შეუბელიანი III კურსიდან ჩამოშორდა მათ და სწავლა დაუსრუებელ სექტორზე განაგრძო, თან მასწავლებლობდა ცაგერის სკოლაში. ლადომ ჩააბარა ყველა სავალდებულო საგანი, გარდა სახელმწიფო გამოცდებისა.

ჟურნალისტ-კრიტიკოსი შოთა ჭურბიძე თავიდანვე ლადოს განუყრელი მეგობარი გახდა და უკანასკნელს სიკვდილამდე არ შეუწყვეტია მასთან გულითადი ურთიერთობა.

რადგან შეუბელიანი და ლადო ერთ მერსზე ისხდნენ, თანაც — მთელი წელიწადი ერთადვე ცხოვრობდნენ ნაჭირავე ოთახში — მინადორა ლორთქიფანიძესთან — ყაზბეგის ქუჩაზე (ახლა პ. ჩანჩიბაძის ქ. მეორე ჩიხი, № 4) — ბაგრატიის ტაძრის ახლოს — თანაქორსელ მიშა ალაიძის სახლს ზემოთ.

რადგანი (ამჟამად ის დაბა ბოლნისის ქართული საშუალო სკოლის მასწავლებელია) ცაგერელი იყო, ლადო ბარდნაღლიდან ხშირად აღიოდა ცაგერში და ბევრი ტკბილად მოსაგონარი დღე და საათი გაუტარებიათ ორივეს იჭაურის საყდრის ეზოში, ცაცხეების ძირას, ერთად უფლით ცნობილ ცაგერის ბაზრობაზე.

XIII

ისე კი, როცა ავადმყოფობა მოეძალეობდა, მეტის სიმწვავეთ თვითონაც გამწვავდებოდა და ძლიერ ცუდ გუნებაზე დგებოდა. მაშინ არავის დანახვა არ სურდა, ყოველი მნახველი ეჯავრებოდა. ვინც მოვიდეს, ნუ შემოუშვებო, ეტყობა ანიკოს, მაგრამ ამ დროს თუ ვინმე ენახებოდა, გახალისდებოდა და ღმობიერი ხდებოდა, მიმსვლელებს საუბარს გაუმართავდა, და როცა წავიდოდნენ, დიდხანს იმეორებდა: რა კარგები არიან, რა კარგები ყოფილანო.

XIV

ერთ საღამოს, როცა მეტისმეტად გაუარჯლდა ხელები, მისი განუყრელი ანიკო ექიმთან გაიქცა. კიბეზე კონსტანტინე გამსახურდიას შეხვდა, ლადოს სანახაველ მომავალს.

გაუადრულ მთვარესავით გაუხდა ლადოს ნატანჯი სახე. ლოგინიდან წამოდგა, კონსტანტინეს სკამი შესთავაზა და სრულიად მშვიდად, დაწყნარებულმა სტუმარს მუსიადი გაუბა. ტბილმა და გულთბილმა საუბარმა ხალისიან გუნებაზე დააყენა, ხელები დაუცხრა და შეება ერძნო.

შემდეგ ანიკოსათვის უთქვამს: ექიმის მოსაყვანად მიდიოდი, და ხომ ხედავ, კონსტანტინეს ნახვამ როგორ მომარჩინაო. ამაზე უკეთესს ექიმს ვერსად ვიმოვნიდო. ნეტავე ყოველდღე მოვიდეს, თუ ასე მოვეგობინდებიო.

სწორედ გარდაცვალების წინა დღეს ინახულებს სერგო კლდიაშვილმა და ვიქტორ გაბესკირიამ. მწერალთა კავშირის ექიმს — მაგაიანს ეთქვა მათთვის, ხელამდე ველარ გააწევსო. შემდეგ სერგო კლდიაშვილი უამბობდა ამხანაგებს:

„ძალიან გაეხარა ჩვენი მისვლა. სახეზე კარგად იყო, თითქმის არაფერი ეტყობოდა. მაინც ვხედავდით, რომ თავდებოდა კაცი. მაგრამ არ მოგვეშვა, ხალისიანად ალაპარაკდა. ხუმრობა დაიწყო და ჩვენც ვეღარ მოვეშვით. ბავშვებით აფოფინდა, წამოჯდა, სასთუმლიდან ჩაწერი ქაღალდი გამოიღო და რაღაცნაირი მჭეხარე ხმითა და მგზნებარებით თვალუბანთებულმა ლექსი წაგვიკითხა. ეს იყო ავადმყოფობაში — სიკვდილის სარეცელზე დაწერილი „ცხრა ძმა ხერხეულიძე“. ისე კარგად მოგვეჩვენა, რომ გაკვირვებული და გაოცებული დავრჩით: „ნუთუ ეს კაცი ასე უსაშველოდ ავადმყოფია, ნუთუ ეს ბეაღამდე ველარ გააწევს-მეთქი“, გაიფიქრე, აღარ მჯეროდა იმ ექიმის ნათქვამი და გუნებაში აუვად მოვიხსენე კიდევ ჩვენი მოტყუილებისათვის. მაგრამ შემდეგ საცოდავმა საბანი გადაიწია და დასიებული საშინელი ფეხები გვიჩვენა“.

„ამის მსგავსი ჯერ არაფერი მენახაო, — უმატებდა ვიქტორი. — როგორც იყო, ვალუგე-შეთ და გაეამხნევეთ, გამოთხოვებისას სევდიანი ღიმილით შემოგვჩივლა: წაეიდა ჩემი ყმა-წვილკაცობა! განა ასეთი ახალგაზრდობა მინდოდა მე? განა ამას ენატრობდიო? ვხედავდით და ვხედებოდით უიმედო ავადმყოფის სულიერ მდგომარეობას. ის თვითონაც გრძნობდა და ჯდებოდა აღსასრულის მოახლოებას და მისთვის საყვარელ სიცოცხლესთან გამოთხოვების უკანასკნელ წუთებში ლექსების კითხვითა და თავისთვის განგებ მომზადრულებით ცდილობდა ზმავად და მედგარად დახვედროდა სიკვდილს“.

სერგოსა და ვიქტორის ნაამბობიდან ჩანს, რომ სიკვდილის შემზადრება არცდღისა ლადო ასათიანს მაინც ვერ შეაზარა სიცოცხლე და ქედი ვერ მოადრეკინა. იგი, ფეხზე მდგომი, სულ ბედნიერებით ვლინებული და ყოველთვის ლექსებით ამეტყველებული მინახავს და მაისოვს, და ახლაც, როცა არყოფნის უფსკრულთან იდგა, მაინც ხუმრობდა და სიხარულით უკითხავდა სანახაველ მისულ მეგობრებს იმ სიციხის აღმურში შეთხზულ ლექსებს.

სიკვდილის დღეს სულ მამამისის ნატრულობდა. — დილით უთქვამს: წუხელ მამაჩემი მესიზმრა, დღეს უთუოდ ჩამოვაო. უკანასკნელად, 1942 წლის შემოდგომაზე, აბასთუმნიდან დაბრუნებულს, უნდოდა ბარდნალაში წასვლა, მაგრამ ველარ შეძლო: შორი მანძილი აშიწებდა.

შემდეგ თითქოს უფრო კარგად გამხდარა. ანიკო დაშოშინებულა და სამსახურის საქმეებზე წასულა. მაგრამ მალე მამამისი — ნიკო ვანაძეს დაურეკია — ძალიან ცუდადაა, და ისევ წინ მობრუნებულა.

ლადო ნახევრად წამოშვარდნილ ლოგინზე, ხელში ინვალისელი პოეტების ლექსები ეჭირა. წყნარად იმზირებოდა და ხმას არ იღებდა. ანიკოს დამახეზაზეც პასუხი არ გაუტია. კიდევ რომ გავხმინენ, მაინც დუმდა და მხოლოდ საწყლად და მუდარით შეპყრებდა ყველას თვალეში, თითქოს რაღაცას ითხოვდა, მაგრამ ვეღარ ამბობდა. ამ დროს ანიკოს ამხანაგებიც მოვიდნენ. მათ ახედ-დახედა, პაერში ხელით რაღაც მოხაზა, ბაგე დაძრა, მაგრამ მხოლოდ ეს აღმოჩნდა: მა...! რას ნიშნავდა ეს შუაზე გაწყვეტილი სიტყვა, რა იყო ის, მამა თუ მანა, ჯერ გაიგეს...

ზედა მოსქო ბაგე ღიმილით შეუთამაშდა, მშვიდად მიესვენა ბალიშზე, და ასეთივე მშვიდი ყოფილა კუბოშიც, მშვიდი და ლამაზი, თითქოს მძინარე, — სახეზე ტანჯვის ნასახიც აღარ ეტყობოდა.

ჯერ მთლად არც კი იყო გაციებული ცხედარი, აივანზე ერთი მოხუცი შემოსულა და ლადო ასათიანის ბინა უკითხავს. ეს იყო... მეჭი ასათიანი. ლადოს აუხდა სიზმარი, ბარდნაიდან მამა ჩამოუვიდა, მაგრამ მას აღარათყრის ესმოდა.

მწერალთა კავშირის სახლიდან გამოასვენეს და ვაკის პანთეონში დაკრძალეს, წყნეთისკენ მიმავალი გზის გადასახედზე.

XV

გასვენების დღეს სოფლიდან ჩამოესწრო ალიოშა საჯიამ. მან ლადოს კუბოსთან დაიჩოქა და მოთქმით დაიტრია უდროოდ დაკარგული მეგობარი.

„საწყალი ლადო აღარა გვყავს, — იწერებოდა ალიოშა 1943 წლის სექტემბერში. — მე სწორედ დასაფლავების დღეს ჩამოვედი სოფლიდან. საშინლად იმოქმედა ჩემზე, მთელი კვირა ავად ვიყავი. არ მეძინებოდა. მის დაკრძალვას დავესწარი, მაგრამ ჯერ ისევ ცოცხალი მგონია. რუსთაველზე გაგლისას ახლაც ხშირად მეღანდება გზაში. ვიღაც ერთი ახალგაზრდა ძალიან ჰგავს მას იერით, სიარულით, თუ ჩაცმულობით. ვიცი, რომ ის ლადო არ არის, მაგრამ მაინც ავედენებო ფეხბაგრფით, გავეყვები შორიანლო ჰავაჰაჰის ქუჩის კუთხიდან ბესიკის დასაწყისამდე. ის შედის ლადოს წყლების მღაზიაში, ედგები ისე, რომ მისი სახე არ დავინახო და შემჩრჩეს ილუზია... სვამს წყალს სულმოუთქმელად, სახე უწითლდება, ცალი ყურიც ლადოსავით აუპილილდება, მაგრამ... ხელის თითები მოკლე, ხელებიც მოკლე... არა, ის ლადო არაა! და ვბრუნდები გულდაწყვეტილი იმავე გზით, სადაც ასე ხშირად დავაბიჯებდით ერთად.

სადაც წამოიკითხავს და ჩემს უბის წიგნაკში ჩამიწერია: „ამაყი იყო, მაგრამ ამპარტავნობა და ზვიადობა არ ჰქონდა, გულუხვი იყო და არ მედიდურობდა. ეს იყო ერთგული და უანგარო მეგობარი, მახვილგონიერი, თავდაუზღაბლებლად და გაუზვიადებლად მხიარული, ყველა ღირსება-ნაკლავანებით პირველი იყო, უბედურებითაც ბადალი არ მოეპოვებოდა“. როგორი ზედამოჭრილია ეს სიტყვები ჩვენს დაუფიქრარ ლადოზე! განა ასეთი არ იყო იგი?

თუ გიყვარდი, კუბოს ფიცარს
ლურსმანს ნუ დაურქობ,
დამიჯერე, დედას ვფიცავ,
ლადოს ასე უჯობს...

ეს სტრიქონები ლადოს ერთი წერილიდანაა. არ ვიცი, იმ დღეს მისი კუბო დალურსმნული ჩაუვსოთ სამარეში, თუ როგორ იყო, მაგრამ ის კი კარგად მახსოვს, გიორგი ლეონიძემ რომ ჩასახა საფლავში, როცა უკანასკნელ მუქა მიწას ვაყრდით ლადოს ნეშტს: შენ ბედნიერი ხარ, გულზე საქართველოს მიწა რომ გაცვივა და შენს თბილ საფლავს ნათესავები და ტოლმეგობრები დასტირიანო, რამდენი შენი ამხანაგის საყვარელი ძელები დნება ახლა უკუბოლად და უსამაროდ ბრძოლის ველზე, განა რამდენ შინამოსვლელს დავიტირებთ ასე, შენს სავით!

როგორც ეტყობა, ეს ომი მალე დამთავრდება.

მჯერა: ბნელი, დამლუპველი
მოშორდება ცას ღრუბელი,
ცეცხლიც, ჭარიც დამშვიდდება,
დამშვენდება ცას სინაზე,
ვაჟაკების ნასისხლარზე
ყვავილები გახშირდება!

ეს კი ჩემი ლექსიდანაა. გიგზავნი მას, მთლიანად, გაზეთიდან ამონაჭერს.

„საბლიტგამი“ სცემს ლადოს წიგნს. მე უნდა დავწერო მისი ბიოგრაფია. ეჰ, ჩემო ნიკა, ასეთია ცხოვრება...“

მაგრამ ალოშა საჯაია ველარ მოესწრო ვერც ომის დამთავრებას და ვერც ლადოს წიგნის გამოცემას. მეორე შემოდგომაზე ისიც ლადოს კვალს მიჰყვა და გაზეთებში ყოველში მოიტანეს სერეთის მთებში მისი მოულოდნელი დაღუპვის ამბავი და ისიც, რომ მან „ოღიშში დიდო საშუალო ბინა თავისი ალალი კუბოს ფიცარიტ“. მართლაც ასეთია ცხოვრება!

როგორც ზემოთაც ითქვა, მაშინ მე მხოლოდ სხვა ამხანაგების წერილებიც. ზოლო სწორედ იმ დღეებში, როცა გერმანელი ფაშისტები აზოვის ზღვაში ჩარეკეს საბჭოთა ჯარებმა და ჩვენი გაზეთის ფოტოგორკესონდენტებმა ქერჩის გამოღმა — ჩუშკის კიწრო ყელზე — გადაიღეს უსულოდ გაშხლართული უკანასკნელი პიტლერელი კაცკასიაში, — მომივიდა, მგონი, ბრიანსკის ფრონტიდან გამოგზავნილი, მირზა გელოვანის წერილი.

„მე ვიცი, როგორ დაგწყვეტდა გულს ლადოს გარდაცვალების ამბავი, — მოკლედ იწერებოდა ის. — მე თბილისიდან შემატყობინეს ამხანაგებმა. მინდა აქედან შენს მწუხარებას შევეუერთო ჩემი ქვითინიც და ერთად ვიგლოვოთ საყვარელი ლადო... „დაეცა ჩვენი ნორჩი მედოლე, მაგრამ სიმღერა იცოცხლებს მისი“ ტყუილად ამბობენ: სიკვდილია ყველაფრის და ბოლოებაა. კიდ ყმა სიკვდილს შემდეგაც იცოცხლებს!“

■

რა კარგი იყო ახალგაზრდობა! კარგები იყვნენ ისინიც: იმ ლოდორის ჩანჩქერივით გიჟ-მეგნი და მჩქეუარენი, მართლაც კახური მრავალყამიერივით სულ აღმამსვლენი და წინმსარბოლნი, ახალგაზრდულად მოხეტიალი და აფეთქებული ტემპერამენტით, თავბრუსმომგვრით ერუანტელით, გულში მოზღვაგებული სიმღერებითა და ლექსთამრავლობით.

დავაჟაკებისა და მოწიფულობის შემდეგ ხანში კი დამშვენდებოდათ სიბრძნე, სიღრმე და გამოცდილება.

გაბრიელ ჯაბუშანურის წერილში გამოთქმულ გულისწადილს ჩემი ნდობა-სურვილიც დაერთო და დამატა. აქ ერთად, თითქმის უკლებლივ, აღნუსხე ყველაფერი, რაც პირადად ჩამიწერია უბის წიგნაკებში და ჭალადის ნახევებზე სხვადასხვა ღროს, რისი გახსენებაც შეეძელი და საერთო ნაცნობ-მეგობრებმაც გადმომიცეს. ამასთან, მოვიშველიე ჩემი და სხვების დღიურები, მიწერ-მოწერა, თავი მოვეუყარე კანტიკუნტად ჩანაწერი ან ნათქვამი აზრებისა და ფრაზების ნაწყვეტებს, სადღაც, მესხიერების ღრმა კუნჭულში, მიმალულ მნიშვნელოვან და უმნიშვნელო ამბებს და ყოველივე იმ ახალგაზრდების შესახებ ამ მოგონებებში მოვავრცევე...


ჯერ მინდოდა დამეხატა პატარა სურათი და მოკლედ ამეწერა ჩვენი დაუვიწყარი ამხანაგების ხანმოკლე ცხოვრებისა და საქმიანობა-ურთიერთობის ზოგიერთი მხარე, მაგრამ ცოტა გაჰიანურდა და ეს გამოვიდა. დარწმუნებული ვარ, ამისთვის არავინ დამემდღურება! რადგან, როგორც ლადო ასათიანი ამბობს თავის პოემის შესავალში,

„ნეტავი იმას, ვინც ღია გულით
კაცსა კაცური უთხრა სიმღერა;
ნეტავი იმას, ვისი ჩონგურის
დღესაც გაისმის სიმღერის ძღერა!“

ნეტავი იმას ვისაც ჰქონია
კაცის შუბლი და კაცის სინდისი,
ვისაც მფარველად მუხა ჰყოლია, —
უკვდავი იყოს სახელი მისი!
ვინაც ყველაფერს ჩანგი არჩია,
არ შეუქია ყველა მგზავრები,
და რომლის კვალიც მიწას აჩნია,
ვით ნათესური დინოზავრების!..“

კიდევ რამდენი რამ არის მოსაგონარი და სათქმელი. განა „უწინდელი გულის ძგერა
წავეიდა?“...

„ჩვენი თაობა ოთხ ათეულ წელიწადს ითვლის,
რა არის მისი ხანგრძლივობა ეპოქის ზღვაში?“
მაგრამ, დანარჩენი სხვამ მოიგონოს!..



რეზუმე თვარეობა

ახადგაზრდა პროფიპოლსები

ლიტერატურის განვითარების საერთო მდ-
ნარებიდან მწერალთა რომელიმე ჯგუფის გა-
მოყუდა მუდამ პირობითი ხასიათს ატარებს. ასე-
ლით გამოყუდა პირობითია იმდენად, რამდენადღე-
ყოველი ქვეშაობის შემოქმედელი სიინტერესო-
უფრო იმით, თუ რა განასხვავებს მას თავისი
უფროსი თუ თანატოლი თანამოკალმეებისაგან,
ვიტრე იმით, თუ რა აქვს მათთან საერთო. და
მინდ ამგვარ გამოყუდა აუცილებელია ლიტერ-
ატურის განვითარების უფრო ზოგადი პროცე-
სების შესაძინება.

ლიტერატურის განვითარების ზოგადი პროცესის ხსენებისას მე არ გამოვდივარ იმ აზრიდან, თითქოს ის მწერლები, ვის შესახებაც ქვემოთ ვაპირებ საუბარს (უკანასკნელი წლების მანძილზე გამოვყენებდი პროზაიკოსთა თაობას), უკვე ზიარებული იყვნენ დიდ ლიტერატურას და თვალსაჩინო გავლენას ახდენდნენ მის განვითარებაზე. მაგრამ ამითავითვე შეგვიძლია უყურმანოდ ვთქვათ: ამ თაობის სახით ქართულ ლიტერატურას ახლო მომავალში ეცოლებოდა სამედიო, ფრიალ სერაიოზული ძალა, რომელიც ღრისეული განაგრძობს ჩვენი პროზის დიდ ღრისეულყოფას.

ამ ტრადიციათაგან, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება შემდგომი თვისებები: მალალიდუერობა, დაუცხარიშელი სწრაფვა გამოსახვის ახალ საშუალებათა, ახალ ფორმათა დამორჩილები-სავენ და რთულ სივლიერ, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური თუ ეთიკური პრობლემებთან შე-ჭიდება. ამ თვისებათა გარეშე ქართული პროზა წამოუდგენელია; ამ თვისებათა მატარებელი იყო რუსი საუქუნეთა განმავლობაში, მოყოლებული „შუშინის ტრადიციად“ დიდმდე. ამიტომ, რო-დესაც ტრადიციათა გინგრობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს არა მინორი მიზნაქვლობა უკვე დამკვიდრებული, დანარეხული პრობლემების აღფრისა და გა-მოსახვის ფორმებისადმი, არამედ ზემოქანე-ბულ თვისებათა შემოქმედებითად განვითარე-

ბა, თანადროჟულობის მოთხოვნათა შესატყვისად მათი განგრობა. ეს კი თავისთავად გულისხმობს დაუცხრომელ ლტოლვას ახლოსაყენ, ნოვატორობისაყენ, გაბედული ძიებებისაყენ.

მართლაც, ამ მხრივ თუ შევხედავთ საქმეს, ლიტერატურული ახალგაზრდობა, რომლის შემადგენელი გვაქვს საუბრის ამ სტატიის, უძველესი დონისა იმისა, რომ მასზე სპეციალურად შევანეროთ ყურადღება. ამ ახალგაზრდობამ მოიტანა გარკვეული სიახლე და, როგორც უკვე საუველესად აღიარებულია, ხელი შეუწყო ომის შემდგომი წლების მანძილზე ჩამორჩენილ ქართულ პოპოლს გამოცოცხლებს.

რამი მდგომარეობს ეს სიახლე, უპირატესად
რით გამოირჩევიან ამ ბოლო ხანს მოვლენილი
პროზაიკოსები?

ეს არის, უწინარეს ყოვლისა, უარის თქმა სამყაროს ერთობ სწორჩანობრივ, გულუბრყველო აღქმზე და მის გამართლებულ, მოსაწყვეტ, ერთფეროვან ასახვებზე, რითაც სცოდავდა ომისდრამიდული და ომისშემდგომი წლების მრავალი ნაწარმოები; ეს არის აგრეთვე სწრაფვა ერთობ რთული პრობლემებისაკენ, გამოსახვის საშუალებათა გადახალისებისაკენ, სინტეზის საშუალებათა გადახალისებისაკენ, სინტეზის კომპოზიციური და სტილისტური ძიებანი.

ახალგაზრდა მწერლებს არ აშინებთ სირთულე, პრივიტე — ხალისით ეტანებიან ცხოვრებაში რთულს, ჯერაც მიუცქლეველს თუ ამოუცნობს. რა უფრო, რომ მათი ძიება მუდამ გამარჯვებით არ მთავრდება, რომ ზოგჯერ ცდებიან და საკმაოდ სერიოზულადაც! ხომ ცნობილია — ვინც ეძიებს, ის უმეველად შეცდება კიდევ, ხოლო „შეუძებდარი“ მხოლოდ ისაა, ვინც ძიებით თავს არ იწუხებს!

აქ მთავარია ორი რამ. ჯერ ერთი, მაძიებელნი არ დაფრთხილენ და ძიების ხალხის არ დაეუქარგათ ნაადრევი მკაცრი განაჩენის გამოტანით, და მეორე — მათს ძიებას მიეცეთ სასურველი მიმართულება, დროულად მიეუფიეთ.



როდესაც არის საფრთხე მხატვრული აზროვნების ამა თუ იმ სისტემის აშკარა თუ შეფარული გავლენით გამოვლინდეს უფრო სერიოზული შეცოდებანი.

შარშან ზაფხულზე „ნაკადულმა“ ცალკე წიგნად გამოსცა ახალგაზრდა მწერალთა მოთხოვნების კრებული. წიგნი საინტერესო გამოვიდა და ცხოველი ინტერესი აღძრა მკითხველთა შორის. მასში წარმოდგენილი არიან უკანასკნელი წლების მანძილზე მოვლენილი პროზაიკოსები. ი. იოსელიანი, გ. რჩეულიშვილი, ს. კორინთელი, მ. ელიოზიშვილი, ო. დემეტრაშვილი, ს. დემეტრაშვილი, გ. გეგეშიძე, თ. ნატროშვილი, ა. გვარამია, ნ. წულუისკირი, ი. ყაჭეიშვილი, გ. გოგიაშვილი — ამ რამდენიმე წლის წინათ ეს სახელები ჩვენი საზოგადოებისათვის აბსოლუტურად უცხო იყო. ეს ავტორები თითქმის ერთდროულად შემოვიდნენ ლიტერატურაში (ხსენებულიყავან ო. დემეტრაშვილისა და ა. გვარამიას გარდა ყველანი „ცისკარმა“ გააცნო მკითხველებს). გარდა ბიოგრაფიისა და ასაკისა (მათ შორის ყველაზე უმცროსი 24-25 წლისაა, ხოლო უფროსმა ახლანა ადამიანად იცდათ), მათ მეტწილად ანათესავდით ის თვისებები, რომლებზეც ზემოთ იყო ლაპარაკი. მაგრამ, ზემოთქმულს ერთხელ კიდევ რომ ხაზი გავუსვით, ამგვარი „ნათესაობა“ ძალზე პირობითად უნდა იქნას გავგებული. რადგან არც თუ ძალიან ბევრია ისეთი მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობის მქონე ახალგაზრდა პროზაიკოსი, როგორიც არიან, ვთქვათ, „ლევანის“, „სიკვდილი მთებში“, „უკანასკნელი კონწილასი“, „ეუს“ ავტორები.

ნათესაობასა და სიახლოვეზე თუ მიდგა საქმე, ხსენებულ ავტორებს ყველაზე მეტად ახლოვებთ ასაკობრივი მომენტით განპირობებული ბიოგრაფიულობა. მათი უმეტესობა იმ ასაკისაა (ყოველ შემთხვევაში იყო — კრებულში წარმოდგენილ ნაწარმოებთა შექმნისას), როდესაც თვითშემეცნების პროცესი არ დასრულებულა და ობიექტის ყოველმხრივი ანალიზის ნაცვლად სუბიექტი ამჯობინებს თავისთავის მიერვე, თვითანალიზით (ისიც უპირატესად ემოციურით) ჩასწვდეს სამყაროს. სწორედ აქედან გამომდინარეობს ნაწარმოებთა ბიოგრაფიულობა. მათი უმეტესობა პირველი პირითაა დაწერილი და ეს პირველი პირით თხრობა ამჯერად სტილისტური ზერხი კი არაა, არამედ თითქმის ერთდროულად მისაწვდომი გზა ავტორის პიროვნების გამჟღავნებისა. აქედანვე გამომდინარეობს სიახლოვე თემატიკისა. ბუნებრივია, რომ ეს არის, უწინარეს ყოვლისა, სიყვარული, რომელიც ამ ასაკში სხვა გრძნობათაგან ყველაზე მკიდრულად დაკავშირებული პიროვნების ჩამოყალიბების პროცესთან. ამ თემაზეა აგებული მავალითად ი. იოსელიანის „მოთხრობები ოჯახზე“ და

„ჩქარი მატარებლიდან“, ს. კორინთელის „სიცარიელე“, „ღამე წალვერთან“, მ. ელიოზიშვილის „უკანასკნელი კონწილა“, ო. დემეტრაშვილის „წერა“, „კარგად აღმა მებრძოლი“, „წითელი ვაშლები“, ს. დემეტრაშვილის „ფოსტალიონი“, „გაზაფხული და უცხო ქალიშვილი“, „ლაპუა“, ა. გვარამიას „გადასახედთან“.

აქ შესაძლოა სადაოდ აქციონ ერთი საკითხი: პირველი პირით თხრობა ძალზე გავრცელებული მოვლენაა თანამედროვე დასავლურ მწერლობაში. საერთოდ, ავტორისეული, ბიოგრაფიული ელემენტების ნაწარმოებში უხვად შეტანა უკანასკნელ ხანს დადგოვარა არა მარტო დასავლურს, ჩვენი პროზასაც. ამას განპირობებს ფსიქოლოგიზმისა და ინტელექტუალიზმის მოჭარბება მწერლობაში (რაც თავისთავად მისასალმებელია). იქნებ სწორედ ეს ფაქტორი და არა ასაკი განაპირობებდეს ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოებების აღნიშნულ მხარესაც? ჩემის აზრით, ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. ამას მაღიქვნიან როგორც თვით ნაწარმოებთა შინაგანი ბუნება (მოთხრობათა უმეტესობაში ფსიქოლოგიზმი ძირითადად თვითშემეცნების საშუალებაა და არა ანალიზის შედეგი), აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ხსენებულ ავტორთა საგრძნობმა ნაწილმა თავის მომდევნო, კრებულში დაუბეჭდავ ნაწარმოებებში უკვე გადაღდა ნაბიჯი აღნიშნული ასაკობრივი შეზღუდულობის დასაძლევად.

ამავე აზრს ადასტურებს შემდეგი: სიყვარულის თემაზე აგებულ არც ერთ ხსენებულ მოთხრობაში არ ხდება ამ გრძნობის ობიექტივაცია. სიყვარული გაგებულია როგორც თავისთავად მოცულობითი რამ, ისევე ბუნებრივი და ორგანული აღმანიანისათვის, როგორც ბედნიერებისაღმად გაუცნობიერებელი სწრაფვა. ამიტომაც, რომ ამ მოთხრობებში შეყვარებულთ ან საერთოდ არავითარი წინააღმდეგობა არ ელოებოთ („მოთხრობები ოჯახზე“, „ჩქარი მატარებლიდან“, „ღამე წალვერთან“, „წითელი ვაშლები“), ან ეს წინააღმდეგობა დაკავშირებულია მხოლოდ გარეშე მოვლენებთან და არა გმირის შინაგან კონფლიქტთან („სიცარიელე“, „უკანასკნელი კონწილა“, „ფოსტალიონი“, „ლაპუა“, „გადასახედთან“). სიყვარული ყველგან აღებულია როგორც თემა და არა როგორც მხატვრული პრობლემა.

პრობლემათაგან ახალგაზრდა პროზაიკოსების საგრძნობ ნაწილს იტაცებს სიკვდილ-სიცოცხლის დიდი საიდუმლოს შეცნობისა და მათთან თავიანთი მიმართების გარკვევის საკითხი. ისიც უნდა ითქვას, კრებულში შეტანილ მოთხრობათაგან ყველაზე ძლიერნი სწორედ ამ პრობლემაზე უტრიალებენ გარს. და ამაში არაფერია საძრახისი. სიკვდილზე ფიქრი თავისთავად არ ნიშნავს პესიმიზმს. პირიქით, ზნობად სიკვდილის პრობლემის გადაჭრა იქცევა ხოლმე

ჯანსაღი ოპტიმიზმის წყაროდ. ამის მაგალითები ლიტერატურამ ბევრი იცის.

ძლიერი და მონოლითური ნების მქონე გურამ რჩეულიშვილს არ სწამდა სიკვდილის ემოციურად შეგრძნება. მისი იდეალი — ძლიერი, თავდაპირველი, სიტყვაძვირი პიროვნება — საკუთარ განცდათა ნამდვილი უფალია. ავტორი სიკვდილზე გასამარჯვებლად აუცილებლად მიიჩნევდა მისთვის დიდი აღმამიწური ღირსების, პირთა უბრაუნიველად თმენის დაპირისპირებას. ასეთია ალფრედ კურელა (სიკვდილი მთებში), რომლის მეუღლე ცხენიდან გადმოვარდა და დაიღუპა.

„— პო, — თქვა გურამმა, — ჯერ რომ შტრილით წასულიყავით, ეგ ამბავი არ მოხდებოდა.“

„— მაგ „რომ“-ზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მაგ „რომ“-ების უზარმაზარი ჯაჭვი შეიძლება გაკეთდეს. ასე რომ ჩავუყვეთ, მივალთ იქამდე, „რომ“ საერთოდ არ დაბადებულყო, არც მოკვდებოდა.“

„გურამი უსმენდა და ზედებოდა: ასეთი ანალიზი უმსუბუქებდა კურელას დარდს. „ამით იგებს, ფიქრობდა თავისთვის, რომ არ დაბადებულყო, არც მოკვდებოდაო. რამხელა გაადვილებას! მართალიც არის.“

კურელა გრძნობებს გრძნობიერით კი არ მკურნალობს — მათ ცივ გონებას უპირისპირებს, რათა დაძლიოს ეს გრძნობები, სხვას არაფერი გააგებინოს მათი. მართალია, მასაც აქვს სისუსტის წუთები, როდესაც მთიდან თბილისს დაბრუნებული საწოლზე მეუღლის კაბას დაინახავს და აქვითინებული იმეზნება. მაგრამ ამ სისუსტეს იგი სძლევს ისევ გონების მიერ:

„კურელამ თავი ასწია, მერე წამოდგა, აქეთა ოთახში გამოვიდა:

„— პო, — თქვა მან, — ასე... აღარ არის ელბიდე, მისმა შვილებმა კი არ იციან, სასწრაფოდ უნდა გაიგზავნოს დეპეშები გერმანიაში.“

ამით მთავრდება მოთხრობა. ასე უპირისპირდება სიკვდილს ჰუმანობად ძლიერი კაცი. და როგორ კონტრასტს ქმნის კურელას ღირსებასა და თავდაპირველობასთან ჩასუქებულ ექიმთა რეაქცია, რაც ავტორს ცოტა ზემოთ აქვს აღწერილი.

„წინ ექიმები მოდიოდნენ...“

„— უკვე მოკვდა, — თქვა გურამმა.“

„— აუჰ! — თქვა ერთმა.“

„— რა უბედურებაა! — თქვა ბოხხმანმა.“

„— საწყალი... ალბათ კურელა თავს იცლავს, არაჟ“

და ცოტა ქვემოთ: კურელა მიცვალებულს სურათს უდებს. თვითონაც სურს აქვე გადაულონ სურათი. მასთან ექიმები მიდის.

„— არ ვიცი, რა ეშველება თქვენს დარდს, — შუბლზე ხელი მიიღო ბოხხმანმა.“

„კურელამ თავი გაიქნია.“

„— კაცმა შეიძლება ამ დროს თავი მოიკლას, — ანუგეშა მსუქანმა ექიმმა.“

სხვაგვარად მიუღდა ამავე პრიზმის ოტია იოსელიანი. მისი ლევანა ვერ გაიზიარებს ალფრედ კურელას ფილოსოფიას, რომელიც განმარტავდა: „ჩვენ ასე ვავხარდეთ შეილება: მოკვდა, ესე იგი მოკვდა“. უსაყვარლეს არსებათა დაკარგვის შემდეგ ლევანას სიცოცხლესაც თითქოს უოველგვარი აზრი ეკარგება და მას აღარაფერი აქვს საერთო ამ ქვეყანასთან. „მოკვდა, ესე იგი მოკვდა“ — ეს ცივი ფორმულა ლევანას არაფერს ეტყოდა. მისი ინტელექტი ჯერ არ ასულა ასეთ მწვერვალზე. მას უფრო „აღმამიწური“ წამალი სჭირდება სიკვდილთან შესაძლებლად, დაკარგული აღმამიწური ბის ხელახლა მოსაპოვებლად. და ავტორი ამ მოთხრობის სასვებით მართებულად იქცევა, როდესაც შრომის მიიჩნევს ლევანას მხსნელად. პრობლემის ამგვარად დასმა და გადაწყვეტა ახალი არ არის ლიტერატურაში. სიახლეს აქ ქმნის სტილი (ამ სიტყვის ფართო გაგებით), რომლითაც ავტორი ხსნის გმირის ფსიქიკას.

სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა უფრო ჯიქურ აქვს დაყენებული თამაზ ნატროშვილს. მისი „ხვალ დიდი იქნება ხეობაში“ უძველეს იმეზზე მეტყველებს, რომ საქმე გვაქვს საკმაოდ პოტენციურ პროზაიკოსთან (იშვიათი შემთხვევაა: ავტორმა ერთადერთი გამოქვეყნებული ნაწარმოებით უკვე ყურადღება მიიპყრო). მაგრამ ამ მოთხრობასთან დაკავშირებით, სხვებზე უფრო პრობლემის გარდა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი აღიძვრის ჩვენს წინაშე. მთით დაინტერესებას ეხება საქმე.

როგორც ინგლისურ ლიტერატურაში არსებობდა „ბის სკოლა“, ისე ჩვენში „მთის სკოლაზე“ შეიძლება ვილაპარაკოთ, ნათქვამი აქვს ე. კოტეტიშვილს. ამ „სკოლის“ წარმომადგენლებად იგი მართებულად მიიჩნევდა ვაჟა-ფშაველას, ყაზბეგს და კიდევ ზოგიერთ სხვას. მართალიც, ამ მწერლების შემდეგ ქართულ ლიტერატურაში მტკიცედ დაინერგა მთის თემატიკა. ოღონდ ამ თემას ცრუ რომანტიკული საბურველი (რამდენიმე გონებაშეზღუდულ ცდას თუ არ ჩავთვლით) თითქმის არასოდეს მოჰხვევია ჩვენი. რადგან მთა ქართველი კაცისთვის არ არის რომანტიკის საგანი, იგი მისი ცხოვრების ისეთივე ორგანული ნაწილია, როგორც ზღვა — კუნძულის მკვიდრთათვის. და როგორც მთიდან ბარისაკენ დაშვებული ნამრაველი მოსახლეობა ერის ძალმოსილებას უწყობს ხელს, ისე მთის თემატიკა მუდამ ხელს უწყობდა ჩვენი ლიტერატურის გამძაფრებას, სიახლეს, აღმებრთ სიცოცხლეს შემოქმედდა მასში. ამის დამადასტურებელია „მთის ნაკადი“ მ. ჯავახიშვილის, ე. გამსახურდიას, ს. კლდიაშვილის, ლ. გოთუას და მრავალი სხვა ქართველი მწერლის შემოქმედებაში.

ბოლო ხანებში ჩვენი ლიტერატურის ეს მშვენიერი ტრადიცია თითქმის მივიწყებული იყო. მწერალთა და მკითხველთა ცნობიერებაში მთა ერთგვარად „ამოიწურა“, მიმზიდველობაც დაკარგა, გაუფრთხლდა, გაღარიბდა, რადგან (ასე ეგონათ) აღარ დარჩენილა რაიმე ისეთი კუთხე, რომლითაც ესა თუ ის მწერალი მთას არ მისდგამოდესო.

და, აი, აღმოჩნდა, რომ ამ აზრის მიმდევარნი ედებოდნენ. პროზაიკოსთა ყველაზე ახალგაზრდა თაობამ ისევ მთას მიმართა და ერთობ საინტერესო გამოცდილებით გამდიდრებული და ძალმოსილი დაბრუნდა.

რამ გამოიწვია ასე ერთბაშად მთისკენ შეტრიალება?

უწინარეს ყოვლისა, ყურადღება მივაქციოთ იმ ამბავს, რომ მთით დაინტერესდნენ სწორედ გურამ რჩეულიშვილი, გურამ გეგეშიძე, მერაბ ელიოზიშვილი, თამაზ ნატროშვილი და სხვა ისეთი პროზაიკოსები, ვის სახელებზემაც განსაკუთრებით მძალდატოვებულად იგრძნობა გმირის პრობლემის გამო წუხილი.

თქვენ ხედავთ, რომ ამგვარად წარმართულმა მსჯელობამ ჩვენი ლიტერატურის კარდინალურ საკითხამდე მიგვიყვანა. ეს არ არის შემთხვევითი ამბავი. გმირის პრობლემა დღევანდელ ქართულ მწერლობაში ერთობ მწვავედ დგას. ამჯერად ამ პრობლემის განხილვას ვერ შევუდგებით. მხოლოდ რამდენიმე სიტყვით უნდა ითქვას შემდეგი.

ეკვი არაა, წარსულს ჩაბარდა ჩვენი პროზის განვითარების ის პერიოდი, როდესაც ნაწარმოებთა ერთი ნაწილის გმირები შინაური აღზოშიდან ამოქრილ ფორტურათებს მოგვავიანებდნენ. მაგრამ როგორც კი მათ ანგარიშის გასწორება დაეუწყეთ, უმალ დაისვა კითხვა: ვინ შეცვლის ამ ყალბ თარგზე გამოჭრილ პერსონაჟებს, ვინ უფრო დაინტერესებს და დაეხმარება მკითხველს — ყალბად გაგებული „ჩვეულებრივი ადამიანი“ თავისი ყოველდღიური ცხოვრებით, ენებებითა და ფიქრებითურთ, თუ ძლიერი, მდიდარი ბუნების მქონე პიროვნება?

ზოგნი ასე მსჯელობდნენ და მსჯელობენ (ოფიციალურად თუ არაოფიციალურად): მკითხველს არაფერად აინტერესებს ლოზუნგებით მტკიცეყოფილი გმირი. ასეთი გმირები კლავენ ლიტერატურას, რადგან მათში არ არის უმთავრესი — ადამიანის შინაგანი სამყარო. ადამიანი, ჩვეულებრივი ადამიანი, კონკრეტული პიროვნება, მისი ემოციები, ფიქრები, მისი (ერთი შეხედვით თუნდაც წვერილმანი და უმნიშვნელო) ცხოვრება — აი რა არის მწერლობის საგანი. მაგრამ ამ თავისთავად სწორ პოსტულატს დასკვნები და, აქედან, შემოქმედებითი პრაქტიკა აღარ მოჰყვა სწორი. საქმე ის არის, რომ ზოგიერთმა ჩვე-

ულებრივი ადამიანის ცნება ყალბად გაიგო. სინამდვილეში კი, თანამედროვე ჩვეულებრივი ადამიანი სწორედ ის მდიდარი ბუნების, მაღალი მისწრაფებებისა და ფიქრების მატარებელია, რაზედაც ზემოთ გვერნდა ლაპარაკი.

აქ უმჯვენად უნდა დავსინოთ ერთი რამ: ხსენებული ტენდენციის გამოღერებას ჩვენს ლიტერატურაში ხელი შეუწყო ზოგიერთი დასავლეთელი მწერლის გავლენამ, მათი ნაწარმოებების პათოსის ყალბად, პრიმიტიულად გაგებაში. როდესაც, მაგალითად, ჰემინგუეის ნიკ ადამსი მთელი დღეების განმავლობაში თევზაობის მეტს არაფერს აკეთებს და როდესაც ავტორი აზნაცებს ანდომებს იმის აღწერას, თუ როგორ ემზადება მისი გმირი ანკესზე ჰიპოკრატის წამოსაძვლად, როგორ ტყეება ამით (ისე რომ ამასობაში თითქმის ერთი აზრიც არ გაუქვანებს), ეს ყველაფერი იმას არ ნიშნავს, თითქმის ნიკ ადამსი ღარიბი ფსიქიკის მქონე „ჩვეულებრივი“ ადამიანი იყოს და ავტორს მაინც თვითშინად ჰქონდეს დასახული მისი ყოველდღიური ცხოვრების დეტალურად აღწერა. აქ დიდ ფილოსოფიურ, სოციალურ პრობლემებთან და ერთობ საინტერესო ფსიქიკის ადამიანთან გვაქვს საქმე. მაგრამ როდესაც ხსენებული „ჩვეულებრივის“ და „ყოველდღიურის“ იარაღიყით გვთავაზობენ გმირს, რომლის არსებაში მართლაც არ ვპაჟანებს ასე თუ ისე მნიშვნელოვანი, საინტერესო განცდა ან აზრი, და მთელი ნაწარმოები ამ უღიმღამო პიროვნების ვიტალურ თუ დაბალი რანგის ფსიქიკურ მისწრაფებებთან ანალიზს ეძღვნება, ეს უკვე იმის მაჩვენებელია, რომ მწერალი მცდარ გზას დასდგომია, ილუზიების ტყვე შექნალა.

არა და უკანასკნელ წლებში ამგვარი პერსონაჟები მართლაც სოციალური მორალდნენ და, თუ ასე გაგრძელდა, აღბათ მალე ჯავახიშვილის ჩანჩუტისა და კურკას მსგავს გმირებს ვეღარ აუცალთ ჩვენს პროზაში. და თუ მიხილ ჯავახიშვილის ადრეულ შემოქმედებაში ჩანჩუტამ, მეჩქმე გაბამ, კურკამ და მისთანებმა კანონიერი ადგილი დაიმკვიდრეს, დღეს ჩვენს ეპოქაში მსგავსი გმირების აღორძინება არაფრით არა გამართლებელი, ხოლო მათი თავგადასავლის გაცნობა, სხვას რომ ყველაფერს თავი დაეანებოთ, ძალიან, ძალიან მოსაწყენია.

(სხვათა შორის შევნიშნოთ: მსგავსი „გადადამიანებება“ უკანასკნელ ხანს პოეზიასაც მოეძალა. სქემატუზმისა და პლაკატურობის წინააღმდეგ ბრძოლის როზუზგით მრავლად გაჩნდა ლირიკის სურათატები, რომელთა ღირსება არაფრით აღმატება საალობო წილადობილას!).

ამიტომ, ვფიქრობ, უფრო სწორ გზას ადგანან ის ახალგაზრდა პროზაიკოსები, რომელთა სიმპატია იხრება მდიდარი შინაგანი ბუნების მქონე

ნა ძლიერი პიროვნებებისაყენ. რა თქმა უნდა, ამ მხრივ მიმართული მათი ძიებანი ჯერ მხოლოდ დასაწყისია, მათი გმირები ჯერჯერობით არ არიან ის დადებითი გმირები, რომლებსაც ასე დაიწებთ მოთხოვის მწერლები-საყენ თანადროულთა. მაგრამ ისიც უმკველია, რომ ეს არის კარგი დასაწყისი, მომავალ შემოქმედებით გამარჯვებთა საწინდარი.

და, აი, გმირის ძიებამ ახალგაზრდა მწერალთა ერთი წყება მთისკენ წაიყვანა. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქმის მათ სურდეთ ახალი ზღადაურებისა და ელგუჯების მომებნა მთაში, ან ისე, თითქმის თარაშ ემგვარივით ეწადათ ცივილიზაციისათვის მთის შეუღაზველობის დაპირისპირება. არა. მათი მთისკენ წასვლა ჩვენს პროზაში ახალი (თვისობრივად განსხვავებული და ფსიქოლოგიურად ძალზე სანტერესი) ეტაპია. ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად ისინი უპირისპირდებიან ქართული ლიტერატურის იმ გმირებს, რომლებიც სწორედ მთას ეკუთვნოდნენ. მათ აღარ აინტერესებთ ბუნებასთან პიროვნების შერწყმა-არშერწყმის პრობლემა. მათი მიზანია პირვანდელ ბუნებას უკვე ძალზე დაშორებული თანამედროვე ინტელიგენტის, რთული ფსიქიკის მქონე ადამიანის გამოცდა იმ ვარემოში, სადაც ცივილიზებულ ცხოვრებას ჯერაც საბოლოოდ არ გაუქმებია პირობები, რომელთა მეოხებით პიროვნება პირისპირ, ოდენ თავისი თავის ამარა წარდგება უსასრულოობის, სტრქიონური ძალების, იდეალურად მარტივი (და ამის გამო უკვე ძნელად გასაგები) ადამიანური ვანცლებისა და ურთიერთობების წინაშე. ამ გამოცდად უნდა განსაზღვროს გმირის პიროვნული შესაძლებლობანი, მისი სისუსტე თუ სიმძლიერე. ეს არის ერთგვარი კათარზისი, რომლის შემდეგ გაცილებით მეტი ფასი ენიჭება ჩვეულებრივი ცხოვრების პირობებში მოპოვებულ გამარჯვებებს.

მე პირადად ასე მესმის ახალგაზრდა პროზაოსთა მისწრაფება თავიანთი გმირების ხსენებულ სიტუაციაში მოქცევისადმი. თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ რთული უფლება გვექნება იმდენი ვიქონიოთ, რომ ამ გმირებს მომავალში ვხილავთ უკვე იქ, სადაც იქმნება თანამედროვე ადამიანის ხასიათი და ბუნება, სადაც დღეს ნამდვილი ცხოვრება, სადაც ცხოვრების შეუგულოა.

უკვე არაერთგზის თქმულა, რომ ამ უკანასკნელ ხანს ჩვენი პროზაიკოსები მეტ ყურადღებას უთმობენ თანამედროვე ინტელიგენტთა ადამიანის სულიერ ცხოვრებას. და ეს საგნებით მუდგნებრივია: სალუქუნების განმავლობაში უმთავრესად სოფლური ცხოვრებისაყენ მიმართული ქართული პროზა ბოლოს და ბოლოს ქალაქსა და მის მკვიდრთაყ უნდა დაიბრტერესებინა. მით უფრო ბუნებრივია, რომ ამგვარ ინ-

ტერესს სხვებზე მეტად ამჟღავნებენ ახალგაზრდა პროზაიკოსები. ისინი ხომ ეს-ესაა გამოიღდნენ ან ახლა-ღა გამოიღან სტუდენტის ასაკიდან და, ცხადია, თავისთვის ნაცნობ, მახლობელ გარემოზე წერა უფრო ეადვილებათ — მასალის კარგად ცოდნას ხომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროზაიკოსისათვის!

ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ, როგორც ეტყობა, ახლა მოდოდ იქცა უმკველად ქალაქში პერსონაჟების შერჩევა. ამ საცდურს მრავალი ახალგაზრდა პროზაიკოსი გამოედევნა, მათ შორის ისეთიც, ვისი პირადი ცდაც ჯერჯერობით უფრო სოფლური გარემოისა და ტიპაჟის გამოყენებას მოითხოვს ამ უკანასკნელთან ახლო ნაცნობობის გამო. მათ ავიწყლებთ, რომ ქალაქური ცხოვრების „ახლო ნაცნობობით“ თავის მოწონებისაყ ემგვანებიან იმ გამოყვეპილ პროვინციელებს, რომლებიც ფოტოგრაფთან სურათის გადაღების დროს ცდილობენ როგორმე უმკველად გამოაჩინონ საათიანი მაჟა.

ამის გამოა სწორედ, რომ გაცილებით მოგებულნი რჩებიან ის პროზაიკოსები, რომლებიც მოდლას და სხვათა ფეხისხმას უტრს არ ათხოვებენ და საკუთარი ბიოგრაფიიდან ამოტომის ამოა ცდებს არ აკეთებენ. ამ სტრქიონების დაწერისას მე მხედველობაში მყვანან, უწინარეს ყოვლისა, ოტია იოსელიანი და მერაბ ელიოზიშვილი. ორივენი შესანიშნავად იცნობენ ჩვენს სოფელს (პირველი — დასავლურს, მეორე — აღმოსავლურს) და მართლაც საოცრად ცაცხალ სურათებს ხატავენ ამ ცხოვრებისა. ამაში, მე გმონი, ყველა დამეთანხმება, ვისაც ერთხელ მაინც წაუკითხავს ო. იოსელიანის „ლევანა“, „მკერდის ცრემლები“, „თამაში“, მ. ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეები“, „უკანასკნელი კონწიალა“, „სარდო“. ეს დასრულებული დაღამატურული ქმნილებებია, რომლებიც სახელმწიფოილი მწერლის წიგნსაც დაამშვენებდა.

აი ერთი საგულისხმო ადგილი „ბებერი მეზურნეებიდან“. მკითხველს ემახსოვრება, როგორ ცხოვრობდნენ ყველასაყან დაიწყებულ მოხუცი დამკვერლები — მედლოდ თედო, მეზურნე ბუთბუზა და მეგარმონე სოსა.

„თვეში ოთხჯერ, კვირადადობით, ძველი მეტევეზ, ძმაბივი გოლა ამოაკითხადათ ზოლმე. მანუელზე ასმულე მერყასა და ღვატას ამოიტანდა, ერთ ჩარქა საიე არაყსაც ამოაოცებდა საიდანაც.“

„თითო ჰქვის შემდეგ, როცა დანასკეული ძარღვები აქა-იქ მაინც გაეხსნებოდათ და შემთბარი სისხლი საფეთქლებში შეუღუნინებდა, საიდანაც გაჩნდებოდა დაკონწიებული გარმონი, ხანებზე სანთელწასმული ძველი დოლი, ყამიშმოცევილი ზურნა, და თვალბზე ცრემლმომდგარი გოლა „ტანინანი-ტინინანის“ ძაბი-



ლით, სკამიდან წამოუდგომლად, სასროლი ბადის თრევით დაგრძელებული მკლავების ფართ-ბუნსა და კანწიკუნწის მოჰყვებოდა...

„მერე რომელიღაც იტყოდა: კინწურაანთ ნიკა შემოხვდა გუშინწინ, იმ კვირია შვილიშვილის ქორწილი მაქ და მუხიკა თქვენი უნდა იყო-სო...“

— ოქროკვერცხანთ სიმონას დიდი ნათლობა ჰქონია, საგანგებო კაციც გამოუგზავნია ჩვენ დასაძახებლად, მაგრამ იმ ტუტუცსა ვერ მოუგნია და!.. — იტყოდა ხოლმე მეორე.

— თუ ჩვენს ნახვა უნდოდა, კაცს რაღასა გზავნიდა, თითონ ამოერბინა, სახლიც იტოდა და კარიცა.

— ეჰ, თითონ მუხლთ აღარ ერჩის და!..

— ჰაი, ჰაი, დედასა!..

— დედასა!..

— დედასა!..

„ეჰ, გულგატეხილები იყვნენ, თორემ... თორემა ოქროკვერცხანთ სიმონას ბარე თევზე მერტა წლის ხარჯიც გადაუხადეს შვილებსა...“

„კინწურაანთ ნიკას შვილშვილის ქორწილიც შარშანდღეული თუ არა, შარშანდღეული ამბავი მაინც იყო...“

— ბიჭო, თედო! — ეტყოდნენ ხოლმე ერთი-მეორეს.

— ბიჭო, ბუთხუ!

— ბიჭო, სოსია!..

„ეჰ, გულგატეხილები იყვნენ, თორემ!.. თორემა ამათი ბიჭობის შემდეგ ბარე ოთხმა ბიჭობამაც ჩაიარა.“

ეს აღვიღო მარტო იმისთვის არ ამოწმწერია, რომ ყურადღება გამემხმავილებინა ავტორის მარჯვე თვალზე, ფაქიზ იუმორსა და ხატვის ოსტატობაზე. აქ ჩვენს წინაშე რამდენიმე საკითხი აღიძვრის.

უწინარეს ყოვლისა, დავუკვირდეთ იმ ამბავს, რომ ავტორი თხრობისას რაიმე პრინციპულ სი-ახლეს არ მიეღტვის; აქ არც ნახევარტონებია, არც ქვეტექსტი, არც მინიშნება, რაც ასერიგად ნიშანდობლივია ელიოზიშვილის ასაკის ზოგი სხვა პროზაიკოსისათვის. იგი არჩევს სწორზა-ზომიანი, გაურთულებელ თხრობას ავტორის რეპლიკების უხვად გამოყენებით. ამ მეთოდით არის დახატული მისი ყველა პერსონაჟი. მათი ბუნების სირთულეს თუ სიმარტივეს, მათს სუ-ლიერ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს ავ-ტორი მეტწილად თავისივე სიტყვებით გვა-ცნობს. შევედაროთ ამას, როგორ გვაცნობენ თა-ვიანთ გმირებს გურამ ჩრეულიშვილი, გურამ გიგეშიძე, თამაზ ნატროშვილი, სოსო კორინთე-ლი, ნაწილობრივ აგრეთვე ოტია იოსელიანი და გურამ გოგიაშვილი. მათს ნაწერებში გმირის შინაგანი სამყარო ძირითადად ვლინდება არა აღწერით, არა ავტორისეული დახასიათებით, ხშირად არც მოქმედებით, არამედ იმ დამოკი-დებულობით, რომლითაც, იგულისხმება (იგუ-

ლისხმება მეტწილად დიალოგში მოცემული ქვეტექსტით, მინიშნებებით), იგი უყურებს გა-რეშე მოვლენებს თუ აღამიანებს.

დიახ, მერაბ ელიოზიშვილს აღწერა უფრო ემარჯვება, ვიდრე მინიშნება, და ამ მხრივ მას ბევრი ვერ შეედრება. გავისხენოთ ისევ წელან-დელი სურათი პერიკაეცების დროსტარებისა: „თითო პიქის შემდეგ, როცა დანასკვლი ძარ-ღვები აქა-იქ მაინც გავისხებოდათ და შემთბა-რი სისხლი საფეთქლებში შეუღლიტინებდა, სა-იდანღაც გაჩნდებოდა დაკონწიებული გარმონი, ხანგებუ სათელწასმელი ძველი დოლი, ყა-მიშმოცვეთილი ზურჩა, და თვალგებუ ცრემლ-მომდგარი გოლა, „ტანინანინ-ტინინანის“ ძახი-ლით, სკამიდან წამოუდგომლად, სასროლი ბადის თრევით დაგრძელებული მკლავების ფართუნ-სა და კანწიკუნწის მოჰყვებოდა.“

არ გადავჭარბებ, თუ ეტყვი, რომ ეს სურა-თი სიტყვის გამოზრმედილი ოსტატის ნაწერ-საც დაამშვენებდა. ვერ წარმოვიდგენია ორ-სამ სტრიქონში ამაზე მარჯვედ დიახატოს დაძაბუ-ნული ძველი მეთევზე, რომელსაც სიბაბუჯე და ვეჟკაცობა მძაკაცურ დროსტარებებში გულე-ვია, გული ახლაც ძველებურად ერჩის, ჯანი ველარ მოსდევს, მაგრამ თავისას მაინც არ იშ-ლის, თავისებურ „ლაზათს სწევს“. თუმცა ავტო-რის სიტყვებს განმარტება რაღად უნდა — „თვალზეც ცრემლმომდგარი გოლა“, „სკამი-დან წამოუდგომლად“ აცეკვებული, მისი „სას-როლი ბადის თრევით დაგრძელებული მკლავე-ბის ფართუნის და კანწიკუნწი“, ბოლოს, ეს დაუ-ვიწყარი და უადრესად კოლორიტული „ტანინა-ნი-ტინინანი“ — თავისთავზე თვითონაც მშვე-ნიერად მეტყველებენ.

გარდა იშვიათი თვალისა და აღწერის უნა-რისა, მერაბ ელიოზიშვილს კიდევ ერთი თვისე-ბა განასხვავებს თავის თანამოცალმეთა უმეტე-სობისაგან — ეს არის დაუცხრომელი ძიება ლე-სიკის სფეროში.

აქ მცირე წიაღსვლა დავკვირდებთ.

ძიება ლექსიკის სფეროში საერთოდ პროზის და კერძოდ ქართული პროზის თანდაყოლილი თვისებაა. ვერც თუ წარმოვიდგენთ ცოტად თუ ბევრად გამოჩენილ მწერალს, რომელსაც სიტ-ყვის სტიქია, სიტყვის ბედი არ აწვავლებდეს, ახალ-ახალ სიტყვათა მოძიებისა და ხმარების ენთუზიასტ არ იყოს. გასულ საუკუნეებს თავი რომ დავეჩვენოთ, ჩვენს დროს ცნობილ პროზა-იკოსთა შემოქმედება ამ აზრის ნათელი ილუს-ტრაციაა. სად პოულობდნენ და პოულობენ მწერლები სიტყვიერ მასალას? — ლიტერატუ-რასა და ხალხში, — სხვა გზა არ არსე-ბოხს. და, რაჯი ასეა, იგულისხმება, რომ მწერა-ლი, გარდა მხატვრული თუ სხვა სახის (მეცნიე-რული, ტექნიკური და ა. შ.) ლიტერატურისა, ხალხურ მეტყველებასაც ზედმიწევნით უნდა იცნობდეს.

მართლაც ასე იყო და ახლაც ასეა. მაგრამ უკანასკნელ ხანებში შეინიშნება აგრეთვე ერთი საგულისხმო მოვლენა, რომელიც სულ უფრო თვალსაჩინო ხდება: ახალგაზრდა მწერალთა დიდ ნაწილს როგორღაც გული გაუცვიდა სიტყვიერი ქსოველის მიმართ.

ჩემის აზრით, ამ მოვლენას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს.

ჯერ ერთი, ჩვენი ენა აშკარად ის ალარაა, რაც გასულ საუკუნეში, ან თუნდაც ამ საუკუნის პირველ ათეულ წლებში იყო. იგი თავისადაა ხელს შუა იცლებოდა. იცვლება ძირითადად იმ მიმართულებით, რომ უფრო მშრალი ხდება, იკარგება უამრავი სიტყვა, სინონიმი, იდიომი, ფრაზები თუ ხატოვანი თქმა — იკარგება ხალხის მეტყველებიდან და ადგილს ლექსიკონებსა და მწერლობაში-და პოეზიას. არა მარტო ინტელიგენტთა შორის, გლეხობაშიც თანდათან უფრო ძვირი სანახავი ხდება იმ ძველებურად დაყურსული, ბარაკიანი ენით მეტყველები. ეს უმოთაგრესად (ენის მიმართ დაუდევრობას თუ არ ჩავთვლით, რაც თავისთავად ძალზე არასასურველი რამ არის!) გამოწვეულია ცხოვრების წესის შეცვლით: ახალი, აქტუალური ტემპის ხანა, ქალაქური ცივილიზაციის დანერგვა არა მარტო ქალაქად — სოფელ ადგილებშიც, მეტყველების მაქსიმალურ ეკონომიას და ნაკლებ ხატოვანებას მოითხოვს. რამდენადაც ვიცი, ენის ამგვარი „გამოწობა“, სინედლის, ხატოვანების დაკარგვა საერთო მოვლენა უნდა იყოს ყველა ცივილიზებული ხალხის მეტყველებისათვის. მაშასადამე, ქართული გამოწვევის ვერ იქნება და ამ მხრივ ევრაეზიური ლონისძიება საქმეს ვერ უშველის.

ეს ასეა, მაგრამ სწინებული პროცესი ჯერ-ჯერობით არც ისე შორს წასულა, დანერგულებულმა პირმა მაინც კიდევ ძალზე უხვი სიტყვიერი მასალა ვერ მოიძიოს. ოღონდ საქმე ის გახლავთ — სად შეიძლება ამ მასალის მოძიება? ეკვი არაა — თითქმის მხოლოდ სოფლად, ქალაქს რაც შეიძლება დაშორებულ მხარეებში. ახლა ვიკითხოთ: აქვს თუ არა ამის საშუალება ყველა ახალგაზრდა მწერალს? წინათ (მე-19 საუკუნეში, ჩვენი საუკუნის პირველ ათეულ წლებში) ჩვეულებრივ ისე ხდებოდა, რომ მომავალი მწერალი სოფელში იზადებოდა, ბავშვობის წლებსაც იქ ატარებდა და მხოლოდ შემდეგ მკვიდრდებოდა ქალაქში, თანაც სოფელთან თითქმის არასივრის წყვეტდა კონტაქტს, ასე რომ მას იმთავითვე, ოჯახიდანვე მოჰყვებოდა საკმაოდ მდიდარი სიტყვიერი მასალა, ენის კარგი ცოდნა. დღესდღეობით კი მწერლობაში მოკარბდა ის ხალხი, ვინც ქალაქშია დაბადებული და გაზრდილი, სკოლა და უმაღლესიანთარსწავლებელი. ბუნებრივია, მათ თითქმის არ ეძლევათ, ან ძალზე იშვიათად ეძლევათ საშუალება სოფლებთან სამეტყველო ურთი-

ერთობით გაიმდიდრონ თავიანთი ლექსიკონი მარაგი (კურორტსა თუ აგარაკზე რამდენიმე თვის გატარება ან ტურისტული მოგზაურობა საქმეს არსებითად არ ცვლის, სოფელში ხანგრძლივად ცხოვრების შესაძლებლობა კი მათ ჯერ-ჯერობით არა აქვთ). ხოლო, რაკი ქალაქი და საკუთარი ოჯახი თუ მახლობელთა წრე ამ მხრივ ძალზე მცირე დახმარებას უწევენ, ახალგაზრდა მწერლებს ენის ღრმად შესწავლის ორი საშუალებიდან რეალურად თითქმის მარტო ერთი რჩებათ — ლიტერატურა, სხვათა ნაწერების კითხვა.

შემდეგ, ის ახალგაზრდა პროზაიკოსები, რომლებიც უმოთაგრესად ქალაქურ ყოფას აღწერენ, შეგნებულადაც არიდებენ თავს სინონიმებით, იდიომებით, ხატოვანი თქმებითა და სხვა მსგავსი ელემენტებით ფრაზის დატვირთვას. იგულისხმება, რომ მწერლის ენა ახლოს უნდა იდგეს იმ მეტყველებასთან, რომელსაც იყენებს დღევანდელი ინტელიგენტი. ეს მეტყველება კი, როგორც ითქვამს, ბევრად უფრო მშრალი გახდა, ვიდრე ამ ცოტა ხნის წინათ იყო.

მომდევნო მიზეზი ცოტა სხვაგვარი ხასიათისაა. ეს არის უცხოური მწერლობის გავლენა, რომელიც უშუალოდ შეინიშნება ახალგაზრდა მწერალთა ნაწილის შემოქმედებაში. ამ გავლენითაც უნდა აიხსნებოდეს, რომ ისინი სიტყვიერ ქსოვილს, სიტყვის დამოუკიდებელ ფუნქციას თანდათან უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და აქცენტი გადატანილი აქვთ სტილზე, სიტყვათა ისეთი წყობის შეჩვენებაზე, რომელშიც უნდა შექმნას ნახევარტონები, ქვეტექსტი, მინიშნებები. აქ იმის თქმა არ მინდა, თითქმის ამ უკანასკნელ თვისებებს ქართული პროზა უცხოური მწერლობიდან იძენდეს. ამგვარი აზრი სავსებით მცდარი იქნებოდა. აქ ლაპარაკია იმ ამბავზე, რომ სწორედ ზოგიერთ ახალგაზრდა მწერალს (ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად) შეუშუშვდა ამგვარი მცდარი აზრი.

მიზეზთა მეტყვევა შედეგის გამართლებას სულაც არ ნიშნავს. როდესაც აქცენტის სტილზე გადატანა ნაწილობრივ ლექსიკის ხარჯზეც ხდება და ამას ქართული პროზის განვითარების ბუნებრივი, ორგანული ტენდენცია განაპირობებს, ასეთ შემთხვევაში საღაო არაფერია. მაგრამ როდესაც პროზაიკოსის შემოქმედებაში აშკარად ჩანს, რომ იგი დაუდევრად ეპყრობა ენას, ლექსიკას, ენერგიასა და ღრმის მაქსიმუმს არ ხარჯავს ახალ-ახალ სიტყვას მოსაძებლად, სჯერდება თავის მცირე მარაგს ამ სფეროში, ან კიდევ უცხოური მწერლობის გავლენის შედეგად უგულებელყოფს ქართული ენის ისეთ ფასდაუდებელ თვისებებს, როგორიცაა ზმნის მრავალპირობა, ქცევა, მეშვეობით მოქმედების გამოხატვის უნარი და მისთანანი, მაშინ მისი მიტევა არასდროს არ შეიძლება. რადგან აქ უკვე ქართული ენის სიწმინდის დაცვას, მის

მომავალს ეხება საქმე და ამ მხრივ შეცოდებას
ვერავითარი კაპრიზი ვერ გაამართლებს.

სწორედ ამიტომ ახალგაზრდა მწერლებს მაგალითად გამოადგებათ ის დამოკიდებულებები, მიმართ, რომლითაც გამოირჩევიან ოტია იოსელიანი და მერაბ აქლოზიშვილი. აქ ლაპარაკია არა მიზანძახება ან თუ არ სიტყვის გამაყენება-არგამაყენების თვალსაზრისით (რასაც საბოლოოდ მწერლის საერთო სტილი განაპირობებს), არამედ სწორედ დამოკიდებულებზე — სიტყვისადმი მზრუნველ მოპყრობაზე, სიტყვის მოსაძიებლად გაწეულ შრომასა და სიტყვის ფასის უკეთ გაგებაზე.

ამ აზრის უფრო ნათელსაყოფად მოვიტან
ორიოდე მაგალითს ანზორ გვარამიას მოთხრო-
ბიდან „გადსახედოდა“. ჩემის აზრით, კრებული-
ში დაბეჭდილ ნაწარმოებებთან ეს მოთხრობა
სტეპზე მეტად სკოლავს ქართულის მხრივ. ავ-
ტორს აწვარდა არ ჰყოფნის სიტყვების მრავაი:
„მოდიან მუცელთან ათასნაირი ჯილგაც
აღმიაწები: ზოგი ნალს აჭედინებს, ზოგი
ხარებს მოერეკება დასაჭედად, ზოგს ურმის
თელები მოაქვს საღრის შემოსაჭედად“.
„გოგონა მამის პატარა იყო, ქურციკივით
მარჯნი...“

„სულაც არ შემომხედავდა, იჯდა ჩაგონებული და ნახშირის კენჭებს ისროდა.“

„იგი მაღალია, ჩასკენილი და ჯმუხი“
(მაღალი და ჯმუხი ერთად?).

„სამშეუდლო“ ჟეიტორისაა, საქაოლ დიდია. ერთ დარბაზიეთი თათხმ მჭედლის რამე რუმი ეყრის. გარდა ამისა, სამშედლოს ორი თათხი ეტის: ერთი მასზე ეამოშენებულ ო, მეორე ამ მოშენებულ თათხს ერთვის პირდაპირ. ამ ორ თათხმ მჭედლის ბარგი-ბარხანა აწყეჲა“.

„სამკედლო გორაკის ბოლოზეა აშენებული...“

— ამით შენი გოგო ვადღეგრძელოთ, გუთნაირი შევდელს... მან ჯერ დამიბღვირა, მერე თავი ისე დიპირა, თითქოს არაფერი მსმენიაო. („მსმენია“ ამ შემთხვევაში უაგვილოდა ნახმარი. „თითქოს“ ნაცვლად უნდა იყოს „გითმე“).

„მკედელმა თავი დახარა და ჭიქა სუფრაზე ჩამოვარდა. მეც ჩამოვიდე (ჭიქა)“.

„მან კი პიქა გადმოიწია და პურზე დააწვეთა.“

„გოგონას მუხლზეამდე არ წმდება
მოკლე კაბა. გაშიშვლებული წვივები მოუ-
ჩანდა“ (მუხლზეამდე რომ მისწვდნოდა, წვი-
ვები არ გამოუჩნდებოდა?).

„ჩვენ გადასახედთან ვდგავართ და გავცურებთ
ქვემოთ ჭრელაჭრულა ხალიჩასავით გაშლილ
სოფლებს. სოფლებს შემდეგ თვალებში გვ-


ლები შორეთია, უნაპირო და დაუსაბამო. მერე კი თვალწმენი ზღვა" (მეუღლებელია „თვალწმენი, უნაპირო და დაუსაბამო შორეთის მერე“ რაზე ჩანდეს. ესეც არ იყოს, შორეთში ზღვაც უნდა იგულისხმებოდეს.).

ახლა ისევ თხორობის მანერას, თხორობის მე-
თოდს დავუბრუნდეთ. როგორც უკვე ითქვა, მ.
ელიაზიშვილი ამ მხრით რაიმე პრინციპულ სი-
ახლოზე არ მივლტვამს. და ამგვარი სიახლის საჭი-
რებაა მის პრაქსის ჯერჯერობით არც შეინიშ-
ნება. ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ მარჯვდნ იყე-
ნებს მ. ელიაზიშვილი არჩეულ გამოსახვით სა-
შუალებებს, რაოდენ ძლიერ ზემოქმედებ-
სა ახდენს მკითხველზე მის მიერ დახა-
ტული სურათები. მაგამა არ უნდა დავივიწყოთ
ერთი რამ: მომავალში ეს საშუალებები, ეს მე-
თოდი შესაძლოა საქმარისი აღარ აღმოჩნდეს.
მე ავტორი თავის შემოქმედებას გაბარილისა
(„უქუთასნელი კონწილა“) და სარდლის (მავე
საქმარწოდების მოთხრობის გმირი) ხაზით გაღ-
რმავებს, ესე იგი, თუ შეეცდება უფრო ღრმად
ჩასწვდეს ფსიქიკურს რთული სტლიური ცხოვ-
რების აღამიანებში (რაც საინტერესო იქნება მის-
ი შემოქმედების ჰუმანიტარული განვითარებისა),
უფრო ახლოს მივიღოს დიდ კაცობრიულ პრობ-
ლემებთან, მაშინ მის მიერ არჩეული თხორობის
სქოთარზობრივი მეთოდი უეჭველად ნაკლებ-
განი აღმოჩნდება და ავტორის დიდი მუშაობის
გაწვევა მოუწდება ახალ სტილისტურ საშუა-
ებას მისაყვლივად.

გივე უნდა ითქვას ოტია იოსელიანის შესახებ. „ლევანას“ გარდა ამაზე მიუთითებს ბოლო ანს დაწერილი შესანიშნავი მოთხრობა „ქვერის ცრემლები“.

ჩემის აზრით, ამავე პრობლემის წინაშე დიდ-
გებათათა დემეტრავილი, როდესაც შოვა დრო
მეგობრულდებით ანგარიში გაუწეროს თავის
ბრუნდენტრ „კარგადილა მეზობელსა“ და „წი-
თელ ვაშლებს“ და უფრო გააღრმავოს „წეროს“
აზრი.

მე არსებითად მხოლოდ რამდენიმე ახალგაზრდა მწერალზე ვილაპარაკე. ეს შემთხვევის ამბავი არაა: სწორედ მათს შემოქმედებას უკავშირდება უკანასკნელი წლების ქართულ პროზაში გამაღვლელი ტენდენციები და აღძვრილი პრობლემები. რაც შეეხება სხვა პროზაიკოსებს, ისეთი შემოქმედება (რაც თითქმის კრებულში დაბეჭდილი ნაწარმოებებით ამოიწურება მკითხველისათვის) ჯერჯერობით სპეციალური სვეტლების საბაზს არ იძლევა. მომავალ დაგეგმვაზე, მაშინდელ საინტერესო და პოტენციურ არიან ისინი, როგორც შემოქმედნი.



ოზია პაჭკორია

„სოფლელი ბიჭი“

ამ ბოლო ხანებში ბევრ წიგნს არ რგებია ნოდარ დუმბაძის „სოფლელი ბიჭის“ ხედვრი. იგი დაიტაცეს, მას კითხულობენ საქართველოს ყველა კუთხეში და იცინიან ჯანსაღი, გულღია სიცილით. წიგნს მკითხველისათვის სიხარული და ჩაფიქრება მოაქვს და, როგორც უკვე ითქვა, „განუშორებელი ღიმილი“. იგი გასაგებია ყვე-
ლისთვის — ზანდაზმულთათვის, ქაბუთათვის, სოფლელი ბიჭებისათვის, და მე არაერთგზის მინახავს გულცივი, იუმორისადმი კრიტიკულად განწყობილი ადამიანები, რომლებიც ზოგჯერ სურვილის წინააღმდეგაც კი თავს ეერ იკავებ-
დნ მზიარული სიცილისაგან.

და აი, ახლაც, ჩემს წინაა წიგნი, რომლის თაფურცელზე ხატია ქაბუკი, ცოცხალი, ოდნავ ცბიერი სახით და მოვიწოდებს — შედგა ფეხი სიცილისა და ღირბზმის, დიდი ადამიანური ოპტიმიზმისა და სევდის, სხივით მოფენილ, მწვანე ქვეყანაში.

წიგნმა გავგახარა თავისთავად და გავგახარა იმიტომაც, რომ ქართულ ლიტერატურაში თით-
ქმის მივიწყებულსა და უგულვებელყოფილ სატირასა და იუმორის ისეთი ნიჭიერი მესვეუ-
რი გაუჩნდა, როგორიც ნოდარ დუმბაძეა.

იუმორი ქართული ხასიათის განუშორებელი თვისებაა. შრომითა და ბრძოლით დამაშვარელი ქართველი ყოველთვის პოულობდა ძალასა და ღრის მოღუნვისა და ხუმრობისათვის, იუმო-
რით შეფერილი მხილებისა და ნათელი, გულ-
ვანსილი სიცილისათვის. სიცილის უნარში ზმირად გადარჩენა, უბედობისადმი დაუმორჩი-
ლებლობა, მოკლევანთა ობიექტურად შეფასება და ომილი იყო.

სატირა და იუმორი უმთავრესად მხილების, ყოფისა და ხასიათის ჩრდილოვან მხარეთა გა-
მომწერების, გარკვეული აღმზრდელობითი მნიშვნელობის მქონე ლიტერატურაა. მაგრამ ამ ბოლო ღრის მოჭარბებულმა უგემოვნო, ხე-
ლოვნურად შექმნილმა, დაბალი ღირსების მქო-
ნე, ანეგდოტებზე აგებულმა იუმორისტულმა

ნაწარმოებებმა წარმოშვეს აზრი, თითქოს იუ-
მორი და სატირა ნამდვილი ლიტერატურა არც
იყოს. და, მართლაც, ჩვენს იუმორისტულ ქუჩ-
ნალებში გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა უმე-
ტესობას ცოტა რამ აქვს საერთო ლიტერატუ-
რასთან. რაც შეეხება სატირასა და იუმორს,
მისი, როგორც ლიტერატურული ჟანრის უგულ-
ვებელყოფა ბოლოს და ბოლოს მთელ რიგ
უცნაურ შევითხვებამდე მიგვიყვანდა — არის
თუ არა ლიტერატურა „ტარტარენ ტარას-
კონელი“, „გარგანტუა და პანტაგრუელი“,
ჯერომ-ჯერომი, დიდი ილიას „კაცია დამიანი“
ან „ბათა ქექიაჲ“?

ვფიქრობ, სადავო არაფერია, სადავოდ ეს ამ-
ბავი იუმორისტულმა მაკულატურამ აქცია, და
სასიხარულოა ის ვითარება, რომ დაიწერა წიგ-
ნი, რომელიც იძლევა საშუალებას მივიწყებულ
ქანრზე ქეშმარიტი ლიტერატურის პოზიციები-
დან მსჯელობისა.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედების უპირვე-
ლესი თვისებაა ბუნებრიობა მისი იუმორისა,
რომლის მასაზრდოებელი წყარო ღრმა ხალ-
ხურობაა, იგი ხალასია, უბრალო და მნიშვნე-
ლოვანი, არ არის ხელოვნური და ამის მიზნე-
თვით ავტორის პიროვნული თვისებაცაია. მას
შესწევს უნარი ერთი შეხედვით უბრალო და
უმნიშვნელო მოვლენებში შენიშნოს სასაცილო.
დამახასიათებელი და გაუსვას ხაზი, მიუდგეს
ყველაფერს გულწრფელად და სერიოზულად
(რაც სრულიადაც არ გამორიცხავს იუმორის-
ტულ მიდგომას).

იგი მწერალია და შეუძლია შეიტანოს კომი-
კურში ღრამატული ინტონაციები, ფაქტური ლი-
რებში, ჰუმანურობა, ყოველივე ის, რაც ასე
მშვენიერადაა შერწყმული სატირულთან „მე,
ბებია, ილიკო და ილარიონში“, მოთხრობაში
რომელიც გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე
ხუმრობა-გროტესკი.

მე ხანჯასმით აღვნიშნე კომიკურში ღრამა-
ტული ინტონაციების შეტანა, რადგან, ჩემის
აზრით, ეს ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანია, რომე-

ლიც ნაწარმოებს მნიშვნელოვნად და მალა-
მატერულად აქცევს.

მოთხრობის პირველივე გვერდებიდან იქმნე-
ბა მხიარული განწყობა, კომიკური სიტუაციები
შეუწევლებელ ნაკადად მიედინება, მკითხველი
იყინის და ამ სიცილში ქანდის გამოყონილი
წვეთებივით ჩნდება წუხალი, უფრო და უფრო
ხშირად გვეუფლება გრძნობა ჩვეულებრივი,
ადამიანური სევდისა, ღირსშემისა, რადგან საქმე
გაქვს არა მთავრულ ხუმრობებთან, არამედ
ცოცხალ ადამიანებთან, რომელთაც თავიანთი
მცირე უბედობა თუ დიდი საზოგადო უბედუ-
რება აწუხებთ. მართალია, ისინი ცდილობენ
დარდი ღიმილით შეიმსუბუქონ, მაგრამ ქვეყ-
ნად ომია, სოფელში ხან აქ, ხან იქ გაისმის
შემცხადებელთა კივილი, საშობლო უკანასკნე-
ლი ძალის დაძაბვით ებრძვის შემოჭრილ მო-
ძალადეს. სიყვარულისა და მოვალეობის მალა-
ლი გრძნობით გამსჭვალული მოთხრობის გვი-
რები დღეფიქრებლად თმობენ საკმარისა და
აუცილებელს, რათა რითიმე შეუმსუბუქონ
ადამიანებს მძიმე ზეგარი, პარალელურად მათს
ყოველდღიურობაშიც როდია ყველაფერი რიგ-
ზე; ზურგიელს სწავლა ეზარება, ილიკოს ვაჟი
მეინცდამაინც სასიძაღლოდ როდი ფლანგავს
მამისეულ დახმარებასა და დროს თბილისში,
ილიკო მეველედ დანიშნეს, ზოლო ილარიონი
თვალს კარგავს და ასე შემდეგ... მაგრამ ისინი
არ ემორჩილებიან დარდს, სიცილი — აი რა
შველით მათ დარჩენენ უცვლელნი, არ დაემორ-
ჩილონ წუთს, იყვნენ თავისთავადნი და შეი-
ნარჩუნეს აზრობებისა, ადამიანების, სიცოცხ-
ლის დიდი სიყვარული.

ნოდარ დუმბაძე არ ერიდება სატირისა და
იუმორისათვის დამახასიათებელ გროტესკუ-
ლობას, იგი თამამად იყენებს მას, როცა სურს
გამამადროს ესა თუ ის ვითარება, სახასიათო
სცენა, განწყობილება; მაგრამ იგი დიდ ზომიე-
რებას ინარჩუნებს იქ, სადაც ნაწარმოებში
შემოაქვს დრამატული ან ლირიკული. ამ შემთ-
ხვევაში იგი რეალურად შესაძლებლის საზღვ-
რებს იშვიათად არღვევს და მოთხრობა რჩება
იუმორისტულ ნაწარმოებად, რომელსაც თავის-
ებური, სეგდანარევი, ზავერდოვანი ფონი ექვს.
ნიშანდობლივი და ჭარბია სიცილი, ოღონდ სი-
ცილი არ გადადის უგუნურ ზარბაზში, რადგან
მის მიღმა დგას ჩაფიქრება, აზრობელთა ბედის
გამო. მარად პირმყინარი ზურგიელა, ილიკო და
ილარიონი საოცრად მობოლიზებული, მთლიანი
პიროვნებებია, რომელნიც მზად არიან მიეშვე-
ლონ ყველას, ვისაც მათი მიშველება ესაჭიროე-
ბა. ისინი არ არიან კომედიანტები, რომელნიც
ძალას ატანენ თავს, იგონებენ არაბუნებრივ მოძ-
რაობებს, რომ სიცილი გამოიწვიონ. სიცილი
მათშია, იუმორი თანდაყოლილი, მათი ფსიქიკის
ჯანსუყოფელი ნაწილია.

როგორია ილარიონი, როდესაც თვალდაკარ-
გული ზის დეიდა მართას ეზოში და მსჯე-
ლობს! აი მისი ხასიათი, სიყვარული და მზო-
ლოდ სიყვარული. უბედურება დაატყდა, მაგრამ
მერე რა, პირადი უბედობა არ არის საქამო
საბაბი გამოტოვებისათვის. ილარიონის ხასია-
თი არ იცვლება. ადამიანის ბუნება თიხისგან
როდია გამოქვრივი, რომ შეიძლებაოდეს მისი
დაგუნდავება და ხელახლა გამოქვრივა! ცალთვა-
ლა ილარიონი იმადვე დარჩა, რაც ორთვალა
იყო და თითქმის ბედს (იქნებ ნოდარ დუმბა-
ძეს) სურდა ის დიდი პარმონია, რომელიც
მისი გმირების ურთიერთობაში იყო, გარეგ-
ნულადაც ასეთი ყოფილიყო, ეპოვნა ფიზიკუ-
რი გამოხატულება. იშვიათია თავისი კაცთ-
მოყვარეობითა და ჰუმანურობით უფრო დამა-
ჯერებელი სცენა, ვიდრე სცენა ილიკოს და
ილარიონის შეხვედრისა. ერთის შიში, მეორის
გაფრთხილებული, ცოტათი ცბიერი დამოკიდე-
ბულება და, როგორც კი ჩაივლის კარიზისა
წუთი, ისე იფეთქებს იუმორი. ახლა მათ
ორთ ორი თვალი აქვთ, ცხოვრობდნენ უწინ,
იცხოვრებენ ეხლაც, მათ ერთმანეთის სიყვარ-
ული აქვთ სანდო საყრდენად და ამ სიყვარ-
ულის დარღვევა არ ძალუძს არაფერს, იგი
სიკეთათა და ნათელი იუმორით საზრდოობს.

ს. მარკიში ჯერომ ჯერომის წიგნის წინა-
სიტყვაობაში წერს: თუ აუცილებელია „ხასია-
თის იუმორისა“ და „ვიტარებათა იუმორისა“
დაპირისპირება, მაშინ „ხასიათის იუმორი უფ-
რო ღრმა ფსიქოლოგიზმს მოითხოვს და, ამას-
თან, ნაკლებად მაფრია სიუჟეტურად. ავტორი
ქმნის კომიკურ სახასიათს, სასაცილოს ყველა
თავისი თვისებით და მაშინ კომიზმის წყარო
თვით გმირია და არა სიტუაცია, გმირი, რომ-
ლის გახსენებაც კი ღიმილს იწვევს... სამართ-
ლიანი იქნებოდა გველიარებინა ხასიათის იუმო-
რის უპირატესობა ვითარებათა იუმორის წინა-
შე“.

მიჯნის გავლება იუმორის ამ ორ ტიპს შო-
რის პირობითა და მაინც, ვფიქრობ, საჭიროა
სწორედ დრამატულზე მსჯელობისას აღვნიშ-
ნოთ, რომ ნოდარ დუმბაძეს ახასიათებს მძა-
ფრი კომიკური სიტუაციების შექმნა, მაგრამ
მისი გმირების იუმორი მდგომარეობს არა
მარტო სიტუაციებში, მათში ხასიათის იუმო-
რია. იუმორი ილიკოსა და ილარიონის თვისე-
ბაა არა იმიტომ, რომ ისინი ცდილობენ შექმ-
ნან სასაცილო ვითარებები, იმიტომ, რომ
ისინი ყოველივეს იუმორისტულ ასპექტში აღი-
ქვამენ, და ეს თანდათანობით მათს თვისებაში
გადადის. უნარი იუმორისტულად შეფასებისა
თვით გმირია იუმორისტულ სახეს ქმნის. ზური-
კელს ბებია თავისთავად ნაკლებ მონაწილეობს
კომიკურ სცენებში, მაგრამ მის სახელსაც ახ-
ლავს ღიმილი, იქნებ იმიტომ, რომ თვით ნაწარ-

მოვების ატმოსფეროა ასეთი. მაგრამ, გარდა ამისა, თვით მასში, მის ზასიათში იუმორი, რომელსაც ისეთი ნათელი გამოხატულება არა აქვს. იგი კეთილი, მშრომელი, მოსიყვარულე ქართველი ქალია, რომელშიც ყოველთვის იგრძნობა თავშეკავებული ღმირი. რაც შეეხება ზასიათის იუმორს, ან, უფრო ზუსტად, რა იწვევს მკითხველში ღმირს, გარკვეული წარმოდგენა, რომელიც ყველა ჩვენთვის ბავშვობიდან გამოკრულია, წარმოდგენა მოსიყვარულე და მოზულუნე დედაბერზე, რომელიც იოღარ დღეობამდე ზოგად ლიტერატურულ პერსონაჟად აღწია და მიანიჭა დახვეწილი იუმორის გრძნობა. გაიხსენოთ დიდი გულწრფელობითა და სიყვარულით დაწერილი ბეზის სიყვდილის ერთი ადგილი, როდესაც იგი ღვინოს მოათხოვს და ზურგიელა მას რძეს მიაწვდის. მოხუცი ღვინო დალევს რძეს და შემდეგ შეიღწევის მიმართავს:

— ასე ღვინო მომეც!

აქ არ არის კომიკური სიტუაცია. ამ მცირე შტრიხით მთლიანად იხსნება ბეზის ზასიათი, სწორედ ის შინაგანი, სხასიათი იუმორი, რომელიც მასში ყოველთვის ცოცხლობდა, და იწვევდა გარკვეული წარმოდგენა — ცრემლნარევი ღმირის განწყობა. ვის არ უხვავს ჩვენს სოფლებში სახედაღარული, ჯაფითა და წლებით წელში გატეხილი მოხუცი ქალები, რომელთა თვალთა კუთხეებში კეთილი ღმირი ჩაწოლილი, რომელთაც ყოველთვის მოეძვებათ ალერსიანი, ზნორად თავისებურად დამკინაი მახვილი სიტყვა და მართლად განკლილი ცხოვრების შეგნებით ძალამოსილი, მშვიდად, ხედებიან დასასრულს.

ზურგიელა გაიზარდა, გავიდა ცხოვრების ფართო შარზე და დაეკავებოდა ბიჭი ქვითინით ეთხოვება თავის აღმზრდელს, რომელმაც მას ანდერძად მახვილგონიერება, სითბო, სიყვარული და პატიოსნება დაუტოვა.

რასაკვირველია, შესაძლებელი იყო თვითუფლი პერსონაჟის ცალკაყვად დახასიათება, ილიკოც, ილარიონიც, ზურგიელაც, თვით ისეთი ეპიზოდური მონაწილენი, როგორც დეიდა მართა, სახლმმართველი დომენტი, ზახლონა მასწავლებელი — ამის საბაზს უხვად იძლეოდა, მაგრამ ამჟერად შესაძლებლად მიმაჩნია დაირღვრა ნაწარმოების ანალიზის მიღებული სქემა და ხაზი გაესვას მხოლოდ ზოგიერთ იმ მხარეს, რომელშიც ნოდარ დუმბაძის მწერლური ოსტატობა ჩანს.

„მე, ბებია, ილიკო და ილარიონზე“ საუბრისას ზოგჯერ მსმენია აზრი — რა შეიძლება ითქვას მოთხრობა-ხუმრობაზე, რომელსაც სიუჟეტი არა აქვს და არავითარი ფილოსოფიური ან ფსიქოლოგიური აზრი მასში გატარებული არ არისო? ვფიქრობ, ეს შეხედულება უსაფუძვლოა, იგი საბრისა და იუმორისაღმე

შექმნილი ყალბი დამოკიდებულების პროდუქტი უფროა, ვიდრე მოთხრობით უშუალოდ გამოწვეული აზრი.

მართალია, მოთხრობას არა აქვს ნათლად გამოხატული სიუჟეტი, ასე ვთქვათ, ძნელი მოსაყვლია ამბავი, რომელიც მასშია მოთხრობილი, მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს უსიუჟეტობას, არის თუ არა მასში ჩვეულებრივი, ადამიანური ფილოსოფია და ფრიად საინტერესო ფსიქოლოგიური წიადსებები? რასაკვირველია, არის და სამივე ელემენტი დაეკვირვება ზურგიელასთან. იგი ჩვენს თვალთა წინაშე იზრდება, უდარდელი, ზეშარა ყმაწვილად იქცევა იუმორისტულად განწყობილ, უკვე დასრულებულ პაბუად და ეს ზრდა საკმაოდ თვლნათლივია. ესაა ამბავი, რომელიც მოთხრობას კომპონიკურად ქრავს. შესაძლოა იგი ისე არ იყოს დაწერილი, როგორც სიუჟეტურად შეკრული, მოთხრობის წერის კანონებს დაქვემდებარებული ნაწარმოები, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ არის ამორფული. ზურგიელას განწყობილებები ლოგიკურად ვითარდება და მკითხველი თვალნათლად ხედავს, როგორ იზრდება და მყარდება მასში ჩვენი სინამდვილისა და ადამიანების სიყვარული. მკითხველს სჯერა, ზურგიელა პატიოსნად გაიცილს ცხოვრების ზგას, ამის საწინააღმდეგო მისი ფსიქიკა, მისი დამოკიდებულება ადამიანებისადმი და მოვლენებისადმი, ის ფილოსოფია, რომელიც პატარა სოფელს ბიჭში ხალხური სიბრძნით და სხარტი აზროვნებით უხვადაა მომადლებული.

მოთხრობაში ბევრია მაღალმხატვრული ადგილი, სახე და სტრათია. ავტორი ძუნწი და მკაცრი შტრიხებით ხატავს პორტრეტებს და იწვევს მკითხველში ნათელ წარმოდგენებს. მაგალითად ავიღოთ მგზავრობა მატარებელში; დიდი პლასტიკური სიხსილითაა აღწერილი ვაგონის კუბე და შემთხვევით თავშეყრილი მგზავრები, რომლებიც მგზავრობამ დაამეგობრა და ყოველ მთვანს ხედავს, თუმც მათ დახატვის თითო-თითო წინადადება აქვს დათმობილი.

„— ვისია ეს ჩემოდანი, მომამოროს, თორემ გავიტროფი ფანჯარაში! — თქვა ერთმა მგზავრმა“. უკვე წარმოიშვა გარკვეული მთლოდინი, როგორი უნდა იყოს ეგზომ ექსპანსური მგზავრი, „რომელსაც ცხვირპირი ალესილ ნაჯახს მიუვავდა“, დასძენს ავტორი და თქვენს წინაშე იხატება ტიპი, რომელიც მთლიანად ამართლებს წარმოთქმულ წინადადებას.

„— მავ ჩემოდანს თიხი გველემპავით პირადიჩენილი მუტრუკი ელოდება თბილისში, — თქვა ინდურის კვერცხივით სახედაჭოფილმა, მსუქანმა კაცმა“. და აქაც მთქმელის გარეგნობასა და წარმოთქმულს შორის შინაგანი კავშირია, ხოლო შემდგომ ბიძია ამბავი და მსუქანი კაცი იხსენიებიან, როგორც „ნაჯახი“ და

„კვერცხი“. მეტი რაა საჭირო მათ დასაბასიო-თებლად!

ყოველივე ამის გვერდით ისეთი ზუსტი და ნიწნობი განწყობილებები, როგორიც ყველას განუვლია მგზავრობისას:

„ბორბლების დაგდევნი რაღაცას მაგონებს მშობლიურს, ყველაზე მახლობელსა და ისე შორს ვაჟულა, რომ ვეღარ ვიხსენებ, ბორბ-ლები განაგრძობენ დაგდევნას, თვალები მელ-ლებს, მივდივარ შორს, სადაც შორს...“

ან ასეთი სახე:

„დაზაფრთხი ხეები ერთმანეთს ასწრებდნენ, გეგონებოდათ დასველების ემინათ და მჟუდ-როში მიიჩქარებოდნენ“.

ამდაგვარი მხატვრული სახეები იშვიათი როდია და ბევრ მათგანს თავისებური ქვეტექს-ტი აქვს.

„მთელი დღე შემძლია ვეყურო ერთ ყვა-ვილს და მასში მთელი მინდორი დაეინახო, ან შემძლია მთელი დღე ვიარო ყვაილებით სავსე მინდორზე და ერთი ყვაილის გარდა ვერაფერი დაეინახო, მერე მე შემძლია დავე-გდო გულაღმა და ცაშიც ყვაილები დაეინა-ხო, მერე დავეგდო პირჩაღმა, დავებუო თვა-ლები და ისევ ყვაილები დაეინახო. მე საოც-რად მიყვარს ყვაილები, მაგრამ არ მიყვარს, როცა მათ წყვეტენ. მე მერზობლა მოწყვეტი-ლი ყვაილი და მგონია, რომ იგი მკვდრის გვირგვინიდანაა ამოღებული, ცირას ყოველ დახრახუ გული მეცემება, მე ფორთხვით ავალ ამ მღვიმეში, ოღონდ ცირამ არ მოწყვი-ტოსა“ ეღვილი, მაგრამ ცირას არ შეუძლია აიღეს ყვაილებში იაროს უყვაილად და იგი წყვეტს ყვაილებს, ჯერ ერთს, მერე მეორეს, მესამეს, და მე ვხედავ ჩემს წინ მიმავალ დიდ თაი-გულს“.

ამ ნაწილში ზურგიელას ხასიათია თვით ნოდარ დუმბაის ხასიათი და მისი მწერლური ოსტატობა. ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია, ასეთი იუმორისტული ნაწარმოები თამამად შედის ნა. დვლილი ლიტერატურის რაკალში და იმკვიდრებს კუთვნილ ადგილს.

ან მოვიგონოთ, თუნდაც, „შოიომღვიმის“ ფი-ნალი — ზარების დარისხება სამრეკლოზე, მშვენიერი და ამაღლებული, ქეშმარიტად პოე-ტური, რომელიც სიხანულსაც კი იწვევს და გასაოცარია უნარი გროტესკულ, ზოგჯერ ბასილარისტური, კომიკური სცენების მსგავს პასაჟებთან შერწყმისა, სიცილიდან სენტიმენ-ტალურის საზღვრებამდე დაშვებისა და ზოშიე-რების ტკბობა, რომელიც იცავს ავტორს სენ-ტიმენტალურის მიჯნას გადააბიჯოს და რჩება დავიწი ლირიზმისა და ლამაზი განწყობების სფეროში.

მოთხრობა, მიუხედავად სუსტად გამოხატუ-ლი სიუჟეტისა, დინამიურია. დინამიურია მოვ-

ლენათა შენაცვლება, დილოგები, რომელთაც იუმორისტულ ხასიათს მოულოდნელად ჩარ-თული ან დასკვნის სახით გამოყოფილი წინა-დადება აძლევს. საერთოდ, ამდაგვარი მოუ-ლოდნელობა, როცა თითქმის დარღვეულია ლოგიკური ღიწვები და კავშირი შინაგანია, ან საკმაოდ შორეული ასოციაციის ხასიათის მქო-ნე, იუმორისტული ნაწარმოებისათვის დამახა-სიათელია და სწორედ ეს ანახადული კავ-შირი იწვევს ღიმილს.

ნოდარ დუმბაძე დილოგებსა და მთელ რიგ ემოციურ წიაღსელებს გარკვეული რიტმით აგებს, რითაც ქანის ხან სარკაზმს, ხან ლირი-კულობას ზოგ ადგილს ლექსის ინტონაციებიც აქვს, განსაკუთრებით ისეთ თავებში, როგო-რიცა „პირველი სიყვარული“, „ცირა“ და სხვ. საერთოდ, იგი იშვიათად არღვევს ამბის შინა-განი რიტმისა და თხრობის რიტმის მთლიანო-ბას, რაც პარამონულობის სისამიშვნო შეთავ-ლილებს ქმნის.

მწერლის ლექსიური მარაგი შეესებულება რიგი კეთხური გამოთქმებით. ეს გარდაუე-ლია, უაღრესად კოლორისტული და გამართლე-ბული თვით მოთხრობის ეთნოგრაფიული ხასია-თით, საერთოდ კი მისი ლექსიცა სადაა, თანა-მედროვე, ზუსტი. იგი ერიდება მაღალფარდო-ვნებას იქაც კი, სადაც დამატული ემოციურობა ან ლირიზმი თითქოსდა მოითხოვს კიდევ ამ მაღალფარდოვნებასა და ფიგურალურ თქმებს, იგი არიდებს თავს სიტყვიერი სასალის დამ-ძიმებით ტონის ამაღლებას. აღწევს ამას სხვა უფრო სადა და ბუნებრივი საშუალებებით — რიტმის შეცვლით, ტავტოლოგიებით, ინტრა-ციური ნაირფერობით და სხვ. მაგალითად, ვაგონში მგზავრობისას, ფიქრს მატარებლის თვლების რიტმი ენიჭება, ჩნდება რეფერენს მსგავსი შემთხილები. ეს ზერზი არ არის ორი-გინალური, მაგრამ ოსტატურად გამოყენების შემთხვევაში სრულფასოვანია. ასევეა „შოი-მღვიმეში“ — ზარების მელოდია თხრობის მე-ლოდიად იქცევა. ეს ადგილი დასრულებულ მუსიკალურ ფრაზას ჰგავს და ლექსის წერაში გაწვრთნილი ხელი ეტყობა.

მოთხრობა სადაა და დიდი გულწრფელობის ნიშანი ატყვია.

„იყავით გულწრფელი და იქნებით ინდივი-დუალური“, — მითითა ლევ ტოლსტოიმ ორი-გინალობისა და ინდივიდუალობის მაძიებელ ერთ ახალგაზრდა მწერალს. დიდი ხელშეწყობის სიტყვები ფორმულას ჰგავს. გულწრფელობა არც თუ ისე ადვილია თვით შემოქმედისთვისაც კი. ტოლსტოიმ იცოდა, რა იყო სიმწიფე ფორმულისა — მაილწი ინდივიდუალობა.

ნოდარ დუმბაძე გულწრფელია თავის სიყვარულში, სიმპათიებში, მოვლენების შეფასება-ში, გულწრფელია როგორც ადამიანი და რო-

გორკ მწერალი და თუ ჯერ აღრეა საკუთარ სტილზე ლაპარაკი (რაც შესაძლოა მცდარიც იყოს), მას აქვს საკუთარი წერის მანერა, რითაც მის ყოველ იუმორისტულ მოთხრობას მუდამ გამოარჩევ, დამახსოვრებ ზოლზე და ზოგჯერ ხსენას გარკვეულ ცნებად შემორჩება მისი გმირები, რომელთაც ზშირად იხსენებ და ზოგიერთ ადამიანს ეპითეტად მიუტრეც.

არის მოთხრობაში ზოგი თავი, რომელიც სიცილის იწვევს, მაგრამ მოთხრობის საერთო ტონიდან ამოვარდნილია; მაგალითად, განძის ძიება, ბლის ხეზე გასვლა, გამოცდისათვის მზადება. საერთოდ, ჩემის აზრით, თბილისის სცენები უფრო სუსტია, ვიდრე სოფლისა, უფრო ზუსტად — სცენები ბეზისა, ილიკოსა და ილარიონის გარეშე შიგადაშვებ იწვევენ ერთგვარ ნაძალადეობისა და ხელოვნურობის გრძნობას. რაც შეეხება სოფელს, სოფლის სურათებს, მათში ნათლად იგრძნობა გურიის ფერთა სიუხვე და სურნელი, ჩვენი ქვეყნის ამ მშვენიერი კუთხის მკვიდრთა ხასიათი და თავისებურება.

მე არ მსურს წერის ზოტბის ხასიათი ჰქონდეს, მაგრამ რით უნდა მიუზღო სანაცვლო ავტორს მონიჭებული სიამოვნებისათვის, თუ არა წარდგო აღიარებით!

კრებულში მოთავსებული სხვა მოთხრობებიდან განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ციკლი „ვაჟა-ფშაველას გიგანოს“, მოთხრობები „გლადიატორი“, „ქელეზი“, „უცხოეთის ცის ქვეშ“, „არ გაუშვათ გადაუკეთებელი არც ერთი ზღაპარი“.

ავტორი არ ტოვებს უწყურადღებოდ ჩვენი ცხოვრების თვითქმის არც ერთ ჩრდილოვან მხარეს, იგი იცინის და აიცინებს სხვებს, მაგრამ ყოველთვის იგრძნობა დიდი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა. გაფრთხილებების და მითითებების ხასიათისაა მთელი რიგი მოთხრობებისა, რომელთა დანიშნულებაც არა მხოლოდ მხარბული სიცილია, ზშირად აღმზრდელობითაა და დამაფიქრებელი.

„გაუპიარეს გიგანოს!“ — აღფრთოვანებული ეგებებიან ახლობლები ოჯახის ახალი წევრის მოვლინებას ამ ქვეყნად და შემდეგ თანდათანობით იშლება სურათი მთელი აღმზრდელობით სისტემისა; სიყვარულით დაბრმავებული დედა, უნებისყოფი და კარიერისტი მამა, რომელიც საკუთარ თავზე ანონიმური წერილების წერილობით გართული და რეფერენსის მსგავსი, ჯანსაღი რეპარტები დეიდისა, რაც მეშინათლი ოჯახის ფუსფუსში მოღალადე ზმად რჩება. იზრდება გიგანოს, იგი აზრდება ფიზიკურად, იზრდება მშობლების თვალში, სინამდვილეში კი ფონეზინის ეს რესტავრირებული პერსონაჟი დიდად როდეს სილდება ავერსიულ ინტელექტუალურ დონეს. როდესა ღუმბამე ახერხებს მახვილგონიერ-

რების ფეიერვერკი შემოარტყას გარს გიგანოს ცხოვრებას და მაინც ფაქტი საეკლალაო. მაგრამ გვონებ პროსპექტის ზოგიერთ „დამსახურებულ მოღვაწეს“ თამამად შეუძლია იცნოს თავისთავი გიგანოსში. აქ ყველაფერია — უსუსრობა და უუნარობა, დამოუკიდებელი ცხოვრების შში, ფიზიკური ძალისა და „დარტყმის“ ექლტი, უწიგნურობა და უგუნურება.

„ვისია ეს ბიჭი?“ — ასეთია სათაური ციკლის ერთი ნაწილისა და, მართლაც, ვისია ეს ბიჭი, ვინ არიან ეს ბიჭები — ჩვენი საზოგადოების ხორცმკები — ბეჭბრტყელი, ტანწერწერა ბიჭები, სერბულად ნეწარში სახეებით და უაზრო თვალებით? რა აწუხებთ მათ, ან რა სურთ? იგივე, რაც გიგანოს? სცადეთ და გამოუდავთ ან მიუთითეთ, მაშინ, ავტორისვე სიტყვებით, „ის თვითონვე გასცემს საკადრის პასუხს ცილისმწამებლებს“.

მოდით დაფიქრდეთ! — მოგვიწოდებს ნ. დუმბაძე, მოდით ვამხილოთ და ჩვენი სიცილი ნუ იქნება თვითდამშვიდების ნაყოფი. იქნებ საჭიროა ზოგიერთმა მშობელმა სერიოზულად გაითვალისწინოს — როდის და როგორ იწყება ბავშვის აღზრდა, რომ შემდგომ გვიან არ შეიქნეს „თითზე კენანნი“.

უნებურად ავლებ პარალელს ზურიკოსა და გიგანოს შორის, ჯანსაღ, შრომისა და იუმორის ატმოსფეროში აღზრდილი ზურიკოსა მოთხრობის დასასრულს გვევლინება ჩამოყალიბებულ ადამიანად, რომელსაც კარგად აქვს შეგნებული მოვალეობა თავისი ხალხისა და თავისი სოფლის წინაშე, ოცნებობს შრომაზე, ფიქრობს ქვეყნის კეთილდღეობაზე. გიგანოს კი, აღზრდილი ყალბ, ფუსფუსისა და თაყვანისცემის ფსევდო-კულტურულ ატმოსფეროში, გულგრილია ყველაფრისადმი, მისი სამყარო განსაზღვრულია რამდენიმე ფრიად საეკლალო ვითარებით, იგი ჰგავს ცუდად მომართულ, უხარისხო სათამაშოს, რომელიც მხოლოდ მაშინ გამოდის უმოძრაობიდან, როდესაც მისი დაბალი ინსტინქტების სამოქმედო არეში ზვდება.

„— მშვიდობით, გიგანოს!“ — პათეტურად მთავრდება ციკლი. მშვიდობით, გიგანოს, ეთხოვრება მშობელი მამა დიდის მახვილგონიერებით აღწერილი სასამართლოს სხდომის შემდეგ პირმშოს და — მშვიდობით, გიგანოს, არა იმიტომ, რომ მას რვა დღით თავისუფლებების აღკვეთა მიესაჯა, მშვიდობით, რადგან იგი ფაქტურად დაკარგულია საზოგადოებისათვის.

ამავე თემას ეხმარება მოთხრობები „როგორ უნდა აღზარდოთ ბავშვი“, „გენერალური რეპეტიცია“, „ბავშვების როლი მშობლების აღზრდაში“ და მთელი რიგი პამფლეტური და ფელეტონისტური ხასიათის ნაწარმოებები. ეგზარგარეშა, მწერალი არაერთგზის დაფიქრებულა

ჩვენი ყოფისათვის შეუფერებელ ზოგ მოვლენაზე, შემდგომ თავისი მაღლიანი იუმორი მოუშველებია, მნიშვნელოვანი გაფრთხილება მახვილ სიტყვას ამოუფარებია და შეუთავაზებია მკითხველისათვის, როგორც სერიოზული სიცოლი.

ზოგჯერ იუმორი თვითმიზნად იქცევა და მას არაა ამოფარებული არავითარი მნიშვნელოვანი აზრი, იქმნება ხუმრობა ხუმრობისათვის და იუმორისტისთვის ადვილი როდღა ამ ცდუნების თავიდან აცილება. კრებულში „სოფლელი ბიჭი“ ამ ვითარებას მინიმალურად ვხვდებით. თუ ზოგჯერ ავტორი ვერ იკავებს თავს არ გადაუხადოს ხარკი ხუმრობის მოთხოვნილებას, მაინც უმეტესად მისი დამოკიდებულება იუმორისადმი არაა თვითმიზნური და სწორედ ამიტომ მთელ რიგ მოთხრობებს დამოუკიდებელი, მხატვრული ნაწარმოების ღირებულება ენიჭება.

ამ თვალსაზრისით იშვიათია მოთხრობა „გლადიატორი“, მჩქეფარე სიცილითა და მსუბუქი, მიმზიდველი იუმორით პირთამდე სავსე. მოთხრობაში ყოველი წინადადება გააზრებულია და ქმნის ურღვევ მთლიანობას. ამ მცირე ზომის ნაწარმოებში მშვენიერადაა გახსნილი აღამიანის ხასიათი. უსაფუძვლო თვითრწმენა უმეტესად სასაცილოა. ასეთია სასიძო, რომელსაც თავის გამოჩენა სურს და მსხვერპლად ეწირება თავისი შესაძლებლობების უსაზღვრო რწმენას.

მოვლელი ჭირისუფლები ვეღარ ახერხებენ ბეზის ნეშტის მიწას მიბარებას. თითქოსდა ტრადიციული რიტუალი სამარცხენო ფარსად იქცევა. ნოდარ დუმბაძე იცინის, იცინიან ალბათ ამ ფარსის მონაწილენიც, მაგრამ ღიმილი-მხილება არ უნდა გაქრეს უკვალოდ, ბოლოს და ბოლოს ვის ესაპიროება ამდაგვარი გაშარებული პროცესები და აქვთ თუ არა მათ რაიმე საერთო ჩვენს ეროვნულ ზნეჩვეულებებთან? საჭიროა თუ არა გადავაცეთთ ყველა ზღაპარი, რა შედეგი შეუძლია გამოიღოს ზელოვნების მექანიკურმა გაგებამ. საჭიროა თუ არა ვაშენოთ იაფად და სწრაფად, ოღონდ ფაშენოთ ისე, რომ სახლში ცხოვრება შეიძლებოდეს. ვინ იცის კიდევ ჩვენი ყოფის რა მხარეს არ ეხება ნოდარ დუმბაძე! იგი თემატურად მრავალმხრივია და, როცა კითხულობ კრებულს, თვალწინ გიღვას ავტორის პიროვნება; ნოდარ დუმბაძე უპირველეს ყოვლისა მოქალაქეა, რომელსაც გულთან ახლოს მიაქვს მორალური და ეთიკური იუმორისტი შეურევნებელი, ბასრი სიცილით ებრძვის რაც კი რამ სასაცილოა ჩვენს ყოფაში. ასეთია იგი და ასეთი იყო ყველა ჰუმანიტარული მწერალი, რომელთაც თავისი მსოფლხედვის გამოსახატავად სატირა და იუმორი აირჩიეს.

ბალახზე, ყვავილებს შორის წამოწოლილი „სოფლელი ბიჭი“ თავისი განუყრელი, აგრეთვე დიქტის უნართა და იუმორით დაჯილდოვებული მერაბითა და ჭარბადი მეგობრებით წიგნის ხელში აღებისთანავე ქმნის გარკვეულ შთაბეჭდილებას. ძნელია არაპროფესიონალისათვის მხატვრობაზე რამის თქმა, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია ორიოდე სიტყვით შევეხოთ წიგნის გაფორმებას. სასიხარულოა, როცა მწერლისა და მხატვრის თანამშრომლობის შედეგი კარგად გაფორმებული წიგნია. თუ შეიძლება ასე ითქვას, ილუსტრაციები ჰყვებიან ამბავს, ისინი რჩებიან მეხსიერებაში და ქმნიან რეალურ სახეებს, რომელნიც ზშირად ისე შემოდიან და მკვიდრდებიან ცნობიერებაში, რომ ძნელია ნაწარმოების გმირების სხვაგვარად წარმოდგენა. ჯერალ ლოლუას ილუსტრაციები უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იქცევენ თავიანთი კოლორიტით, პლასტიკითა და ბასითების ღრმა წვდვით, თავისუფალი ხატვის მანერით, უაღრესად თავისებური, გამომხატველი კონტურებითა და რიტმით. იგი დიდ ყურადღებას აქცევს ერთი შეხედვით ძნელადშესამჩნევ, ყოფის ამსახველ დეტალებს, რითაც ბასს უსვამს მოთხრობის გარემოს. ილუსტრაციები მჭიდრო კავშირშია ავტორისეულ ჩანაფიქრთან და იუმორთან და, ამავე დროს, თავისთავად მხატვრული ღირებულების მქონეა.





მიხეილ მაგულაშვილი

„ქაში სიცოცხლისა და ქაში სიკვდილისა“

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში მსოფლიო ლიტერატურის მრავალი საუკეთესო ნიმუში ითარგმნა ქართულ ენაზე. სამწერლო ასპარეზს მოეყვინნენ ნიჭიერი, უცხოური და ქართული ენების კარგი მცოდნე მთარგმნელები, რომელთა ენერგიული შრომით საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე მხატვრული ლიტერატურის თარგმნის დარგში შექმნილი უდიდესი ხარვეზი ნაწილობრივ მაინც ამოივსო. მაგრამ ოსტატურად, კეთილსინდისიერად შესრულებულ ნამუშევრებთან ერთად აქა-იქ უხეირო, უგემონო, ზოგჯერ კი საშარცხენო თარგმანებშიც გაჩნდა, ხალტრა ცდილობს გზა გაიკაფოს. თარგმნა ბევრისთვის იოლი შემოსავლის წყაროდ იქცა. საკმარისია კაცმა უცხოური ენა ისწავლოს (ქართული ხომ თითქმის ისედაც იცის, დედაენას!), რომ უკვე თარგმანს ჰკიდებს ხელს.

ქართული მხატვრული თარგმნითი ლიტერატურის საკითხების გარშემო გამართულ ამასწინანდელ დისკუსიაზე, რომელიც საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა მოაწყო, როგორც მომხსენებელი, ისე მოკამათენი ერთხმად აღნიშნავენ უხეირო თარგმანის მომრავლებას, კერძოდ იმას, რომ ბევრმა დამწყებმა მწერალმა არასაკმაოდ იცის დედაენა, არ ფლობს თარგმნის ხეობებს, უბასუხისმგებლოდ, დაუდევრად ექცევა ამ ღიდმნიშვნელოვან საქმეს და თარგმნა ბიზნესად გულსდია. დისკუსიაზე გამოითქვა აზრი ყურადღება მიექცეს თარგმანების გარშემო კრიტიკის გაცხოველებასაც, მიუღმოვლი, ობიექტური რეცენზიების გამოქვეყნებას, ამ რეცენზიებში ძირითადად აზრის იმაზე გამახვილებას, თუ რა ღირებულება აქვს თარგმანს როგორც დამოუკიდებელ, ქართულ ნაწარმოებს, არის თუ არა იგი შემოქმედების ნაყოფი და სხვა.

ამ თვალსაზრისით განვიზრახეთ მოკლედ

გაგვეჩია ჩვენში მეტად პოპულარული ანტიფაშისტური მწერლის ერის მარია რემარკის რომანი „ქაში სიცოცხლისა და ქაში სიკვდილისა“. ორიგინალის ღირსებაზე აქ აღარ შევჩერდებით, რადგან მასზე ბევრი ითქვა და დაიწერა, ვილაპარაკებთ მხოლოდ ქართულ ტექსტზე, რომელიც ჯორჯანელეზმა თარგმნეს გერმანულიდან.

იმისათვის, რომ ჩვენი რეცენზია ზერეულე არ გამოსულიყო, ქართული თარგმანი სიტყვასიტყვით შევუდარეთ გერმანულ დედანს. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა! გადაჭრით უნდა განვაეხადოთ, რომ ჯორჯანელეზის ეს ნამუშევარი ოსტატური, კეთილსინდისიერი თარგმანის საუკეთესო ნიმუშია.

ჯორჯანელეზის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მათს თარგმანს დამოუკიდებელი, ქართული ნაწარმოების ფასი აქვს, — ეს კი მთავარია კარგი თარგმანისათვის, — ამავე დროს მიუღწევიათ რომანის მხატვრული ღირებულების დაუკარგავად დედნის მაქსიმალური სიზუსტისათვის, რემარკის რთულ იდიომატიკას მომეხილი აქვს შესაფერი ქართული შესატყვისა, ყოველი წინადადება, ყოველი სიტყვაც კი პოულობს სათანადო ქართულ ექვივალენტს, მაგრამ მას მთარგმნელები თვითონ კი არ იგონებენ, როგორც ბევრს მოსდის ზოლში, არამედ ყველაფერს დედაენის მდიდარი საგანძურადან იღებენ.

ცნობილია, რომ რემარკის თარგმნა ღიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, მის ნაწარმოებთა შორის კი „ქაში სიცოცხლისა და ქაში სიკვდილისა“ ამ მხრივ, ვფიქრობთ, ყველაზე რთულია. ძირითადი სიძნელე აქ დედნის ლოკონური სტილის, მდიდარი იდიომატიკის გადმოცემა და, რაც მთავარია, ჰარბად ხმარებული არგოტული გამოთქმების შესატყვისთა გამოჩენა. ჩვენში დღემდე არსებობდა აზრი,

თითქმის ქართულს არგო არც კი ჰქონდეს და ევროპული ენების ყველა არგოტული გამოთქმის გადმოქართულება განუზოციელებელი საქმე იყოს. მართლაც, განა ჩვენი ენის შესაძლებლობანი, რომელსაც არგოს შექმნის პირობები არასოდეს ჰქონია, შეიძლება გაუტოლდეს გერმანულ ჯარისკაცულ ჟარგონს, რომელსაც პრუსიული სალდაფონობის ხანგრძლივი ტრადიცია აქვს და ამ გამოთქმების გარკვეული ნაწილი ლექსიკონებშიც კი შევიდა? ეს გარემოება ახალგაზრდა მთარგმნელთა წინაშე უთუოდ კითხვის ნიშნად აღიმართა, მაგრამ გამოსავალი მათ ქართული ხალხური მეტყველების საფუძვლიანმა ცოდნამ მისცა: თარგმანში ყველა არგოტულ გამოთქმას კარგი შესატყვისი აქვს გამონახული. საილუსტრაციოდ დავასახელებთ რამდენსამე მათგანს.

„მაგას წყალი არ გაუვა“ (გერმანულში: „Klar“ — ნათელია); „ჯიგრიანად“; „დაყავე“; „აღაწოდა“; „მოკეტე“ (დღედან: „Halt die Schnauze“ — ლაყავი გაჩერე); „უტვინო გორსალა“; „ნამდვილი ოინებაში ხარ“; „მოვაყუჩე“; „ეგ კომენდანტი, ეტყობა, ცოტათი აფრენს“; „თითლინაზური თავის არიდება“; „იღბათ ძალიან მაგარი ვინმეა, ვისაც ჩანგალი მოსდგ“; „ორი საათი დამატებითი ვარჯიში მოგვარტყეს“; „შენ რას იმეორებდები მანდ?“; „ამ ჩიხობაში... აღმოაჩნდათ მორფიუმი“; „ეინემე ხომ უნდა გაასაღოს ისინი“; „აივთესე, რახან ეგეთი ნაზი ნერვები გაქვს“ და სხვა მრავალი.

გერმანული გამოთქმის „fressen“-ის შესატყვისად მთარგმნელებს „თოხლობა“ შეურჩევით. ჩვენი აზრით, იგი ყველა კონტექსტში არ გამოდგება, იმპერატივში უკეთესია „ჩახეთქე“ ვიხმაროთ. აქვე გვინდა შევნიშნოთ ერთი რამ: დღედანში ზოგიერთ დიალოგში არის სიტყვები, რომლებიც ქართულში (მართალია, იშვიათად) არგოტული კი აღარ გამოდის, არამედ — ლიტერატურული. შეიძლება მთარგმნელებმა იფიქრეს, მეკეთრი ჯარისკაცული გამოთქმები ქართველი მკითხველის ყურს ეჩოთებოდა, მაგრამ ამით რომანს ნაწილობრივ კოლორიტი რომ დაეუკარგეთ, განა ეს უარესი არ არის?! გვიხსენით ანრი ბარბუსის ცნობილი რომანი „ცეცხლი“, რომელიც შესანიშნავად გადმოაქართულა თედო სახოკიამ. არგოტული გამოთქმები იქ რომ ლიტერატურულით შეცვლილიყო, ხომ დაეკარგებოდა თავისი შესანიშნავი კოლორიტი რომანს!

ჯორჯანელების თარგმანის ყოველ ნაბიჯზე გზეულებით გერმანული იდიომების, სპეციფიკური გამოთქმების ქართულ შესატყვისებს, რომლებიც მათ ცოცხალ ხალხური მეტყველებიდან აუღიათ. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს. „ეს ყბედი პეიტარი, ესა“; „ინდურები

იფხორება“; „რა საშინლად ვარ დღეს“ (დღესდღეობა); „ეს ოხერი“; „თვითონაც მოეწყება კული“; „ბატისტინებო“; „შენს შევბუღებას წირვა გამოუვიდა“ (გერმანულში — „Aus mit der Urlaub“ — შევბუღებას გამოემშვიდობე); „კაცო, მეტი დარდი არ გაუზებს“; „კონკიელარუთასავით რომ დაგიკერებია მკერდზე ორდენები“; „ძალი ბატონის ვერა სცნობს“; (დღედანში: „alles ist durcheinander“ — ყველაფერი ერთმანეთთან არეული); „საწყალ კაცს ჭეა აღმართში დეწიო“ (ორიგინალში — „Unglück zieht Unglück an“ — უბედურებას უბედურება მოსდევს); „ფუხის ჭირა“ (Trinkgeld) — რაც გინდა, სულ და გულო“; „კაცო, შენ რა, ციდან ხომ არა ხარ ჩამოფრენილი“; „ორივე მოიდა — მოკლას ხარი თივამა“ (დღედანში: „Doppelt genäht hält besser“ — ორმაგად დაგვირისტებული უკეთ ძლებს); „სადაც არა სჯობს, ვაცლა სჯობსო“; „თავს სიფრთხილ სჯობია, ბოლო ემას სინანულს“; „გროგის მაგვარი სასმელი... გაციების წინააღმდეგ მისწრება“ და სხვა მრავალი. (ასეთი ბუნებრივი ხალხური ფრაზები, ცხადია, არ უნდა გვიკვირდეს, მაგრამ ისე გადავჭყვივეთ ვიშთარგმნელების წყალობით შესანიშნავ ქართულ გამოთქმებს, რომ თვითელი ამგვარი მაგალითიც კი განსაკუთრებულ სიამოვნებას გვანიჭებს!).

რომანის ზოგიერთი ადგილი იმდენად ბუნებრივი, ძალდაუტანებელი ენით არის თარგმნილი, თითქმის ნაწარმოები ქართულად არის დაწერილი. სანიშნავად მოვიყვანთ ორ მაგალიტს.

„გრებერს გამოეღვიძა. გრუხუნს ყური მიაბურო და ისევ დაძინება სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩექმები ჩაიკება და გარეთ გავიდა.

ნათელი ღამე იყო, არ ციოდა. მარჯენი, ტყის უკან, აფეთქებათა ხმა ისმოდა. გამანათლებელი (უკეთესი იყო: მანათობელი — მ. მ.) შუშუნები მეღუზებივით ეკიდნენ ჰაერში და სინათლეს აფრქვევდნენ. უფრო უკან კი პროექტორები ემბედნენ ცაში თვითმფრინავებს.

გრებერი გაჩერდა და მალა აიხედა. ცა უმთავარი, მაგრამ ვარკვლავებით მოჭედილი იყო...“

აი კიდევ მეორე ნაწყვეტი;

„უშმბარას სახლის გარდა არაფერი დაეზიანებია. ბალი დილის ნათელით იყო გაცისკროვებული, არყის ხეებს სით აშრილებდა, ნარგებები ოქროსფერად ეღვარებდნენ და ხეხილი ისე ჰყავოდა, თითქმის თეთრი და ვარდისფერი ფერვანები დაჟვარვარებდა ზედ. მხოლოდ ბინდიგის სახლი იყო ნაცარტუტად ქცეული და მისგან დარჩენილი ნანგრევები ზღში ამოთხრილი ძაბრის პირას დახორავებული“



ლიყო, რომლის ფსევრზეც მდგარ თხელ წყალში ცა ირეკლებოდა. გრემბერი ერთ წამს გაშვებული იდგა და ისე მისწერებოდა ამ სანახაობას, თითქოს საკუთარ თვალებს არ უჯეროდა.

ამ ორი მაგალითიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ უნდა ძალდაუტანებლად თარგმნა. ზოგიერთის აზრით, მხატვრული ნაწარმოები კი არ უნდა თარგმნო, არამედ მისი სული უნდა გადმოიღო. სამწუხაროდ, ჩვენში ისეც ხდება, როდესაც ამ „სულს“ გადმოღების ცდაში ღედნის მთელ აბზაცებს, ზოგჯერ კი გვერდებსაც ტოვებენ ხოლმე. ჯორჯანელებმა შეძლეს არა მარტო ნაწარმოების სულის გადმოღება, არამედ ღედანთან მაქსიმალურ სიზუსტესაც მიაღწიეს.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ წინადადება: „ნარკიზები ოქროსფრად ელვარებდნენ, თითქოს თეთრი და ვარდისფერი ფარვანები ღამფარვანებდა ზედ“ უკეთესი იყო ასე გაგვემართა: თითქოს თეთრი და ვარდისფერი ფარვანები ღამფარვანებდნენ. ქართული ბუნებრივი სტილი მხოლოდ ამგვარ კონსტრუქციას მოითხოვს. ცოტა მძიმედ ისმის ფრაზა: „...რომლის ფსევრზეც მდგარ თხელ წყალში ცა ირეკლებოდა“. აჯობებდა სიტყვა „მდგარი“ სულ ამოგვეღო.

ასეთ პასუხსავე ნამუშევარში თვითნებულ წერილობრივ სწორ გაგებას, სათანადო ექვივალენტის მოძენას უპირისუფლო დიდი მნიშვნელობა ეძლევა. მთარგმნელებმა ნაწარმოების სათაური ისე კი არ გადმოიღეს, როგორც სხვებს მანამდე ესმოდათ („ღრო სიცოცხლისა და ღრო სიკვდილისა“), არამედ ღრმად ჩუქირდნენ, მიხედნენ, რომ ავტორს აქ გამოყენებული აქვს პერიფრაზი ეკლზიასტიკიდან, და როგორც დაბადების ქართულ თარგმანშია სათანადოდ ადგილი, ნაწარმოების სათაურიც ისე ააღერეს: „ქამი სიცოცხლისა და ქამი სიკვდილისა“.

ყველა თარგმანს, რაგინდ კარგიც იყოს, თავისი მცირედი ნაკლი აქვს. ჯორჯანელების ნამუშევარშიც შეიძლება კაცმა აქა-ქე უმნიშვნელო ზარვებში, მეორეხარისხოვანი უზუსტობანი აღმოაჩინოს, რაც მის ღირსებაზე გავლენას ვერ ახდენს. თავს ნებას მივცემთ დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი.

პირველ ყოვლისა მთარგმნელებსა და რედაქტორს არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ავტორის სხვისი დაწერილობაში. გერმანულში ch, მართალია, e-სა და i-ს შემდეგ გამოთქმით ქართულ ჰ-ს უახლოვდება, მაგრამ ჰ-ს მინც არ არის (ამ ბგერის გდმოსაცემად გერმანელებს აქვთ h და არა ch), სხვა შემთხვევაში ch გადმოიკეთა ბრაგორც b. ტრადიციულად მღელეზლია: ch ყველგან ხ-დ იწერება (ვცხოვრი

სიტყვების გარდა, სადაც ხან კ-დ გადმოიკეთა, ხან შ-დ). ამრიგად, ჩვენი აზრით, დაწერილობა ერის მცდარია, უნდა იყოს: ერის (ისევე, როგორც პინრიხ და არა პინრიჰ, ფოიხტვანგერი, ბრეხტი და სხვა).

რომანში უხედავ გვხვდება დიალექტიზმები, რომელთა სალიტერატურო ენაში ხმარება შეუწყნარებელია. ასეთებია: ჩიფსკინილი (სალიტერატურო ფორმა — ჩასკინილი), მაგირომ (მაგისტისი), ხახადამჩენილი (ხახადამებელი), ხელსახოცი (ცხვირსახოცი, ხელსახოცით ხელს იშვინდენ, აქ ცხვირსახოცზეა ლაპარაკი), აქნობამედ (აქამედ), ჩაუხეღია (ჩაუხედავს), დაუსხია (დაუსხამს), ესე (ასე), დამეწყინია (დამეწყყნია), დამმართოდა (დამმართდა), მიუხეღია (მიუხედავს), ვიზე (ვისზე), მსჯეროდეს (მჯეროდეს) და სხვა.

არის ბარბაროზებიც: შინები (ქართულად საბურავები ჰქვია), ღოტი (ხანგრძლივი საციცხლე წერტილი. განმეორების თავიდან ასაცილებლად „ღოტის“ მაგივრად ნაცვალსახელი შეიძლება იყოს ჩიფსკეა), „იიარმუკასაც“ უნდა მოვრიდებოდით, „ბაზარი“ სჯობდა გამოგვეყენებინა. მხატვრულ ნაწარმოებში არც „პლატფორმა“ ვარგა (ქართულში გვაქვს „ბაქანი“). აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩინგის-ხანს ქართულად ჩინგის-ყაენი ეწოდება.

ზოგიერთი სიტყვა უადგილოდ არის ნახმარი, ზოგი მთარგმნელებს ცოტა სხვანაირად ესმოთ: სალ-სალამათი (ქართულში მხოლოდ ადამიანზე ითქმის (სალ-სალამათი კაცი), ხოლო „სალ-სალამათი შინა“, ცოტა არ იყოს, უჩვეულო გამოთქმა! „ზეგარდმო“ ჯორჯანელები სულ სხვა მნიშვნელობას ანიჭებენ: „ისინი ჰკობის ზეგარდმო ანთებულ მაცდურ ჩირადნებს წაგადენენ...“ ფიქტობით, აქ „ზეგარდმო“ არაფერ შუაშია, უნდა იყოს „ჰკობზე“. „ზეგარდმო“ მხოლოდ ზეციდან ბოძებულს, ზეციდან მონიჭებულს გულისხმობს (გერმანულში გვაქვს „Über einem Moor“, რაც სწორედ „ჰკობზე“-ს ნიშნავს); „თუ ინებებთ, შეიძლება ზელგიურად გაკეთებული სალათი და ოხრაბუშმოყრილი ორიოდ კარტოფილი მოგართვათ“ — „ორიოდე კარტოფილი“ აშკარა კალკია. საქმე ის არის, რომ გერმანიაში ძალზე გავრცელებული გამოთქმა „ein paar“ სხვადასხვა კონტექსტში ნიშნავს რამდენიმეს, ცოტაოდნეს და არა ორიოდ. ამრიგად, უნდა იყოს: ცოტაოდენი კარტოფილი. ასევე სწორი არ არის: „ორიოდე ამსანავი მეწყია“ — უნდა თარგმანილიყო: რამდენიმე ამსანავი მეწყია; „ბანქოს“ ნაცვალად უკეთესი იყო ხალხური გამოთქმა „ფსონის ქალადი“ გვეხმარა; „ასეულის უფროსი“ უაზრობაა, უნდა იყოს: ასეულის მეტაუმი.

თარგმანში ეხედებით რიცხვში შეუთანხმებ-



ლობასაც: „ორი დანარჩენი კი აღვღვრევე ჩაიკენენ“; „არის ხალხი, რომლებიც იქამდე არ აჩერებენ ენას, ვიდრე მაგრად არ მოეწევათ კელა“; „წაბლის ხეთა ტანი ისე შავად ჩანდა ნისლში, თითქოს ნახშირისანი ყოფილიყვნენ“; „ორი ახალწვეული... შაშანამომარჯვებული იღგნენ“.

არის შემთხვევები, როცა ერთ აბზაცში, ერთმანეთთან ახლოს ზმირად განმეორებულია სიტყვება. რუსულ და უცხოურ ენებში ასეთი განმეორება საერთოდ ცოდვად არ ითვლება, ქართულში კი კარგი სტილის ნაწარმოებს არ შეჰყურის: „...ხოგი უკვე სავსებით მსუბუქი და გამოფიტული იყო, ხოლო იმათგან, ვისაც რამდენიმე კუარის შემდგომ პოვლობდნენ, თითქმის მხოლოდ ჩონჩხებიღა იყო დარჩენილი და მათი ძელები ახლა უკვე ერთობ ფართო მუნღირებში თავისუფლად ყანყალებდნენ. ეს მშრალი სიკვდილი იყო, ქვიშასა, მზესა და ქარში. რუსეთში კი წებოვანი და მყრალი იყო სიკვდილი“.

„გრებერმა სარდაფს მიაშურა, მას უკვე ჰქონდა შეებულების მიღების იმედი და ამის გამო წინასწარ არ ჰქონდა ბარგი შეკრული და ან კი რა ჰქონდა შესაკრავი“.

„ქარი ფართოდ იყო გაღებული. შიგ შევიდა. სკოლის ეზო ცარიელი იყო. არავინ ჰკანებდა, რადგან უკვე ერთობ გვიან იყო“. „წყალი ცივი იყო და ღვინოზე უფრო ეგემრიელა. ბალი უფრო დიდი იყო, ვიდრე ამას გარედან ფიქრებდით. აქ იყო პატარა მოლი“. უნებლიე განმეორებები ქართულ სტილს სილამაზეს უკარგავს. ჩვენი დედაენა სინონიმებით იმდენად მდიდარია, რომ უცხოური ტექსტის გავლენით გამოწვეულ „იყოს“ და „ჰქონდას“ ასეთ განმეორებებს ადვილად შეგვიძლია ავთაროთ გვერდი.

სტილზე მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

საკითხია პიროვნებით ნაცვალსახელების უადგილო ხმარებასთან ბრძოლა. ჯორჯანელებს აქა-იქ მაინც გაჰპარვიათ „მე“, „შენ“, „ჩვენ“, „თქვენ“ და სხვა. „გული მითქვამდა, რომ შენ შეებულებში ჩამოხვიდოდი“; „თქვენ არ გესმით, თქვე ოსრებო!"; „მე დალილი ვარ“; „ჩვენ გაუხდელად უნდა დავწვეთ“; „მე ვიმედოვნებ“, „მე უნდა წავიდე“; „ჯერ მე ისიც არ ვიცი“; „მე რამდენჯერმე შემიშხაპუნეს“... ყველა ზაზგასმული ნაცვალსახელი, როგორც ვხედავთ, გერმანულის გავლენით არის გაჩენილი, მათი ამოშლა კი ტექსტს გააყვითელშობილებდა, ქართული ენის ბუნებაც არ შეიღობებოდა.

აქა-იქ ვხვდებით ლაფსუსებს, ზოგ შემთხვევაში უაზრობასაც: „მაგრამ ის აქ არის (უნდა იყოს: აქ არ არის) და მთელი უბედურებაც ეგაა!"; „რა ტემპერი (ტემპერი) ჰქონდა!"; „ლინოლიუმი (ლინოლეუმი); „კუბის“ (უ. ი. კუპეს). „კუპე“ ნათესაობითა და მიცემითში ერთგვარ დაბოლოებას იღებს); „ლსდგებოდნენ“ (აღსდგებოდნენ), ფურისუელა (ყვავილის სახელწოდება — ფურისულა). აქ მოყვანილი შეცდომები კორექტურული არ უნდა იყოს, რადგან კორექტურული შეცდომების სიაში არ შეუტრიათ.

ეს მცირე ხარვეზები, ვიწროვებთ, არსებითი არ არის და ნაწარმოების ღირსებაზე გავლენას იმდენად ვერ ახდენს.

ჯორჯანელების სახით გვყავს ნიჟიერი, კეთილსინდისიერად მომუშავე ახალგაზრდები, რომელთაც ცოდნა და გამოცდილება შესწევთ მომავალშიც არა ერთი და ორი გერმანელი მწერალი ქართულად აამეტყველონ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შესავალი სტრია — „ერიხ მარია რემაკი“, რომელიც წიგნის რედაქტორს ნოდარ კაკაბაძეს ეკუთვნის, საქმის ცოდნათ, საინტერესოდ არის დაწერილი.





ნაგაღიო მრღოვსკაიი

„რობინზონ კრუზოს“ პართული თარგმანები

წელს შესრულდა დიდი ინგლისელი მწერლის დანიელ დეფოს დაბადების 300 წლისთავი. ნიჭიერი პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, მთელი რიგი საინტერესო რომანების ავტორი — დანიელ დეფო შთამომავლობისათვის უფრო „რობინზონ კრუზოთი“ ცნობილი. ეს წიგნი დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას და დაღუპულ ხომალდიდან უკაცრიელ კუნძულზე გამოჩეხული მარტოხელა კაცის თავგადასავალი ახლაც მრავალ მკითხველს იზიდავს და იტაცებს.

როგორც ცნობილია, დეფოს ეს წიგნი საუთარ ნაწარმოებად არ გამოეცხადებია. გათვალისწინა რა მკითხველის დაინტერესება უცნობ ქვეყნებში მოგზაურობის ნამდვილი აღწერით, მან წიგნი თვითონ რობინზონის ჩანაწერებად გაასაღა. რომანს არაჩვეულებრივი წარმატება ხელა წილად და ფრთაშესხულმა დეფომ თავისი ნაწარმოების კიდევ ორი გაგრძელება გამოსცა. ერთი — რობინზონის შემდგომი მოგზაურობანი აღმოსავლეთის შორეულ ქვეყნებში — ინდოეთში, ჩინეთში, ციმბირში, და მეორე — მოხუცებული რობინზონის ფიქრები. წიგნში ყველაზე მნიშვნელოვანი პირველი ნაწილია, მეორე ნაწილი რამდენადმე საინტერესო აღწერებს შვიცაეს, ხოლო მესამე ძალზე ფერმკრთალია და რომანის გამოცემის დროს იგი არ შეაქვთ ხოლმე.

დანიელ დეფომ თავისი „რობინზონ კრუზოთი“ უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა ევროპულ ლიტერატურაში რომანის ფარის განვითარებისათვის. მან რომანი აქცია მკითხველთა ფართო ფენებისათვის გასაგები იდეების მატარებლად, მთავარ გმირად გამოიყვანა ჩვეულებრივი კაცი თავისი დაღებით და უარყოფითი მხარეებით. დანიელ დეფომ გვიჩვენა ადამიანში მოცემული უდიდესი შესაძლებლობანი, ნებისყოფის საოცარი სიმტკიცე. იგი უკან არ იხევის არავითარი სიძნელის წინაშე. გვიჩვენა შრომის ძალა, რასაც ბუნების გარდაქმნაც კი შეუძლია.

სწორედ ამიტომ ეს წიგნი XVIII საუკუნის ევროპული ლიტერატურის ერთ-ერთ მწვერვალად დარჩა და მთელი მსოფლიოს ყველაზე უფრო ცნობილ წიგნთა რიცხვში შევიდა.

დაწყებული 1719 წლიდან, მისი პირველად გამოცემის თარიღიდან, ის სისტემატურად ითარგმნება და იბეჭდება მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე. ის იბეჭდება მთლიანად და შემცირებული სახითაც, მას გაუჩნდა უამრავი მიმბაძველი და გადამკეთებელი. რომანს სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა დროს და სხვადასხვაანაირად ეცნობოდნენ და ხშირად დეფოს წიგნის სრულ თარგმანს წინ უსწრებდა უკაცრიელ კუნძულზე რობინზონის ცხოვრების გადაკეთებული ამბის თარგმანი.

საქართველოში „რობინზონ კრუზოს“ გასულ საუკუნეში გაეცნენ. პირველად ეურნალ „ცისკრის“ 1860 წლის 7 და 8 ნომერებში გამოჩნდა და რუსულიდან თარგმნილი ნაწარმოები, რომელსაც „რობინზონ კრუზო“ ერქვა. მთარგმნელი ეურნალის თანამშრომელი დ. ხიმშიაშვილი იყო. „რობინზონ კრუზოს“ ეურნალის ორივე ნომერში მხოლოდ 80 გვერდი ეჭირა და უკაცრიელ კუნძულზე ცხოვრების ამბავს თვითონ ავტორი პყვებოდა. თუმცა ნაწარმოებს „რობინზონ კრუზო“ ერქვა, მაინც ხიმშიაშვილის თარგმანი შესრულებული იყო არა რომანის ნამდვილი ტექსტის მიხედვით, არამედ ერთ-ერთ მის მრავალრიცხოვან ვარიანტს ეყრდნობოდა. ცნობილია, რომ დეფოს რომანის გამოქვეყნების შემდეგ საზოგადოებას მოწყვეტილი ადამიანის თავგადასავალი მრავლად ჩნდება ევროპის თითქმის ყველა ენაზე.

ასეთი რობინზონადების რიცხვი განსაკუთრებით მრავალ იყო XVIII საუკუნეში. მარტო გერმანიაში 1760 წლამდე ორმოცამდე სხვადასხვა რობინზონი გამოჩნდა.

იმ დროისათვის დეფოს რომანის სიუჟეტი სინამდვილეს ჩამოგავდა. ზომილობის დაღუპვა არაიშვიათი მოვლენა იყო და გემის მარცხს გადარჩენილი ადამიანები ხშირად მათთვის უც-



ნობ ნაპირებზე ეძებდნენ თავშესაფარს. გარდა ამისა, საზღვაო პრაქტიკაში არსებობდა ჩვეულება, როდესაც რაიმეში დამწავე მეზღვაურს სადმე, უკაცრიელ კუნძულზე სტოვებდნენ ხოლმე. XVIII ს. დასაწყისში ინგლისში ძალზე გახმაურდა შოტლანდიელი მეზღვაურის ალექსანდრ სელკრიკის ამბავი, რომელიც კაპიტანმა სტრადლინგმა ხუან ფერნანდესის კუნძულზე ჩამოსვა, სადაც მან ოთხი წელი გაატარა.

სელკრიკის ამბავი დეფოსათვის ცნობილი იყო, არსებობს ცნობა, თითქმის მას პირადადაც ენახოს ის მეზღვაური, და შესაძლებელია, სწორედ ამ ამბავმა შთააგონა დეფო რობინზონის თავგადასავლის დასაწერად. მაგრამ დეფომ მარტო ფაქტებს კი არ მოუყარა თავი, არამედ შეძლო მათი ფილოსოფიურად გააზრება და მათ საფუძველზე მაღალმხატვრული ნაწარმოები შექმნა.

„ცისკარში“ გამოქვეყნებული „რობინზონ კრუსოს“ საფუძველი სწორედ ალექსანდრ სელკრიკის ამბავია. მაგრამ დეფოს პოპულარობა იმდენად დიდი იყო, რომ ამ ნაწარმოებს მისი რომანის სახელი დაარქვეს. ხიმშიაშვილის ნათარგმნი ამბავი მოგვითხრობს ახალგაზრდა შოტლანდიელის ბედზე, რომელიც კაპიტან სტრადლინგის ხომალდს წაჰყავდა 1703 წ. მაგრამ მეზღვაური კაპიტანთან უთანხმოება შეეძინა და მოისურვა, რომ ის უცნობ ნაპირზე გადაესვათ. მას იმედი ჰქონდა, რომ რომელიმე ხომალდით სამშობლოში დაბრუნდებოდა. კუნძული უკაცრიელი აღმოჩნდა და მეზღვაური მძლავრ მარტო დარჩა. ის იწყებს შრომას არსებობისათვის იმ ხელსაწყოების დახმარებით, რომელიც მას ხომალდიდან გამოატანეს. მაგრამ ერთხელ ტივით ცურვის დროს, როდესაც მეორე კუნძულზე გადასვლას აპირებდა, ყველაფერი დაჰკარგა და საწყალი მეზღვაური პირველყოფილ კაცივით უმწეო დარჩა. ნახევრად გველეშეკრული, ბოლოს რომელიმე ხომალდმა სამშობლოში წაიყვანა.

„ცისკარში“ გამოქვეყნებული ნაწარმოების ძირითადი ფაბულა, უდავოდ, ამ ამბავს მისდევდა. გმირი კუნძულზე ხვდება კაპიტანთან უთანხმოების შედეგად და არა ხომალდის დამსხვრევის შემდეგ, როგორც ეს დეფოს აქვს გადმოცემული. მოქმედება, მიმდინარეობს ხუან ფერნანდესის კუნძულზე. გმირის დაბადების თარიღია 1680 წ., დეფოს რობინზონი კი 1632 წელსაა დაბადებული.

ამ ნაწარმოებში აშკარადაა გამოყენებული დაბეჭდილი მასალები სელკრიკის შესახებ. მასში ნახსენებია კაპიტან ველს როჯერსის სახელიც კი, რომელმაც გადაარჩინა სელკრიკი და სამშობლოში დააბრუნა. როჯერსის წიგნში „მოგზაურობა ქვეყნის ირგვლივ 1708 — 1711 წლებში“ აღწერილია სელკრიკის ცხოვრება კუნძულზე. მაგრამ „ცისკარში“ გამოქვეყნებულ

ნაწარმოებში, როჯერსის წიგნისაგან განსხვავებით, მეზღვაური თითქმის მთლიანად გველეშეკრულია. შეიძლება, რობინზონის ცხოვრების ასეთი მუქი ფერებით დახატვა აღმზრდელითი მიზნით იყო ნაკარნახევი. ამაზე მოუთხოვს ნაწარმოების ბოლო სტრიქონები: „აკცმა უნდა იცხოვროს ხალხში, რათა იცხოვროს სხვისთვის ისე, როგორც კსიცხოვრებს თავისთვის, უყვარდეს თავისი მახლობელი, ის კაცი, რომელსაც უყვარს მხოლოდ თავის თავი და არ დაზღვეს სხვათა, ის სცხოვრებს რობინზონის მზგავსად და დაეცემა რობინზონის მზგავსად“.

მხოლოდ ნაწარმოებში რობინზონის გველეშეკრების პროცესი ნაჩვენები არ არის. მის ძირითად ნაწილში რობინზონის შრომა უმთავრესად ნაჩვენები, სანამ რობინზონს ხომალდიდან წამოღებული იარაღები ჰქონდა.

და სწორედ აქ — გმირის შრომის ჩვენებისას — თუ როგორ იკეთებდა ის თავშესაფარსა და ავეჯს, როგორ გაშენა ბაღი, როგორ მოიშინა ნურა ცხოველები — იგრძნობა დეფოს წიგნის აშკარა გავლენა.

ნაწარმოების ბოლოს ნახსენებია სახელი დეფოსი, როგორც „რობინზონ კრუსოს“ ავტორისა: „რობინზონმა დასწერა თავისი გარდასავალი... შემდგომ თავისი ცხოვრების აღწერისა გამოვიდა ევროპაში სხუა და სხუა მრავალი წიგნი. ბოლოს დანიელ დეფომ დასწერა თავისი „რობინზონ კრუსო“. ასე რომ ქართულ მკითხველს შეეძლო ეფიქრა, რომ დაბეჭდილი ამბავი სწორედ დეფოს ცნობილი ნაწარმოების თარგმანია და არა მისი გადამუშავებული ვარიანტი.

1860 წლიდან მოყოლებული ორი ათეული წლის განმავლობაში რობინზონის ამბავი საქართველოში აღარ გამოუციათ. მაგრამ ხიმშიაშვილის თარგმანთან ერთად, თითქმის იმავე დროს ქართულ ენაზე ითარგმნა დანიელ დეფოს რომანი, რომელიც დაბეჭდვით დარჩა. მთარგმნელი იყო დავით ციციშვილი. ეს თარგმანი 1890 წელს მისმა შვილმა იასონმა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ უძღვნა, ხელნაწერი ამჟამად ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში (S-1475).

დავით ესტატეს ძე ციციშვილი იმდროინდელ ქართულ ლიტერატურულ საქმეებში მუშაობდა ცნობილი კაცი იყო. მას — მოწინავე შეხედულების მქონე, XVIII ს. განმანათლებლების იდეებით გატაცებულს — ქართველ ვოლტერისაგან რიცხვს აუთვნებენ. ის რუსეთში იზრდებოდა და რუსულსა და საზღვარგარეთულ ლიტერატურას კარგად იცნობდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მან ხელი მიჰყო ლიტერატურულ საქმიანობას, ბევრს თარგმნიდა და ძურნალ „ცისკარში“ ბეჭდიდა

სტრატეგებს და საკუთარ ნაწარმოებებს. „იცისკარში“ იყო დაბეჭდილი ღერძაინის ლექსების მისი თარგმანები. ერთ-ერთ ნათარგმნ ლექსს ციციშვილმა ლექსად დაწერილი ბოლოსიტყვაობა დაურთო, რომელშიაც თანამემამულეებს მოუწოდებდა სათუთად მოეცლოთ ღედაენისათვის. „მოგიძღვნით ქართულთ მკითხველთა, მაგრამ დავჰსინებ თხოვასა, ღვთის-გულისათვის ნუ ჰკარგავთ ძველის ენისა ხსოვნასა“ („იცისკარი“, 1857, № 12). ციციშვილის კალამს ეკუთვნის ზოგიერთი ევროპელი ავტორის ნაწარმოებთა თარგმანებიც. მაგალითად, რუსოს „მსჯელობანი მეცნიერებასა და ხელოვნებაზე“.

„რობინზონ კრუზოს“ ციციშვილისეული თარგმანი დათარიღებულია 1861 წლით. როგორც დასათუტებაშია მითითებული, თარგმანი შესრულებულია 1853 წლის რუსული გამოცემის მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, ფრანგულიდანაა გადმოთარგმნილი. დედოს სახელი საერთოდ არ არის მოხსენებული, როგორც ეს მიღებული იყო რუსულ და უცხოურ XVIII — XIX საუკუნეების გამოცემებში. მაგრამ შინაარსის მიხედვით თარგმანი დედოს ნაწარმოებს მისდევს და მის შემოკლებულ ტექსტს გადმოგვცემს.

ეს თარგმანი ძირითადად სწორად გადმოგვცემს რობინზონის ამბის მთავარ მომენტებს დაწყებულს მისი წასვლით შშობლების სახილდან და გათავებულს უკაცრიელ კუნძულისა და რობინზონის ასე ინგლისში დაბრუნებით. ამ ნაწარმოებში დიდი ადგილი ეთმობა დიდაქტიკურ მომენტებს და რობინზონი არაერთხელ იხსენებს მამის დარიგებებს, რომელთაც ყურია არ უგოდ და სამაგიეროდ სიმწარე იწყნია. ამას, ტყუობა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვითონ მთარგმნელისათვის, რადგან მას ეს წიგნი ბავშვებისთვის ჰქონდა გაშიზნული. „მოთხრობა მამისა შეიღთა თვისთა მიმართ“.

რომანის დასასრულს არაფერია ნათქვამი რობინზონის შემდგომ მოგზაურობებზე და ამბავი გმირის ინგლისში დაბრუნებით მთავრდება: „რობინზონ დავსახლა მამულსა თვისსა, მრავალჯამ მსიციხელებდა და მარადის იქმნებოდა გამოცდილების სვენად. ხშირად იხილავდნენ გაჩემოცუტს ყრმა კაცთა მიერ, რომელთა მოუთხრობდა შემთხვევითა თავისთა“.

ციციშვილის თარგმანი არ დაბეჭდილა. პირველად საქართველოში მხოლოდ 1886 წელს გამოვიდა მ. ჯაჯანაშვილის მიერ თარგმნილი „რობინზონ კრუზოს“ ცალკე გამოცემა. უფრო გვიან იგივე რომანი კვლავ ცალკე წიგნად გამოვიდა. თარგმანი შესრულებული იყო ა. თუმანიშვილ-წერეთლის მიერ. „რობინზონ კრუზოს“ გამოცემის აუცილებლობაზე წერდა გაზეთი „დროება“ ჯერ კიდევ 1884 წელს. გაზეთი წერდა: „რობინზონ კრუზოს“ პირველი თარგმანი (პირველი და მეორე წიგნი ერთად) შესრულებული ინგლისურიდან ვ. კელიძის მიერ. მას შემდეგ ეს წიგნი სამჯერ გამოვიდა.

უწოდებდა დაეჩქარებინათ ახალგაზრდობისათვის ამ მეტად საუბრო წიგნის გამოცემა: „იარა გა ხანია მას აქეთ, რაც ჩვენს წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ აქვს თარგმანი ერისის სასარგებლო საყმაწვილო წიგნისა „რობინზონ კრუზო“-სი. დიდად სასარგებლო იქმნებოდა, რომ ამ საუკეთესო საყმაწვილო წიგნის დაბეჭდვა აეჩქარებინა როგორმე ჩვენს საზოგადოებას“. ეს მით უმეტეს სასარგებლო იქმნებოდა, რომ ჩვენი საყმაწვილო ლიტერატურა მეტად ღარიბია“ („დროება“, 1884, № 251).

მ. ჯაჯანაშვილის მიერ თარგმნილი, უფრო სწორად — გადმოკეთებული წიგნი სპეციალურად ბავშვებისათვისაა გაშიზნული. ის თარგმნილია რუსულიდან და დაყოფილია ათ თავად, თვითველ თავს საკუთარი დასათუტება აქვს. მაგალითად: დაბადება, აღზრდა და წასვლა რომინზონ კრუზოსი; ხომალდის დაღუპვა; შენობა და ფარა; მკა. ტანისამოსი, თუთიყუში და ა. შ. ამ სათუტებს ხელი უნდა შეეწყობა ბავშვისათვის, რათა მას ყურადღება გაემხვილებინა წიგნის მთავარ ამბებზე. თვითველი თავი 3—4 გვერდს შეიცავს. მთლიანად წიგნი 40 გვერდისაგან შედგება.

თხრობა მიმდინარეობს პირველ პირში და იწყება ზუსტად ისე, როგორც დედოს წიგნშია: „მე დაეიბადე 1632 წ. ქალაქ იორკში“. თარგმანი მხოლოდ რომანის ფაბულას გადმოსცემს, რობინზონის ცხოვრების ამბები გადმოცემულია მკლედ, მაგრამ ნათლად, და წიგნი აღვილად წასაკითხი უნდა ყოფილიყო ნორჩი მკითხველისათვის. ციციშვილის თარგმანისაგან განსხვავებით ამ წიგნში არ იგარჩნობა დამრიგებლობით ტენდენციები. აქ უფრო ადამიანის შრომისადმი სიყვარულია გადმოცემული. სწორად ამიტომ ასეთი სველიტ სტოვებს რობინზონი თავის კუნძულს: „მე ძალიან მენანებოდნენ მშენიერი ღიღრონი ხეები, რომლებიც ჩემის ხელით იყვნენ დარგული, ჩემი საყვარელი თხები, რომელიც ისე მოწონებოდა და წაღებოდა გამოვზარდე, იმიტომაც გულსედაიანი ჩაეჯექ იმ ხომალდში, რომელსაც ჩემ საყვარელ სამშობლოში უნდა მოვეყვანე“ (გვ. 39-40).

„რობინზონ კრუზოს“ პირველი თარგმანიდან განსაკუთრებულად პოპულარული იყო ა. თუმანიშვილ-წერეთლის თარგმანი. ის, დაბეჭდილი რევოლუციამდე წლებში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც ოთხჯერ გამოიცა — 1928, 1930, 1934 და 1937 წლებში. 1951 წელს გამოვიდა „რობინზონ კრუზოს“ პირველი სრული თარგმანი (პირველი და მეორე წიგნი ერთად) შესრულებული ინგლისურიდან ვ. კელიძის მიერ. მას შემდეგ ეს წიგნი სამჯერ გამოვიდა.



ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და მწერალმა, ქურნალ „ჯეჯილს“ გაომცემელმა ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელმა შემთხვევით არ მოჰკიდა ხელი დეფოს რომანის თარგმანს. მას კარგად ესმოდა ამ წიგნის მნიშვნელობა ახალგაზრდა მკითხველისათვის. მაგრამ მისი ნაწარმოები არ იყო ინგლისური რომანის მთლიანი თარგმანი, ის იყო შესრულებული იახონტოვის რუსული შემკირებული და გადაკეთებული თარგმანის მიხედვით.

სწორედ აქედან მოდის ის შინაარსობრივი ცვლილებები, რომლებსაც ამ ნაწარმოებში ვხვდებით. ამ წიგნში რობინზონს არა აქვს იარაღები, რომლებსაც, დეფოს რომანის მიხედვით, ის ხომალდიდან წამოიღებს. ამიტომ თუ დეფოს გმირი ბუნებასთან ბრძოლის დროს ცივილიზაციის მიღწევებით სარგებლობს, აქ რობინზონი თითქმის პირველყოფილი კაცის მდგომარეობაშია ჩაყენებული. ავტორმა ეს ალბათ განგებ გააკეთა, რადგან სურდა უფრო დამაჯერებლად ეჩვენებინა აღამიანის შრომის ძალა. ისევე, როგორც ჯაჯანაშვილის თარგმანში, აქაც რობინზონის სამშობლოში დაბრუნებით მთავრდება წიგნი და რობინზონი აქაც დიდი სევდით ეთხოვება შეჩვეულ კუნძულს:

„ენანებოდა და ეძნელებოდა თავის ნაშრომის დატოვება, რომელსაც ამდენი მოთმინება და ჯალა მოახპარა“.


წიგნი 14 თავადაა დაყოფილი, იკითხება კარგად და თავის დროისათვის უდავოდ წინააღმდეგულ ნაბიჯს წარმოადგენდა დანიელ დეფოს წიგნის გასაცნობად ქართულ ენაზე. მაგრამ ეს წიგნი, ისევე როგორც წინა ქართული თარგმანები, მაინც არ უქმნის მკითხველს მთლიან წარმოდგენას ნამდვილ ინგლისურ ტიპსტზე.

„რობინზონ კრუზოს“ ყველა ეს აღრეული თარგმანი დღეს მხოლოდ ისტორიულ ინტერესს იწვევს. ეს ნაწარმოებები შესრულებული იყო რუსული თარგმანის მიხედვით და გადაკეთებული და შემკირებული დანიელ დეფოს წიგნის შორეულ ანარეკლს წარმოადგენდნენ.

საინტერესოა, რომ თუმანიშვილის წიგნის გარდა, თვითონ დანიელ დეფოს სახელი, როგორც ავტორისა, არც ერთ პირველ ქართულ თარგმანებში მოხსენიებული კი არ იყო.

უნდა ისიც აღვნიშნოთ, რომ წიგნის სათაური ოთხივე მთარგმნელს არასწორად ჰქონდა გადმოცემული. ხიმშიაშვილის თარგმანს ერქვა „რობინზონ კრუზო“, ციციშვილისას — „რობინზონ კრიუზოე“, სადაც ბოლო „ე“ აშკარად მიუთითებდა ფრანგულ წყაროზე, საიდანაც იყო გადმოტანილი ჯერ რუსული თარგმანი, ხოლო იქიდან კი ქართული. ჯაჯანაშვილის წიგნს ერქვა „რობინზონ კრუზო“, თუმანიშვილისას — „რობინზონ კრუზე“.

დღეს, როდესაც ქართულ მთარგმნელობითს ხელოვნებას ასეთი ფვალნათლივი წარმატებები აქვს, არ შეიძლება დავიწყება პირველი მთარგმნელებისა, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რათა ქართველ მკითხველს შესაძლებლობა ჰქონოდა გასცნობოდა ამ შესანიშნავ წიგნს: მათი შრომა გამოხატავდა ქართული საზოგადოების დიდ ინტერესს, მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ძეგლებისადმი. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ „რობინზონ კრუზოს“ საქართველოში უკვე დიდი ხნის ისტორია აქვს და 1960 წელს, დეფოს დაბადებიდან 300 წლისთაზე, შესრულდა ასი წელი ქართულ პრესაში რობინზონის პირველად გამოჩენის შემდეგ.





სილა თოფჩიძე

თეოდორ დრაიზერის რომანი „გენიოსი“

(დრანიზერის გარდაცვალების 15 წლისთავი)

თეოდორ დრაიზერის ცხოვრების გზა ტიპიური ამერიკელი ხელოვანის გზა იმპერიალისტურ ამერიკაში. ჯერ კიდევ დამწყებმა მწერალმა გასული საუკუნის 90-იან და 900-იან წლებში იმდენად მწვავედ განიცადა ამერიკის პრესაში მუშაობის სუსხი, რომ პირველი შესაძლებლობისამებრ თავი დააღწია მას და შემდეგში მწარე მოგონების მეტი აღარაფერი დარჩა ამ წლებიდან. ავტობიოგრაფიულ წიგნს „გაზეთის დღეები“ მწერალი ასრულებს მტივ-ნეული ფიცით: „მორჩა, თუნდაც ბრძოლაში სული ამოვხდეს, თავს ნებას არ მივცემ, რომ რომელიმე გაზეთის რეპორტიორად ვიმუშაო. შეიძლება ვიშვშო, და ამას მიირჩევნია კიდევ შიშვლი!“

ერთბაშად ძნელია იმის თქმა, თუ რომელ წელს გამოქვეყნდა დრაიზერის პირველი რომანი „დაიკო კერი“. წიგნი 1900 წელს დაიბეჭდა, მკითხველმა საზოგადოებამ კი პირველად 1907 წელს იხილა. ჯერ იყო და, ჰარპერის გამოცემლობამ ახალგაზრდა ავტორს „კერის“ ხელთაწერი ცივი უარით დაუბრუნა. მაშინ დრაიზერმა მიმართა გამომცემლობას „დაბლ-დლი, პეიჯ“, სადაც ცნობილი ამერიკელი მწერალი ფრენკ ნორისი მკითხველად ანუ რეკენ-ზენტად ითვლებოდა. ნორისმა რომანი ამერიკის ლიტერატურაში დიდ და საინტერესო მოვლენად აღიარა. მწერალს მორგან რობერტსონს იგი აღტაცებით სწევდა, რომ მან „აღმოაჩინა შედეგები და მისი სახელი თეოდორ დრაიზერია“. ნორისის დაყენებითი მოთხოვნით „კერი“ დაიბეჭდა. ამასობაში გამომცემლის მეუღლემ მისის ფრენკ დაბლდემ ხელთაწერი გადაიკითხა, იგი „მისმა უმეტალობამ შეაძრწუნა“ და კატეგორიულად მოითხოვა წიგნის აკრძალვა.

„დაბეჭდვის შემდეგ შესაძლებელი გახდა წიგნები სარდაფში ჩაეშვათ“ — გულისტყვილით იგონებს დრაიზერი. აკრძალული წიგნის ასიონი ეკზემლარი დაეგზავნათ რეკენზენტებს, რომლებიც შეაშინა გაბედულმა რეალიზმმა და იგი „არასასიამოვნო“, „ამორალურ“ წიგნად გამოაცხადეს. „კერი“ მხოლოდ 1907 წელს გამოაქვეყნა გამომცემელმა დოლჯმა. რომანი ორ კვირაში დაიტაცეს, მაგრამ პრესა მტრულად შეხვდა ახალგაზრდა ავტორს. ისინი სწერდნენ: „ასეთ წიგნებს უნდა ვერიდოთ“ („ოპიოიდ ჯოტრანა“), „თანამედროვე მწერალმა არ უნდა აქციოს ცოდვა მიშვიდელად“ („დი კლაბ ფელოუ“). რომანის თავგადასავალმა მძიმე დღი დასვა მწერლის პირად ცხოვრებას. „კერის“ ავტორის ნაწერებს არც ერთი გამომცემლობა აღარ ღებულობდა. ის ჟურნალ-გაზეთებიც კი, რომლებშიც ერთ დროს დრაიზერა თვითონ მუშაობდა, მოთხრობებისა და წერილების გამოქვეყნებაზე უარს უცხადებდნენ, დრაიზერი უკიდურესად დეპრესიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ხან გამომცემლობის ვალი აწუხებდა და ხან ბურჟუაზიული მორალის ქერუღითა შეუბრალებელი დევნა. იგი დიდხანს განიცდიდა შემოქმედების კრიზისს, იწყებდა და ველარ ასრულებდა მთელ რიგ ნაწარმოებებს.

დრაიზერს ზშირად უყვარდა თქმა მე აღვი-მართე ქარიშხლის წინააღმდეგო. ათი წლის დუმისის შემდეგ ამერიკულ ლიტერატურაში კვლავ გაიშა მისი ხმა. 1911 წელს გამოქვეყნდა მისი მეორე რომანი „ჯენი გერპარდტი“. 1912 წელს „სურვილის ტრაოგის“ პირველი ნაწილი „ფინანსისტი“, მას მოჰყვა მეორე ნაწილი „ტიტანი“ (1914 წ.), რომლის გამოსე-



ლისთანავე დრაიზერის ირგვლივ ისევ ატყდა აღრზაური და „პარპერის“ მეპატრონე მდრ-ზერი თავისი გამოცემლობიდან გაავლო. ამერიკის ბურჟუაზიული საზოგადოების მტრულ თავდასხმას უკვე ერთგზის ბრძოლაგადატანილ-მა მწერალმა ძლიერი დარტყმით უბასუხა და 1915 წელს გამოაქვეყნა „გენიოსი“, რომელშიაც დაასურათა ბურჟუაზიის მტრული აღმოკიდებულება ხელოვნებისადმი, ხელოვნების ტრაგედია კაპიტალისტურ ამერიკაში.

დრაიზერი თავისი ცხოვრების ისტორიას ტიპიური, ჩვეულებრივი ამერიკელი მოქალაქისა და მწერლის ისტორიად თვლიდა. მისი მხატვრული ნაწარმოებები მერქილად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. მისი ღების თავგადასავალი აღწერილია რომანებში „დაიკო კერი“ და „ჯენი გერპარდტი“. უკანასკნელში მწერალმა დიდი სიყვარულით დაასურათა თავისი მშობლების პორტრეტები ჯენის დედ-მამის სახით. უფროსი მამის პორტრეტი გაუოცემულია კოთხრობაში „ნემი მძა პული“ (კრებულში „თორმეტნი“). ყველა იმ ნაწარმოებში, რომელშიაც დრაიზერი ხელოვნების ბედ-ილბაღს ეხება, იგი თავის ახლო ნაცნობთა, ხელოვნების მეშა-კთა და მწერლების ცხოვრებას აღწერს. „გენიოსი“ დრაიზერის ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია. რომანის გმირის იუჯინ ჟიქლას სახეში მოცემულია სამი პიროვნების სინთეზი: მწერლის მეგობრის, გამოცემლობის „ბატერიკ პაბლიკიონზ“ ხელოვნების განყოფილების ერთ-ერთი რედაქტორის გარეგნობა და ხასიათი, რომელსაც თავი მოუტლავს თურმე, მხატვარ ევერიტ შინის ტალანტი და თვით რომანის ავტორის ხასიათის თავისებურებანი. აგრეთვე ზოგიერთი მომენტი უშუალოდ მისი პირადი ცხოვრებიდან.

რომანის სათაური — „გენიოსი“ მოთავსებულია ბრწყალებში, რაც გამოხატავს მწერლის მწარე, ღვარძლიან ირონიას ამერიკულ სინამდვილეზე, რომელიც მართლაც გენიოსობისაგან მოწოდებულ ნიჭიერ ახალგაზრდობას, მწერალია იგი, მხატვარი, მესიკოსი თუ მეცნიერი, გზას უბზობს შემოქმედებითი თავისუფლებისაკენ.

„გენიოსის“ გმირი, მხატვრობის ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა იუჯინი ვატციკონით ეუფლებოდა ფერწერის ოსტატობას, ოცნებობდა უკვდავი ხელოვნების ძეგლების შექმნასა და ცნობილი მხატვრის სახელის მოხვეჭაზე. ჰაბუკი უიტლას მხატვრობის თავისებურება, შემოქმედებითი მეთოდი მრავალგზის მოგვაცოვნებს „გენიოსის“ ავტორის რეალისტურ ესთეტიკას. რომანზე მეშაობის პერიოდში დრაიზერი წერდა ნარკვევებს, რომელთა კრებულიც მხოლოდ 1922 წელს გამოქვეყნდა სათაურით „დიდი ქალაქის ფერები“. იუჯინის

სურათებიც „ნიუ-იორკის პეიზაჟები“ თეოდორე-ვად დრაიზერის ნარკვევების გამოცოვნაა: ისტ-საიდის სილატაჟი, მუშათა სახეები, ნიუ-იორკი ღამით, თოვლი თუ ქარი ნიუ-იორკის ქუჩებში, იუჯინის ერთ-ერთ სურათს ეწოდება „სალამის ექვისი საათი“, რომელზედაც გამოხატულია ნიუ-იორკის ქუჩებში სამუშაოს დამთავრების შემდეგ სახლებისაკენ მიმავალი არაქათგამოც-ლილი მშრომელი ხალხის ტალღა. ლიტერატურულ ნარკვევში „ექვისი საათი“, რომელიც 1904 წელს გამოქვეყნდა, დრაიზერი ზუსტად იგივე სურათს იძლევა.

იუჯინი ნამდვილი დემოკრატი იყო. ვალატა-კებელი, უშუალო, უპრეტენზიო აღმამანები შთაგონებით ავსებდნენ ახალგაზრდა მხატვრის: „ამ პერიოდში მას უყვარდა უბრალო სანგე-ბი, უბრალო გარემოცვა, უბრალო ცხოვრების ჩვეულებრივი ატმოსფერო, რადგანაც უფრო ძვირფასი და იმპოზანტური მოკრძალებასა და შიშს იწვევდა მასში. დიდებული სახლები, რომლებსაც იგი ხედავდა, დიდი სავაჟრო მალა-ზიები, დიდი გამოჩენილი პიროვნებები. მის წარმოდგენაში იყვნენ ცივი და ხელოვნური. მას უყვარდა პატარა ხალხი, — პატარა, რომელსაც არ იცნობდნენ, მაგრამ რომელიც იყო ტბილი და კეთილი“.

რომანი „გენიოსი“ იწყება მხატვრის ტალანტის, მისი რეალისტური ფერწერის აპოთეოზით. იუჯინის ნახატები გასაოცარი მხატვრული ოსტატობით, „მწვევე ცხოველური დავინებით“, როგორც ავტორი ახასიათებს ამ ტილოებს, იძლეოდნენ ამერიკულ ცხოვრებიდან სახსიათო სცენებს. მათში გაშიშვლებული სინამდვილე თავისთავად მეტყველებდა: „მე ვარ ჰუტყიანი, მე ვარ ჩვეულებრივი, მე ვარ ჯგუზი, მე ვარ მათოვრულად შემოკცეითლი, მაგრამ მე ვარ მათოვრება“. იუჯინის ნამუშევართა გამოფენას ნიუ-იორკში აწყობს მხატვრობის შესანიშნავი მცოდნე მოსიე შარლი, რომელიც იუჯინს დიდ მხატვარს უწოდებს. მხატვრები, ჟურნალისტები, რედაქტორები, მეგობრები, ნათესავები, ერთი სიტყვით ყველა ის, ვინც ეცნობა გამოფენას, იუჯინში ხედავს ნიჭიერ შემოქმედს, რომელიც თავისი ბუნებრივი მონაცემებით მართლაც გენიოსობისაგანა მოწოდებულია. მაგრამ ვერ მართლდება იუჯინის ოცნება, ვერც მისი ახლობლების, ვერც მოსიე შარლისა და ვერც „გენიოსის“ მეითხველის მოლოდინიც. იუჯინი და დრაიზერი, რომანის გმირი და მისი ავტორი იქ სცილდებიან ერთმანეთს, იქ ეყრება მათი გზები ერთმანეთს, სადაც დრაიზერმა კომპრომისის ნაცვლად, ამერიკის ბურჟუაზიული წრეების მტრულ გამოსვლას შემოქმედებითი აღმავლობით გასცა პასუხი, თუნდაც იგივე რომანში „გენიოსი“, ხოლო იუჯინმა იგივე ბურჟუაზიული საზოგადოების

წინაშე ფარ-ხმალს დაჰყარა. თუ დრაიზერი „ქარიშხლის წინააღმდეგ აღიმართა“, იუჯინი ქარიშხალში გაიტაცა.

რომანო „გენოისი“ შედგება სამი ნაწილისაგან. პირველი წიგნი „სიკბუტე“ მოგვითხრობს იუჯინის ახალგაზრდობას, მის პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს ცხოვრებასა და მხატვრობაში, მის ოცნებათა პირველ შეჯახებას კაპიტალისტური ამერიკის სინამდვილესთან. იუჯინი საშუალო ამერიკელის შვილია. მას ხელთავს პროვინციული ქალაქის სიღუბნური, დაჰყავებული ერთფეროვნება, სულიერი სიღატაკე, უპერსპექტივობა. იგი ბედის საძიებლად მიდის ჩიკაგოში, საღვ. როგორც უსახარო ადამიანი, ჩასვლისთანავე კაპიტალისტური ქალაქის ცხოვრების სუსხს მწვავედ იგრძნობს. თავისი ბუნებრივი მონაცემების გამოვლენისა და მხატვრობის შესწავლის ნაცვლად, იგი იძულებულია ლექსიპონის საშოვნელად ხან ლუშების შემეტყუებლად იმუშაოს, ხან სამარცხაოში საცულების დამტარებლად, ხან ინკასატორად, ბოლოს უკიდურესი ხელომეპირნობით იგი ფერწერას შესწავლის ხელოვნების სასწავლებელში და ჩიკაგოს ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში იწყებს თანამშრომლობას, მაგრამ საკუთარი თავის სარჩენად ძლივს შოულობს გროშებს და კვლავ მოკლებულია მხატვრობაში გულდასმით მუშაობის პირობებს. ვერც ნიუ-იორკში გადასვლა და ადგილობრივ ქუჩანაღებში თითო-ორილა ილუსტრაციის დაბეჭდვა შეეძლოს. მისში მტკივნეულად იღვიძებს შეგნება, რომ იგი სოციალური კიბის ყველაზე უფრო დაბალ საფეხურზე დგას, სიღუბნურს აჩაოვბად, უმწიო პიროვნებად უქცევა, რომ სახელისა და ბატივის დამსახურება შეიძლება მხოლოდ ფულთ, გაბატონებულ კლასი აზარტეულბრთვით გულგრილობას იჩენს ხელოვნების მიმართ, „რას წარმოადგენს იგი?—ფერებს იუჯინი,—რას წარმოადგენს ხელოვნება? რისთვის ზრუნავს ქალაქი? ქალაქს უფრო მეტად აინტერესებს სხვა რამეები: ჩაცმა, ქაში, საზღვარგარეთ მოგზაურობა. კენჭლის ქვემო ნაწილი ფეხებელია ცივი კომერციული საქმეებით“.

რომანის მეორე ნაწილში „ბრძოლა“ გაიჭრევაბთან კდილით მოქანცული ამერიკელი მხატვარი, მიუხედავად იმისა, რომ მისმა გამოფენამ ხელოვნების მცოდნეთა შორის საერთო აღტაცება დაიმსახურა, იძულებული ხდება მხატვრობაზე ხელი აიღოს, დააწყოს სიმდიდრისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისათვის ბრძოლა. აქი გამოფენის ერთ-ერთმა რეცენზენტმა სრულიად გულწრფელად იწინასწარმეტყველა, რომ უიტლას მხატვრობა რეალისტური და ნოვობრტულია ამერიკაში, ამიტომ მისი გაყიდვა და პოპულარიზაცია ძალიან გაძნელდება. მართლაც იუჯინის სურათები ვერ

საღდება. მოდუნებული, გადაქანცული, ნერვულ-დებრსიული მდგომარეობით შეპყრობილი სასოწარკვეთილი იუჯინი ჰკარგავს ხალისს არა მარტო მხატვრობისადმი, არამედ საერთოდ ცხოვრებისადმი. იგი რკინიგზის კომპანიის სახელისოში მუშად დაქირავება (ეს უკანასკნელი ეპიზოდი დრაიზერმა უშუალოდ თავისი ცხოვრებიდან აიღო. რომანის „დაიკო კერის“ აკრძალვის შემდეგ თვით დრაიზერსაც ერთხანს მოუხდა ქვსმზიდავად მუშაობა რკინიგზის მშენებლობაზე). ბოლოს გადაწყვეტს კიდევ ერთხელ სცადოს ბედი, ოღონდ ამჯერად ხელი მაკილოს რაიმე მომგებიან-პრაქტიკულ საქმეს, რომ სამუდამოდ თავი დააღწიოს გაჭირვებას. ეს გადაწყვეტილება კვლავ დაკავშირებულია მის ღვიძლ საქმესთან. იგი ვარაუდობს, რომ ერთ ხანს თავს დაანებებს მხატვრობას, დააგროვებს ფულს და შემდეგ უზრუნველყოფილი, ენერგიით სავსე დაუბრუნდება საყვარელ საქმეს. მაგრამ ტყუილება „გენოისი“. ავტორი მხატვრული დამაჯერებლობით იძლევა უიტლას შინაგანი სამყაროს, ხასიათის, განწყობილებებისა და შეგნების ცვალებადობას, მისი სახის ეგვლეცისა მხატვრიდან საქმოსანისაგან. იუჯინის, როგორც ხელოვანისა და პიროვნების ნამდვილი ტრაგედია, სულიერი დაცემა სწორედ ამ მომენტიდან იწყება, როცა იგი იძულებული ხდება ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან კომპრომისზე წავიდეს.

იუჯინი მხატვრული სომერფილის სარეკლამო ფირმის მხატვრული განყოფილების გამგის თანამდებობაზე ეწყობა ნიუ-იორკში. ფაქტიურად, აქედან იწყება უიტლას სოციალური კიბეზე თანდათანობით შესვლა და მისი, როგორც მხატვრისა და პიროვნების, თანდათანობით დაკნინება. „სომერფილის სარეკლამო კომპანიის“ პრეზიდენტი დენილ კ. სომერფილი კაუპერ-ვუდებისა („სურვილის ტრაგედიის“ გმირი) და კაპიტალისტ გრიფიტების („ამერიკული ტრაგედია“) სამყაროს ტიპიური წარმომადგენელია. საქმოსნობა და სიბრალული მას სულიერ შეთავსებად მიაჩნია, ყოველგვარი ლაპარაკი გრძნობებზე და პირად განცდებზე — ზედმეტ ყბედობად. როცა საკითხი ეხებოდა ცალკეული პიროვნების ბედს, მას ვერ წარმოედგინა რაიმე დათმობაზე წასვლა. სომერფილის სასიქაფულოდ მიაჩნდა თავისი არაადამიანური სიცივე და ეგოისტური ბუნება. იგი მაკრად მოითხოვდა, რომ მის წარმოებას მაქსიმალურად მომგებიანი რეკლამები გამოეშვა. ამიტომ იგი ქირაობდა ნიქიერ, ენერგიულ და დიდი გემოვნების მხატვრებს. „სომერფილის სარეკლამო სააგენტო“ ისეთი „ხელოვნების“ დაწესებულებაა, სადაც უმოწყლოდ იღვანებება მხატვრის ტალანტი, სადაც მხატვრული იძულება მხატვრის დაივიწყოს თავისი ღვიძლი საქმე, სადაც და-

ტაკი ხელოვანი დროებით თავშესაფარს და სარსებო წყაროს ეძებს, მაგრამ მხატვრობის ნაცვლად საპნისა თუ შაქრის წარმოების რეკლამების ჩხაპნით ერევვა ფულის კატაბას. ცხოვრებაში გამოუცდელი იუჯინი აღმშოთხებულია სიმერტილიდა დესპოტიზმით, მისი ფირმის დაწვრილმანებული მოხელეების უხეშობით, გონებრივი სიჩლუნგით, ერთმანეთს შორის კინკლაობითა და მამუღარობით. ისინი იუჯინის წარმოდგენაში სიყვარულის მანეკენები და პატარა ორეულები არიან. მაგრამ მეორე მხრივ, იუჯინი კმაყოფილია თავისი მაღალი ხელფასით. მხოლოდ ის აზრი, რომ თავი დააღწია სიღუპიერეს და შესაძლებელია სოციალურ კიბეზე ნელ-ნელა აცოცდეს, მას ავსებს ენერგიით. იგი აო იშურებს უკანასკნელ მალონეს, რომ მისტერ სიმერტილიდის გული მოგვოს. დღითი-დღე ეპატება იუჯინს საყუთარი თავისადმი რწმენა, სულიერი სიმშვიდეც კი, თუმცა იმასაც გრძნობს, რომ „იგი იქცა გულჭა და შეცვლილ ადამიანად, გახდა აგრესიული, ფიცხი და მკაცრი“. უიტლა უკვე გაუტარბს ძველ მეგობარ მხატვრებს, მოწინავე აღამიანებს, რომლებიც სადღაც ქალაქის მივარდნილ უბნებში ოცნებობენ პიროვნების თავისუფლებასა და ხელოვნებაზე. მხატვარი იუჯინ უიტლა გარეგნობითაც იცვლება, იგი უფრო ახალგაზრდა ვაჟარს, კომერსანტს ემსგავსება; „თავისი ქვაბურა ქუდით, შუა თითზე ორიენტალური ბეჭდით, უკანასკნელი მოდის ტანსაცმლით, ქინძისთავებითა და ყელსახვევებით იგი უფრო მზრესმენს ჰგავდა, ვიდრე მხატვარს.“ იუჯინში თანდათანობით მწიფდება ბიზნესმენის შეგნება. იგი სასწოროზე დებს ერთ მხრივ ხელოვნებას და მეორე მხრივ ბიზნესს — სიმდიდრეს, და მის წარმოდგენაში სასწორო უფრო ხშირად უკანასკნელისავე იხრება. მას უმტკიცდება რწმენა, რომ ფუფუნებაში ცხოვრებას მეტი ფასი აქვს, ვიდრე ქვეშაირი ხელოვნებისათვის უანგარო ბრძოლას. იუჯინი წარმოებაშიაც აბანდებს ფულს. მალე ნიუ-იორკის უდიდესი გამომცემლობის „იუნაიტედ შტეიზინს“ მხატვრული და ლიტერატურული განყოფილების მთავარი რედაქტორის პოსტზე გადადის სამუშაოდ. იუჯინი ითქიფება ბიზნესმენტა სამყაროში, დაუზოგველად ფლანგავს თავის ნიჟსა და ეძლევა ფუფუნებაში განცხრობით ცხოვრებას. მას აღარ აწუხებს ამერიკელი ხელოვანის ტრაგიკული ბედის პრობლემა, პირიქით, ასე ეჩვენება, თითქო ყოველთვის მებატონეთა წრეს ეკუთვნოდა, საუკეთესო სახლში ცხოვრობდა, საუკეთესო ავტომანქანები და ლაქები ემსახურებოდნენ, მდიდრულ რესტორნებსა და კლუბებში სადილობდა. იგი იმდენად კმაყოფილია თავისი მოულოდნელი ფინანსური წარმატებით, რომ სხვა ხელოვა-

ნთა საქმისუნებად „მოქცევასაც“ ცდილობს რომანის მესამე წიგნში — „ჯანყი“ — უიტლას აღსარება სიუზანა დეილის წინაშე, რომ მას გასაკუთრებით უყვარს სილამაზე და ხელოვნება, მოკლებულია დამაჯერებლობას, დამაჯერებელია მხოლოდ მისი აღიარება, რომ იგი მორალურად სუსტა პიროვნებაა და ხელოვნებისათვის თავის გამეტება დაენანა: „მე არ შემძლია ვიცხოვრო სურათების ხატვით ისე, — აცხადებს უიტლა, — როგორც ახლა ვცხოვრებ ყურნალების რედაქტორობით. ხელოვნება შესანაშნავია. მე კმაყოფილი ვარ იმ რწმენით, რომ დიდი მხატვარი ვარ. მიუხედავად ამისა, მე ძალიან ცოტა გამორჩენა მქონდა მასგან, და მას შემდეგ ვავიგე ცხოვრება. ყველაფერი ეს საწუხაროა, მაგრამ ქვეშაირებაა. რომ ვიცოდე, იმის ნახევარი კომფორტი მაინც მექნება ცხოვრებაში, რაც ახლა მაქვს, და არ მომიხდება სურათებით ხელში ქუჩა-ქუჩა ძუნძული, სიამოვნებით დაუბრუნდებოდა ხელოვნებას.“

იუჯინი ზნეობრივადც ეცემა, ცინიკურ, ამორალურ პიროვნებად იქცევა. მის მორალურ დაცემაში დიდი წვლილი მიუძღვით როგორც გონებაშიცხოვრო პერიტანებს, ისევე ენებააწვეტილ ამორალურ პირებს. როცა იუჯინი გაუტარბს პირველ, შევას მეორე კატეგორიის ადამიანებში ეძებს და პირიქით, აღვირახნილი, ზნედაცემული ადამიანებიდან იგი უბრუნდება ისე გონებადახშულ პერიტანებს. მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ აკმაყოფილებს მის სულიერი მოთხოვნებს. ამგვარ ძაებაში ახალგაზრდა იუჯინი თანდათანობით სასოწარკვეთილებამდე მიდის, ვეღარ პოულობს ადამიანურ გაგებას, სიყვარულს, სილამაზის იდეალსა და მორალურ საყრდენს.

ანჯელა ბლუე, იუჯინის მეუღლე, აღზარდა დასავლეთელი ფერმერის პატრიარქალურ, რელიგიურ ოჯახში. მისი შეზღუდული გონებისათვის ხელოვნება, ლიტერატურა, ისტორია თუ ფილოსოფია სამუდამოდ გადაუღწეულ წაზნად დარჩა. ანჯელა ერთის მხრივ თანაგრძნობას იწვევს თავისი ქალური სისუბრაით, ერთვლი სიყვარულით ქმრისადმი, მეორეს მხრივ — აღმშოთხებას თავისი ვიწრო შეშინაურ-პერიტანული გონებრივი ჩაჩოვებით. ასევე გაორებულია იუჯინის დამოკიდებულება მისადმი. ცოლთან მას აკავშირებს სიბრალული და მოყრატება და არა სულიერი ურთიერთგაგება და მეგობრობა.

უიტლას შთაბეჭდილებიანი, ნერვული და მგრძნობიარე ბუნებისათვის ამერიკის ამორალიზმი მსუყე ნიადაგი აღმოჩნდა. რომანში წარმოდგენილია ამერიკელ ქალთა მთელი სერია, რომლებთანაც იუჯინს აკავშირებს ინტიმური გრძნობები. ყოველ მათგანში თავისი უპირიცი-



პოზიცი, ენებააწვეტილობით, „თავისუფალი“ სიყვარულის თეორიებით განსაზღვრული წყლის-ლი შეაკვს იუჯინის ზნეობრივად გახრწნის საქმეში.

„გენიოსის“ მესამე წიგნის — „ჯანყის“ — დიდი ნაწილი ეთმობა „იუნიტეტ მებეზი-ისის“ მთავარი რედაქტორის, ორიოცი წლის ასაკის მიღწეული იუჯინი უიტლასა და მდიდარი ბანკირის ქალიშვილის სიუზანას დიდი სიყვარულის ისტორიას. სიუზანას დედა, მ-ს ემილი დელი, ამერიკელი ბანკირის ქვრივი, თავის თავს ხელოვნებისა და ლიტერატურის დიდ მცოდნედ თვლის. სინამდვილეში, მისი მთავარი საზრუნავია საზოგადოებრივი მდგომარეობა, სახელი და სიმდიდრე. მისი დამეგობრება იუჯინთან ნაყარანავე იყო პრაქტიკული მოსაზრებით. იგი იმედოვნებდა იუჯინის დახმარებით თავისი ლიტერატურული ნაწერების შესწორება-გამოქვეყნებას. თანაც გულში მზაკრულ ფიქრსაც ატარებდა — იუჯინისათვის ცოლი დაეტოვებინა და თავად აწვლას ადგილი დაკავებინა. ქალბატონ დელს მოსწონს საზოგადოების წინაშე „თავისუფალი“ „ორიგინალურად“ მოაზროვნე „ექსცენტრიული“ პიროვნების როლის თამაში. იგი ზნეობრივ „თავისუფლებას“, ქორწინების გარეშე „თავისუფალ“ სიყვარულს ქადაგებს, იმასაც კი ამბობს, რომ ოჯახური კონფლიქტები ანგარიშშიან ქორწინების შედეგია. ზოგჯერ დილეტანტურ ფორმებში სოციალიზმზეც ყუბდობს. მაგრამ მალე ირკვევა, რომ ამ ქალბატონის თავისი „ექსცენტრიული ფილოსოფია“ საზოგადოების წინაშე ეფექტის მოსახდენად ესაჭიროება. სინამდვილეში ძალიან პრაქტიკულად უყურებს ქორწინების საკითხს. როგორც კი გაიგებს, რომ მის ქალიშვილს სიუზანას განუზრახავს ქორწინების გარეშე იუჯინთან ცხოვრება, მშინვე გააბამს ინტრიგების ქსელს, სასტიკად დევნის იუჯინს, აკარგავს სამუშაო ადგილს, სიუზანას საიდუმლოდ ძალდატანებით ნიუ-იორკიდან გააძაბებს და ხელს უშლის მის შემდგომ მოქმედებას. სიუზანა გაოცებულია „ემანსიპირებულ“ დედის საქმისწერი ბუნებით, მისი მოვლენილი მტრამორფოზით: მისი მოქმედება დიამეტრულად ეწინააღმდეგება მისივე „ფილოსოფიას.“

ერთი შეხედვით, სიუზანა დელი თითქო კიდევ განირჩევა თავისი წრის ქალიშვილებისაგან და გულწრფელი, ნამდვილი სიყვარულის უნარი შესწევს, თითქო გაიგებდეს ეს მისი ქალიშვილი თავდაიწყებით უყვარს. მაგრამ სიუზანას ამორალიზმი, ეგოიზმი და ბურჟუაზიული პრაქტიციზმიც არ იმალება. მისი გონება მოწამლა არა მარტო დედის „თავისუფალ“ მოწამლვას, არამედ, საერთოდ, ამერიკაში გავრცელებულმა ულტრა

მოდერნულმა რომანებმა, „სენტიმენტალურმა თეორიებმა“, რამდენიმე ზნეობრივ „თავისუფლებას“ ზოტას ასხამენ. მაგრამ მისი „მალაღობი“, „თავისუფალი“ სიყვარული იუჯინისადმი იძულებული აღმოჩნდება, რომ, როგორც კი ფულის საკითხს წააწყდება, იგი სიყვარულიდან უკან იხევს. მას შემდეგ, რაც იუჯინი გამოქვეყნებულიდან წასვლით კარგავს მატერიალურ მდგომარეობას, სიუზანა საგონებელში ვარდება — მართლა უყვარს თუ არა იუჯინი უიტლი. ფუფუნებაში განებივრებულს, აშინებს მოსალოდნელი უსახსრობა. ერთი მხრივ დედა ემუქრება ქონების ჩამორთმევით და მეორე მხრივ იუჯინიც უშეშოსავლოდ რჩება. ესაა სიუზანა საზოგადოებისა და მეგობრების აზრსაც უწევს ანგარიშს. მალე უმეტესწილად იგიწყებს იუჯინს, თავისი წრის შესაფერად ატარებს დროს, ხდება ცივი, პრაქტიკული, ეგოისტური, გარშემო შემოკრებილი ჰყავს თავყანისმცემლები და ალბათ მომავალში ასევე ეგოისტურად, ანგარიშშიან ქორწინებით დაავიწყების თავის კარიერას. სიუზანას დაეარება კი იუჯინი უიტლი, როგორც ძლიერი გატაცების ბუნებრივი დასასრული.

ქაბუჯური ოცნებები ქალის სილამაზეზე და სიყვარულზე თანდათანობით ქრება იუჯინის, შეგნებიდან და იგი იქცევა ცივი, ეგოისტური, ქალების დაპყრობაში გამოწოდებით ტრიატი ამორალურ პიროვნებად. სიუზანასთან დაშორებისა და აწვლას დაღუპვის შემდეგ გაივლის დრო და იუჯინი კვლავ უბრუნდება ბურჟუაზიული საზოგადოების ჩვეულებრივ დროსტარებას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქალებში სრულიად აღარ ეძებს სიყვარულს, სილამაზეს, შთაბრუნებას და სულიერ სიღრმეს. მის საყვარლებს შორის არიან მხატვარი ქალები, მსახიობები, უნიკო პოეტი ქალები. მათთან შეხვედრები, აღერის, შემდეგ განშორება და ცრემლები იუჯინს ნორმალურ მოვლენად მიაჩნია.

იუჯინის იდეოლოგიური ძიებანიც ვერ დამთავრდა წარმატებით. მან ვერ მოახერხა მყარი, რაღაც განსაზღვრული მსოფლმხედველობის შემუშავება, ცხოვრების ყველაზე უფრო მძიმე მომენტში, გამოქვეყნებიდან დათხოვნის, სიუზანასთან დაშორებისა და ცოლის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ იუჯინს საშინელი სასოწარკვეთილების გრძნობა იპყრობს. დანეწული „გენიოსი“ ხავს ეკიდება, რელიგია და იდეალისტურ ფილოსოფიაში ეძებს სულიერ საზრდოსა და სიმშვიდეს. იგი რელიგიური სექტის — „ქრისტიანული მეცნიერების“ მიმდევარი ხდება. დრამატური აღწერს, თუ „ცივილიზებული“ ამერიკაში როგორია გავრცელებული რელიგიური ფანატიზმი. „ქრისტიან-



ნული მეცნიერება“ და მისი ერთ-ერთი თეორეტიკოსის მისს ედდის წიგნი „მეცნიერება და ჯანსივრცეობა“, ადრეული „პროსპერის“, „ოპტიმიზმის“ ახალი თეორიული ვარიანტია. მისს ედდი ასაბუთებს, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ღმერთი—სიკეთისა და სიყვარულის ღმერთი. ამ ქვეყნად ყველაფრის საფუძველი სიკეთეა, ბოროტება მოჩვენებითია, ამიტომ ყოველგვარი ზიანისა და უბედურება საბოლოოდ მშვიდობით დასრულდება. თავდაპირველად იუჯინი ეჭვის თვლით უყურებს „ქრისტიანული მეცნიერების“ სპირიტუალისტურ ჩმაზვას, ადვილად ამჩნევს, რომ იგი შეთიხნილია ბიბლიური და სხვა გავრცელებული რელიგიური ლეგენდებიდან, ხოლო მისს ედდის წიგნი შეიცავს შინაგან უზარო წინააღმდეგობებს. იუჯინი სისულელედ თვლის რელიგიურ ენთუზიას. მოუხედავად ამისა, იგი დროის მოსაკლავად იწყებს ამ სექტის ეკლესიაში სიარულს, სექტის ქადაგის მისს ჯონსის ხშირი სტუდირი ხდება და სიამოვნებით ისმენს მისი შესრულებით ფსალმუნებსა და ლოცვებს. ხოლო საბოლოოდ იუჯინი უერთდება „ქრისტიანული რელიგიის“ სექტას. ამავე დროს დაყენებით კითხულობს იდეალისტების სპენსერისა და პაქსლის, ოტო ვანინგერისა და ემერსონის წიგნებს და ფრთხილად იმყოფება, თავგადასხმული „გენიოსი“ გერავითარ საბოლოო შეხედულებამდე ვერ მიდის. იგი ფიქრობს, რომ „ეშმაკი მართავს ქვეყანას“ და არა „სიკეთის ღმერთი“, სამყარო ქაოტური და ალოგური, შეუცნობადი და მისტიკური.

რომანის დასასრულს ავადმყოფური განწყობილებებით შეპყრობილი უიტლა, რომელსაც თავისი ფილოსოფიური ძიებებიდან მხოლოდ ერთი დასკვნა გამოაქვს, რომ „არაფერი არ არის ისეთი მოძრაობა, ისეთი ცოცხალი, ისეთი ტკივილების აღმქარელი, როგორც ოცნება“ და რომელიც „წარმართი სულის ძირადად, სიამოვნებით კითხულობდა ბიბლიას მისი მხატვრული აღწერებისათვის, შოპენაუერის, ნიცშეს, სპინოზას და ჯეიმსის მათი შთაბრძნისათვის საგნების მისტიკური წარმოშობის შესახებ“, უბრუნდება მხატვრობას. სიმბოლურია ამ პერიოდში იუჯინის მიერ შესრულებული ტილო—სულერად დაკემული, ადამიანური თვისებებისაგან დაკლილი ლოთის — ცოცხალი ლეშის პორტრეტი, რომელშიც მხატვარმა საკუთარი განწყობილება, ამერიკის სინამდვილით გასრეხილი პიროვნების პორტრეტი, ჯანყი გამოხატა. შავრად უიტლასებური ხელოვნება გამოხატავდა უძლურ ჯანყს, ავადმყოფურ სექსუალურ შოპენაუერის იმ ინდივიდუალისტის ჯანყს, რომელიც პიროვნების დაღუპვის მიზეზს სოციალურ ვითარებაში კი არ ეძებს, არამედ ბუნებაში, ბიოლოგიურ კანონებში.

იუჯინმა მოხატა ნიუ-იორკის ცენტრში ერთი დიდი ბანკის კედლები. ვაშინგტონში სამი მსხვილი დაწესებულების და სამი შტატის კაპიტოლიუმის კედლები აფერადდა მის მიერ შესრულებული ფრესკებით. მაგრამ იუჯინის მხატვრობამ სამუდამოდ დაკარგა ძველბური ცხოველმყოფელობა, სიცოცხლე. თვითონ უიტლაც გრძნობს, რომ მარჯვენა უმტყუნა, თუმცა მხატვრობას დაუბრუნდა, მაგრამ ძველბური ცეცხლითა და ოსტატობით აღარ შეძლია წერა, როგორც ხელოვანი სამუდამოდ გამოიფიტა: „და ასე მუშაობდა იუჯინი, ხატავდა სწრაფად, მღელვარად, ბრწყინვალედ, მაგრამ ნახევარზე მეტად იმ შვებულებით, რომ ძველმა მხატვრობის ძალამ სამუდამოდ უმტყუნა“.

ასე სრულდება გენიოსის ბედი. მხატვრის ნიჭი თანდათანობით განიჟდა არსებობისათვის ბრძოლაში, სიმდიდრის მოპოვებაში, ზნეობრივ დაცემასა და იდეოლოგიურ დაბნეულობაში, ასეთია გენიოსის ბედი იმპერიალისტურ ამერიკაში. ასე გვიხატავს მას დრაიზერი.

შემოქმედების ადრეულ ეტაპზე, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციამდე პერიოდში, დრაიზერი პოზიტივისტური ფილოსოფიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რამაც განაპირობა მის რეალისტურ ესთეტიკაში ნატურალისტური ელემენტების თანარსებობა, რომანის „გენიოსის“ კარდინალური პრობლემა — ხელოვნების ტრაგედია იმპერიალისტურ ამერიკაში — ძირითადად გადაჭრილია მართებულად, არსებული სოციალური სინამდვილის ფონზე სოციალური მიზეზებით. მაგრამ დრაიზერი ამ პრობლემის გადასაჭრელად ცალკეულ მომენტებში ბიოლოგიურ ფაქტორსაც იშველიებს. რევოლუციამდე დრაიზერი ინდივიდუალისტურ აეოზიებს იზიარებდა და თვლიდა, რომ საზოგადოება შედგება ძლიერი და სუსტი ინდივიდებისაგან. იუჯინს ავტორი სუსტი ინდივიდიად თვლის. იგი მელანქოლიური, მეოცნებე, ვერაბი მტკანობელობის, ემოციური სურვილების სუსტი მონაა, უკიდურესად ნერვული აღმანიია, რომელიც ხშირად ანგარიშმოუხედავად, აფექტის ქვეშ მოქმედებს. მას არა აქვს ნებისყოფა, საქმის სისრულეში მოყვანის საყვარელი ძალა, ყველაფერს ეჭვის თვლით ზომავენ. ხასიათის ამგვარმა სისუსტემ იუჯინი აქცია ცხოვრების პასიურ მჭვრეტელად და არა მებრძოლ ხელოვნების მუშაკად, მას ცხოვრების დინების მიმართულებით იოლი გზით სიარული ურჩევნია, რასაც მოსდევს მისი როგორც შემოქმედის დაღუპვა. იუჯინის სუბიექტური მონაცემები ისეთი ნოყიერი ნიადაგი იყო, რომელზედაც ყოველგვარი მანკი იოლად რიცდება და ფეხს. მართალია, დრაიზერი ამგვარი გზითაც შესანიშნავად ამხელს ამერიკულ სინამდვილეს,



რომელიც სუსტ პიროვნებას უფრო აზღუნებს, აძაბუნებს, ვიდრე წრთენის, აკაეებს, მორალურად ამალებს და მომავლისადმი რწმენით ავსებს, მაგრამ დრავიზერი უფრო მაღალ-ოსტატურად წარმოსახავდა ამერიკელი ხელოვანის ტრაგედიას, რომ იუჯინის სუბიექტურ-ბიოლოგიურ მონაცემებზე არ დაესვა ზღაპრით მახვილი.

„გენიოსი“ სტილისტურად ტიპური დრავიზერისებური ნაწარმოებია. რომანი ხასიათდება ეპიზოდების გადმოცემის მშვიდი ეპიური ტონით, დინჯი და სერიოზული კილოთი, გულწრფელი და სადა თხრობის მანერით. სინაქსი-ული დასურათებელია არა მარტო ავტორიანული აღწერებებით, არამედ მეტ წილად გარდატეხილია მოქმედ პირთა შთაბეჭდილებების პრიზმაში. იუჯინში გაოცებას იწვევს ამერიკის დიდი კაპიტალისტური ქალაქების კონტრასტული პეიზაჟები, შემდეგ იგი ყველგან ამჩნევს კონტრასტებს, აღმანიებში, მათ ურთიერთობაში. ამგვარად მკითხველი უფრო ემოციურად და უშუალოდ აღიქვამს იმ სურათს, რომელსაც გმირი განიცდის.

გარემოს აღწერისას და სახის ჩამოსხმისას დრავიზერი ყველაზე უფრო ოსტატურად დეტალებს იშველიებს. მწერალი დიდ ყურადღებას აქცევს პერსონაჟთა გარეგნობას, ტანსაცმელს, ტანსაცმელის ხარისხსაც კი. იუჯინის საზოგადოებრივი და მატერიალური მდგომარეობის მიხედვით იცვლება მისი გარეგნობაც. მკითხველმა ყოველთვის იცის თუ მოქმედ პირს რამდენი ფული აქვს ჯიბეში, როგორ სადილს მიირთმევს, როგორი მორთულია მისი საცხოვრებელი სახლი, როგორია სხეულის სურათი წარმომადგენელთა დამოკიდებულება მისდამი, ვისთან ატარებს დროს და სხვ. ამგვარი წვრთმანების დახმარებით სრულიად თვალსაჩინოდ იკვეთება იუჯინის სოციალური მდგომარეობა.

დრავიზერის ბიოგრაფიი დროითი დუღილი შენიშნავს, რომ დრავიზერმა შესანიშნავად იცოდა სტილისტიკის საკითხები, მთელ რიგ სტილისტურ თეორიებს იცნობდაო. საბედნიერად დრავიზერი არავითარი „სტილისტური თეორიების“, სტილისტური მანერულობის გავლენის ქვეშ არ მოქცეულა. მისი სტილის თავისებურებად და უდიდეს მძლავრად უნდა ჩაითვალოს ყოველგვარი ძალდატეხილობა. სათქმელს მწერალი ყოველთვის პირდაპირ ნათლად, უბრალოდ ამბობს, მისი პროზისათვის მიუღებელია ბუნდოვანი, ორაზროვანი, ქვეტექსტებით დატვირთული ადგილები. რომანი „გენიოსი“ დაწერილია ნათელი, გამკვირვალე, ლაკონური, ყველაზეათვის მისაწვდომი უბრალო, სალაპარაკო ინგლისური ენით.

დრავიზერის ყოველი რომანის გამოცემა დიდ პანაქსას და აურზაურს იწვევდა ამერიკის

ბურჟუაზიული მორალის დამცველთაგან. მისი ყოველი რომანის გამოქვეყნების ისტორიაზე, როგორც ერთი „კვლევა“ შეინიშნავს გონებადამხვილურად, ახალი რომანის დაწერის შეიძლება. გამოქვეყნების პირველ დღიდანვე ამერიკის რეაქციულმა ბანაკმა „გენიოსი“ მიზანში ამოიღო. ერთ-ერთი ლიტერატორი ქალი ნ. პ. დ. რომანს უწოდებს პათოლოგიური ინტერესების გამოზნადეულ ქაწილებს, თითქმის იუჯინში დრავიზერმა განასახიერა ისეთი მამაკაცი, რომელიც ცხოვრებაში ქალების გარდა ვერაფერს ამჩნევს, თანაც ეს ქალბატონი ლიტერატორი დაძენს, აღბათ რომანი დრავიზერის ყველაზე უფრო სუბიექტური ქმნილებებია. მწერლის პირად შეურაცხყოფას ამითაც არ ასრულებს. იგი დრავიზერს მისი გვარისთვის „პრო გერმანულს“ უწოდებს. მართალია, დრავიზერი გერმანელი ემიგრანტის შვილი იყო, მაგრამ მწერალი აღიზარდა ამერიკაში და თავის საშობლოდ ამერიკას თვლიდა. მას კი გერმანული წარმოშობა იმისათვის წარუყვევს ბრალდებად, რომ იმ დროს წინააღმდეგობა ამერიკასა და გერმანიას შორის მწვავედებოდა და ამით მწერლის მტრებს სურდათ „გენიოსის“ ავტორის წინააღმდეგ ხალხი აეზიდურებინათ. „ჩიცაგო ტრიბუნის“ ლიტერატურული განყოფილების რედაქტორი მისის ელია პიტერ კიდევ უფრო გაბოროტებული ესხმის თავს „გენიოსს“. მასაც არ სურს იუჯინის ტრაგიკული სახის გაგება და მასში მხოლოდ ვნებააწყვეტილ „კატატრომს“ ხედავს. პროფესორი სტუარტ შერმანი წერს — „თეოდორ დრავიზერის ბარბაროსული ნატურალიზმი“ — დრავიზერისადმი სიძულვილს ქადაგებს. 1916 წელს ფელპსმა გამოქცა მონოგრაფია თანამედროვე ამერიკული რომანის განვითარების შესახებ და „გენიოსის“ ავტორი არც ავად და არც გარდაცემი არ მოიხსენიება.

1873 წელს პერიტან ფანატიკოსი ენტონი კომსტოკი „ენობილი მოქალაქეების“ კაპიტალისტ მორგანის, დოღჯისა და სხვათა დახმარებით „ნიუ-იორკის ცოდვების წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოება“ დაუარსებია. „საზოგადოების“ მოღვაწეობის დუნქიკის შეადგენდა ხელოვნების კონტრალი პერიტანული მორალის სახელით. კომსტოკმა აკრძალა ამერიკაში „პროფანაციული“ წიგნები: ბალზაი, კაზანოვა, შექსპირი (მან არ ისურვა ამ მწერლებს შორის სხვაობის შეჩვენება და ბალზაი და შექსპირი კაზანოვას გვერდით მოათავსა), ბოკაჩო, სვიფტი, ვოლტერი, რუსო, ერთი სიტყვით მსოფლიო ლიტერატურული განძი. 1915 წელს კომსტოკი გარდაიცვალა და „საზოგადოების“ თავმჯდომარედ არჩიეს სამერი, რომელმაც 1916 წლის ივლისში განიხილა დრავიზერის „გენიოსი“ და აღმოაჩინა, რომ წიგნი „აღსავ-

სეა ღვთისმგმობლობით, ამორალური და ახალგაზრდობის წაშლილწველი ნაწარმოებია. „სავსებით გასაგებია, რომ ამგვარი წიგნის კითხვა ახალგაზრდა ქალისათვის დიდი ზიანის მომტანი იქნება“ — წერს იგი. „საზოგადოებაში“ „გენიოსის“ გამოცემულს ჯონ ლეინს სასტიკად აუკრძალა წიგნის გასაღება და რომანი „შავ სიაში“ შეიტანა.

„გენიოსის“ ირგვლივ ბრძოლა გაჩაღდა. ჩამოყალიბდა დრაიზერის „გენიოსის“ დამცველი კომიტეტი. მოწინავე ამერიკელი მწერლების ხელმოწერით გამოქვეყნდა პროტესტი, რომელშიაც ისინი მოითხოვდნენ ამერიკაში მწერლის შემოქმედებითს თავისუფლებას, პროტესტს უცხადებდნენ „საზოგადოებას“, რომელიც იბრძვის ლიტერატურის „ვიწრო და შეუძლებელ სტანდარტებში“ მოქცევისათვის და კატეგორიულად მოითხოვდნენ დრაიზერის რომანის „გენიოსის“ უფლებების აღდგენას. ამ დროს ცნობილი ამერიკელი პოეტი ედგარ ლი მაჰტერსი აცხადებს: „დრაიზერს უნდა უხაროდეს რომ მოახდინა ამერიკული პროზის რევოლუცია. იგი აღარ დაუბრუნდება ძველ სტანდარტებს, რომელიც მალავს ნამდვილ ცხოვრებას“. პროგრესულმა ლიტერატურათმცოდნეებმა რანდოლფ ბოუერნმა გამოაქვეყნა წერილი, რომლის სათაურშივე დრაიზერს გმირი უწოდა — „დრაიზერი როგორც გმირი“. ცნობისმოყვარე რეპორტიორებს დრაიზერი დაეინებოთ ერთი და იგივეს უმეორებდა, რომ ამერიკაში არ არსებობს სიტყვის თავისუფლება.

რომანი მხოლოდ 1923 წელს გამოიცა.

„გენიოსის“ ირგვლივ ბრძოლის პასუხი იყო დრაიზერის შემოქმედების შემდგომი ენერგიული განვითარება. მოთხრობებში „პიტერი“, „უილეროსი მოპასანი“, „ოლივია ბრანდი“, „ერნესტინა“, „უინტერტონი“ და სხვ. დრაიზერი თავისუფლდება ნატურალიზმის გავლენისაგან და მერიტ მხატვრული დამჯერებლობით, მერიტ

გამბედაობით ასურათებს ტიპურ ხასიათებსა და მოვლენებს გრინვიჩ უილჯისა და ჰოლივუდის ცხოვრებიდან. უკანასკნელ რომანებში „სტოიკოსი“ და „ბურჯი“ დიდი რეალისტური ძალითა ნაჩვენები წინააღმდეგობა ბიზნესსა და ზელოვნებას, პურიტანიზმსა და ზელოვნებას შორის.

შემოქმედების უკანასკნელ ეტაპებზე 20-იან და 30-40-იან წლებში თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობით, შემოქმედებით, მებრძოლი პუბლიცისტიკით დრაიზერი გამოდის, როგორც გადარჩენილი იუჯინი, გამარჯვებული ხელოვანი. 1925 წელს ჰქმნის შესანიშნავი რეალისტური რომანის „ამერიკულ ტრაგედიას“. 20-იან წლებში უმეგობრდება საბჭოთა ქვეყანას, 1927 წელს ჩამოდის საბჭოთა კავშირში. მან იმოგზაურა საქართველოშიც, სტუმრად იმყოფებოდა თბილისში, ბათუმში. კაპიტალიზმის ეკონომიური კრიზისის პერიოდში, 30-იანი წლების დასაწყისში მონაწილეობას იღებს მუშათა მოძრაობაში, ამხელს კაპიტალისტურ სისტემას („ტრაგიკული ამერიკა“), 40-იანი წლების დასაწყისში — ამერიკის იმპერიალისტურ პოლიტიკას („ამერიკა გადარჩენის ღირსია“), დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებას აღტაცებული ეგებება და ბოლოს, 1945 წელს, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე უერთდება კომუნისტური პარტიის რიგებს.

„გენიოსს“ მკითხველი მძიმე გრძნობით ხედავს. მის თვალწინ დგას ცხოვრებისაგან დაღლილი იუჯინი, რომელსაც სასტიკმა სინამდვილემ თანდათანობით წაართვა ოცნება, ნიჭი და მომავლის რწმენა. მაგრამ „გენიოსის“ ავტორის ცხოვრება და შემოქმედება ეს არის მწერლის გამარჯვებული ნიჭი, გამარჯვებული რწმენა და მარადი ოცნება ადამიანის თავისუფლებასა და ბედნიერ მომავალზე.

3. ღონაძე

ნიკო ნიკოლაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები.

ნიკო. ნიკოლაძეს ქართული ისტორიოგრაფიის იმდროინდელი ცოდნის კვალობაზე ჯეროვანი წარმოდგენა ჰქონდა მშობლიური ქვეყნის ისტორიის პროცესების შესახებ და ერკვეოდა მის რთულ პერიპეტებში. მართალია, ნ. ნიკოლაძეს არ გააჩნია სპეციალური ნაშრომები საქართველოს ისტორიის საკითხებზე, მაგრამ ზევრ მის ნაშრომში აღძრულია საქართველოს ისტორიის ზრავალი მნიშვნელოვანი საკითხი.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებები საქართველოს ისტორიის საკითხებზე იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრედოს განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა, რომლითაც იგი განიხილავდა ეპოქის მიერ აღძრულ და მშობლიური ქვეყნის წინაშე მდგარ მრავალფეროვან აქტუალურ საკითხებს.

XIX საუკუნის 60-80-იან წლებში საქართველოს ისტორიის შესწავლა ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა. ქართული ეროვნული ისტორიოგრაფია მხოლოდ ყალიბდებოდა, მეცნიერული მონოგრაფიები საქართველოს შორეული თუ ახლოველი წარსულის შესახებ თითქმის არ არსებობდა; სათანადო პირველწყაროები და დოკუმენტები არა თუ შესწავლილი არ იყო, მათი დიდი ნაწილი მკვლევარებისათვის საერთოდ უცნობი იყო. ილია, აკაკი და სხვა ქართველი სამოციანელი მოღვაწენი გულისტკივლით აღნიშნავენ ამ არასასურველ ფაქტს და მომავალი ახალგაზრდობისათვის მოულოდნელ მდგომარეობის გამოსწორებას. ისინი ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ საქართველოს შემდგომი კულტურული წინსვლა ბოლოს მოუღებდა ამ ხარვეზს, ასპარეზზე გამოვიდოდნენ მეცნიერული აპარატი აღჭურვილი ახალგაზრდა ისტორიკოსები და ამოხსნიდნენ ქვეყნის წარსულის „სფინქსის საიდუმლოს“.

სხვებთან ერთად ნიკო ნიკოლაძეც კარგად ხედავდა ამ მდგომარეობას და ხშირად სინაზულს გამოთქვამდა. იგი ზოგჯერ თავს იკავებ-

და საქართველოს წარსულის ამა თუ იმ მოვლენის შესახებ გარკვეული აზრის გამოთქმისაგან, რადგან სამართლიანად ფიქრობდა, რომ სათანადო არგუმენტები გარკვეული დასკვნის გამოსატანად ჯერ კიდევ არ არსებობდა. იგი ხომ საფუძვლიანად იცნობდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და რუსეთის ისტორიას, ნათელი წარმოდგენა ჰქონდა ისტორიული მეცნიერების განვითარების დონის შესახებ ამ ქვეყნებში და შეეძლო სათანადო შედარების გაკეთება ჩვენს სინამდვილესთან. ასეთი შედარება კი მეტად სავალალო სურათს ავლენდა.

„...ჩვენი მწერლობის ეხლანდელ მდგომარეობაში შეუძლებელი საქმეა ხეირიანი ისტორიის დაწერა არა თუ საქართველოსი, ერთი რომელიმე საუკუნისა ან მეფობისა. ჩვენ გვაქვია მასალები, გვაქვია გამოძიებები, რომლის შემწვობით ჩვენ უნდა შეგვეძლოს აზრის შედგენა მაშინდელი ხალხის მდგომარეობაზე, მოქმედებაზე და მიმართულებაზე, მაშინდელ ჩვეულებებზე და ზნეზე, მაშინდელ აზრსა და გონების გახსნაზე და სხვ“¹. (ხაზი ჩვენი ა. ე. დ.).

მშობლიური ქვეყნის წარსულის სერიოზული შესწავლის პირველ პირობად და სათანადო ისტორიული გამოკვლევების დაწერის აპრიორულ მოთხოვნად ნ. ნიკოლაძეს საეცებით მართებულად პირველწყაროების, ტექსტების დადგენა, ნედლი მასალის დაგროვება და სისტემაში მოყვანა მიაჩნდა. ამ „შავი“ სამუშაოს უგულვებელყოფას და უშუალოდ სქელტანიანი ნაშრომების წერისათვის ხელის მოკიდებას იგი სიზიჟის შრომად, ენერგიის უნაყოფო ხარჯვად თვლიდა. მთელმა თაობამ მისი თქმით, „ხელეშწაპიწებელი“ უნდა იმუშაოს, რათა სათანადო მასალები წესრიგზე მოიყვანოს, წყა-

¹ ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე), ჩვენი მწერლობა (კრიტიკული მიმოხილვა), ჟურნ. „კრებულები“, 1872 წ., № 10-11-12, გვ. 147—148.



როების ფონდი დააგროვოს და მით მომავალ თაობას პოზიტიური მემოებისათვის ნიადაგი მოეზადოს.

ნიკო ნიკოლაძე, ილია ქავჭავაძის მსგავსად, გულისტყვილით აღნიშნავდა იმ სავალალო ფაქტს, რომ ხალხი, რომელიც მას ისტორიული პროცესის მთავარ მამოძრავებელ ძალად მიაჩნდა, საქართველოს ისტორიაში სრულებით მიჩქმალული იყო და არ მოჩანდა. ხალხის წინა პლანზე წამოწევა, მისი აქტივობის გამოჩენა, მისი განწყობილების, სულისკეთებისა და გონებრივი მიმართულების შესწავლა მას საქართველოს წარსული ისტორიის შესწავლის ერთ-ერთ პირველ პირობად მიაჩნდა.

„რა სჭიროდა, რა უნდოდა ხალხს, — წერს იგი, — რას ეძებდა, რას არა? ხალხი ისტორიის პირველი მომქმედი პირია და რაწაიად დაიწერება ისტორია, თუ მის პირველ მოქმედ პირზე ჩვენ სრულიად არაფერი გავგება არა გვაქვს? სანამ ამწაიარი მასხალები არ მოძებნება და არ გაიჩნება. მანამ — ათასი ისტორიკოსიც... საქართველოს ზეირიან ისტორიას ვერ დასწერს და ვერ შეადგენს“¹. (ხაზი ჩვენი! ვ. დ.).

ნ. ნიკოლაძე მიუთითებს საქართველოს აწმყოს მძიმე მდგომარეობაზე, მისი ინტელაგენციის მცირერიცხოვნებასა და ბევრი საღღესო საპერბორატო საკითხის გადაუწყვეტლობის სავალალო ფაქტზე. ამით ხსნის იგი მშობლიური ქვეყნის წარსული ისტორიის შეუსწავლელობას და ამ წარსულის ბევრი მოგლენის სუსტად ცოდნას. ასეო. „გონებრივი“, სიღარიბის გამო, მისი თქმით, ფუფუნება იქნება ფარაონებისა და ლურსმული დამწერლობის ეპოქის საქართველოს ისტორიის საფუძვლიან შესწავლას მოვლიდოთ ზელო, ჯერჯერობით გადაუდებელი ამოცანა პირველ რიგში უახლოესი საუკუნეების შესწავლა დაეისაოთ მიზნად².

მიუხედავად ზემო აღნიშნულისა, ნ. ნიკოლაძე მაინც აყენებს საქართველოს წარსულის მთელ რიგ საკითხებს, თავის მოსაზრებებს გამოთქვამს მათ შესახებ და მას აწმყოს პრობლემების ამოსახსნელად აყენებს. ამ მოსაზრებათა ერთი ნაწილი მეტად გონებამახვილურია და დღესაც ინარჩუნებს თავის შემეცნებით მნიშვნელობას, მეორე ნაწილი კი აბტორის მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელ ნაკლს შეიცავს და მას მხოლოდ ისტორიული ღირებულება შეჩენია.

¹ ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე), ჩვენი მწერლობა (კრიტიკული მიმოხილვა). ჟურ. „კრებუ-ლი“, 1872 წ., № 10-11-12, გვ. 148.

² ნ. ნიკოლაძე, „Византийские споры“, газ. „Новое обозрение“, 1889 г. № 2022.

საქართველოს წარსულის ზოგიერთ საკითხზე საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული ნ. ნიკოლაძის ვრცელ სტატიაში „Византийские споры“,¹ რომელიც სპეციალურად წარსული ლიტერატურული მემკვიდრეობის საკითხებისადმი მიძღვნილი. აღნიშნული სტატია წარმოადგენდა პასუხს ივ. ჯაბაძარის (ცნობილი ქართველი ხალხოსანი) მიერ ჟურნალ „Северный Вестник“-ში მოთავსებულ წერილების სერიაზე — „Письма о Грузии“, რომელშიაც იგი აშკარა კოსმოპოლიტური და ნიჟილისტური თვალსაზრისით მიუდგა საქართველოს ისტორიულ წარსულს². გაიმეორა რა გერმანელი მეცნიერის ღრეპერის ყბაღაღებული მოხუცებულობის თეორია, ე. ი. თეორია, რომლის თანახმად ყოველ ერს, თითქმის, აქვს ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა, ვეჟაცობა და სიბერე, რომელსაც მოსდევს აუცილებელი სიკვდილი, ჯაბაძარმა ქართველ ერს ბრალი დაღო მოხუცებულობაში, სიბერეში, ამით მან ქართველი ერის ყველა მტრის გული გაახარა, იგი ამასაც არ დასჯერდა. აღნიშნულ წერილებში ივ. ჯაბაძარმა ქართველი ერის კულტურის ყველა ჯურის მტრების გული გაახარა იმიტოვ, რომ დაამცირა საქართველოს თვითმყოფადი კულტურის როლი, აბუჩად აიგდო შოთა რუსთაველის უკდავი ნაწარმოები „ჟმფხისტყაოსანი“ და შეეცადა დაედსტურებინა მისი არაორიგინალობა, მისი სიუჟეტის სპარსული წარმოშობა.

ჯაბაძარის ამ გამოხდომამ მაშინდელი ქართველი პროგერესული საზოგადოებრიობის გულსწყრომა და მკაცრი პროტესტი გამოიწვია; აღშფოთებით და გულისწყრომით გამოეხმურენ ამ ნიჟილისტურ წერილს ილია ქავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვა ცნობილი ქართველი მოაზრებულები³. ნ. ნიკოლაძე ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც სამართლიანი აღშფოთების გრძნობით გამოეხმურა ჯაბაძარის ნიჟი-

¹ Газ. „Новое обозрение“, 1889, № 2022.

² ეს წერილები ნარდონის ფეცდონიშით გამოქვეყნდა აღნიშნული ჟურნალის 1889 წლის 9 და 10 ნომრებში. იაკობ მანსეცაშვილის ცნობით მარტო ჯაბაძარს არ ეკუთვნოდა აღნიშნული წერილები. მას ჰყავდა თანავეტორი. ეს თანავეტორი იყო მისი ცოლი, შთამომავლობით რუსი, ლუბატოვიჩის ქალი. იხ. იაკობ მანსეცაშვილი, მოგონებანი, თბილისი, 1936, გვ. 93-94.

³ ილია ქავჭავაძის მკაცრ და ღრმად მეცნიერულ პასუხს ჯაბაძარის ანტიპატრიოტულ წერილებზე წარმოადგენდა ვრცელი პოლემიკური სტატია — „თი ისტორია“, იხ. თხულებათა სრული კრებული, ტ. IV, თბილისი, 1955, გვ. 17-142.

ლისტერ წერილს და სხვებთან ერთად ხმა აღიმართა ქართული კულტურისა და მისი უკვდავ ძეგლის „ვეფხისტყაოსნის“ დასაცავად.

ზემოაღნიშნულ სტატიაში მან სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ჯაბადარის მანკიერი და მავნე შეხედულებანი არა მარტო „ვეფხისტყაოსნის“, არამედ საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებაც საერთოდ.

წინააღმდეგ ივ. ჯაბადარისა, რომელიც თვალს ხუჭავდა ისტორიული სინამდვილის წინაშე და შეგნებულად უარყოფდა საქართველოს წარსულში ორიგინალურ და თვითმყოფად ნიშნებს, ნ. ნიკოლაძე, პირიქით, საპასუხო წერილში ხაზს უსვამს ქართული კულტურის მაღალ დონეს, მის თვითმყოფადობას და მდიდარ ტრადიციებს. აქედან გამომდინარე იგი სრულიად კანონზომიერად მიიჩნევს ისეთი უკუდავი ნაწარმოებების შექმნას მეთორმეტე საუკუნეში, როგორიცაა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიაც, მისი თქმით, ზოტკვესხმული ქართველი ხალხის საუკეთესო სულიერი თვისებები — მეგობრობა, თავდადება, ერთგულება, სიყვარული, ჰუმანიზმი და სხვ.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით თვით ერისათასწლოვანი არსებობა, მისი გმირული ბრძოლა ეროვნული სახის შენარჩუნებისათვის, სხვას რომ თავი დავანებოთ, განა მისი კულტურის თვითმყოფადობისა და ორიგინალობის მაჩვენებელი არ არის? იგი ისტორიკოსებისა და კრიტიკოსებისაგან მოითხოვს მეცნიერულ ახსნას. თუ ქრონოგრაფებმა და ისტორიკოსებმა, განაგრძობს ნ. ნიკოლაძე, დღემდე ვერ შეძლეს ქართული ხალხის ცხოვრებაში აღოქმინათ ორიგინალობისა და თვითმყოფადობის დამახასიათებელი ნიშნები, რაც ატარებს ქართულური გენიის ორიგინალურ ბეჭედს, ეს იმას როდი ნიშნავს, თითქმის ასეთი ბეჭდის განმისხვავებელი ნიშნები სინამდვილეში არ არსებობდა. მის გარეშე წარმოუდგენელი იყო საქართველოს ეროვნული არსებობა. თვით ამ არსებობის ფაქტი ყველა მოაზროვნისა და ისტორიკოსის თვალში ნიშნავს, რომ ამ ხალხში იყო ისეთი რაღაც ნიშნები და თვისებები, რომლებიც ივერისათვის ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი და დამახასიათებელი I.

ნ. ნიკოლაძის აზრით, ივ. ჯაბადარს არავითარი საბუთი არ მოეპოვებოდა ემტიკებიან „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სპარსულიდან ნასესხობა. საერთოდ, ამ სიუჟეტის ორიგინალობისა თუ სესხების საკითხს იგი ღიად ტოვებს და ზის გარშემო სერიოზულ მსჯელობას დროის დაყარვად მიიჩნევს. მაგრამ იგი დას-

ძენს: რომც დაუშვათ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სესხება სპარსულიდან, ამით ამ ნაწარმოებს არაფერი არ მოაკლდება და თავისი გენიალობა არ დაეკარგება. „ვეფხისტყაოსანში“ დიდი ხანია მოიპოვა მკვიდრი ადგილი ქართველთა შეგნებაში. იგი ამჟამად წარმოადგენს ქართველი ხალხის უსაუვარლეს წიგნს, მასში სრულყოფილად განხორციელებულია ამ ხალხის პოეტური აღმაფრენა, ამ წიგნის მიხედვით მსჯელობენ ჩვენს ხალხზე, მის მორალზე, კულტურის დონეზე და ა. შ. (ხაზი ჩვენია — ვ. დ.). მოაქვს რა სათანადო ისტორიული შედარებები ინგლისიდან, გერმანიიდან და საფრანგეთიდან, ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ ამ ქვეყნების დიდებულმა მწერლებმა შექსპირმა, გოეთემ და ჰიუგომ თავიანთი რომანების, პოემების და ტრაგედიების სიუჟეტები, ფაბულა არსებული ხალხური გადმოცემებიდან ან სხვა ავტორებიდან ისესხეს. მაგრამ, მუხუხდავად ამისა, მათ ბოლომდე შერჩათ ორიგინალობა, თვითმყოფადობა და სიდიადე. გოეთე და შექსპირი იყვნენ და მარადეამს დარჩებიან დიადები და გენიოსები როგორც თავიანთი ხალხებისათვის, ისე მთელი კაცობრიობისათვის I.

ივ. ჯაბადარს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ანაორიგინალობისა და მასზე სპარსული გავლენის ხაზგასმით ცდილობდა დემტიკებიანის „ქეშმარიტება“, რომ რუსთაველის ეპოქის საქართველო სპარსეთის კულტურული გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ნ. ნიკოლაძე საყვებით სამართლიანად უკუაგდებს ამ მავნე და ისტორიული ქეშმარიტების აბუჩად აგდებ შეხედულებას, დასიცნის მისი ავტორის „ორიგინალობას“ და ივ. ჯაბადარის საპასუხოდ გამოთქვამს შემდეგ გონებამახვილურ, თანაც ღრმავაზროვნე შეხედულებას: ყოველ ერში არის გარკვეული პარალელები და დამთხვევები, რომლებიც მცირე ერშიაც მოიპოვება, მაგრამ ეს როდი ნიშნავს გავლენასა და გადმოღებას. მე შემიძლია ასევე რიგად აღმოვაჩინო, თუ დავამახინჯებ ფაქტებს და აკვირებულ აზრს დავეყრდნობი, ჩინეთის, არაბეთის და სხვა რომელიმე ქვეყნის გავლენა საქართველოზე, საქართველოს პირველ გავლენა მუხობელ ქვეყნებზე და ა. შ. II

ივ. ჯაბადარს იმდენად შორს წავიდა საერთო ქვეყნის წარსულის მიმართ ნიპილიზმში, რომ ყველაფერი, რაც ძველ საქართველოში, კერძოდ, ე. წ. „ოქროს საუკუნეში“ კულტურის სფეროში ეტელებოდა, სპარსული კულტუ-

¹ Н. Николадзе. «Византийские споры», «Новое обозрение» 1889, № 2022.

² Н. Николадзе, «На праздники», «Новое обозрение», 1889, № 2046.

¹ Н. Николадзе, «Византийские споры», «Новое обозрение» 1889, № 2022.

რის „ცხოველყოფილი“ გავლენის შედეგად გაასალა, თანაც უარყო ყოველგვარი ეროვნული საამშენებლო ხელოვნების არსებობის ფაქტი იმდროინდელ საქართველოში.

იე. ჯაბადარი არ სჯერდება საქართველოს ისტორიის ხაზგასმულ უხეშ ფალსიფიკაციას. იგი ცდილობს მორიგი „ლაშქრონა“ მოახდინოს და საქართველოში სპარსული კულტურის გავრცელებას თავისი მიზეზები მოუწახოს. როგორც მოხდა, სეამს კითხვას იგი, რომ ქართველი ხალხი საუკუნეთა განმავლობაში სამეცდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდა იმ ხალხის წინააღმდეგ, რომლის კულტურა შეითვისა მანო? ამ ფაქტს იგი ომის მაცვილითებული გავლენით ხსნის. მისი თქმით, ქართველები ებრძოდნენ რა სპარსელებს საკუთარი ტომური „მესათვის“, ამ ბრძოლის პროცესში თანდათანობით დაავადდნენ სპარსული კულტურით.

ნ. ნიკოლაძე კონკრეტული ისტორიული ფაქტების მოშველიებით ნათელყოფს იე. ჯაბადარის ამ „ფილოსოფიის“ სრულ უაზრობას და ემწიფობას. მისი მართებული თქმით ომის ცივილიზატორული მისიის შესახებ „...ჯაბადარის მოტანილი მოსაზრება ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებს. თუ ომებს, წერს იგი, მართლა ცივილიზატორული გავლენა აქვთ ხალხებზე, მაშინ საქართველო უფრო მეტხანს არაბებთან ეწეოდა ომს და პირველ რიგში მისი კულტურით უნდა დაავადებულიყო იგი, ან სპარსელებთან გათქვეფილიყო, რაკი მათი კულტურა გადმოიღო და თავისი არ გაჩანდა I.

სულ სხვა საკითხია, თუ რამდენად სწორია ისტორიულად ნ. ნიკოლაძის შეხედულება, თითქოს, ქართველი ხალხი მომხდურ მოძალადეთა შორის ყველაზე მეტ ხანს არაბებს ეომებოდა. სელჯუკიანი თურქები, თურქ-ოსმალები, მონღოლები ან ბიზანტიელები, სინამდვილეში სხვადასხვა ისტორიულ მონაკვეთში ნაყლები გაფთხებით როდი იბრძოდნენ საქართველოს დასაპყრობად, ვიდრე სპარსელები ან არაბები. მაგრამ ნ. ნიკოლაძეს, ცხადია, სრული უფლება ჰქონდა ეთქვა: „ბატონო ჯაბადარი! რატომ მაინცა და მაინც სპარსელთა კულტურულ გავლენას დამოწმობა ქართველი ხალხი, რა დააშავეს არაბებმა, ბიზანტიელებმა ან სხვა მოძალადეებმა, რომელთაც ნაყლები კულტურა როდი ჰქონდათ“².

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით ერთი ხალხის მალე კულტურის გავლენა მეორეზე გამოვლინდება არა ლექსებში, არამედ ხალხის ცხოვრებაში, მისი ოჯახის წყობაში, მის ეკონომიურ ურთიერთობაში, მის შეხედულებებში

ბუნებაზე და სხვ. ამ თვალსაზრისით განიხილავს იგი საქართველოში სპარსული კულტურის გავრცელების საკითხს და ვერსად ვერ ხედავს სათანადო ნიშნებს ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ქართველი ხალხის რელიგია, დღათი, ოჯახი, წესი, პოლიტიკურ-ეკონომიური ურთიერთობანი, ეთიკური ნორმები, მსოფლმხედველობა და სხვ. უცვლელი დარჩა. საქართველოს სახალხო და სახელმწიფო ცხოვრების არც ერთი მხარე არ მოქცეულა — სპარსული „კულტურის“ გავლენის ქვეშ. ამიტომ „თეორიას“ სპარსული კულტურისადმი მონური მოცილებულების შესახებ შუასაუკუნეების საქართველოში — ნ. ნიკოლაძე სრულ უაზრობად მიიჩნევს.

არ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ ნ. ნიკოლაძის ამ დასკვნას. მართლაც, ქართველ ხალხს თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე მართო სპარსელებთან როდი უხდებოდა ბრძოლა, საუკუნეთა განმავლობაში იგი ასეთივე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას არსებობისათვის ეწეოდა ბიზანტიასთან, არაბებთან, სელჯუკიან თურქებთან, მონღოლებთან და თურქ-ოსმალებთან. მართალია, მათმა დაპყრობებმა და დროგამოშვებითმა თარეშმა გარკვეული დიდი დანაზნა სპაქართველოს და მის მოსახლეობას (რის შესახებაც შემდეგ იქნება ლაპარაკი), მაგრამ ქართველი ხალხი როდი მოქცეულა მათი კულტურის, მათი ყოფის გავლენის ქვეშ, როდი გათქვეფილა მათში. ისტორიამ იცის ბევრი მაგალითი, როდესაც ოდესღაც ძლიერმა სახელმწიფოებრივმა წარმონაქმნებმა და ხალხებმა ვეღარ გაუძლეს ისტორიის სრბოლას, ვერ შეძლეს ვარეშე მტრებისაგან თავის დაცვა და უკვალოდ აღიგვენ პირისაგან მიწისა. ქართველი ხალხი ამ მხრივ ერთ-ერთ ბედნიერ მაგალითს წარმოადგენდა. მთელი მისი არსებობა, უმნიშვნელო ინტერვალების გამოკლებით, ყველა ჯერის დამპყრობთა წინააღმდეგ გმირული ბრძოლების ეპოპეს წარმოადგენს, სწორედ იმ თვითყოფადმა ნიშნებმა, რომელიც ოდითგანვე მოკმეული იყო ქართველ ხალხში, მისმა მალაზმა მორალურმა თვისებებმა, საკუთარი სამშობლოს, ყოფის ფორმებისა და კულტურებისადმი უხადო ერთგულებამ და თვალდადებამ საშუალება მისცა მას გაეძლიერათ თავისი ყველა განსაცდელისათვის, მოზღვაგებული მტერი მოეგვრიებინა, დაეცვა ყოველივე ის, რაც ეგზომ ძვირფასი იყო მისთვის და იგი თაობებისათვის ეანდერბა.

ყოველივე ზემოაღნიშნული, რასაკვირველია, ისტორიული ფაქტია, და ჩვენ მის შესახებ ნ. ნიკოლაძეს ვერ შევედევებით. ასევე უნდა გავიზიაროთ მისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ იმ ხალხებისა და სახელმწიფოებისაგან, რომლებიც ლაშობდნენ საქართველოს აკლდებს

¹ Н. Николадзе, «На праздники», газ. «Новое обозрение», 1889, № 2046.

² იქვე.

და დაპყრობას, ქართველი ხალხი ბევრს ვერაფერს კარგს ვერ ისწავლიდა, რადგანაც თავად ჩამორჩენილი და არქაული სოციალური წყობის მქონენი იყვნენ. მაგრამ ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ დასკვნებს, რომლებსაც ჩვენი სახელგანთქმული მოღვაწე აკეთებს ზემოაღნიშნულის საფუძველზე. პირველ ყოვლისა, იგი, ჩვენი აზრით, ზოგადად უდგება საკითხს, როცა ერთ სიბრტყეზე აყენებს ყველა მომხდურსა და დამპყრობის მოწოდებებიდან და ლეკებიდან დაწყებული, სპარსელებით გათავებული, ვერ ხედავს მათ შორის არსებულ განსხვავებას ყოფისა და კულტურის დონის მიხედვით და ყველას თანაბრად ჩამორჩენილად მიიჩნევს. მეორეც, იგი აშკარად გადაჭარბებით მუქ საღებავებს მიმართავს მათი ჩამორჩენის აღსანიშნავად. „ჩვენი მტრები ყველანი იმნაირივე ევლური და აღამის წლის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, როგორც თეთონ ჩვენ, — წერს და განაგრძობს: — იმათაც ცხოვრების მეცნიერებით, ხელმძღვანელთა მართვით მამაპური ჩვეულება და აზრები ჰქონდათ, იმათაც ჩვენსავით თავიანთი საზოგადო განწყობილება ღმრის განგებისაგან დაწყებულია მიჩნდიან“¹.

სინამდვილეში აღამის წლის მდგომარეობაში არც ქართველი ხალხი არ ყფილა იმ პერიოდში, რომელიც ნ. ნიკოლაძეს აქვს ნაგულისხმევი, და არც მისი მეზობელი მტრები. ამ ხალხთაგან, ქართველი ხალხის მსგავსად, ზოგიერთები ხან ანტიკურ ეპოქაში, ხანაც ფეოდალიზმის დროს განვითარების საყმაღარო მაღალ დონეს აღწევდნენ. სოციალურ-კულტურული რენესანსი, დაცემა და დაქვეითება მათაც განიცადეს და დროდადრო თვით გახდნენ მათზე უფრო ძლიერი მტრებისა თავდასხმის ობიექტი.

ქართველი ხალხის ჩამორჩენას საზოგადოებრივი მეცნიერების დარგში (რასაც ნ. ნიკოლაძე არც თუ საკვებით დამსახურებულად უსაყვედურებს ქართველ ხალხს, ვინაიდან ეს ჩამორჩენილობა, ეს „უცილობა“ ობიექტური პროცესის ანარეკლი იყო, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებასთან იყო დაკავშირებული) ნ. ნიკოლაძე იმით ხსნის, რომ მას საშუალება და მოცულობა არ ჰქონდა ეფიქრა საკუთარი ცხოვრების უკეთ მოწყობაზე, საკუთარ ცხოვრებას დაკვირვებოდა და უკეთესი გზები მოეძებნა, ვინაიდან იგი მუდამ გარეშე მტრებთან ბრძოლაში იყო ჩაბმული, ბრძოლაში არსებობისათვის, ოჯახისა და თავისუფლებისათვის².

მაგრამ განა მართლ შეგნებასა და სურვილ-

ზე იყო დამოკიდებული ცხოვრების უკეთ მოწყობა, განა მართლ საკუთარ ცხოვრებაზე დაკვირვებით შეეძლო ქართველ ხალხს შეეცალა არსებული მდგომარეობა და ცხოვრების უკეთესი გზები გამოენახა? რასაკვირველია, არა. მატერიალური წარამდგარები საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეული დონის საბით ქართველ ხალხს გარკვეულ ისტორიულ დროულზე საშუალებას არ აძლევდა შეეცალა მიუღებელი წარმოებითი ურთიერთობანი და მსოფთის სასურველი ცხოვრება შეექმნა. ქართველი ხალხის „უცილობა“ საზოგადოებრივი მეცნიერების დარგში მატერიალური ცხოვრების წესის ანარეკლს წარმოადგენდა. ამ ცხოვრების წესის შეცვლა კი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც თვით ნიკოლაძე აღნიშნავს, ბოლო მოუღო ამ ნაყლს და საქართველოშიაც შეიქმნა პირობები საზოგადოებრივი მეცნიერების განვითარებისა.

მაგრამ ნ. ნიკოლაძე აქ არ სვამს წერტილს და ამით არ ამთავრებს ქართველი ხალხის ცხოვრებაზე მომხდური მტრების თავდასხმებით მოხდენილი უარყოფითი გავლენის გაშუქებას. იგი მიუთითებს ახალ ისტორიულ ფაქტებზე და ცდილობს სათანადო ახსნა მოუხსნოს მათ. მაგრამ, გამოთქვამს რა მათ შესახებ თავის მოსაზრებებს, იგი ერთგვარად წინააღმდეგობაში ვარდება და წინათ გამოთქმული შეხედულების საწინააღმდეგო აზრს ავითარებს. „ჩვენს სამშობლოს, — წერს ნ. ნიკოლაძე, — ჯერ ერთი ხალხი, მერე მეორე, მოადგებოდა კარზე, მერე მესამე და სხვ. თითქმის ყველა ჩვენზე ძლიერი. სანამ ერთს გავიცნობდით და მისი აუკარგის შესწავლას მოვახდენდით, ახალი, მასზე ძლიერი მოდიოდა, მერე მესამე და ასე დაუსრულებლად“³.

აღნიშნავს რა ამას, ნ. ნიკოლაძე დასძენს: „უცხოელი დამპყრობლები სტუმრად კი არ მოდიოდნენ საქართველოში, არამედ წასაგლეჯად და ასაოხრებლად. ...თითოეული ეს წვეულება ჩვენი ხალხისათვის აკლბა იყო, თითოეული მათგანი ჯერ თავპირს დაგვიმტრედა, მერე ბატონად გვიჯდებოდა სახლში. მშვირად და ღატაკად გვტოვებდა...“² ამ ხალხებისაგან უმთავრესად მათი ზენ-ჩვეულება რჩებოდა ქართველ ხალხს. ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, ამ მტრებისაგან ქართველებმა მხოლოდ ცუდი რამ მიიღეს და ათთვისეს³.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით ქართველი ხალხი ზოგჯერ უნებლიეთ მაძიავდა მეზობლებსა და მომხდურ მტრებს და მათგან უფრო უარ-

¹ ნ. ნიკოლაძე „ქრებულის“ დანიშნულებაზე, რჩეული ნაწილები. ტ. 11, გვ. 43.

² იქვე.

¹ ნ. ნიკოლაძე, მამულის სიყვარული და მსახურება... გვ. 29.

² იქვე, გვ. 30.

³ იქვე, გვ. 30-31.

ყოფით ჩვეულებებს ითვისებდა. ჩვენ, ამ-
ბობს იგი, მონღოლებსაც ვგაძვირებ, სპარსე-
ლებსაც, თათრებსაც და ლეკებსაც. „ზოგმა
ქუდი დაგვიტოვა, ზოგმა შარვალი, ზოგმა
საზანტი, ზოგმა ორპირობა, ხეირიანი და მავა-
რი ბუნება რომ არ გვექონოდა, ჩვენ სისხლში
რომ ის დაუნდობელი და დაუშრეტელი ძალა არ
მდგარიყო, რომელიც ზოგიერთს რჩეულ ხალხს
უკვდავებას აძლევს, დიდი ხანია საქართველოს
ხსენებაც კი გაკრებოდა. ყველასაგან იმოდენი
ჩირქი გვრგვინა, ყველას ჩვენთვის იმდენი
ტალახი და მტვერი მოუცხია, რომ სხვა, უფრო
სისტი ხალხი, კიდევ დიამხსვრელა აქამდე ამ
ტალახს ქვეშ“¹.

საპრობლემატიკა გააღიანა აღმოსავლეთ საქართვე-
ლოში, ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, მონღოლ-
თა უარყოფითი გავლენაც ემატებოდა. უშუა-
წური სიტყვების ხმარება, გინება და მისთანა-
ნი, გავრცელებული ქართლსა და კახეთში, მონ-
ღოლთაგან იყო დანერგული².

ნ. ნიკოლაძის მოტანილი მსჯელობა მეტა-
ფიზიკურ და იდეალისტურ საწყისებზეა აგე-
ბული. აღმართა ხასიათი, ზნე-ჩვეულებანი,
კულტურული ჩვევები და სულიერი ყოფის
სხვა ფორმები არ შეადგება განხილულ იქნას
აბსტრაქტულად, დროისა და სივრცის გარეშე,
მატერიალური ყოფის პირობებისაგან მოწყვე-
ტილად. საზოგადოებრივ ცხოვრებაში არაფერი
არ არსებობს უცვლელ მდგომარეობაში, ყვე-
ლაფერი იცვლება და ვითარდება. ეს ცვლი-
ლება საწარმოო ძალთა განვითარებასთან, მა-
ტერიალური წარმოების პირობებში მომხდარ
ცვლილებასთან არის დაკავშირებული. ქართვე-
ლი ხალხის სულიერი ცხოვრებაც, მისი ხასი-
ათი სახეს იცვლიდა ზემოაღნიშნულ ფაქტორ-
თა შედეგად. უცხოურ გავლენას, რასაკვირ-
ველია, ადგილი ჰქონდა, მან ერთგვარი როლი
შეასრულა ზოგიერთი ახალი თვისების შექმნა-
ში. მაგრამ ეს გავლენა არასოდეს, არც ერთ
ისტორიულ ეტაპზე არ ყოფილა ისე ძლიერი
და ყოვლისმომცველი, როგორც ეს ჩვენს მოლ-
დაწეს წარმოდგენია. არ შეიძლება ისტორიულ
სინამდვილეს შევფარდებითი აზრი იმის შესა-
ხებ, რომ კარგი თვისებები და ხასიათი ქეთ-
ველ ხალხს, თითქმის, ოდითგანვე ჰქონდა თან-
დაყოლილი, ცუდი და მიუღებელი ჩვევები კი
მან შეითვისა მიმამკველობით მონღოლ, სპარ-
სელ ან თურქ ან დაპყრობელთაგან. ესეც არ
იყოს, ქართველ ხალხს საკუთარი ხასიათი და
თვისებები რომ დაეკარგა (აქსესუარები კი

მხედველობაში მისაღები არ არის) და სპარსე-
ლების ან მონღოლების ცუდი თვისებები შეეთ-
ვისებინა, მაშინ მას უნდა დაეკარგა საკუთარი
„მე“, ეროვნული სახე და თვითშეფიქრადი ყო-
ფის შენარჩუნებისათვის გვირგვინი ბრძოლის
უნარი. ეს კი, როგორც აჩვენებელი აღნიშნავს
თვით ნ. ნიკოლაძე, არ მომხდარა. თავისუფლე-
ბისათვის ბრძოლის დაუშრეტელმა ძალამ,
ეროვნული პატრიოტიზმის მაღალმა მორა-
ლურმა თვისებებმა, საკუთარი კულტურისა-
დმი უანგარო სიყვარულმა და არა „ზოგიერთი
რჩეული ხალხისათვის დამახასიათებელმა უკ-
დავებამ“, როგორც ფიქრობს ნ. ნიკოლაძე,
მისცა საშუალება ქართველ ხალხს ყველა სამ-
კედრო-სამსოციალურ განსაცდელისათვის გაე-
ძლია და თავისი არსებობა შეენარჩუნებინა.

თავის სტატიაში „მამულის სიყვარული და
მსახურება“ ნ. ნიკოლაძე საინტერესო მოსაზ-
რებას გამოთქვამს საქართველოს დაცემა-და-
ნინების შესახებ წარსულში (უამრავ გარეშე
მტერთან განუწყვეტელი ბრძოლის შედეგად).

იგი უარყოფს გავრცელებულ შეხედულებას
(რომელსაც, მისი თქმით, ცრუპატრიოტები
ე. წ. მკევე პატრიოტებში“ აქვს გასავალი)
იმის შესახებ, რომ საქართველოს დაცემაში
მთავარი როლი მისმა სიმატარავემ და მისი
მოსახლეობის მცირერიცხოვნებამ ითამაშა.
ასეთი შეხედულება, მისი აზრით, კრიტიკას
ვერ უძლებს და ისტორიულ სინამდვილეს არ
ასახავს. სპარსეთი დიდი სახელმწიფო იყო,
აღნიშნავს იგი, ძლიერები იყვნენ მურვანყრუ,
ჩინგისყენი და თემურ-ლენგი, მათ არაერთ-
ხელ ააოხრეს და ააწიოყეს საქართველო, მაგ-
რამ ვერ მოსპეს იგი, ვერ წაშალეს მისი გან-
ვითარებული თვითარსებობა, მისი თვისებ-
ობა.

რა იყო საქართველოს წინააღმდეგობისა და
უძლეველობის გასაღები, რაში მდგომარეობდა
ქართველი ხალხის ფეიქსტერ განახლების საი-
ღუმელობა, რატომ ვერ აღგვეს მოზღვავე-
ბულმა ძლიერმა მტრებმა საქართველო პირი-
საგან მიწის? ამზე ნ. ნიკოლაძე შემდეგ
პასუხს იძლევა: ბატარა საქართველო მტერს
უძლებდა და დალილობას არ გრძნობდა იმი-
ტომ, რომ საბრძოლო იარაღი მტრებსაც და
ჩვენ ერთნაირი გვექონდა, მაგრამ ჩვენს მხარეზე
იყო ერთი დიდი უპირატესობა, რომელიც
მტრებს არ გააჩნდათ. ეს უპირატესობა, მისი
თქმით, მაღალ მორალურ თვისებებში, საკუ-
თარი სამშობლოს თავდაცვის წინადა მზანში
მდგომარეობდა. ქართველი ხალხი იბრძოდა
საკუთარი მამულისათვის, საკუთრებულებისათ-
ვის, კერებისათვის, სახლკარისათვის, ცოლ-
შვილისათვის და არა სხვების ასაკლებად.
ერთი სიტყვით, სამშობლოს სიყვარული, მის-
თვის თავდადება ისეთი გრძნობა იყო, რომე-

¹ ნ. ნიკოლაძე, მამულის სიყვარული და
მსახურება... გვ. 31.

² ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე) ფიქრი ლისის
მთაზე (ფანტაზიური მოგზაურობიდან), ჟურნალი
„კრებულ“, 1871 წ., № 4, გვ. 83.

ლიც მტერზე გამარჯვებას განაპირობებდა. ამის შედეგად იყო, რომ ერთი ქართველი ხშირად ას მომხდურ მტერს არ უშინდებოდა, მელდრად შეებმებოდა მას და ამარცხებდაო.

ნ. ნიკოლაძის ეს შეხედულება, მის მიერ არაერთხელ გამოთქმული, მეტად ყურადსაღები და ანგარიშსასაყვია. ქართველი ხალხის თავდაცვითი ბრძოლების სამართლიანმა ხასიათმა, სამშობლოსადმი უზალო სიყვარულმა და მისთვის თავდადებას გადაარჩინა საქართველო იმ ხვედრს, რომელიც ბევრმა სხვა ხალხმა განიცადა ისტორიაში. საქართველოს ისტორიის ანალები აღსაკსნავი ქართველი ხალხის საუკეთესო შვილთა თავდადებისა და გმირობის შესანიშნავი მაგალითები.

მაგრამ ნ. ნიკოლაძე ზემო აღნიშნულზე არ სემას წერტილს. მისი შეხედულებით ბოლომდე არ გაგრძელებულა ეს ვითარება. ის დიდი უპირატესობა, რომელიც ქართველ ხალხს ჰქონდა მტრებთან ბრძოლაში, განვითარების გარკვეულ საფეხურზე წაიშალა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ საქართველო განვითარების გარკვეულ დონეზე ერთ საფეხურზე შეჩერდა, მისი იარაღი, თავდაცვის ტექნიკა და ეკონომიური წყობა არ განვითარებულა და არ გაძლიერებულა, იმ დროს, როცა მტრები წინ წავიდნენ და ყოველმხრივ წინ გაუსწრეს მას¹.

„რაც მტრის რიცხვს ჩვენთვის ოცი საუკუნის განმავლობაში ვერ დაეკლო,—წერს იგი,— ის ოცი წლის განმავლობაში მტრის დაწინაურებას წაგვართვა: მაშინ უცხოეთის წინ დიდი ჩოქა ჩვენმა გონებამ, რაცა ცნო, რომ უცხოეთი ჩვენზე უფრო ოსტატი, უფრო მეცნიერი, უფრო გონიერი ყოფილა...“² მტერს კი არ დაუმარცხებია საქართველო ნ. ნიკოლაძის თქმით, იგი დასცა საკუთარი ძალის რწმენის ხელიდან გამოცლამ, მტრის უპირატესობის გრძნობის ტენიში ჩაწვეთებამ, პანიკამ.

საქართველოს დაცემისა და უკანდახევის ტერმინს ნ. ნიკოლაძე მხოლოდ პირობითად ხმარობს და უხედელობაში აქვს მისი არა საერთოდ ჩამორჩენა, არამედ მეზობელ სახელმწიფოებთან შედარებით. ჩვენის აზრით, იგი სავ-

სებით მართებულად ფიქრობს, რომ თვით ასეთი საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში მაინც ბევრით წინ იყო წასული მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნის საქართველოსთან შედარებით. მოსახლეობის რაოდენობით, ეროვნული სიმდიდრის რაოდენობით, ეკონომიური და კულტურული მაჩვენებლებით. მაგრამ ნ. ნიკოლაძის შეხედულებით ჩვენ გავმაგრდით მხოლოდ ათჯერ, მაშინ როდესაც ჩვენი მეზობლები დაწინაურდნენ ათათასჯერ და ასი ათასჯერ წარსულთან შედარებით. და საბოლოო ჯამში მაინც დაზარალებული გამოვედით მათთან შედარებით¹.

სინანულს გამოთქვამს რა „ახალი“ საქართველოს აღნიშნული ჩამორჩენა-დაცინების გამო, ნ. ნიკოლაძე ამავე დროს მკვეთრად ასხევეებს მას ძველი საქართველოსაგან და ნათლად ხელაქს იმ დიდ გზას, რომელიც ქართველმა ხალხმა განკუთვნილ შორეულ წარსულთან შედარებით. იგი არ ახდენს წარსულის იდეალიზაციას და უკან დაბრუნებაზე არ ოცნებობს. თავისი მრწამსი ამ მხრივ ნ. ნიკოლაძემ შემდეგ ფორმებში ჩამოაყალიბა: „...უმეტესობის ჩემს დღეში არ ჩავთვლიდი ჩვენის ხალხის იდეალად, არასოდეს არ ვიფიქრებდი და ვიტყვოდი, ნეტავი იმ დროს მოვესწრო, რომ ჩვენს ქვეყანას ფარნავაზ მეფის დროინდელი წესები მიეღო მეთქი...“².

ასეთია მოკლე ნიკო ნიკოლაძის შეხედულებანი საქართველოს ისტორიული წარსულის ზოგიერთი საკითხის შესახებ, რაც ცალკეული ფრაგმენტების სახით არის წარმოდგენილი მის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

აღნიშნული საკითხების გაშუქების დროს ნ. ნიკოლაძემ აღლოთი განავითარა ზოგიერთი მატერიალისტური აზრი და გონებაშახეილურად მოიმარჯვა დიალექტიკური მეთოდი. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც, ისე როგორც საერთოდ, იგი არსებითად დარჩა ისტორიული იდეალიზმის პლატფორმაზე და თავი ვერ დააღწია მეთოდური მანიერებიდან გამომდინარე ცალკეულ ხარვეზებსა და წინააღმდეგობებს.

¹ ნ. ნიკოლაძე, მამულის სიყვარული და მსახურება... გვ. 77.

² იქვე.

¹ ნ. ნიკოლაძე, მამულის სიყვარული და მსახურება... გვ. 79-80.

² იქვე, გვ. 50.



დიდა თაბუაშვილი

ნათელა იანჭოშვილი

„... შენ — სილამაზის ნაზო გრიგალო, შენგან აროდეს მომესვენება“.
გიორგი ლეონიძის ლექსის ეს სტრიქონები აღდგა ჩვენს მეხსიერებაში. როცა ქართული ქალის მშვენიერ პორტრეტს ვუცქეროდით ამ ზაფხულს თბილისის სურათების გალერეაში გამართულ გამოფენაზე.

„ნინო ჭავჭავაძე“ — ეწერა სურათს. და რომც არ ამოგვეკითხა ქალის ვინაობა, მის მშვენიერ ნაწევლიან თვალებში, მთელ მის მომხიბლავ იერსა და კლემამოსილებით აღსავსე მოძრაობაში მაინც შევიცნობდით დიდ სულს, შევიცნობდით ავტორს გულწრფელი სტრიქონებისა, რომლებიც წარწერილია გრიბოდოვის საფლავზე.

როგორც პოეტის სტროფებში, ტილოზე ფუნჯით გამოკვეთილი, შემოქმედის სულში ჩაძირული ხატება თითქმის ხილული ხორცშესხმისავენ ისწრაფოდ...

ეს სახე პირველად როდი აწვალებდა მხატვარს, პირველად როდი შთააგონებდა. ტილოზე თუ ქაღალდზე, ზეთისა და გუაშის საღებავებით მან მრავალჯერ აღბეჭდა სახე საქართველოს სათნო ასულისა.

მაგრამ ეს უკანასკნელი ტილო მაინც ყველაზე ღრმა შთაგონების ნაყოფია, დიდი და გატაცებული მუშაობის შედეგი. აქ მხატვარს თითქმის მთლიანად დაემორჩილა ფუნჯიცა და ფერიც, ყველაფერი იქითვე წარიმართა — ხელშესახებად ცოცხალი და ამავე დროს როგორღაც ზემოწერილად მომავლობებული წარმომდგარყო ნინო ჭავჭავაძე ჩვენს წინაშე, დაგვენახა მთელი ინდივიდუალური კონკრეტულობით და ამავე დროს იმ ზოგად-ტიპურ ნიშნებით, რომელიც მის სახეს ჩვენს ცნობიერებაში ქართველ ქალში ყველაზე საუკეთესოსთან აკავშირებს.

ნათელა იანჭოშვილის ნაწარმოებთა პერსონალურ გამოფენაზე, რომელიც ივლისის ბოლოს გაიხსნა თბილისის სურათების გალერეა-

ში, „ნინო ჭავჭავაძის პორტრეტი“ თითქმის ერთნაირად ამაღლდებელი აღმოჩნდა ყველასათვის. მაყურებელი მოხიბლა ნაწარმოების არა მარტო ღრმა სიმართლემ, აღამიანის სულის ჩვენების მხატვრის დიდმა უნარმა, არამედ ფერმწერის ცხოველმყოფელმა ტემპერამენტმა, ფერების იშვიათმა ძალამ, ელერაობამ და სილამაზემ. ამ პორტრეტში თითქმის თავი მოიყარა მხატვრის ყველა საუკეთესო მიზანწრაფვამ, მისი მხატვრული „მეს“ პრინციპებმა, მომწოდებელი ოსტატობის თავისებურებებმა.

დაუღალავი და მიზანდასახული ძიებების ნაყოფიერებაზე მეტყველებენ საერთოდ მხატვრის ბოლოდროინდელი ნაწარმოებები. შემოქმედის მკაფიო მხატვრული აზროვნება და პროფესიული კელტურა, მის მიერ ფერწერის ხელოვნების საიდუმლოებათა თავისებური ამოხსნა, შესრულების ტექნიკის სრულყოფისაკენ სწრაფვა — განსაკუთრებით თვალნათლივ ცხადყო გამოფენაზე წარმოდგენილმა რამდენიმე მაღალმხატვრულმა ფერწერულმა პორტრეტმა, დაზგურმა გრაფიკულმა ფურცელმა და წიგნის მხატვრულმა გაფორმებამ.

ამ ნაწარმოებთაგან ზოგიერთი, რასაკვირველია, უკვე ნაცნობი იყო ფართო საზოგადოებისათვის, ისევე როგორც ნაცნობი იყო საერთოდ ნ. იანჭოშვილის მრავალფეროვანი შემოქმედება, მისი სტილი, მისი მხატვრული ინტერესები; მაგრამ ერთად თავმოყრილმა ამ ნამუშევრებმა, რომელთა შორის უმრავლესობა სრულიად ახალი და უცნობი აღმოჩნდა, სისრულით დაგვიხატა მხატვრის შემოქმედებითი სახე, მისი დიდი შესაძლებლობანი, პროფესიული ზრდა და დახელოვნება.

ნ. იანჭოშვილის სახელი ომისშემდგომ წლებში გამოჩნდა სამხატვრო გამოფენებზე. ინდივიდუალური ზელწერით გამოირჩეოდა მუდამ მისი ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევრები. პორტრეტმა კი მის შემოქმედებაში იმთა-

ვითვე განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა: ადამიანის გარეგნული და სულიერი თავისებურებების ფერწერის გამომსახველი ერთი ჩვენება მხატვრის ერთერთ ძირითად მიზანსწრაფვად იქცა ჯერ კიდევ თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლის პერიოდში.

გამოყვანილ ჯარბოდგენილი სხვადასხვა პერიოდის ნამუშევრები, დაწყებული სულ პირველი სურათებიდან უახლეს ნაწარმოებებამდე, მტკიცე და თანხმდევრული, მღელვარე და გატაცებული მხატვრული ძიებების კვალს ატარებენ. ამ ძიებებში არის მარცხი და კარგი მიგნებებიც, არის მცდარი გზისკენ გადახვევებიც და ოსტატობის სულ ახალი და ახალი სიმღლეების დაპყრობაც, და, რაც მთავარია, მათში არის დაუცხოოელი სწრაფვა საკუთარის პოვნისაკენ, პლასტიკური ენის სიბაზისა და გამომსახველობისკენ.

„მხატვრული ნაწარმოები არ იქნება ის, რაშიც არაფერი ახალი არ იხსნებაო“ — ამბობდა ლევ ტოლსტოი და სწორედ ამ სიხალთით, ორიგინალურობით მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება ნათელა იანჭოშვილის შემოქმედებამ.

მხატვრის ზელოვნების ძალა ძირითადად მის ნაწარმოებთა კოლორისტულ, ფერწერულ-პლასტიკურ მეტყველებაშია (რაც სხვათაშორის არანაკლებ ახასიათებს მის გრაფიკასაც). ეს განსაზღვრა, ცხადია, ძალზე ზოგადია და ის შეიძლება მიუყუენოთ რამდენსაც გნებავთ მხატვარს. მაგრამ ამ ძირითადი მიზეზი თავმოყრილი უშუალოდ მხატვრის შინაგანი ბუნებიდან მომდინარე ის თავისებურებანია, რომლებიც განაპირობებენ ნაწარმოებთა ორიგინალურ ფორმას, ცხადყოფენ შემოქმედის ტენდენციებს, მის გემოვნებას, ტექნიკური ოსტატობის მხარეებს.

ამიტომაც არის ერთიანი სტილიზტიკური ნიშნებით აღბეჭდილი მისი ნამუშევრები. შესაძლოა ამიტომაც არის, რომ მხატვარი აქა-იქ იმეორებს კიდევ ერთხელ კარგად მიგნებულ მხატვრულ გადაწყვეტას, თუმცა სინამდვილის მრავალფეროვნების შესაბამისად ამოცანათა სხვადასხვაგვარი, მრავალფეროვანი გადაჭრისაკენ სწრაფვა ძირითად ტენდენციად რჩება მის შემოქმედებაში.

კონტრასტები — მუქისა და ნათელის, კონტრასტები — ფერადოვნის, ფერთა ელერის ძალა და მათი გაბედული დაპირისპირება, ლაკონიზმი როგორც საერთო კომპოზიციის გადაწყვეტაში, ისე ფერადოვან ლაქათა შეხამებაში და, რაც მთავარია, ფართო ხედვა — იანჭოშვილის ტილოვანი ერთბაშად და შთამბეჭდავად აღსაქმელს ხდის.

სწორედ ეს ფართო ხედვა, დეტალიზაციისა და ფერის დაქუქმაციების უპაყოფა განაპირობებს უპირველეს ყოვლისა მისი ნაწარმოებების ლაკონურ გამომსახველობას. ეს უთუოდ განა-

პირობებს მისი წერის მანერასაც — ასევე ფართოსა და ცხოველყოფილს. და სწორედ აქ არის საჭირო დიდი ტაქტი, გემოვნება, პროფესიული გაწაფულობა, რათა არ გადავარდეთ სქემაში, ფუყე დეკორატიულობაში, რათა არ დაიარღვეს მხატვრული სიმაართლე.

რასაკვირველია, იანჭოშვილის შემოქმედებაში ვხვდებით ნამუშევრებსაც, რომლებშიც მხატვარი ყოველთვის ვერ აღწევს სასურველ შედეგს, მას ზოგჯერ ლაღატობს ზომიერების გრძნობა, ზედმეტად იტაცებს ესა თუ ის ფერწერული ხერხი თავისთავად, მაგრამ ის ნაწარმოებები, რომლებიც ღრმა ნაზრევს წარმოადგენენ და რომლებშიც იგი უპირველეს ყოვლისა შინაარსის ემოციურად გახსნის მტკიცე ამოცანას ისახავს, ცნობილი ქართველი მხატვრის სერგო ქობულაძის სამართლანი შეფასებისა არ იყოს, თანამედროვე რეალისტური ფერწერის შესანიშნავი ქმნილებებია.

ასეთია „მამის პორტრეტი“, „ნინო ჭავჭავაძე“, „რამა ჩოფიკაშვილი“, „ნუნუ გელდიაშვილი“, „შავი პალიტრა“, „ლია ავაჯინოვის პორტრეტი“, „ნუკრია“, „ქალი კალათით“, „ჩაის მკრეფავი გოგონა“, „ლილი ძალით“, „ფიქრია ღონღაძის პორტრეტი“ და სხვ.

საერთო კოლორისტის მხრივ რა თავშეკავებულია არის გადაწყვეტილი „მამის პორტრეტი“. მოოქროსფრო შუქით განათებული სახის გარდა აქ ყველაფერი ერთ ძირითად ტონში — კეთილშობილ მომწვანო ტონშია გამოლიანებული. ფონი, ტანსაცმელი, ქუდი ამ ტონის მუქი და ნათელი ვარიაციებითაა დაწერილი, ხოლო ადგილებში ნახშირი შავი კვლეა ხაზს უსვამს ამ ფერის სიღაბაზეს. სურათის მშვენიერ და მკაცრი გამა კარგად ეხამება ხანშიშესული, კეთილშობილური გარეგნობის მამაკაცის სახეს. მისი უბრალო და საოცრად ბუნებრივი პოზა, ცოცხალი გამომეტყველება, სახსიათო ნაკეთობი, რომელიც მხატვარს ძუნწი, ლაკონური შტრიხებით აქვს გაღმოცემული ზედმეტი დეტალიზების გარეშე, უაღრესად კონკრეტულ და მართოდ სახეს იძლევა. „მამის პორტრეტი“ იმის ნათელი ნიმუშია, თუ მინიმალური, ერთი შეხედვით ძალზე ძუნწი საშუალებებითა და სადა ხერხებით როგორ აღწევს მხატვარი ამოცანის მაღალმხატვრულად და დიდი გემოვნებით გადაჭრას. არ შეიძლება არ მოგხიბლოთ წერის ფართო, გაბედული და თავისუფალი მანერა, პასტოზუზმა და ტემპერამენტულმა მონასმებმა, რომლებიც მკაფიოდ ძერწავენ ფორმებს, მახვილად გაღმოცემენ მის ხასიათს.

ფერადოვანი გამის ემოციურობა უთუოდ დიდად განსაზღვრავს „ნინო ჭავჭავაძის“ პორტრეტის პოეტურ-რომანტიკულ გამომსახველობას აქაც სამი ძირითადი ტონია გამოყენებული, მაგრამ ფერთა მდიდრული ელერადობაა მიღწეული. ღრმა შავისა და



მომწევანო-მოლურჯო გამჭვირვალე ფერების გარემოცვაში მშვენიერი სითეთრით ელვარებს ასულის სახე და მკერდი. ერთი მხრით შექჩრდილის, მეორე მხრით თვით საღა ფერადოვანი ლაქების მკლერი აკორდი (ზურმუხტოვანი ფონზე ქალის მოსახვევის შავი, ადგილებში გამჭვირვალე ლაქა, შავი კაბა, რომელიც საღა და მუქ სილუეტად გამოყოფს ქალის სხიულს ფონიდან) ადვილად და უარესად შთამბეჭდავად წასაკითხს ხდის პორტრეტს, რომელიც თითქმის ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი. აქ უნდა აღინიშნოს ნ. იანქოშვილის ნაწარმოებების კიდევ ერთი ღირსება: ისინი არასოდეს არ არიან გაწვალბულნი, გაომშრალნი, მუდამ გიჟყრობენ თავისი სიხალასით, თავისუფალი შესრულებით, რთული ფორმების უბრალოდ და სიადვილით გადმოცემით. უყურებ, მაგალითად, ხელთათმანში გამოხვეულ ქალის ხელის მტევანს და გიკვირს — რა უბრალოდ, ერთი მოსმითაა გამოძერწილი იგი, მაგრამ როგორი სრული ილუზიაა ცოცხალი ფორმისა. განათების ერთიანი, ნიუანსების გარეშე მოცემული სახის ტონია აღებული ნინო ჭავჭავაძის პორტრეტში, მაგრამ როგორ რელიეფურად იგრძნობა მოცულობა, რა რბილად, შეუმჩნეველად და ორგანულად გადადის ის მუქ, მაგრამ გამჭვირვალე მომწევანო ჩრდილში! ან თუნდაც — დეკორატიული სისადავით მოცემული შავი კაბის მთლიანი ლაქა! მიუხედავად იმისა, რომ მხატვარი სინათლის პატარა წყაროსაც კი არ უშვებს მასზე, არ აჩვენებს კაბის არცერთ ნაოჭს, მაყუდებელი სრულიადაც არ აღიქვამს ამ ლაქას მისი მოცულობითი ფორმის გარეშე და ამავნა მხატვრის ოსტატობაც — შექმნას ამ ფორმის ილუზია ისე, რომ ის სრულიად დამყვემდებარეს მთავარს სურათში. „ნინო ჭავჭავაძისა“ და ბევრი სხვა პორტრეტი ნათლად ლაპარაკობს იმაზე, რომ ნ. იანქოშვილს აქვს ნაწარმოების შინაგანი რიტმის, ხაზობრივი და ფერადოვანი პლასტიკის მახვილი გრძნობა, მთავარზე აქცენტებების უნარი, რაც თავის მხრივ მოწმობს მის მიერ კლასიკური ფერწერის ტრადიციების ნაყოფიერ ათვისებას, გარდატეხილს საკუთარი მხატვრული აზროვნების პრიზმით და ეროვნულ ფორმაში განსხეულებულს.

შავისა და ხავერდოვანი მწვანის მდიდრულ ელვადობაზეა აგებული „ირმა ჩოფიკაშვილის პორტრეტი“. აქაც ქალის მკვეთრად განათებული სახე იპყრობს უპირველეს ყოვლისა მაყურებლის ყურადღებას, მაგრამ სურათი, განსხვავებით ზემოაღნიშნული პორტრეტებისაგან, სოლ სხვაგვარ ემოციებს აღძრავს. მას არ აქვს „მამის პორტრეტის“ სითბო და „ნინო ჭავჭავაძის“ ლირიული სინაზე. ეს სულ სხვა სახეა და მხატვარსაც სხვა პლასტიკური ენა მოუძენია მის დასახსიათებლად. შავი თავსაშუტევით და შავი ტანსაცმლით მოსილი ახალგაზრდა

ქალის ფიგურა სილუეტად გამოიყოფა ასევე მუქ მომწევანო-მოშავო ფონზე. პირდაპირ მზირალი ირიბი ჭრილის დიდრონი თვალები, ამოწეული ყვრიმალეები, მტკიცე ხასიათის მაჩვენებელი ტუჩები მხატვარს საბასიათოს ხაზგასმით აქვს ამოწერილი, რითაც ქმნის მკაფიო ინდივიდუალუზებულ, დასამახსოვრებელ სახეს. საერთო კომპოზიციური და კოლორისტული სიძაქცე და სისადავე დრამატულ ელფერს აძლევს სურათს.

განსხვავებული მიდგომითაა შესრულებული ნ. იანქოშვილის სხვა პორტრეტები. თუ აღნიშნული სურათები, ჩანაფიქრის შესატყვისად, აგებულია ორი-სამი ტონის გააზრებულ შეხამებაზე, მეორე რიგის ნამუშევრებში ფერთა მხიერი პარმონიაა შექმნილი, სუფთა და ელვარე კონტრასტული ფერების პარმონია. სხვადასხვა კამერტონით, სხვადასხვა კოლორისტული გასაღებით, მაგრამ ყოველთვის გამომსახველი პლასტიკური საშუალებებით მხატვარი წყვეტს ამა თუ იმ ამოცანას. დიდი ალღოთი და დაბეჭვილი გემოვნებით, ფერადოვანი კომპოზიციის სათუთი გრძნობითაა აღბეჭდილი „ნუკრია“, „ლია ავაჯანოვას პორტრეტი“, „ლილი ძალით“, „ნუნუ გელდიაშვილი“, „ფიქრია ღონდაძე“, „ბელა მირიანაშვილის პორტრეტი“, „ჩაის მკრეფავი გოგონა“ და ბევრი სხვა. მახვილ პორტრეტულ დახასიათებასთან ერთად ეს ნაწარმოებები გვხიბლავენ შინაგანი რიტმითა და კანონზომიერებით, თვითუღი მოდელისათვის შესატყვისი ფერწერული დახასიათებით, მხატვრული აქცენტების ლოგიკურობით. რა სხვადასხვაგვარად და რა ლამაზად ელერს სურათში „ნუკრია“ საქაშა წითელი ლაქები ღრმა შავისა, ყვითლისა და მწვანე ტონების გვერდით, ან თუნდაც თეთრი სხეულის ფონზე; მწვანე ხელთათმანში გახვეული ხელი — ოქროსფერისა და აღისფერის გარემოცვაში. თითქმის ყოველ დეტალში ისწრაფვის მხატვარი ფერის ემოციური ძალის გამოვლენისაკენ, მაგრამ ამავე დროს არ კარგავს ამ დეტალების მხატვრული ორგანიზების, მხატვრულ მთლიანობაში მათი მოყვანის უნარს. ამასთან ეს არ არის განყენებული ფორმალური ამოცანების გადაჭრის ტენდენციები, არამედ სახის დასახსიათებლად გამოხსული ფერწერული ხერხებია. მაგალითად, მწვანის, წითლის, შავისა და თეთრის თამაში შესანიშნავად ეხამება ახალგაზრდა ქალიშვილის, შავთვალეა და შავთმიანი „ნუკრიას“ ცოცხალ სახეს.

ნ. იანქოშვილის პორტრეტულ ხელოვნებაზე, მის მიერ ყოველი ცალკეული ამოცანისადმი მიდგომისა და გადაჭარზე ძალზე ბევრი შეიძლება ითქვას, მაგრამ მის შემოქმედებაში მანინტ არსებობია ის, რომ, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, მხატვარი არსად არ არის გულგრილი, დაუტყობლად ეძებს სახვით საშუალებებს, გა-

ბედულად მიმართავს პირობით ხერხებს და მხატვრულ აზროვნებაში გარდატეხილი საკმაოდ უჩვეულოც კი დამაჯერებელი ხდება.

მრავალფეროვანია ნ. იანჭოშვილის პორტრეტების გმირთა გალერეა. ესენი ძირითადად მისი თანამედროვე ადამიანები არიან, უბრალო ადამიანები, რომლებშიც მხატვარს დაუნახავს რაღაც საინტერესო — გარეგნობაში თუ სულიერ სამყაროში. მის ტილოებზე ვხედავთ ხელოვნების დარგის მოღვაწეებს, მეშახტეებს, კოლმეურნეებს, მოსწავლეებს, ბავშვებს, მომხიზლავ ქართველ გოგონებს.

ფერწერული სიციხვით მერყევენ ნ. იანჭოშვილის გრაფიკაც, დაზგური ფურცლები, რომლებშიც მხატვარი ეროვნული კოლორიტით აღბეჭდავს ქართველი ხალხის წარსულს თუ თანამედროვე ყოფის სურათებს, პორტრეტებს, ენარულ-პოეტურ მოტივებს. ეს ფურცლებიც კონტრასტებზეა აგებული, შუქისა და ჩრდილის, მუქისა და ნათელის მკაფიო და ცხოველხატულ კონტრასტებზე. შტრიხები და მონასმები ხან გრაფიკული სიმკვეთრით ძერწავენ ფორმას, („მეშახტეთა ბრიგადა“, „დანტე“, „ვეშაბი“, „პაოლო იაშვილის პორტრეტი“), ხან რბილი ჰაეროვანი გადასვლებით ამოწერენ („სვენები“, „განშორების წუთები“, „თეატრალური

მოტივი“, „სიჭაბუკე“ და სხვ.). მხატვრის საყვარელი მასალაა ტუში და გუაში, რომელიც მას მრავალფეროვანი ფაქტურის შექმნის შესაძლებლობას აძლევს. ფერადი გუაშით შესრულებულ ნამუშევრებში ნ. იანჭოშვილი კვლავ გვევლინება, როგორც ფაქიზი კოლორისტი, პოეტურად მოაზროვნე მხატვარი.

ძალზე სახვნად აქვს გადაწყვეტილი მხატვარს ნაწარმოებები წიგნის გრაფიკაში — გარეკანისა და სუპერის ყდები. მათ შორის აღსანიშნავია სუპერი ლაღო ავალიანის წიგნისათვის „ახალი პორიზონტი“, რომელსაც სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს საგეოგრაფიკო დიპლომი მიენიჭა, ყდა და სუპერი „ესპანური ნოველებისათვის“, სუპერები ანდრო ლომიძის წიგნისთვის „ზღვასა და ხმელეთზე“ და ხუტა ბერულავას წიგნისათვის „ჩინეთის მზე“, ემილ ზოლას რომანის „ნანას“ ყდა და სხვ.

ნათელა იანჭოშვილის უშრეტი შემოქმედებითი ენერგია, შეუწელებელი სწრაფვა ფერწერის ხელოვნების ახალი სიმაღლეების დაპყრობისაკენ რწმენას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქართული სახვითი ხელოვნების საგანძურში შევა მნიშვნელოვანი და ორიგინალური ნაკადი მისი შემოქმედების სახით.



ასიკ გაღაპირნი

სპორტის დამსახურებული ოსტატი

ტადანტები და თაყვანისმცემელები

თამაშად და გაბედულად რომ ითამაშო, საჭიროა გრძნობდე როგორც კოლექტივის, ისე მაყურებლის მხარდაჭერას. თუ წარუმატებლობის მძიმე წუთებში ამხანაგები უხეშად არ გაგაციხავენ და ბირიჭით, დაგამშვიდებენ და გაამხნევენ, უფრო თავისუფლად და ძალდაუტანებლად იმოქმედებ და თამაშშიც კარგი გამოგვივა. მაგრამ თუ თამაშის სერიოზულ მომენტში ფეხბურთელს დაკისრებული პასუხისმგებლობა აშინებს და იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ შეცდომა არ დაუშვას, რა თქმა უნდა, ბურთს ვერ დაიმორჩილებს და კარსაც ხშირად ააცილებს.

მინდორზე ასეთ მდგომარეობაში ყოფნა და ამასთან ერთად კარგად თამაში მეტად ძნელია. ფეხბურთელს ჯერ ბურთისთვის ფეხი არ დაუკარებია და უკვე ეჩვენება, რომ მაყურებლები შოენდინდან მის გაყვანას მოითხოვენ და უკვე ელოდება, რომ მალე სხვა მოთამაშით შეცვლიან. როგორ უნდა უჩვენოს მან ამ შემთხვევაში თავისი ოსტატობა? მოთამაშის მორალური და სულიერი მდგომარეობა დიდხანს, და შეიძლება სამუდამოდ, შეირყეს. მოთამაშეს ეკვი ეპარება თავის ძალებში, კარგავს რწმენას და აიან შესაძლოა საუკეთესო მონაცემების მქონე სპორტსმენი წყობიდან გამოიყვანოს. ჩვენ ხშირად არ ვეძებთ ფეხბურთელის წარუმატებლობის ტეშმარიტ მიზეზებს და მიწასთან ვასწორებთ მას. განა ეს სამართლიანია?

ამასთან დაკავშირებით, არ შემოძლია არა ვთქვა, რომ მე დიდხანია არ ვეთანხმები იმათ აზრს, რომლებიც ამტკიცებენ, თითქოს ბ. სიჭინავის მაღალი კლასის ფეხბურთელისთვის ბურთი არ გააჩნდეს. მაგრამ იგი იქცევა კი მაღალი კლასის ფეხბურთელად? ამაზე პასუხის გაცემა ერთობ ძნელია. ყოველ თამაშზე ბ. სიჭინავა თავს ისე გრძნობს, როგორც გამოცდაზე.

თქვენ მეტიხებით: რატომ ხდება ასე?

საქმე ისაა, რომ ფეხბურთით გატაცება დამოკიდებულია ამა თუ იმ გუნდისა ან ამა თუ იმ მოთამაშის ოსტატობასა და ღირსებაზე. უამისოდ შეუძლებელია. ამიტომაც, რომ ფეხბურთის მოყვარულები ღიბხანს კამათობენ ხოლმე. ეს გასაკვირი არცაა, რადგან არც თუ ისე ადვილია გუნდის ან ფეხბურთელის ზუსტი შეფასება. საუკეთესო მორბენლის გამოკვლევა დამოკიდებულია დროზე, საუკეთესო ძალოსანისა — შტანგის სიმძიმეზე და ა. შ. ფეხბურთში ობიექტური საზომი ერთეულები (წამები, მეტრები, კილოგრამები) არ არსებობს. აქ, შეიძლება ითქვას, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემდგომის სუბიექტურ მოსაზრებებს, რომლის საფუძველზედაც იქმნება საზომი. ამასთან, უხეში შეცდომის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ფეხბურთის ღრმა ცოდნა და გაგება, მაგრამ ხშირად არც ეს არის ხოლმე საკმარისი.

ოხ, ეს საზომი! როცა საუკრებელი გუნდი იმარჯვებს, იგი მხოლოდ დადებით მხარეებს ამჩნევს და მხედველობიდან უშვებს უარყოფითს. ხოლო დამარცხების შემთხვევაში იგი ისეთ უარყოფით მხარეებს აღმოაჩენს ხოლმე, რომლებიც სინამდვილეში არც არსებობს. ასევე ხდება ცალკეული მოთამაშეების შეფასებისას.

თქვენ მხოლოდ მოუსმინეთ გულშემატკივრებს და შეადარეთ მათი საუბარი როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში. მოუსმინეთ არა მარტო მათ, არამედ საკუთარ თავსაც და კარგად დაიმახსოვრეთ. დარწმუნებული ბრძანებოდეთ, რომ ხშირად სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდებით.

ბევრი, ძალიან ბევრი მიზეზი მოქმედებს შეფასების სიზუსტეზე. ხშირად სპეციალისტებიც იმყოფებიან ხოლმე მათი გავლენის ქვეშ. გამოგიტყუებით, რომ მეც ხშირად ავყოლიარ ჩემს ესთეტიურ გრძნობებს და ლამაზ ილეთებს გა-

ვუტანევიარ, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ლამაზი თამაში მაღალი კლასის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა, ასეთ გატაცებას ხშირად შეედომამი შეუწყვანიარ. ფეხბურთელი ზოგჯერ ლამაზად კი თამაშობს, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოაქვს ზოგჯერ.

გრძნობების შეზღუდვა არც თუ ისე ადვილი საქმეა და არცა მგონია, რომ ეს საჭირო იყოს. ფეხბურთის მოყვარულებს ხომ სწორედ ამ გრძნობებისთვის ვაფასებთ. თუმცა, ჩემის აზრით, მათ კეთილშობილურ გრძნობებს რომ ცოტადენი თავშეკავებულობა და შეგნებაც ახლდეს, სასარგებლო იქნებოდა. მაყურებელთა ზომამზე მეტად ავადმოფერი რეაქცია ყოველთვის ხელს როდი უწყობს საქმეს. გრძნობების თავშეკავებლად გამოხატვას ფეხბურთის მატჩებზე დაწერილ ანგარიშებშიაც უნდა მოვერიცხოთ. ზედმეტი ქება ან უადგილო და ზოგჯერ დაუმსახურებელი საყვადურები ნაკლებად უწყობს ხელს მოთამაშის აღზრდას. განსაკუთრებული სიფაქიზით უნდა მოვეცილობოთ ჯერ კიდევ გამოუცდელ ახალგაზრდა მოთამაშეებს. ვინ იცის, რამდენი ძალაა საჭირო გასამხნეველად და საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში მათ დასარწმუნებლად. მწვრთნელები ხშირად იყენებენ ზოგჯერ ე. წ. „წმინდათა-წმიდა“ ტყუილს, რომ ახალმა ფეხბურთელმა დაიჯეროს იგი და ითამაშოს გაბედულად და ძალდაუტანებლად. წარმოდგინეთ, რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ამ შემთხვევაში გამოუცდელ მოთამაშეს მაყურებლის უსამართლო შეძახილებმა და გახეთის მკაცრმა შეფასებამ. მწვრთნელის მუშაობა წყალში იყრება და ფეხბურთელის რწმენა შერყევით. მოთამაშის ფსიქიკური მდგომარეობა მომავლის ოსტატებისა და ექსტრა კლასის ფეხბურთელების აღზრდის ერთ-ერთი მთავარი საწინდარია.

მე ბოდიშს ვიხილ მკითხველების წინაშე კადნიერებისათვის, მაგრამ, ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება, თუ ჩემი მუშაობის გამოცდილებას ვავიზიარებთ.

ეს მოხდა დიდი ხნის წინათ. თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში სოხუმიდან მოვიდა სავსებით შესაფერისი ახალგაზრდა პერსპექტიული ფეხბურთელი ავთანდილ ლოლობერიძე.

ჯერ კიდევ სათადარიგო მოთამაშე ზნორად ძიჩითად შემადგენლობაში მარცხენა გარემარბად გამოჰყავდათ ზოგჯერ, რადგან სხვა ადგილები „დაჯავშნული“ ჰქონდათ პაიჭაძეს, ჯეჯელავას, პანიუკოვს, ბერენოის. ბუნებრივია, რომ ასეთი მაღალი კლასის მოთამაშეთა გვერდით იგი უცებ ყურადღებას ვერ მიიქცევდა. უფრო მეტიც, ლოლობერიძე დააყენეს მარცხენა გარემარბის ადგილზე მაშინ, როდესაც მარცხენა ფეხით სუსტად თამაშობდა. ასეთ პი-

რობებში მოსალოდნელია „დაჯენ ისე, რომ გაფურჩქნავ ვერ მოასწრო“. მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობის წინადადებულებამ და „ძეკელი“ ფეხბურთელების კეთილმა ურთიერთობამ და თანაგრძნობამ დიდი საქმე გააქეთეს.

ჩვენ მას განსაკუთრებული მღგომარეობა შეუქმენით, მას, როგორც ისეთ ახალგაზრდა ტალანტს, რომელსაც ჯერ ფრთები არ შეესხა, სხვაგვარად ვეძეოლით. იმას, რაც სხვებისთვის, ავტორიტეტებისთვის სავალდებულო იყო, მის მიმართ არ ვიყენებდით. მკაცრი შენიშვნები, მრავალრიცხოვანი რჩევა-დარიგება და მკაცრი წესები უარყოფით შედეგებს გამოიღებდა, უწინარეს ყოვლისა შეზღუდვას მის შემოქმედებისას აზროვნებას და აიძულებდა ბრმად გაჰყოლოდა მწვრთნელის მითითებებს, ამის შედეგად ჩვენ მივიღებდით არა ექსტრა-კლასის მოთამაშეს, არამედ ხელოსანს, რომლის მსგავსიც მრავალია. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი სტიქიურად ხდებოდა და იგი საკუთარი თავის ამბარ იყო მითრეხებული.

მე კარგად მახსოვს მატჩი კიევეში ლოლობერიძის მონაწილეობით. ჩვენდა სასიხარულოდ, მან ამ შეხვედრაში ისეთი ინიციატივა და შემოქმედებითი უნარი გამოამჟღავნა, რომ მოედანზე მეორე პაიჭაძედ მოგვევლინა. ამ დიდ წარმატებაზე ჩვენ არც ლოლობერიძეს და არც სხვებს არაფერი არ ვუთხარი და საიღუმლოდ შევიხიხეთ. ჩვენ არა თუ შენიშვნების, არამედ ქებისაც კი ვეუწმინოდა, რომ არ შეგვერყია მისი ფსიქიკური მღგომარეობა.

იგი, ისევე როგორც სხვა ტალანტები, თამაშობდა კარგად, თუმცა თვითონაც არ იცოდა, როგორ ახერხებდა ამას.

ჩვენ მაშინ ასე გადაწყვიტეთ და არც შევძე-დარგართ — გამოჩენილი ფეხბურთელის სახელი დაიშვილდა და „ანსამბლის დირიჟორად“ მოგვევლინა. მისი თანდაყოლილი თვისებები შეუფერხებლად ვითარდებოდა და მხოლოდ თანაგრძნობასა და მხარდაჭერას ხელეობდა, ჩვენდა სასიხარულოდ, მაყურებელმა შეიყვარა ახალგაზრდა ლოლობერიძე და ხელს არ უშლიდა მის განვითარებას.

მოვიყვანე ერთ ძველ და კიდევ უფრო ჰქუის სასწავლებელ მაგალითს.

როცა ბორის პაიჭაძე დიდი ფეხბურთის ზნაზე გამოდიოდა, დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ იგი არ იყო ცენტრფორვარდი, რომ მას მთელნის ცენტრიდან გარღვევები არა ჰქონდა, რომ კარგად არ თამაშობდა თვით და ა. შ. პაიჭაძეს მართლაც აკლდა ზოგიერთი ისეთი მონაცემი, რომელსაც მაშინდელი „მოლა“ მოითხოვდა. ფიზიკურ თვისებები (სიმაღლე, ღონე) ნაკლებად შეეფერებოდა მაშინდელი ტრანზის ტიპის თავდამსხმელის ფუნქციებს. მოთხოვნიდნენ ბორის პაიჭაძის გადაყვანას მარცხენა



ფრთაზე, სადაც, მათი აზრით, ფართოდ გაეხსნებოდა გზა მის შესაძლებლობებს. მათი ლოგიკა თითქმის დამაჯერებელი იყო. და მას შემდეგ, რაც ამ აზრს მიემხრო ერთი საზღვარგარეთელი მწერთნელი, უმრავლესობა ამ აზრს იცავდა. რა საწინააღმდეგო მოსაზრებანი უნდა მოგვეყვანა, რომ დაგვერღვია მათი შეხედულება, როგორ უნდა დაგვეტყუებინა, რომ ბ. პაიჭაძე ნამდვილი ცენტრალური თავდასხმელი იყო? სპეციალისტთა უმრავლესობა ნეიტრალიტეტს იცავდა. მათი დევიზი იყო: „მოვიცადოთ და დავინახოთ“, მაგრამ დრო არ იცდიდა, საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, რადგან იგი აღმამიანის მომავალს ეხებოდა. და აი, აღმოჩნდნენ აღამიანები, რომლებმაც ანგარიში არ გაუწიეს უმრავლესობას და ხმათა დახმარება, რომ არ შეიძლება შეფასდეს პაიჭაძის ტალანტი და მისი პერსპექტივა ჩვეულებრივი ფორმალური მეთოდებისა და შაბლონური საშუალებების გამოყენების გზით, რადგან იგი მისწრაფებით სწორედ ცენტრალური თავდასხმელია. მისი იმედები და ოცნებები დაკავშირებული იყო ამ სურვილთან მაშინ, როდესაც იგი სხვა ადგილზე გადაწყვედა. ყმაწვილს არაკესრში ვიოლინოს დამკვრელობა სურდა, მაგრამ იგი საყვირის დამკვრელად გადაწყვედათ ანდა პირიქით. ეს იყო თავსმოხვევა, უსულგულობა და კონსერვატორობა. იგი უსათოდ გამოიწვევდა წინააღმდეგობებს და კონფლიქტს საკუთარ თავთან. პაიჭაძე თავიდანვე წინააღმდეგი იყო ფრთაზე გადაყვანისა და სერიოზული ფსიქიური ტრავმისა და მომავალი ბრწყინვალე ფეხბურთელის დაკარგვის საფრთხე იქნებოდა.

როცა ფეხბურთელის ტალანტზე ვლაპარაკობ, მე მხედველობაში მაქვს მაღალნიჭიერება, რომლითაც ფეხბურთელი სხეულისაგან გამოირჩევა თავისი განსაკუთრებული ოსტატობითა და, თუ შეიძლება ითქვას, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი და განუყოფელი შემოქმედებითობით. ასეთი იყო ბ. პაიჭაძე.

იგი არ გამოყოფილა სხეულის მიერ გაქვალულ გზას, იგი თვითონ მიიკვლევდა გზას და შექმნა თავისი სტილი, თამაშის თავისი განსაკუთრებული „ხელწერა“. მისმა თამაშმა თავისებურებამ შექმნა თბილისის „დინამოს“ მთელი გუნდის განსაკუთრებული და სხვა გუნდებისაგან განსხვავებული ტაქტიკა. მას, მართალია, გმობდნენ, მაგრამ მთელი რიგი წლების განმავლობაში მხოლოდ წარმატებები მოჰქონდა ჩვენთვის.

ამაჟამად ჩვენს ფეხბურთელთა როგერში არიან სხვა ნიჭიერი მოთამაშეები და შემთხვევითი არაა, რომ ზოგიერთი მათგანი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაშია შეყვანილი და ჩვენი სამშობლოს სპორტულ ღირსებას იცავს. მაგრამ მე მხოლოდ ერთ მათგანს მინდა შეეცხო.

არა მგონია ახლა მოინახოს ისეთი ვინმე, რო-

მელსაც ექვი ეპარება იმაში, რომ მიხეილ მესხი ნიჭიერი ფეხბურთელია. ისევე, როგორც ზოგერთმა ჩემმა ამხანაგმა, მე მისი ნიჭი ჯერ კიდევ მაშინ ვირწმუნე, როცა მის თამაშში განსაკუთრებით შესანიშნავი არაფერი იყო. მე ერთი ბედნიერი შემთხვევა დამეხმარა ამაში.

მთხოვეს დავხმარებოდი მესხს მარჯვენა ფეხით დარტყმის დამუშავებაში. მარცხენა ფეხით იგი დამაკმაყოფილებლად ურტყამდა, თუმცა არც თუ ისე ზუსტად. მაგრამ ამ ჩვევის რაიმე ტრაფარეტამდე დაყვანა არა ღირდა.

და აი ჩვენ „დინამოს“ სტადიონის დარბაზში ვიმყოფებით. მე ტანსაცმელს ვიხდი და თან ჩემს მოწაფეს თვალურს ვადევნებ. ბიჭი პატარა ტანისა და მკვრივი აგებულებისაა, იქნებ ოდნავ მძიმეც კია. რამდენადმე ნელა მოძრაობს. ჩვენ გავიცანით ერთმანეთი — მიშა თქვა მან ისე, რომ ზევით არც აუხედავს.

მე რაღაც არ მექაშნია. გარეგანი ნიშნების მიხედვით „ეგზემპლარი“ არც თუ ისე სახარბიელო იყო. ჩემი ცხოვრების მანძილზე მხედვებოდნენ ასეთები და მათთან ძალიან მივირდა, თუმცა ეს ბიჭი მათგან რაღაცით განსხვავდებოდა. უსიამოვნება არ მოგვივლიდა, — გამოფიქრე მე. საუბრის გაბმა გადაწყვიტე, — არ გამოვიდა. ჩუმაღ და სერიოზულად დგას, მოკლე პასუხებს იძლევა. რა არის მიზეზი? იქნებ მას არ სიამოვნებდეს ამგვარი ვარჯიში? მაშინ მე სხვა პედაგოგიურ ხერხს მივმართე, რომ გამოგორმე გამოემეცოცლებინა და შეიძლებინა, ჰქონოდა ჩემი, როგორც ავტორიტეტის რწმენა. მე რამდენჯერ გავეთამაშე მას ზურთი, ამასთან ვცდილობდი მეჩვენებინა ჩემი ოსტატობა. მაგრამ არც ამაზე გამოიღო რაიმე შედეგი, რადგან ბიჭი არც თუ ისე ხალისით ამყვანდა. გუნება კიდევ უფრო გამიფუჭდა. მაგრამ რა მექნა? განვაგრძე ვარჯიში, თუმცა წარმატების იმედს ვადამიწყე. მაგრამ რაღაც 30 — 40 წუთში ეს ერთი შეხედვით მოუხეშავი ყმაწვილი გასაოცარი სიზუსტით იმეორებდა ჩემს ილეთებს. მოულოდნელობისაგან გაეშტერდი. ასეთ საოცარ ნიქს ჩემს პრაქტიკაში პირველად ვხედავდი. მე ისე დამრჩენოდა, რომ წარმატება მიმელოცა მისთვის.

წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული. მაგრამ როგორც პედაგოგს მე არ შემეძლო მეზვიმა. ამ ერთი შეხედვით „ძნელად აღსაზრდელმა“ ყმაწვილმა ისე უსაფაოდ აითვისა მარჯვენა ფეხით დარტყმა, რომ მე ვერც მოვასწარი ჩემი პედაგოგიური ღირსებებისა და ცოდნის გამოქვავება, და ამიტომაც იმის თქმა, რომ თუნდაც 30-40 წუთის განმავლობაში მესხი იყო ჩემი მოწაფე, მე არ შემიძლია, მე უბრალოდ კმაყოფილი ვარ, რომ ამ წუთში იქ ეყოფა.

კაცმა რომ თქვას, რა შეგნიშნე მასში ღირს-შესანიშნავი ამ შეხედვრამდე?

მესხი იმ დროს იშვიათად გამოჰყავდათ მოე-

დანზე, შემთხვევიდან შემთხვევამდე, და ეს გამოსვლები თითქოს არაერთი ალტაცების საბაზს არ იძლეოდა. უფრო მეტიც. ახალგაზრდა ფეხბურთელს თითქოს თამაშში გახვამული სიზარმაცეც ახასიათებდა.

მაგრამ როცა მესხი მარცხენა ფრთიდან უტეგდა, კარებთან მეტი სახიფათო მომენტი იქმნებოდა. არ იყო მესხი და არ იყო სიმძაფრეც. რას ნიშნავდა ყოველივე ეს?! მე გადაეწყვიტე თვალყური აღარ მედევნებინა მესხისათვის და დავეკირვებოდი მისი მოქმედების გავლენას თამაშის საერთო მსვლელობაზე. და ყველაფერი დიდასტურდა. როგორც ჩანს, ფეხბურთელის შეფასებისათვის არ კმარა მისი მოქმედების ანალიზი, საჭიროა იმის შეფასება, თუ რა მოაქვს გუნდისათვის მის მოქმედებას.

დღეს მესხი აღიარებული ფეხბურთელია. მაგრამ ბევრი უკმაყოფილოცაა მისი თამაშით. მე ისიც კი მახსოვს, როგორ მოითხოვდა ხალხი მის გაყვანას მინდვრიდან. წინა სეზონის დასაწყისში სოხუმში „დამირალტეეიტან“ საკმარისო მატჩის შემდეგ სპორტულმა პრესამც აუტად მოიხსენია მესხი და ისევ სიზარმაცე უსაყვედურა. მე მაშინ სოხუმში გახლდით და ვნახე ეს თამაში. მესხი ახალდამბრუნებული იყო პარიზიდან, სადაც მან საყოველთაო სიყვარული მოიმსახურა, სოხუმის გული კი ვერა და ვერ მოგო.

კიდევ უფრო მეტი აღშფოთება გამოიწვია მისმა თამაშმა თბილისში ლენინგრადის „ზენიტის“ წინააღმდეგ. მაშინ მას დააბრალეს სრული უმოქმედობა, ის, რომ იგი მშრალი მაისურით გამოვიდა მოედნიდან, მაშინ როდესაც მისი მეგობრები ოფლად იყვნენ გაღვარული. ეს სრული სიმატლეა. მესხი ნამდვილად გამოვიდა მოედნიდან მშრალი მაისურით. მაგრამ, ჩემის აზრით, ამაში მესხს ცოტა ბარია მიუძღოდა. პარტნიორებმა ვერ შეძლეს სრულყოფილად გამოეყენებინათ იგი. დასაინი კია — ანგარიში სხვა იქნებოდა.

ალბათ შემეკითხებიან: თქვენ რა, პაუზებიანი ფეხბურთის მომხრე ხართ? რაღა დავარქვათ მაშინ ვ. ივანოვს — საბჭოთა კავშირის ნაკრების დაუცხრომელ ფეხბურთელს? ვინ რას ამბობს ივანოვის წინააღმდეგ — უძვირფასესი მოთამაშეა. რა თქმა უნდა, ფეხბურთელები უნდა მოქმედებდნენ აქტიურად, შეუსვენებლად, ავითარებდნენ მაღალ ტემპს. მაგრამ ყველა ზომ ერთნაირად არ თამაშობს. და ნამდვილი ტემპის გარჩევა ცრუ ტემპისაგან და უაზრო ფუსფუსისაგან არც თუ ისე ადვილია.

შეხედით — ფეხბურთელი არც ერთი წუთით არ ისვენებს, სულ მოძრაობს, არაქათვამოლესი დარბის მთელს მოედანზე, ოფლში იწურება. ასწონეთ იგი თამაშის შემდეგ და ნახავთ, რომ საგრძნობლად დაუკლია წონაში, ფეხებზეაც სისხლი ჩაქცევია. აი ეს მესხის ნამდ-

ვილი მებრძოლია ყველა რომ ასე თამაშობდეს, მაშინ თასიც და ჩემპიონობაც ჩვენი იქნებოდა. ასე ფიქრობენ „მგზნებარე“ გულშემატკივრები. მაგრამ რა სარგებლობა მოუტანა ამ მოთამაშემ გუნდს, აი რა არის მთავარი!

და ჩვენ არც თუ ისე იშვიათად ვცდებით. თუ ფეხბურთის ტაქტიკაში არსებობს მოჩვენებითი აქტიურობა, მაშინ ბუნებრივია, შეიძლება არსებობდეს მოჩვენებითი პასიურობაც. მაგრამ ეს მხოლოდ უდიდესი ოსტატობის შემთხვევაშია შესაძლებელი. მოთამაშე თითქოს ნაკლებად მოქმედებს, ნაკლებს მოძრაობს, შედეგი კი მისი თამაშისა — დიდია. გავისხენოთ რუმინელი ცენტრფორვარდი ენე. იგი თითქოს უშეტყუას იდგა, მაგრამ საბჭოთა კავშირის გუნდებთან შეხვედრისას გატანილი 7 ბურთიდან 6 მას ეკუთვნოდა. უნდა გვესმოდეს, რომ იგი უბრალოდ არ ფანტავდა თავის ძალას და ღონეს. იგი შეუმჩნევლად ირჩევდა ადგილს და ეცდებოდა ხელსაყრელ მომენტს, რომ უფრო შედეგაიანად ჩამეტყო თამაშში. რა თქმა უნდა, იგი უმაღლესი კლასის მოთამაშე იყო, მაგრამ პარტნიორებიც შესაფერისი ჰყავდა. და მე ცოდვილს მეჩვენებოდა: ენეს რომ ეპიზოდურად არ ეთამაშა და სხვებივით ორი საათი ერბინა, შედეგი უფრო ცუდი იქნებოდა.

როგორც ზღადავ, ენეს თამაშის სტრუქტურულ განსხვავდება ივანოვის თამაშის სტილისაგან, თუმცა მას ამ უკანასკნელზე ცუდად არ უთამაშია. საერთოდ ფეხბურთში საჭიროა საზრიანი და განაგარიშებული თამაში, რომელსაც მხოლოდ გამარჯვება მოაქვს. ბოლოს და ბოლოს, რა ქათამია ის ქათამი, რომელიც დილიდან საღამომდე კაკანებს და კეერცებს კი არა და არ დებს.

ორი აზრი არ არსებობს: მესხი ვალდებულია და კიდევც უნდა იმოქმედოს მინდორზე აქტიურად, იგი უნდა მოერის თავის თავს, მაგრამ ამაში მას ამხანაგებიც უნდა დაეხმარონ. რაც უნდა იყოს, მესხი მინც გარემარბია და ასე თუ ისე დამოკიდებულია სხვებზე, და რომ უსაქმოდ არ იმყოფებოდეს, უნდა ბურთებით მოამარაგონ. მაგრამ იგი უნდა გამოეყენონ გონივრულად, რომ რაოდენობის გამოდევნებამ არ გაფუტოს ხარისხი — უძებრესია ცოტა და კარგი. მაგრამ ჩვენ სწორედ ამას ვიციწყებთ.

აიძულე მესხი ითამაშოს ისევე როგორც სხვები, თუნდაც ძალზე მაღალი კლასის ფეხბურთელები თამაშობენ — შეცდომა იქნება. იგი ამ შემთხვევაში იქნებოდა კარგი, მაგრამ რიგითი ფეხბურთელი.

გამოჩენილი მუსიკოსები, მხატვრები, მსახიობები და ხელოვნების დარგის სხვა მოღვაწეები იმიტომ იყვნენ მაღალნიჭიერნი, რომ მკვეთრად განსხვავდებოდნენ როგორც სხვებისაგან, ისე ერთმანეთისაგან. ყველას ჰქონდა თავისი ინდივიდუალობა, შემოქმედებითი სახე, რაც

მას სხვებისაგან განასხვავებდა. წარმოდგინეთ რა იქნებოდა, ყველას ერთმანეთისათვის რომ მიეზიდა და თავისი ბუნებრივი ნიჭი შემოქმედებითი განვითარების დროს იძულებით რომ შეეზღუდა.

მესხის თამაში განსხვავდება სხვათა თამაშისაგან და ამაშია სწორედ მისი ძალა. მას არ შეიძლება წაუყუენოთ შაბლონური მოთხვნები. მისი სტილისათვის დამახასიათებელია ეპიზოდური ელვისებური გარდევები, რომელსაც თან ახლავს აღმადრენა. ყოველი ეს გარდევა წაგავს მოკლემშული ზამბარის გამართვას და თამაშში თითქმის მოვლენას წარმოადგენს.

მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ მესხის თამაშის დახასიათება მხოლოდ ქებათაქებაა მისი. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და „ნედლი“.

მას განსაკუთრებით დიდი შემოქმედებითი შრომა და ჟინი ესაჭიროება, რომ თავისი შესაძლებლობების მწვერვალს მიაღწიოს. დაოსტატების სრულყოფის გზაზე შეფერხება ჩამორჩენას გამოიწვევს. ფორვარდების ყოველ ახალ იარაღს დაეცვა ახალ, საწინააღმდეგო იარაღს უპირისპირებს. ეს გარემოება თავდასხმას და განსაკუთრებით მას ბრძოლის სულ ახალი და ახალი, მძაფრი და მოულოდნელი ხერხების გამოყენებას იძულებს. და ვაი იმას, ვინც ზედმეტად შეაფასებს თავის ძალებს, ძველი ხერხების იმედით დარჩება, და ვერ აიტანს ზუსტ და მკაცრ სპორტულ რეჟიმს..

აქ არ შეიძლება არ გავახსენდეს ზოგიერთი პერსპექტიული ფეხბურთელი, რომელსაც საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა, გაამბარტავნა, ვერ აიტანა საყოფაცხოვრებო და

სპორტული რეჟიმი, და ბოლოს უკვლავ გაქრა. ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული სპორტსმენი უფრო ადვილად ეშვება ძირს, ვიდრე რიგითი. ისევე, როგორც დანის პირი უფრო იოლად ჩლუნგდება, ვიდრე ნაჯახისა.

ამ მხრივ თავდაბლობის ნიშნებს წარმოადგენს ბორის პაიჭაძისა და ავთანდილ ლოლოზერიძის სპორტული გზა. ეს თავდაბლობა მათ დაეხმარა მიეღწიათ უმაღლესი ოსტატობისა და დამსახურებული ღირებულებისათვის.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ყური მოვეყუართ იმ ფაქტს, რომ მიხეილ მესხს ერთხელ გამოაჩნდა „ვარსკვლავის“ ავადმყოფობის სიმპტომები. იგი ამისათვის დროზევე მძიმედ, მაგრამ სამართლიანად დაისაჯა.

ყველანი, ვისთვისაც ძვირფასია ფეხბურთი, სიამოვნებით აღნიშნავენ მიხეილ მესხის მაღალ შეგნებულობას. მან შეიგნო თავისი დანაშაული და თავის თავში ჰპოვა ძალა და ნებისყოფა, მოხვედრილიყო, რომ იგი დაისაჯა არა დასჯისათვის, არამედ აღზრდის მიზნით. მან მალე გამოასწორა თავისი შეცდომა და მისმა თამაშმა ახალი ელვარება შეიძინა.

თუ მის ნიქს ფრთხილად მოვეპყრობით და თუ თვითონაც, რა თქმა უნდა, დაუღალავად ივარჯიშებს, იგი შესძლებს გამოამჟღავნოს მთელი თავისი ნიჭი (და არა მხოლოდ მარცხენა ფრთაზე) და ჩვენი ფეხბურთის საღიდეზოდ მძლავრად გაშალოს ფრთები.

ჩვენ კი ვალში არასოდეს არ დავრჩებით. მონიჭებულ სიზარულსა და აღფრთოვანებას ჩვენ ვუპასუხებთ იმ სიყვარულით, რომელიც ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის მოყვარულთა შეუძლიათ.



აღმსარება გუნდავი

„საქადრაკო ციებ-ცხელები“

ამასწინათ მე შემთხვევით ვნახე ერთი ძველი საბჭოთა უხმო კინოკამერა „საქადრაკო ციებ-ცხელება“. ფილმში მოქმედება ვითარდება 1925 წელს, როცა მოსკოვში საერთაშორისო საქადრაკო ტურნირი ტარდებოდა.

კომედიის სიუჟეტი უბრალოა. ფილმის მთავარი გმირია ქადრაკის უზომოდ მოყვარული კაცი, საინტერესო საქადრაკო პარტიების ანალიზის დროს მას ავიწყდება ყველაფერი ამ ქვეყანაზე, ავიწყდება ისიც კი, რომ მშაჩის ბიუროში საცოლე ელოდება. როცა რამდენიმე საათის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, მას ახსენდება, რომ მშაჩის ბიუროში იყო წასასვლელი, თავქუდმოვლედგო მშაჩის მშაჩისაყენ და გზაზე ათასგვარ უსიამოვნებას აწყდება.

საქადრაკის თავეამოდებული მოქადრაკე გაქანებული ტრამვიდან ჩამოხტეს, რომ მას იქვე აკავებს მილიციელი და პასპორტს სთხოვს. ჩვენი გმირი ჯიბიდან იღებს საფულეს, მაგრამ საფულეში პასპორტის ნაცვლად აღმოჩნდება... ჯიბის ქადრაკი. თქვენ გგონიათ, მილიციელი ბრაზდება? სრულებითაც არა, თურმე ისიც ქადრაკის ციებ-ცხელებით ყოფილა შეპყრობილი.

თოვს. ყინავს. მაგრამ ჩვენი გმირი და მილიციელი ვერაფერს ამჩნევენ. დგანან შუა ქუჩაში და ესპანური პარტიის რომელიღაც ახალ ვარიანტს გატაცებით არჩევენ...

როდესაც თავეამოდებული მოქადრაკე, ბოლოს და ბოლოს, მშაჩის ბიურომდე მიადწევს, საცოლე აცრემლებული დახვდება და ცოლობაზე უარს ეუბნება. ქადრაკმა დაამსხვრია მათი ცხოვრება. სიცოცხლე აღარ ღირს. მცირე ყოყმანის შემდეგ ქალი შედის უახლოეს აფთიაქში საწამლაგის საყიდლად. აფთიაქში სიჩუმეა. პროვიზორები დადიკრებულები სხედან. ისინი... ქადრაკს თამაშობენ! ისევ ეს საზოგადოებრივი ქადრაკი. უბედური ქალი თხოულობს „წამალს“, რომელიც საბოლოოდ დაამწყვდებს მას. —რა წამალი? — დაბნეული ეკითხება პროვიზორი, — ეს? ინებეთ. იგი თარიღიდან იღებს რაღაც ქაღალდს, ღებს მაგიდაზე, აკეთებს მორიგ სვლას

და შემდეგ ქაღალდში ახვევს... ქადრაკის ფიგურას.

„საქადრაკო ციებ-ცხელების მსხვერპლი“ გაივლის ერთ ქუჩას, მეორეს, მესამეს და მერე უღონოდ ეყრდნობა კედელს. იგი ხსნის ქაღალდს და პირი, საკვირველებად! აქაც ქადრაკი... სანატრელი საწამლაგის ნაცვლად ქალს ხელში უჭირავს ფიგურა. ქალი სასოწარკვეთილებაშია, საბედნიეროდ, მას მანქანიდან ხოვე რაულ კაპაბლანკა შეამჩნევს.

მსოფლიო ჩემპიონი გაკვირებულია, რომ ქადრაკს, ამ შესანიშნავ თამაშს, შეეძლო დამსხვრია უცნობი ქალის ცხოვრება. იგი ამშვიდებს ქალს, მანქანაში ისევას და მიჰყავს ტურნირზე. როგორ დაარწმუნა კაპაბლანკამ თავისი თანამგზავრი იმაში, რომ ქადრაკი მართლაც მშვენიერი თამაშია, არავინ იცის. ეს კი, რომ შემდგომ კადრებში ჩვენი გმირი უკვე იღიმება. იგი მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის მასურებელთა პირველ რიგებშია.

საქმრო ყველანაირად ცდილობს შეირიგოს ქალი, მაგრამ ამისთვის ხომ საქადრაკო ციებ-ცხელებისაგან განკურნება საჭირო. გულისტკივილით ამსხვრევს იგი ყველაფერს, რაც ქადრაკთან აკავშირებდა და სატრფოცენ მიიჩქარის. გზაზე ის ჩაუვლის შენობას, რომელზედაც წარწერაა: „მოსკოვის პირველი საერთაშორისო საქადრაკო ტურნირი“. აჰ, — ფიქრობს გაბოღულწირებელი მოყვარული, — მოდი ამ ეთაზელა...“ და შენობაში შედის. წარმოიდგინეთ მისი გაკვირება, როდესაც მასურებელთა შორის თავის საცოლეს დაინახავს. საქმრო ვერ მიხვდებოდა, თუ რამ მოიყვანა აქ მისი საცოლე, ქალი კი ღამილით ეუბნება. „ძვრფასო, ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდი, რომ ქადრაკი ასეთი მიმზიდველი თამაში იყო. მოიტა შენი ჯიბის ქადრაკი, სიცოცხლური პარტია ვითამაშოთ“.

ასეთი „საქადრაკო ციებ-ცხელებით“ დაავადებულ აღამიანებზე გადამებული ფილმის მოკლე შინაარსი.

„საქადრაკო ციებ-ცხელება“ ეს მართლაც

რომ ეპიდემიამ, რომელიც სულ უფრო და უფრო ვრცელდება სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანებში.

ჩვენს დროში „საქადრაციო ციებ-ცხელებით“ დაავადება ადვილია. საამისოდ ყველა წინამძღვარი არსებობს. თუ 1925 წელს დიდი საქადრაციო შეჯიბრებები არც თუ ისე ხშირად ტარდებოდა (და მაინც მჭიდვარებდა „საქადრაციო ციებ-ცხელების“ ეპიდემიას), ახლა ხომ თითქმის ყოველ თვეში ტარდება. მოდი და ნუ დაავადდები!.. გავიხსენოთ თუნდაც გასული წლის შემოდგომის თვეები. განა ქადრაციის მოყვარულმა შეველო მოვსვენა თუნდაც წუთით?.. სექტემბერში იგი თვალყურს ადევნებდა ბრძოლას ქალთა საქადრაციო საქადრაციო ჩემპიონატის ნახევარფინალში. ოქტომბრის დასაწყისში ჩვენი ქვეყნის გუნდური პირველობის ცხრილებს აესებდა. ხოლო მცირე ხნის შემდეგ მისი გონება ლაიპციგში XIV საქადრაციო ოლიმპიადაზე იყო. ნოემბრის შუა რიცხვებში ვივც დამთავრდა, მაგრამ ახლა უკვე ახალი საზრუნავი გაუჩნდათ ქადრაციის მოყვარულებს. დიწყო ქალთა საკადრაციო ჩემპიონატის ფინალი. ასე შემოიწვევდა მიიწერა წელი. იანვრის პირველ რიცხვებში ახალი ცხრილების შევსება დასრულდით მოყვარულებს. მოსკოვში ოქროს მედლებისათვის ბრძოლაში ჩაებნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი გროსმაისტერები და ოსტატები. იქნებ ამის შემდეგ მაიც ვედილისოს ხანგრძლივი შესვენება. საექვოა!.. ერთი თვის შემდეგ დიწყება მატრჩევანში მსოფლიო პირველობაზე ტალსა და ბოტვინიკის შორის. ამრიგად, მოსვენება არ გვიწერია!..

„საქადრაციო ციებ-ცხელების“ ეპიდემია განსაკუთრებული ძალით იჩენს თავს უდიდესი საერთაშორისო შეჯიბრების დროს. მისი ეპიცენტრი, ცხადია, იმყოფება იმ ქალაქში, სადაც ასეთი შეჯიბრება ტარდება. გასული წლის ოქტომბერ-ნოემბერში ასეთი ეპიცენტრი იყო უშველესი გერმანული ქალაქი — ლაიპციგი, სადაც ჩატარდა ქადრაციის ისტორიაში უდიდესი შეჯიბრება — XIV ოლიმპიადი. ამ სტრუქტურების ავტორს საშუალება ჰქონდა თვალყურს ედევნებინა ოლიმპიური ბატალიონისათვის ლაიპციგში და ყოფილიყო მსოფლიოს უდიდეს მოქადრაციულ ორთაბრძოლის მოწმე.

თავისუფალი წარწერა არ იცვლება

საერთაშორისო საქადრაციო ოლიმპიადები ან „ერების ტურნირები“, როგორც მას ადრე ეძახდნენ, ტარდება 1927 წლიდან. პირველი ასეთი ოლიმპიადი ლონდონში ჩატარდა. გაიმარჯვეს უნგრელებმა. მას შემდეგ საერთაშორისო საქადრაციო ფედერაციის (ფიდე) გადამაყალი ოქროს თასი თოთხმეტჯერ გათამაშდა.

საბჭოთა კავშირის გუნდმა პირველად მონაწილეობა მიიღო X ოლიმპიადაში, რომელიც 1952 წელს ჩატარდა ჰელსინკიში. ჩვენმა მოქადრაციებმა დამაჯერებლად ჩაატარეს შეჯიბრება, დაიკავეს პირველი ადგილი და ფიდეს ოქროს თასი მოსკოვში წამოიღეს.

გავიდა რვა წელი. ამ ხნის მანძილზე ოთხი ოლიმპიადი ჩატარდა, მაგრამ ოქროს თასზე წარწერა არ შეცვლილა. მისი მუდმივი მისამართია: მოსკოვი, გოგოლის ბულები 14, სსრკ ცენტრალური საქადრაციო კლუბი. ამის თაობაზე ყურანლისტები ხუმრობენ კიდევ: თასი ორწელიწადში ერთხელ იმართმ მდლის ოლიმპიადაზე, რომ მცირე გასივრცის შემდეგ ისევ მოსკოვს დაუბრუნდეს. შესანიშნავმა საბჭოთა გროსმაისტერებმა არც ამაჯერად უღალატეს ჩვეულებას — XIV ოლიმპიადი მათი ახალი დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა. კაცმა რომ თქვას, ამაში არაფერია გასაკვირი და სენსაციური. საბჭოთა კავშირის გუნდში ხრამ მხოლოდ და მხოლოდ „დრიფტარსკვლეები“ იყვნენ თავმოყრილი: მსოფლიო ჩემპიონი მიხეილ ტალი, ექს-ჩემპიონები მიხეილ ბოტვინიკი და ვასილ სმისლოვი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვიქტორ კორჩნოი, ცნობილი გროსმაისტერები პაულ კერესი და ტიგარს პეტროსიანი, ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სმისლოვი და პეტროსიანი მხოლოდ ნათადარიგო მონაწილეები იყვნენ. ამიტომ, როცა საბჭოთა მოქადრაციები ლაიპციგში ჩავიდნენ, ერთ-ერთი საზღვარგარეთული გუნდის კაპიტანმა იხუმრა: გვათხოვეთ თქვენი სათადარიგო მოთამაშეები და ჩვენი კოლექტივი წარმატებით იბრძოლებს ოქროს მედლებისათვის.

ამიტომ საკვირველი სულაც არაა, რომ ლაიპციგში საბჭოთა გროსმაისტერები საყოველთაო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ. მათ გამოდებით ავიწროებდნენ ყურანლისტები და ავტოგრაფის მოყვარულები. იმ მაგიდებთან, რომლებზედაც ჩვენი მოქადრაციები თამაშობდნენ, იმდენი „გულშემატკივარი“ იყრიდა თავს, რომ ტურის დასასრულისათვის გზის გაგნება თითქმის შეუძლებელი იყო. ამ გარემოებით, სხვათა შორის, მოხერხებულად სარგებლობდნენ ზოგჯერ... ქალიშვილები. ისინი ჯერ კიდევ ტურის დაწყებამდე სპეციალურად იკაებდნენ ახალსაყრელ პოზიციას“ და ჯდებოდნენ იმ მაგიდებთან, სადაც ტალი, ბოტვინიკი და სხვა საბჭოთა გროსმაისტერები თამაშობდნენ, რომ მათთან ერთად ყურადღების ცენტრში აღმოჩენილიყვნენ.

XIV საქადრაციო ოლიმპიადი მიმდინარეობდა ლაიპციგის ერთ-ერთ უდიდეს შენობაში — რინგმესკაუზენში. ლაიპციგის სახელგანთქმული საერთაშორისო ბაზრობის დროს იმ შენობაში ჩვეულებრივად საფეიქრო-საბაზრო პავილიონი

იმართებოდა ხოლმე. რინგმესეპაულს თვალს აღევნებდა ოთხი-ხუთი ათასამდე კაცი.

ოლიმპიადის პერიოდში რინგმესეპაულს თავი შენობაში მოეწყო მეტად საინტერესო გამოფენა: „საქადრაკი საუკუნეების მანძილზე“, აქ გამოფენილი იყო ასეული ათასობით ექსპონატი, რომლებიც ლაიციკაში დედამიწის ყოველი კუთხიდან ჩამოეტანათ. ამ გამოფენაზე წიგნი შეიძლება დიწყო. ამოდ როდი განიზრახა საერთაშორისო საქადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა ფოლკე როგარდმა ამ გამოფენის საქადრაკო ხელოვნების მუზეუმად გადაკეთება. ამ გამოფენაზე თქვენ ნახავდით ესპანეთიდან ჩამოტანილ საჯარაკო ავტომატს, რომელიც ელექტრონული მანქანის პრინციპით მუშაობდა. სხვათა შორის, ავტომატის „საქადრაკო პოტენციალი“ არც თუ ისე დიდი იყო. იგი მხოლოდ ერთ ოპერაციას ასრულებდა: მოწინააღმდეგის ობლად დარჩენილ მფრეს მეფითა და ლაზიერით აშაობებდა.

„სასწაულები“ გამოფენაზე მრავალად იყო ყურადღებას იქცედა ორიგინალური ფოტოგრაფიები. რა თქმა უნდა, ყველასთვის ცნობილია, რომ მიხეილ ტალი კარგად იყენებს საქადრაკო ფიგურებს, ან „ზოის“ ცხეებს. გამოფენაზე კი დარწმუნდებოდით, რომ მას არა მარტო საქადრაკო, არამედ ნამდვილი ცხენის დამორჩილებაც შეუძლია თურმე. ფოტოსურათი „ტალი ცხენზე“ გადაღებული იყო იუგოსლავიის ქალაქ პორტოროვში, საზონათშორისო ტურნირზე.

გამოფენაზე მრავალი რამ იყო საინტერესო, მაგრამ განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება დარტოდა საქადრაკო ფიგურების კომპლექტმა, რომელიც სიკლდის ბანაის — ბუზენვალდის პატიმრებს პერიოდ გაეცეთებინათ. ეს უბრალო, მაგრამ ამასთან ერთად ნატიფი ნახელები ნათლად მეტყველებდა იმ ადამიანთა სულის დაუმორჩილებლობაზე და სიდიადეზე, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის მკაცრ დღეებში გმირულად გაუძლეს ფაშისმის საშინელებას და სასტიკად დაამარცხეს იგი.

„მან ერთი ოჯახი პართ“

დაუბრუნდეთ ოლიმპიურ ამბებს. XIV ოლიმპიადიში ორმოცი ქვეყნის საქადრაკო გუნდა იბოლო მონაწილეობა. ეს რიცხვი წინა ოლიმპიადებთან შედარებით სარეკოდო იყო. საერთაშორისო საქადრაკო ოჯახი ახალი წევრებით შეივსო. ოლიმპიადიში პირველად მიიღეს მონაწილეობა რეკლუტური კუბის, ხოლო რაულ კაპაბლანკას სამშობლოს წარმომადგენლებმა, მალტისა და მონაკოს მოქადრაკეებმა. მაგრამ ყველაზე საინტერესო იყო ის ფაქტი, რომ ყველა კონტინენტის მოქადრაკეები ლაიციკიშ ერთი დიდი ოჯახივით ცხოვრობდნენ. მან ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ

საერთაშორისო საქადრაკო ფედერაციის შემთხვევით არ აღრჩევიან დევიზად შემდეგი სიტყვები: Gens una sumus („ჩვენ ერთი ოჯახი ვართ“).

ოლიმპიადის რომელ მონაწილეს შეუძლია დაიფიქროს მეგობრულად გატარებული საღამოები სასტუმრო „ასტორიას“ ჰოლში, სადაც ყოველი მორიგი ტურის შემდეგ შეუღამებდნენ გრძელდებოდა საქადრაკო ცხოვრება. საუზმის შემდეგ მოქადრაკეები ჰოლში მაგიდებთან იკავებდნენ ადგილს და საუბრობდნენ, კამათობდნენ, საიდანაც ჩნდებოდა ქადრაკი და საქადრაკო საათები და... იმართებოდა იმპროვიზირებული და სწრაფი ტურნირები და მატჩები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა, რა თქმა უნდა, ბლიცის სახელგანთქმული ოსტატების ტალის, კორჩნოის, პეტროსიანის გამოსვლები, ისინი (თუ პარტია გადაღებული არ ჰქონდათ) თითქმის ყოველდღიურად უჩვენებდნენ თავიანთ ხელოვნებას.

როდესაც ტალი, კორჩნოი ან პეტროსიანი დაფასთან სხდებოდნენ, დიდი რიგები იმართებოდა. ყველას სურდა ღონე ესინჯა სახელგანთქმულ გროსმაისტერებთან. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ყოველთვის ესპანელი ოსტატი პომარი (სხვათა შორის, ყოფილი მსოფლიო ჩემპიონის ალიოხისის მოწაფე) და აშშ-ს ჩემპიონი რობერტ ფიშერი. ფიშერი მუდამ ტალთან შეხვედრას ცდილობდა, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო. თითქმის ყოველთვის აგებდა მასთან და მაინც ყოველთვის ამბობდა: „ტალი მაინც ჩემზე სუსტად თამაშობს!“ ამ რეპლიკის პასუხი ყოველთვის დამსწრეთა სიცილი იყო.

სასტუმრო „ასტორიას“ ჰოლში ერთმანეთს ხვდებოდნენ ტურნირის მონაწილენი და ჟურნალისტები. ისინი შევეცოდნენ ჰიქა კოფეს ან ჰიქა ლენოს და საუბრობდნენ. 9 ნოემბერს აქ აღნიშნეს მიხეილ ტალის დაბადების დღე. ერთხელ კი ბელგიელმა გროსმაისტერმა ო'კელმ პოლში მოიწვია მთელი პრესკონფერენცია, რომელზედაც გროსმაისტერების საერთაშორისო კლუბის შექმნის საკითხი განიხილეს.

ოლიმპიადის მეგობრულმა ატმოსფერომ მსაჯთა კოლეგიას მუშაობა შეუშლუბა (აღსანიშნავია, რომ მთელი თვის განმავლობაში ტურნირზე არც ერთ ინციდენტს არ ჰქონდა ადგილი) და დაეხმარა სხვადასხვა ქვეყნის მოქადრაკეებს უკეთ გაეცნოთ ერთმანეთი.

როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა

ჯერ კიდევ ოლიმპიადის დაწყებამდე საბჭოთა კავშირის გუნდი № 1 ფავორიტად ითვლებოდა. მაგრამ მაინც ვინ გაუწევდა კონკურენციას პირველი ადგილისათვის ბოშოლასი? ეს აინტერესებდა ქადრაკის ყველა მოყვარულს. ფინალური ასპარეზობის დაწყებისთანავე გა-



მოიკვია, რომ ჩვენს გროსმაისტერებს მეტოქეობას მხოლოდ ამერიკისა და იუგოსლავიის გუნდი გაუწევდა. არგენტინელი მოკადრავების კოლექტივი, რომელიც წარმატებით გამოდიოდა უკანასკნელი წლების ოლიმპიადებზე, ამჯერად შესუსტებული შემადგენლობით ჩამოვიდა. გუნდს აკლდნენ გროსმაისტერი პანო და ოსტატები როსეტო და გიშარი. ბუნებრივია, რომ არგენტინელები აღარ ითვლებოდნენ საპრიზო ადგილის სერიოზულ პრეტენდენტებად.

როგორ გამოიყურებოდა აშშ-ს გუნდი? ძირითადად იგი ახალგაზრდა ნიჭიერი მოკადრაკებისაგან შედგებოდა. რობერტ ფიშერი ჩვიდმეტი წლისა, უილიამ ლიშმარდი — ოცდაერთისა, ხოლო რაიმონდ ვაინშტეინი — ცხრამეტისა. ამ „სამი ახალგაზრდა მუშაგუნდის“ გარდა გუნდში თამაშობდნენ გროსმაისტერები ბისგაიერი და როსოლიმო და ოსტატი ბირნი. ლაიციგაში არ ჩამოსულა ცნობილი ამერიკელი გროსმაისტერი სამუელ რეშევსკი. როგორც ცნობილია, რეშევსკი ვერაფრით ვერ ურავდებოდა იმას, რომ ფიშერის სახელი თანდათან ჩრდილავს მის სახელს, ამიტომ მისთვის არცეუ ისე სასიხარულო იყო მეორე დაჯიზე თამაში (პირველ დაჯიზე თამაში უფლება სწორად აშშ-ს ჩემპიონს ჰაუტ ფიშერს ეკუთვნოდა), ამასთან, როგორც ცნობილია, რეშევსკიმ ოლიმპიადაში მონაწილეობის გასამრჯელოდ ზღაპრული ჰონორარი — 5 ათასი დოლარი მოითხოვა! მას, რა თქმა უნდა, ამხელა თანხაზე უარი უთხრეს და მან საბოლოოდ უარი განაცხადა ლაიციგაში ჩამოსვლაზე.

საინტერესოა, რომ ამ გარემოებამ ამერიკელები არა თუ დაანადგლიან, არამედ გააძარა. ისინი ვარაუდობდნენ (და ეტყობა ეს ვარაუდი არ იყო უსაფუძვლო), რომ იმ შემთხვევაში, თუ რეშევსკი ასეთ კარგ ჰონორარს მიიღებდა, „სხვათაშორის“ ითამაშებდა, სუსტ მოწინააღმდეგეებთანაც კი 10—15-სელიანი ყაიმებით დაეპყროფილდებოდა და გუნდს ბევრ სარგებლობას ვერ მოუტანდა.

იუგოსლაველ მოკადრაკებს, როგორც ყოველთვის, ახლაც სვეტოზარ გლოვიჩი მიეთაურობდა. გუნდი მართალია ძლიერი იყო, მაგრამ პირველი ადგილის პრეტენდენტად არ ითვლებოდა. ამგვარად, პირველი ადგილისათვის ბრძოლა ფაქტობრივად აშშ-ს გუნდსა და საბჭოთა კავშირის გუნდს შორის მიმდინარეობდა.

ჩვენი მოკადრაკები პირველი ტურიდანვე სათავეში ჩაუდგნენ ოლიმპიადას. მათ ფუნდამენტალურად ამერიკელი მოკადრაკები, მაგრამ ყოველი ტურის შემდეგ ამერიკელები უკან რჩებოდნენ და მას შემდეგ კი, რაც ჩვენმა მოკადრაკებმა მატჩი ამერიკელებთან თავის სასარგებლოდ გადაწყვიტეს, პირველი ადგილის ბედს ფაქტობრივად გადაწყდა.

საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს მატჩი ოლიმპიადაზე ცენტრალური მატჩი იყო. მატჩის დაწყებამდე ჯერ კიდევ ერთი საათით ადრე მაგნიტთან ყველა ადგილი დაკავებული აღმოჩნდა. რამდენიმე წუთით ადრე მოვიდა ბოტვინიკი, შემდეგ ფიშერი, ხოლო გონგის ხმაზე (ოლიმპიადაზე ტურის დაწყებასა და დამთავრებას გონგით აღწყებდნენ ხოლმე) თავიანთი ადგილები დაიკავეს სხვა მონაწილეებმაც.

მატჩის რეზულტატი ცნობილია — 2½:1½ საბჭოთა კავშირის გუნდის სასარგებლოდ. სიმსილვემ დაამჯავრებელი გამარჯვება მოიპოვა ბისგაიერზე, ხოლო ფიშერ-ტალისა, ბოტვინიკ-ლიშმარდისა და ბირნი-კოჩნოის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ოლიმპიადის დასასრულისათვის, ჯერ კიდევ უკანასკნელი ტურის წინ საბჭოთა გროსმაისტერებმა გაინადგეს პირველი ადგილი. მათ ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი მთელი 5 ქულით ჩამოიტოვეს!

საბჭოთა მოკადრაკებმა XIV ოლიმპიადაზე თავისებური რეკორდი დაამყარეს — მოიგეს ყველა მატჩი. სამწუხაროდ მათ ვერ შესძლეს მეორე რეკორდის დამყარებაც: ოლიმპიადა ყველა პარტიის დაუმარცხებლად ვერ ჩაატარეს. უკანასკნელ ტურში, საბჭოთა კავშირ-ინგლისის ანტილი, ახალგაზრდა ინგლისელმა ოსტატმა პენროუზმა მოულოდნელად დამარცხა ტალი.

როგორ მოუგო ტალს პენროუზმა? ამას ყველას ეკითხებოდა, ვინც კი ოლიმპიადის მატჩებს ესწრებოდა. ამასთან როცა ვეკითხებოდა, გავერცხებული გამომეტყველება აქვთ, თითქმის ადამიანს, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, საერთოდ არა აქვს წაგების უფლება. თუმცა, გულშემატკივრების დასამრცხებლად უნდა ითქვას, რომ ტალის დამარცხების ძირითადი მიზეზი გადღიწილობა იყო (ეს თვითონ ტალმაც აღიარა). ტალმა ყველა ჩვენს გროსმაისტერზე უფრო მეტი პარტია ითამაშა. იგი გუნდის ლიდერი იყო. ლიდერთან და ამასთან მსოფლიო ჩემპიონთან კი ყველა განსაკუთრებული სიმტკიცითა და შეუპოვრობით თამაშობდა.

ამგვარად, ტალს უკანასკნელ ტურში წაგების გამო ვერ ეუსაყვედურებთ, რადგან მან და საეროდ მთელმა გუნდმა ჩინებულად ჩაატარეს მთელი ოლიმპიადა და მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საკადრავო სკოლის ისტორიაში ახალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს.

პიწული და ცაცხლი

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ჩვენი მოკადრაკების ყოველ ნაბიჯს ღიღი ინტერესით აღვნიშნავდნენ თავიანთი ლაიციგები, განსაკუთრებული ყურადღება ხვდნენ წილად ტალსა და ბო-

ტენიის, რომელთა ბრძოლა „საქადრაცი გვირგვინისათვის“ მიმდინარე წლის მარტში განახლებდა. სწორედ ამიტომ შეპყრებდნენ მრავალრიცხოვანი „გულშემატკივრები“ ასე გამოცდილად მათ სახეებს, სწავლობდნენ მათ პარტიებს და თითქმის იმის გამოცნობასაც კი ცდილობდნენ, თუ მსოფლიო პირველობაზე მატჩის მზადების პერიოდში რა გონებრივი მუშაობა მიმდინარეობდა ამ ორი ტიტანის თავში.

თავისი ხასიათით, თამაშის სტილით და ტემპერამენტით ტალი და ბოტვინიკი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მათ დასახასიათებლად ყოველთვის ცეცხლსა და ყინულს იშველიებენ ხოლმე. ბოტვინიკი ბუნებით ჩაკეტილი კაცია—არ უყვარს ავტოგრაფების დარიგება, ყურნაულობითან საუბარი და პრაგმატიზმის გამოთქმა, და საერთოდ მეტად ზომიერ ცხოვრებას ეწევა, ტალს კი, პირიქით, უყვარს გართობა, მხიარულება, გონებამახვილება, ყოველთვის მზადაა გამოვსახურობით რაზეღაც გინებათ, რომელ ენაზედაც გინებათ.

ლაიპციგში ტალი და ბოტვინიკი თავის ჩვეულებებს არ ღალატობდნენ. ტალი სულ ხალხში ტრიალებდა და ყოველთვის რაღაც გასართობს იგონებდა. 7 ნოემბერს, დღი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 43-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე იგი ესტრადის არტისტად კი მოგვევლინა და აკორდონის აკომპანიმენტზე რომელიღაც პოპულარული სიმღერა შესრულა. ბოტვინიკი კი თავისუფალი დროის მეტ ნაწილს განმარტებაში ატარებდა. იგი ოლიმპიადის მხოლოდ ერთ-ერთი მონაწილე იყო, რომელიც მოჰადრავდა „ლამის კლუბში“ არ დადიოდა სასტუმრო „ასტორიას“ პოლში.

თუმცა ლაიპციგში ტალი და ბოტვინიკი ყველაფერს აკეთებდნენ თავისი გუნდისათვის, მაგრამ არ შეიძლებოდა არ შეგეგმინათ, რომ ორივე ეს გამოჩენილი მოჰადრაცი თამაშის პრაქტიკაში ერთმანეთს უთვალავლავდნენ და „სინჯავდა“ კიდევ. ასე, მაგალითად, ბოტვინიკმა ერთ-ერთი თავისი პარტია მეფის პაიკით დაიწყო (ამგვარი პირველი სვლა კი რამდენიმე წელია რაც მას არ გაუკეთებია). ეს, რა თქმა უნდა, თავისებური „ფსიქოლოგიური მანევრი“ იყო. ბოტვინიკმა ტალს თითქმის უსიტყვოდ უთხრა: „ჩვენს მომავალ მატჩში მე შეიძლება ასეც ვითამაშო. გაითვალისწინეთ“. და ტალს მართლაც მოუხდნენ გადათვალისწინება არა ერთ პარტიას, რომელიც მეფის პაიკის სვლით იწყება. ვინ იცის, იქნება მომავალ მატჩში ბოტვინიკმა მართლაც გამოიყენოს ეს სვლა...

ამჟამად საქადრაცი ხელოვნების ორი კორიფის ორთაბრძოლაზე არც თუ იმ დიდი დრო დარჩა, ამიტომ ჯერჯერობით თავი შევიკავოთ რაიმე დასკვნების გამოტანაზე. თვითონ მატჩმა უნდა გვიასუხოს, თუ ვის მოუტანა სარგებლობა „ლაიპციგის დახვედრაში“.

ამერიკელი მუდამარინოს

„მუდამარინოსი“

როდესაც XIV ოლიმპიადაზე წვერი, არ შეიძლება არ გავისენოთ ერთ-ერთი მისი მონაწილე—რობერტ ფიშერი. მისი თამაშითა და პიროვნებით ამჟამად მრავალი დანტერესებული. ეს გასაგებია—ჩველმეტი წლის ბოში, მიუხედავად თავისი ჰაბუკური ასაკისა, უკვე საერთაშორისო გროსმაისტერი და აშშ-ს ჩემპიონია.

როგორია ამერიკელი ენდერკინდი?

ბოში მაღალი, გამხდარი და ფართო მხარბეჭიანი ჰაბუკია. სატურნირო დარბაზში იგი სწრაფი ნაბიჯებით დადის და ხელოვნური ჯიბეებში უწყევია. ხოლო როდესაც საქადრაცი დაფას უზის, ხშირად შესცქერის სახეში მოწინააღმდეგეს. ასეთია იგი ვარგუნულად.

ფიშერი ნამდვილად ძალიან ნიჭიერი მოჰადრავია. მას, ისევე, როგორც ტალს, ფანატურად უყვარს ჰადრაცი და დღე და ღამ შეუძლია ჰადრაციის დაფას უჯდეს. იგი წლითწლობით უფრო მომწიფებულად და შინაარსიანად თამაშობს (თუმცა, უნდა ითქვას, რომ მისი თამაშის კლასი ჩვენს გროსმაისტერების თამაშის კლასს ჯერ კიდევ ჩამორჩება).

უფრო ბევრი რამ შეიძლება ითქვას აშშ ჩემპიონის პიროვნებაზე. ხშირად ყველაფერს სიჰაბუკეს აბრალებენ ხოლმე, მაგრამ ეს რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ ამართლებს ნიჭიერი ამერიკელი მოჰადრაციის მრავალრიცხოვან „უცნაურობებს“.

ბოში, მაგალითად, პრინციპულად არ ამდევს ავტოგრაფებს ქალებს, და თუ ენდერკინდი ცუდ ხასიათზეა, თავებულად იქცევა. ლაიპციგში გროსმაისტერ ნაიდორფთან შეხვედრის შემდეგ, დამთავრებული პარტიის ანალიზის ნაცვლად (როგორც ეს მიღებულია მოჰადრაციებში) იგი უეცრად აღდგა, დაფიქრდა გადაყარა ფაგურები და წავიდა.

ის, რომ ბოში სერიოზულად სწავლობს საქადრაცი ხელოვნებას, ძალიან კარგია. მაგრამ ის, რომ მან აიბტო სწავლა მიატოვა, ძალიან ცუდა. სხვათა შორის, ეს პირველ რიგში ზიანს აყენებს მხოლოდ მას. მან არ იცის ისეთი ელემენტალური რამეები, რაც IV—V კლასის მოწაფემაკი კი უნდა იცოდეს.

საინტერესოა, როგორ წარმართება რობერტ ფიშერის შემდგომი ცხოვრება. დაუფიქრებია, თუ არა იგი იმას, რომ ყველა ცნობილი მოჰადრაცი ფართოდ განათლებული ადამიანი იყო? ამ კითხვაზე მომავალი გვიასუხებს.

კიდევ ბევრი საინტერესო რამ შეიძლება გავისენოთ „ერთი ლაიპციგის ბრძოლის“ გარშემო, მაგრამ „ჰადრაციის ციებ-ცხელებით“ შეპყრობილ ადამიანებს ის ამბებიც ალღელებთ, რომლებიც XIV საქადრაცი ოლიმპიადის შემ-

დეგ მოხდა. მაგალითად, ჩვენი რესპუბლიკის ჰადრაციის მოყვარულები გულისძეგრებით აღეცნებდნენ თვალყურს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოქალაქე ქალთა ტურნირს, რომელიც რიგაში მიმდინარეობდა. „როგორია ნონას მდგომარეობა?“ — ყოველდღე ეკითხებოდნენ ერთმანეთს ასეულ ათასობით გულშემატიერები. და, ნონა გაფრინდაშვილმა იმედი არ გავეციტა. მან კარგად ჩაატარა სატურნირო ბრძოლა და მსოფლიო ჩემპიონ ელიზაბეტ ბიკოვასთან მატჩის პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

მტკიცე ხასიათის ქალიშვილი

როდესაც მის ბიოგრაფიას გაეცნობით, აღვივალდ მიხვდებით, თუ საიდან აქვს ასეთი მამაკაცივით მტკიცე და ნამდვილად სპორტული ხასიათი ნონა გაფრინდაშვილს. იგი დაიბადა და გაიზარდა ზუგდიდში, როგორც თვითონ მოგვითხრობს, ბავშვობაში ნონა თოჯინებით არ თამაშობდა. მას ხუთი ძმა ჰყავდა და მათთან ერთად იგი მხოლოდ ბიჭების სათამაშოებით ერთობოდა, არაფრით არ ჩამორჩებოდა თავის ძმებსა და მათ მეგობრებს და მათი ბიჭური გართობების „სრულუფლებიანი მონაწილე“ იყო. გოგონასათვის ბიჭებთან თამაში არც თუ ისე ადვილი იყო, მაგრამ ახლა ნონა დიდი სიყვარულით იგონებს იმ წლებს, როდესაც მისი ხასიათი იწრთობოდა.

ჰადრაციის თამაში ნონამ 5 წლის ასაკში დაიწყო. ძმებს არც ამაში ჩამორჩა. ტერენტი გაფრინდაშვილის ოჯახში ჰადრაცი ყველა თამაშობდა. სხვათაშორის, ნონას უფროსი ძმები — ემზარი, ჯემალი და მურადი ახლა პირველი თანრიგის მოქალაქეები არიან.

აღრე ჩაეყარა საფუძველი ნონას საჰადრაციო ნიჭს და ამიტომ სწრაფად განვითარდა და განმტკიცდა. გოგონას ყურადღება მიაქცევს, სწავლის გასაგრძელებლად თბილისში გადმოიყვანეს. დედაქალაქში ნონამ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში დაიწყო სიარული და საბჭოთა კავშირის მწვერთვის ვახტანგ ქარსელაძის ხელმძღვანელობით მეცნიერების დაუფლებას შეუდგა.

თითქმის ყოველ წელიწადს ნიჭიერი მოქალაქისათვის ახალ-ახალი წარმატებები მოჰქონდა. მან ჯერ თბილისის, ხოლო შემდეგ საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა. მერე საკავშირო პირველობის უცვლელი მონაწილე გახდა. და აი, ბოლოს ნონა პირველად გავიდა ფართო საერთაშორისო ასპარეზზე: იგი პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილეა.

საქართველოში ნონა გაფრინდაშვილის გამო არაერთი და არა ორი დაავადდა „საჰადრაციო ციებ-ცხელებით“. ამჟამად, მისი ახალი წარმატების შემდეგ მათი რიცხვი გაიზარდა. პრეტენდენტთა ტურნირამდე მათ სიმშვიდე და დასვენება არ უწყრიათ!

საერთოდ უნდა დამეთანხმეთ — „საჰადრაციო ციებ-ცხელება“ განუყოვნებელი დაავადებაა!



მეგობრული შარეები გ. ფირცხალავასი



ანა კალანდაძეს

მილოცვა ღირდეს მილოცვად,
ატუდეს წრიპინი კალამთა
და კალანდაძე ანიკოს
ჩვენც მიფულოცოთ კალანდა.
ირენო, მთახა მუვირალო,
რად დახვალ სხვისა კარადა,
„ცისკარშიც“ შემოგეტანოს
ღეჭსებით სავსე კალათა.

ნაზი კილასონიას

„საბჭოთა ქალშიაც“ ზომ შეეწვდი სკამს!
(არ დავაიწყებდი „პიონერს“ მგონი).
გორი, აგარა, ქარელი, სკრა,
სკრა, სგარა, ქარელი, გორი.



მუხრან მაჰმადიანს

შაჰარიანი „ტუ“ ასმეთოთხმეტესთან
ალოდინეს და... მეთხოუ-
მეტე
კაცად შევიდა.
თოთხმეტი მგზავრი სტიუარდისას ეფერება,
ცამეტი ტურისტები ფანჯრიდან იყურება,
მერე სიბნელეში იელვა ეიფელმა,
ხალხი გააოცა მოტორის სიურუ-
ვემა.
იარა!
შინც ჩამოუსწრო ახალწლის ღამეს,
ჩამოჰყვა აჭრელბული ჩემოდანი.
რა იქნებოდა, დაეწერა პარიზეც რამე
რაც ჩაიტანა, ისევე ის ჩამოიტანა.



თამაზ და ოთარ ვილაძეებს

მერის და თომას — მანები,
ოთარ და თამაზ — ძმანები.
ხან ორივე — უფროსვანები,
ხან ორივე — უმცროსვანები.



არჩილ სულაბაძეს

მეგობარო, უფროსო,
ვერ გაძელი უპროზოდ
მაგრამ პროზად ნუ დაწერ
ლექსად სასაუბროსო.



მედეა კახიძეს

ლექსი გქონდა ვაჟაკური,
ახლა გვანდა სხვა სახის,
ჩქარა, თორემ წაგივიდა
„ნიუვარულის ასაკი“.



მირაზ ელიოზიშვილს

ვისია ბიჭი ღამაში,
ვისია, ნეტა ვისია,
არ ღარჩა მოუსინჯავი
მნო და ტელევიზია.
ვისი არის და ჩვენია,
რად უნდა ბევრი ბოდიში.
სამოცდარითში რომანი
ვუსურვოთ ელიოზიშვილს.



ნოდარ დუმბაძის

შენზე მითხრეს — გურულია,
სურეხელი ფირალიო,
გაუმარჯოს შენს ცალთვალა
ილიკოს და ილარიონს.
მაგრამ ღმერთმა გურულები
ნუ ქნას შენი ბოლო თემა,
კახეთშიაც შაიარე
აგერ პაწა რომ მოთბება.

ოტია იოსელიანს

წყალტუბოდან თბილისისკენ
მომავლო ოტიაო,
სცენარისტის ხეზე შემჯდარს
არ მოგიტყდეს ტოტიაო,
რაც დაწერე, კარგი არის,
მაგრამ ჯერ იოტიაო,
გაგიმარჯოს, გულთ გვინდა.
სულ მუდამ იოტიაო!..

ედიშერ ჟიჟინას

ედიშერმა გვახსოვს, შარშან
„დროშაში“ რომ გაგვშარუა.
ჩატომ უნდა დავრჩეთ ვალში?
აგერ ლექსი, აგერ შარუი...
სულ ჩვენთან ხარ ედიშერი,
ნურც წელს გამოგვეთიშები!..


ზოტა ნიშნიანიძის

საბაღწლოდ იმღერე „ოდოია“,
კვაწარახს მიაყოლე მაშარაბი,
ძროხა ააშვებინე ბონდოიას,¹
ლექსები ლექსებზე გადააბი!..

¹ ბონდოია — შ. ნიშნიანიძის ლექსების ლირიკული გმირი.

ბარიელ პანტურისა

ყველა შენი ანტურაჟით
ფეხზე ადექ პანტურია,
კაცი ლიტერატურაში
ლექსის ადექვატურია.




ზივი გიგეჟორს

ისე გიცინის სახე გიგეჟორს,
თითქოს ჯერ ლექსი არ დაგებეძღოს.

ოტია პაპაორიას

ახე დადის ოტია,
თითქოს ვალტერ ხკოტია
წერს წერილებს ტერცინებად
და თვითონვე ეცინება.



ჯანსუღ ჩარაჰვიანის ავსტრიული შთაბეჭ-
დილებანი ციკლიდან „ღუნანის მძივი“

ზალცბურგი მცხეთის ხელა.

ვენა, 1960 წ.

ვენაში ბევრი ჩიტია.

ლინცი, 1960 წ.

ლინცი ზალცბურგის ხელა.

ზალცბურგი, 1960 წ.

როგორც გამოირკვა, ლინციც მცხეთის ხელა.

მცხეთა, 1961 წ.

არაბთა გაერთიანებული რისკუზღლიკა

კინოპამირები ნილოზის ველზე

იტალიელმა კინოოპერატორებმა დონატიმ და კარპენტერიმ თავიანთი კამერები გადაიტანეს ნილოსის ველზე, რათა უკანასკნელად აღებუდონ კინოფირზე ფარაონების დროს აშენებული უმშვენიერესი მონუმენტური ნაგებობანი. როგორც ცნობილია, ასუანის ჯგბირში მოქცეული წყალი მალე დაფარავს იმ მიდამოებს, სადაც უამრავი ამგვარი უძველესი ძეგლია. ამერიკად, ამ იტალიურ დოკუმენტურ ფილმა უდიდესი მნიშვნელობა ექნება მაშინაც კი, თუ იუნესკოს გეგმის მიხედვით, ზოგიერთ ნაგებობას სხვა ადგილას გადაიტანენ და ამით დაღუპვას გადაარჩენენ.

ავსტრია

მუსიკალური ფილმი

ზალცბურგში დამთავრდა ახალი მუსიკალური ფილმის „უკანასკნელი აკორდის“ გადაღება. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ ცნობილი იტალიელი მომღერლები მარიო დელ მონაკო და ელენორა როსა დრაგო.

ბარდამიშვალა ცნობილი მემკვიდრეობა

ვენაში 69 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ავსტრიელი შექსპიროლოგი რი-

ხარდ ფლატნერი. ფლატნერმა ავსტრიულ ენაზე თარგმნა შექსპირის ტრაგედიები და სონეტებიც. ფლატნერის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მრავალი მნიშვნელოვანი გამოკვლევა დიდი ინგლისელი მწერლის შემოქმედების შესახებ.

აშშ

კინემატოგრაფიის პიონერის სიკვდილი

მოლივუდში 76 წლის ასაკში გარდაიცვალა კინემატოგრაფიის ერთ-ერთი პიონერი მაკ სენეტი. სწორედ ღისი დამსახურებაა ჩარლი ჩაპლინის, გლორია სვენსონის, ბესტერ კიტონის, ბინა კროსბისა და ამერიკის ბევრი სხვა სახელგანთქმული კინომსახიობის „აღმოჩენა“.

თომას მანის პატრიოტობა

ნიუ-იორკის გამომცემლობა „კნოპფმა“ გამოცა თომას მანის ავტობიოგრაფიის სრული ტექსტი „ჩემი ცხოვრება“, რომელიც შემოკლებული სახით გამომცემული იყო ამერიკაში ჯერ კიდევ 1936 წელს.

არტურ მილერის ახალი ფილმი

ცნობილი ამერიკელი დრამატურგი არტურ მილერის სახელობა მუშაობს სცენარზე ფილმისათვის „მავნებელი“. ამჟამად სან-რენოში დაიწყო ფილმის გადაღება. ფილმში

მთავარ როლს ასრულებს დრამატურგის ცოლი, ცნობილი კინომსახიობი მერილინ მონრო.

„ანა კარენინა“ ახალი მარანიზაციი

მოლივუდში მალე დაიწყება ლევ ტოლსტოის „ანა კარენინა“ გადაღება. მთავარ როლს შეასრულებს ცნობილი ამერიკელი მსახიობი ქალი ელიზაბეტ ტეილორი. ეს როლი ეკრანზე პირველად განასახიერა ამერიკულ ფილმში გრეტა გარბომ 1935 წელს. 13 წლის შემდეგ იგივე როლი შეასრულა ვივიენ ლემ. ახალი ფილმის პროდიუსერია ტეილორის მეუღლე ედი ფიშერი.

„თეატრის პური ალბარა ბჰვს“

ამერიკელმა დრამატურგმა არტურ მილერმა თურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მას აშინებს ამერიკული თეატრის ბედი, ვინაიდან პიენის დასადგმელი ხარჯები ორჯერ გადიდდა და ასობით ათას დოლარს აღწევს. მიღეთების ფაზა წარმოუდგენლად დიდია და მალე მხოლოდ მდიდრები თუ შეძლებენ თეატრში სიარულს.

მილერის ამ სიტყვებს დაერთო ინგლისელი კრიტიკოსის ტაინენის სტატია (ტაინენი ნიუ-იორკში ცხოვრობს და თვალუარს ადევნებს თეატრალურ ცხოვრებას ბროდვეიზე), რომელშიც ნათქვამია, რომ არსად მთელს დედამი-

წაზე თეატრი არაა ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ჩავარდა იგი ამერიკაში — მან დაკარგა თავისი ძირითადი აზრი და ჩვეულებრივ კომერციულ საქონლად იქცა.

მილტონ მალტცერის კრებული — „თვითონ მარკ ტვენი“, რომელიც ამას წინათ გამოვიდა, თავმოყრილია ამ დიდი მწერლის გამოთქმები და წერილები. კრებულს დიდი შემცენებითი და ლიტერატურული ღირებულება აქვს, ვინაიდან აქაა აგრეთვე ნაქცევი ცნობილი ნაწევრები, ჩანახატები და ფოტოგრაფიები. კრებულში მოთავსებულია მარკ ტვენის მიერ დაწერილი პანია ავტობიოგრაფიული ცნობა: „დავბადე 1835 წლის 30 ნოემბერს მისურის შტატის ერთ უმნიშვნელო სოფელში — ფლორიდაში. ამ სოფელში ცხოვრობდა ახსადმინი, ასე რომ მე მოსახლეობის რიცხვი ერთი პროცენტით გაეზარდა. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე გაუქმდება თავისი ქალაქისათვის ბევრ სხვა გამოჩენილ პაროქენებს. თვით შექსპირმაც კი ვერ შეძლო ის, რაც გაეკეთე მე ფლორიდაში“.

ამერიკული „ახალი ტალღა“

ნიუ-იორკში, კომერციული მოლავუდის საწინააღმდეგოდ, კინემატოგრაფიაში წარმოიშვა ფრანული „ახალი ტალღის“ მსგავსი მოძრაობა. ამ მოძრაობის ერთ-ერთი პირველი გამოვლენა იყო ფილმი „ჩრდილები“, რომელიც გადაიღო ახალგაზრდა კინემატოგრაფისტმა, ტალმუზდის მუშაკმა და საშახიოხო სკოლის დირექტორმა ჯონ კასავეტმა თავის აშხანაგებთან ერთად. ფილმი, რომელიც სულ 30.000 დოლარი დაჯდა, გვიამბობს, თუ როგორ უყვართ ერთმანეთი ზანგ ქალოშვილი, რომელმაც თერთი კანი ჰქონდა, და

თერთკანინ ვაჟს. მაგრამ როგორც კი გაიგებს ვაჟი — ზანგის შთამომავალი ყოფილაო, მაშინვე მიატოვებს. ფილმში გამოყვანილი არიან აგრეთვე ამ ქალოშვილის შავკანიანი ძმები, პარალელური ამბები გვიჩვენებს, თუ რა უიმედო და მძიმე ბრძოლა უნდება ზანგებს ამერიკაში, სადაც გაბატონებულია რასობრივი ცრურწმენები. ჯონ კასავეტმა ეს ფილმი გადაიღო უსცენაროდ და მსახიობებს მისცა თავისუფალი იმპროვიზაციის უფლება.

ჰოლივუდის სპეში ცუდადაა

ფრანგულმა ბურჟუაზიულმა ჟურნალმა „ჩელოვენგამ“ დაბეჭდა ვრცელი სტატია ჰოლივუდის კინომარწველობის სულ უფრო და უფრო მძიმე მდგომარეობის შესახებ. „რომ არ იქცევა ჰოლივუდი უდაბნოდ?“ — კითხულობს სტატიის ავტორი. ვერეა კინოტელუდებმა მეტრო-ჰოლივინ-მაიერმა და პარამუნდმა ფაქტიურად უკვე შეწყვიტეს ყოველგვარი საქმიანობა. ცვლილებები, რომლებიც 1954-55 წლებში დაიწყო, წლითწლილად უფრო და უფრო მძიმე ხდება. უფრო და უფრო იზრდება უმუშევრობა ამ დარგში.

რა არის ამ კრიზისის მიზეზები?

ერთ-ერთი პირველი მიზეზია ტელევიზიის კონკურენცია, რასაც ჰოლივუდის ვერ შეეგებოდა ვერც ფართობიანი კინოთი, ვერც ტექნიკით, ვერც სხვა სიხალეებით. თუ წინათ წელიწადში 90 მილიონი მაყურებელი დადიოდა კინოში, ახლა მათი რიცხვი 32 მილიონამდე შემცირდა. მსხვილმა კინოკომპანიებმა მხოლოდ ერთადერთი საშუალება გამოიყენეს: ისინი მთელ თავის სახსრებს ახმარენ მონუმენტურ, ეფექტურ პროდუქციას. მაგრამ

მილიარდ დოლარად ღირებულია ამ ფილმებმა სავსებით მოსეს კინოპროდუქციის მხატვრული მხარე. როგორც ჟურნალი წერს, „ჰოლივუდს ცუდად აქვს საქმე. მისი ფილმები ან ჩვეულებრივია, ანდა ყოვლად უვარების“. ეს განა იმის ბრალია, რომ რეჟისორებმა და მსახიობებმა დაკარგეს ტალანტი, კინომარწველობის საშხატრო ხელმძღვანელობა ხელთ იგდეს ბანკირებმა, საფინანსო მანგატებმა და მსხვილმა კაპიტალიტებმა. ხოლო ეს ბატონები მეტწილად მიმართავენ ბიზნესური ისტორიების ეკრანიზაციას სესილ დე-მილის მაგალითის მიხედვით.

ბრაზილია

დიდი მწერლის იუბილე

როი დე-ჟანერიოში გაიმართა გამოჩენილი ბრაზილიელი მწერლის ჟოან რიბეირას დაბადების 100 წლის იუბილერიობები იყო მწერალი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი, ფილოლოგი, მხატვარი და ისტორიკოსი (იგი ავტორია წიგნისა „ბრაზილიის ისტორია“).

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

ბრესტი და მისი ძალაძი

აუგსბურგში, ბერტოლდ ბრესტის მშობლიურ ქალაქში, მწერლის სახლს გაუკეთეს მემორიალური დაფა. ქალაქის მუნიციპალიტეტს არათუ მონაწილეობა არ მიუღია ამ საქმეში, თავისი წარმომადგენელიც არ გაუგზავნია დაფის გასწავლადი მიმღვილ ჟეიმე. გასწავლადი დაფის მოპქონად პლაკატი წარწერით: „თქვენ ცხოვრობდით აუგსბურგში, ქალაქში, რომელსაც დავაწყებული ჰყავს თავის დიდი შვილები“.



დასავლეთ გერმანიის მწერალთა მანიფესტი

დასავლეთ გერმანიის მწერალთა მანიფესტი, რომელიც უარს ამბობს მონაწილეობა მიიღონ ტელეპროგრამათა მეორე ნაწილის შედგენაში, რასაც ხელმძღვანელობას გაუწევს ბონის მთავრობა და რომლის გადაცემასაც დაიწყებს ჰამბურგის ტელეზაზოვადობა „გერმანიის ტელეხედვა“.

მანიფესტს ხელი მოაწერეს ჰაინრიხ ბოლშე, ჰერბერტ ას-მოლიმი, რობერტ იუნგმა, იოაჰიმ კაიზერმა, ჰანს ერცენს-ბერგერმა, გიუნტერ გრასმა, ილზა აიხინგერმა, გიუნტერ აისმა, ვოლფგანგ ბილდესჰაიმერმა, პეტერ ჰირხემ, ჰანს ჩიხტერმა, დიტერ ველერს-ჰოფმა, ვალტერ იენსმა და სხვებმა.

მანიფესტში ნათქვამია, რომ „გერმანიის ტელეხედვა“ გადაიქცა ფედერაციული მთავრობის, მთავრობაში გაბატონებული პარტიებისა და კომერციული ჯგუფების ინტერესების ინსტრუმენტად“. მწერალთა ჯგუფი მოუწოდებს ხელგეგმვის მუშაებს, რომ მათ გერმანიის მომავლის ინტერესებისთვის უარი თქვას ამ პროგრამებში მონაწილეობაზე.

ეკვალორი

ლირს წვალბადა

ახალგაზრდა შედელ შეცნორი ქრისტიან მერნერი ეკვადორში ეძებს ინკების საგანძურს, რომელიც 70 ათას საშალენ ოქროს აღემატება. ახალდადმოჩენილი მონაცემების თანახმად, 1532 წელს, როცა ესპანელებმა ეკვადორი დაიპყრეს, ინკებს ეს უზარმა-

ზარი სიმდიდრე სადღაც მიწაში ჩაუფლავთ. თუ მერნერი ამ ოქროს იპოვნის, იგი ნაპოვნის მენახევრე ხდება.

ინგლისი

უდიდესი ბიბლიოთეკა

ინგლისში, პატარა ქალაქ ბოსტონ სპას მახლობლად, შენდება მსოფლიოში უდიდესი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკასთან იქნება სავტომობილო მოედანი 500 მანქანისათვის. აიგება აგრეთვე აეროდრომი ვერტმფრინავებისათვის. ამ უდიდეს ბიბლიოთეკაში თავმოყრილი იქნება სამეცნიერო და ტექნიკური წიგნების იშვიათი გამოცემები.

სამშაღ მარშაპი საპატიო პრემიანობი

რობერტ ბერნსის საზოგადოების ყოველწლიურმა კონფერენციამ ბერნსის რუსულ ენაზე საუკეთესო მთარგმნელი პოეტი სამუელ მარშაპი საპატიო პრემიენტად აირჩია.

ესპანური ბაღები აღინაზრებში

ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალზე წარმოადგინეს ბაღეტი „ბაღადა კარმენსა და დონ ხოზეზე“, რომელსაც საფუძვლად დაედო პროსპერ მერიმეს ნოველა. მუსიკა საგანგებოდ დაწერა ესპანელმა კომპოზიტორმა ანტონიო რაბლედომ ფორტეპიანოსა, გიტარისა და დახარტყმელი ინსტრუმენტისათვის.

ინფორმაცია

იმინება საბრთო ენა

ჯაქარტაში შეიქმნა ფილოლოგიური კომიტეტი, რომელსაც დავალებული აქვს ახალი ლიტერატურული ენის შექმნა. ეს ენა საერთო იქნება ინდონეზიისა და მალაის 90 მილი-

ონიანი მოსახლეობისათვის, რომელიც ამჟამად სხვადასხვა დიალექტებზე ლაპარაკობს.

იტალია

„ტაქილი ცხოვრების“ გაგრძელება

იტალიელი კინორეჟისორი ფედერიკო ფელინი შეუდგა სახელგანთქმული ფილმის „ტაქილი ცხოვრების“ გაგრძელების გადაღებას. ამ ახალ ფილმშიაც ჟურნალისტის როლს, რა თქმა უნდა, მარჩილო მასტროიანი ასრულებს.

უნაბარტის პრემია მიენიბა

თანამედროვე იტალიური პოეზიის ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენელს ჯეზუე უნგარეტის მიეკუთვნა მონტე-ფელტროს პრემია, რომელსაც ურბინის უნივერსიტეტი ანიჭებს „ავტორს მთელი შექმედებისათვის, რითაც მან ხელი შეუწყო იტალიური კულტურის მსოფლიო მნიშვნელობის განმტკიცებას“. ამ ფაქტს ფართოდ გამოეხმაურნ ლიტერატურულ და კულტურულ წრეებში, რომლებიც უნგარეტის ულოცევენ ჯილდოს და გამოთქვამენ თავიანთ აღტაცებასა და მეგობრულ გრძნობებს დიდი პოეტისადმი.

ოპერა ბრტურ მილერის სიუჟეტზე

ცნობილი იტალიელი კინორეჟისორის რობერტო როსელინის ძმამ კომპოზიტორმა როსელინიმ ამერიკელი დრამატურგის არტურ მილერის პიესის „ხედი ზილიდან“ სიუჟეტზე დაწერა ოპერა, რომლის პრემიერაც გახული წლის მიწურულში შედგა რომში.

სახვითი ხელოვნების მდგომარეობა იტალიაში

რენატო გუტუზომ ანტონიო გრამის სახელობის ინსტიტუტში გააკეთა მოხსენება თე-

მეზღოვარებაზე, სახვითი ბელოვნების მდგომარეობა იტალიაში. ცნობილი მხატვარმა, კომუნისტმა რ. გუტუშომ ზაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მეზღოვარება სახვით ბელოვნებაში უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად გართულდა, თუმცა შეიმჩნევა საგნობრივი და რეალისტური ბელოვნების მომქალაქება და აბსტრაქტული მიმდინარეობათა გავლენის თანდათანობითი შესუსტება, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი დიდი ოფიციალური მხარდაჭერით სარგებლობს. პრაქტიკულ ბელოვნება დღევანდელ იტალიაში წარმოადგენს ფერწერული ტილოებით მოვარჯეთ ფინანსური სექტორის საგანს. მაგრამ საზოგადოება ამ ნაწარმოებებისადმი გულგრილობას იჩენს. შემდეგ გუტუშო ეხება იტალიელი რეალისტი მხატვრების მდგომარეობას და ომის შემდგომი მხატვრობის ცალკეულ პერიოდებს. მისი აზრით, რეალისტი მხატვრებისათვის უკანასკნელი წლები იყო ინტენსიური თვითკრიტიკის წლები, რაც ნაკარნახევი იყო როგორც პოლიტიკური, ისე შემოქმედებითი მიზეზებით. მათ უდიდესი ყურადღება დაუთმეს მხატვრული გამოცდების საკითხებს, დაობდნენ აკადემიზმისა და ნატურალიზმის შესახებ და ეძებდნენ პასუხს კითხვაზე — როგორ აეთვისებინათ გამოსახვის თანამედროვე ბერებში. ახალი გზების ეს ძიება და პოლემიკა რეალისტ მხატვართა შორის სხვა მიმდინარეობათა წინააღმდეგ, კერძოდ, აბსტრაქციონიზმის წინააღმდეგ საერთო და სისტემატური ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა. შემდეგ გუტუშო დაწვრილებით განიხილავს სახვითი ბელოვნების მდგომარეობას დასავლეთის სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით აშშ-ში, და იმ დასკვნაზე მიდის, რომ ერთ დროს მოღვრება აბ-

სტრაქტულმა ბელოვნებამ უკვე დაკარგა გაბატონებული მდგომარეობა და რომ დადგა საგნობრივი ბელოვნებისაკენ მიზრუნების უამი. ეს მკვეთრად იგრძნობოდა ახალგაზრდა მილანელი მხატვრების ნაწარმოებთა უკანასკნელ გამოფენაზე. ახალგაზრდა მხატვართა ნაშუაგვრების წლევეანდელ გამოფენაზე რომში სჭარბოდა რეალისტური ნაწარმოებები. თავისი აზრის დასასაბუთებლად გუტუშოს მოჰყავს ერთ-ერთი ახალგაზრდა მხატვრის კალაბრიას სიტყვა: „მე ვცდილობ ვხატო აღმავანები, მე არ ვგრძნობ მათდამი სიძულვილს“. გუტუშო დარწმუნებულია, რომ ახალგაზრდა თაობის დახმარებით რეალისტური ბელოვნება დამარცხდეს აბსტრაქციონიზმს და ყველა სხვა ფორმალისტურ მიმდინარეობას იტალიურ სახვით ბელოვნებაში.

იტალიელი მწერლის მომზარები

იტალიელმა მწერალმა მარიო მორეტიმ გამოსცა ბიოგრაფიული და კრიტიკული ნარკვევების წიგნი „ჩემი მეგობრები“. წიგნი მოთავსებულია მოგონებები ცნობილ იტალიელ მწერლებზე, კერძოდ, გრაცია დემდას, ადა ნეგრის, კაროლინის, ბალდინის, დანუნციოსა და სხვათა შესახებ.

უმართებულო გადაწყვეტილება

1960 წლის 21-ე კინოფესტივალი ვენეციაში სკანდალით დამთავრდა, როცა ფესტივალის სასახლეში თეორიულ ფესტივალის უმაღლესი ჯილდო „ოქროს ღოზი“ ფრანგ რეჟისორს ანდრე კაიას გადასცა ფილმისათვის „რაინის გადასასვლელი“, დაბაზში მყოფნი ამ გადაწყვეტილებას აშკარა, ხმაყალი უმყოფოლებით შეხვდნენ. ფესტივა-

ლის ყველა მონაწილე იმ აზრისა იყო, რომ პირველი ჯილდო მყოფნოდა იტალიელი კინორეჟისორის ლუჩანო ვისკონტის ფილმს „როზი და მისი ძმები“. თეორის წევრმა, საბჭოთა მსახიობმა და რეჟისორმა სერგეი ბონდარჩუკმა ამასთან დაკავშირებით შემდეგი განაცხადა: „ჩემი, როგორც საბჭოთა ბელოვანის და ფესტივალის თეორის წევრის, ვალდებულებაა, რომ მე არა ვარ თანაში თეორის გადაწყვეტილებისა. უმაღლესი ჯილდო ფრანგულ ფილმს გადასცეს მხოლოდ იმის გამო, რომ დაერქვა მათ ნამდვილად შესანიშნავი ფილმი „როზი და მისი ძმები“. თეორის ასეთი უსამართლო გადაწყვეტილება ფესტივალის იდეის დაღატაკა და თეორის სისუსტეზე მეტყველებს“. ბონდარჩუკს მხარი დაუჭირეს თეორის წევრებმა: პროფესორმა ტელემა (პოლონეთი), ტოფანელმა (იტალია) და შტინმანმა (ამერიკა).

მალის რისკუბლიკა

პირველი ზანგური ფესტივალი

1961 წლის იანვარში განზრახულია დაკარში მოეწიოს ზანგი მსახიობების პირველი საერთაშორისო ფესტივალი. იგი ჩატარდება მალის რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზატორობით და მალელი მწერლებისა და მხატვრების აქტიური მონაწილეობით. ფესტივალი მონად ისახავს ტრადიციულ აქციოს ზანგური ბელოვნების საერთაშორისო დათვლიერება, ამასთან, თანვის წვლილი შეიტანოს ზანგების განთავისუფლების საქმეში.

ნორმები

მცურავი ბიბლიოთეკა
ამას წინათ ნორვეგიაში ერთ-ერთ გემზე დაარსეს ბიბლიოთეკა, რომელიც მათას

ტომს შეიცავს. ბიბლიოთეკა მომხმარებებს გაუწევს 149 პატარა დასახლებული პუნქტის მოსახლეობას, რომელიც კონსტრუქციისა და ქვეყნის დასავლეთ ნაპირზე ბინადრობს.

პოლონეთი

პოლონეთის შემადგენი

პოლონეთის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს გამოცემულმა მოაწყო კონკურსი პოლონელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიის თემაზე დაწერილ საუკეთესო რომანზე. კონკურსზე წარდგენილი ნაწარმოებების უმრავლესობა მერსე მსოფლიო ომის პერიოდს ეხება და ასახავს პოლონელი პარტიზანებისა და სახალხო არმიის საბრძოლო ეპიზოდებს. პრემიები მიიღეს პოლონელმა მწერლებმა იოზეფ პენმა, ვოიცეხ ზუკოვსკიმ, ზოგდან გუჩეკომ, ირეი პუტრამენტმა და რომან ბრატინი.

რუმინეთი

ანტიური საბანძური

კონსტანციის პორტის ახლოს აღმოჩნდა ძველი რომაული ბაზრის შენობა. უზარმაზარ ნაგებობას უკავია 2 ათასი კვადრატული მეტრი, მოპირკეთებულია მარმარილოთი და იატაკი მოსატულია მოზაიკით. იგი უდიდესია დღემდე აღმოჩენილ მოზაიკურ ნაგებობათა შორის. მარმარილოს საფარველის მეტი წილი ჩამოცვენილი და დაზიანებულია. არქეოლოგები აწარმოებენ გათხრებს და მტკაველ-მტკაველ ფრთხილად ასუფთავებენ უძველესებს მოზაიკურ იატაკს.

საფრანგეთი

„მთარგმნელი მანქანა“

მანქანა მანქანა

ერთი ელექტრონული მანქანა, რომელსაც ფრანგული

ტექსტის ინგლისურ ენაზე თარგმნა ევალებოდა, წაწედა ასეთ ფრაზას: „სპირიტუალური ძალები ძლიერია, მაგრამ სხეული სუსტია“, მანქანამ ეს ფრაზა ასე თარგმნა: „სპირტიანი ხასხასელები მაგარია, მაგრამ ხორცი გაფუჭდა“. როგორც ჩანს, ელექტრონულ მანქანასაც უფრო მეტად ცხოვრების რეალური მხარე აინტერესებს...

პრემიის მინიშნება

პრემია „ფემინა“ თავისი მნიშვნელობით მესამე ლიტერატურული პრემია საფრანგეთში. მიმდინარე წელს ეს პრემია მიეკუთვნა მწერალ ჟაკს ლუიზა ბელაკს რომანი-სათვის „მიჯახუნებული კარი“.

ახალი გმირების ძიებაში

ახალგაზრდა ფრანგი მწერალი ჟაკის ფრანსუაზა საგანის რომანებმა თავის დროზე დიდი სენსაცია გამოიწვია საზღვარგარეთული წიგნის ბაზარზე. ლიტერატურულმა კრიტიკამ და სერიოზულმა მკითხველმა იოლად შეამჩნიეს წინააღმდეგობა ფ. საგანის უწყინარ სტილსა და მისი რომანების ღარიბ შინაარსს შორის. გმირები მისი რომანებისა „გამარჯობა, მწუხარებავი!“, „მხოლოდ ღიმილი“, „ერთი თვის შემდეგ, ერთი წლის შემდეგ“ და „გოგონათა თუ არა თქვენ ბრამი?“ აქეთ-იქით აწყდებიან, უიმედოებით სავსენი ბედისწერას ემორჩილებიან და ერთადერთ ხსნას სიუჟეტულში ეძებენ. ფ. საგანის სახელი კიდევ უფრო პოპულარული გახდა მისმა ბიოგრაფიამ: საფრანგულმა ავარიამ, დაქორწინებამ გამომცემელზე, რომელიც

ლიც მასზე 19 წლით უფროსია და ბოლოს ამ უკანასკნელთან გაურამ... მაგრამ უფროად საგანის გვარი გამოჩნდა რევოლუციურ კუბაზე დაწერილი რეპორტაჟის ქვეშ. საგანი ალფრედანგებით წერს კუბის რევოლუციას, ადამიანებზე, რომლებმაც პირველად იგემეს თავისუფლება, და მათს ლეგენდარულ ბელად ფიდელ კასტროზე.

მწერლმა იპოვა დიდი თემა. იმედოვნებდა ვიქტორი, რომ მწერალი ამ ახლადარჩეული გზის ერთგული იქნება. როგორც ცნობილია, ფრანსუაზა საგანმა ხელი მოაწერა „121-ის დეკლარაციას“, რომელშიც გამოჩენილი ფრანგი მოღვაწე გმოენ ალფრედი გაჩაღებულ ომს. ამის გამო ფრანსუაზა საგანი ერთბელ უკვე იყო დაბარებული პოლიციაში.

შვეიცია

შვეიციაში ბალეტში

სტოკჰოლმის სამეფო ოპერის ბალეტის დასმა წარმატებით ჩაატარა გასტროლები საზღვარგარეთ. სემფო ოპერის ბალეტს ორი ასეული წლის ისტორია აქვს. იქ ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ცნობილი იტალიელი ბალეტმეისტერი ფილიპო ტალიონი და რუსი მიხეილ ფოკინი. უკანასკნელ ხანებში შვეიციაში ბალეტმა ახალი აღმავლობა განიცადა. 1953 წელს ჩაიკოვსკის „გედების ტბის“ დადგმით სტოკჰოლმის ბალეტის კვლავ ავიდა საერთაშორისო კლასის სიმაღლეზე. ამასთან ერთად, ქორეოგრაფებმა ბირგ კულბერგმა და ივო კრამერმა შექმნეს ტიპური შვედური ნაწარმოებები, რომლებიც ბალეტმა ეროვნული ხასიათი შეიძინა.

6.5/2011
ДЛЯ ПРОСВЕЩЕНИЯ
ОБЩЕСТВА

8360 60 333.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО
„САБЧОТА МЦЕРАЛИ“